პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბ-
ჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ-სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; გაწეცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 17 ივლისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 161 (2507)

დღიური

- 15 ივლისს მოსკოვში გამოემგზავრა ამერიკის ეკონომიური დელეგაცია.
- პარიზის მუშების დემონსტრაცია.
- გაიხსნა პოლონეთის გარეთ მცხოვრებ პოლონელთა ყრილობა.
- უთანხმოება ინგლისის მუშათა პარტიის — საპარლამენტო ფრაქციაში.
- ინგლის - საფრანგეთის ბრძოლა სარეპარაციო კონფერენციის გარშემო.
- ინგლისში ლოკაუტი აქვს გამოცხადებული 500.000 ფეიქარს.

ჩინელი ბანდიტები უნდა ალაგმონ

ჩინელ მილიტარისტების თავხედური ანტისაბჭოთა გამოსვლების მოწმენი არა ერთხელ ვყოფილვართ, მაგრამ ის, რაც მათ ამ დღეებში ჩაიდინეს, შეუდარებლად აღემატება ამ თავზე ხელაღებულ ყაჩაღების ყველა წინანდელ ბოროტმოქმედებებს. ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინისგზის დუბანი (გუბერნატორი) თავს დაესხა ამ გზას, უხეში ძალით ხელთ იგდო იგი, გადააყენა მისი საბჭოთა მმართველნი, დახურა და დაარბია საბჭოთა დაწესებულებები და ჩვენი მუშური ორგანიზაციები, დააპატიმრა საბჭოთა მოქალაქენი.

საბჭოთა კავშირი ყველა ხალხის, კერძოდ ჩინეთის მიმართ, იმთავიდანვე ატარებს მათი სუვერენიტეტის დაცვის, მათი უფლებების პატივისცემის და ურთიერთ თანასწორობის პოლიტიკას. მაშინ, როცა ჩინეთი დღესაც გმინავს იმპერიალისტების მონობის უღელ ქვეშ, როცა უკანასკნელნი უარს ამბობენ მის ელემენტარულ ნაციონალურ უფლებების აღიარებაზე, საბჭოთა მთავრობამ თავის არსებობის პირველ დღეებიდანვე თავისი ნებით გააუქმა ყველა პრივილეგია და დამმონებელი ხელშეკრულებები, რომლებიც მეფის რუსეთს მასზე ჰქონდა მოხვეული. ჩვენი მეცადინეობა მუდამ იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩინეთთან ნორმალური ურთიერთობა დამყარებულიყო და გვენახა იგი მსოფლიო მოძალადეებისაგან სავსებით განთავისუფლებული.

მაგრამ ჩვენი ასეთი პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა წყობილების ბუნებიდან გამომდინარეობს, ჩინელმა მილიტარისტებმა საბჭოთა კავშირის სისუსტედ მიიჩნიეს, და ისინი ყოველგვარ პროვოკაციას მიმართავენ ჩვენთან დამოკიდებულების გასამწვავებლად. ჩინეთის მესვეურები იძულებული გახდებიან დარწმუნდნენ, რომ, როგორც საბჭოთა კავშირის ნოტაშია ნათქვამი, საბჭოთა მთავრობას „გააჩნია საკმაო საშუალებები, რომ დაიცვას საბჭოთა კავშირის ხალხთა კანონიერი ინტერესები ყოველგვარ ძალადობისაგან“.

ჩვენ კი ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გაუგონარ ძალადობასთან, რომლის გამართლების ცდა სრულიად ფუჭია. იმაზე მითითება, თითქო საბჭოთა მთავრობა ანგარიშს არ უწევდა ჩინეთის ხელისუფალთა მოთხოვნებს ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის-გზის რეჟიმთან დაკავშირებულ სადავო საკითხების მოწესრიგების დარგში, რა თქმა უნდა, ვერავისზე მოახდენს შთაბეჭდილებას. თვითონ საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ მიუმართავს ჩინეთის მმართველებისათვის ამ საკითხების მოსაგვარებლად კონფერენციის მოწვევაზე. არც ის გამოდგება საბუთად, თითქო საბჭოთა მთავრობა კომუნისტურ პროპაგანდას ეწეოდეს ჩინეთში და ერეოდეს მის შინაურ საქმეებში. ამ რამდენიმე ხნის წინად ხარბინის საბჭოთა საკონსულოზე მოხდენილი თავდასხმა, რომლის მიზანი იყო ამის დამადასტურებელ ფაქტების შოვნა, ბანდიტებისათვის სრული სკანდალით დამთავრდა: თვით ბურჟუაზიული პრესა იძულებული შეიქნა ამ თავდასხმის შემდეგ გამოქვეყნებული „დოკუმენტები“ ყალბად გამოეცხადებია. ჩვენ ვიცით, რომ ჩინეთში ადგილი აქვს რევოლუციონურ მოძრაობას, რომელიც გამოწვეულია მშრომელ მასების უაღრესი გაჭირვებით და იმ მკაცრი რეპრესიებით, რომლებსაც ისინი ჩოლოლატე გომინდანელების მხრით განიცდიან. და სასაცილოა, თუ ჩინელი მილიტარისტები ჩვენგან მოითხოვენ ამ მოძრაობის ჩახშობას. ეს, ცხადია, ჩვენს დანიშნულებას სრულებით არ შეადგენს.

ჩინელი სატრაპები შეიძლება ფიქრობენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლით ქვეყნის განმანთავისუფლებელ გმირების როლს გაითამაშებენ და მოინადირებენ იმ ხალხის გულს, რომლის უკმაყოფილება მოძალადეებისადმი იზრდება. ამაო იმედია. აბა ვინ დაიჯერებს, რომ ის ადამიანები, რომელნიც იმპერიალისტების წინაშე მუცლით ხოხავენ, ჩინეთის განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდნენ. მერე ვისგან აპირებენ ისინი ქვეყნის განთავისუფლებას?... საბჭოთა კავშირისაგან, რომელმაც ერთად ერთმა ნამდვილად იცნო და გაატარა ჩინეთის სრულუფლებიანობა. ყველაფერი ეს იმდენად აშკარაა, რომ ჩინეთის ფართე მასებს ეს არამზადები ვერ მოატყუებენ. პირიქით, ჩინეთის ხალხი უფრო შეიგნებს, რომ მილიტარისტების ანტისაბჭოთა პროვოკაცია ხელს უწყობს ამ ქვეყნის კიდევ მეტად დამონებას იმპერიალისტების მხრით.

შესაძლებელია, რომ ნანკინის მთავრობამ საბჭოთა მთავრობის ენერგიული გამოსვლის საპასუხოდ იმით იწყოს თავის მართლება, თითქო თავდასხმაში მისი ხელი არ ერიოს, რომ ეს იყოს მარტო მანჯურიის ადგილობრივი ხელისუფლების საქმე. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მანჯურიის ბანდიტებთან ერთად ყოველივე ამაში სავსებით პასუხისმგებელია ნანკინის მთავრობა; უდავოა, რომ პირველნი უკანასკნელის „ლოცვა-კურთხევით“ და კარნახით მოქმედებდნენ.

ამავე დროს ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე თავდასხმის სულისჩამდგმელი არის მსოფლიო იმპერიალიზმი, ეს საბჭოთა კავშირზე მისი შეტევის ერთ-ერთი გამოხატულებაა. იმპერიალისტები ვერ ურიგდებიან ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას და ისინი ამ შემთხვევაში ცდილობენ ჩინეთიდან ფრონტი შეგვიქმნან. სხვათა შორის, ცნობილია, რომ იაპონია და საფრანგეთი დიდი ხანია ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე თავის სისხლიან ხელებს იშვერენ. ამასთან საგულისხმოა, რომ ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როცა ინგლისში ხელისუფლებას უდგას „მუშათა“ მთავრობა, რომელიც ცდილობს ნანკინთან „დაახლოვებას“ ჩინეთში ინგლისის იმპერიალიზმის პოზიციების განმტკიცების მიზნით. ამგვარად, მანჯურიაში დატრიალებულ ამბებისათვის პასუხისმგებლობას თავიდან ვერ აიცილებენ იმპერიალისტები, მათ შორის მაკდონალდის მთავრობაც.

მიუხედავად ჩინეთის ხელისუფალთა აღმაშფოთებელი მოქმედებისა, საბჭოთა მთავრობა წინანდებურად მონადინებულია ჩინეთთან დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა. ამას მოითხოვენ თვით ჩინეთის და საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესები. მაგრამ ამ მისწრაფების განხორციელება სავსებითაა დამოკიდებული ჩინეთის მთავრობაზე, რომელმაც თავისი უმძიმესი დანაშაული დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ზევით იყო აღნიშნული, საბჭოთა მთავრობას შესწევს საშუალებები თავისუფლების და ინტერესების დასაცავად და ბანდიტების ასალაგმავად. მას ზურგს უმაგრებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელნი, რომელთა აღშფოთება ჩინელ მილიტარისტების ბანდიტურ თავდასხმის გამო უსაზღვროა, არამედ ამ შემთხვევაში მის მხარეზე იქნებიან თვით ჩინეთის მშრომელი მასები, რომელნიც ვერ იტანენ გომინდანელ სატრაპების და მათი წამქეზებელ იმპერიალისტების ბატონობას.

საბჭოთა კავშირის ნოტა ჩინეთს

ნოტა მოითხოვს დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას კონფერენცია აღმ.-ჩინეთის რკ. გზასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაგვარებლად

ჩინეთის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა გააუქმოს ყველა თვითნებური მოქმედება გზის მიმართ

ყველა დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განთავისუფლებული

საპროტესტო მოძრაობის ტალღა მთელ საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირის ნოტა ჩინეთს

მოსკოვი, 16 ივლისი. 13 ივლისს ჩინეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულს გადაეცა შემდეგი ნოტა, რომელსაც ხელს აწერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კარახანი.

„მოსკოვი, 1929 წლის 13 ივლისი, ბატონ ხია ვეი-სუნს, საქმეთა რწმუნებულს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით, გთხოვთ აცნობოთ მუკდენის მთავრობას და ჩინეთის რესპუბლიკის ეროვნულ მთავრობას ნანკინში შემდეგი:

საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ მიღებული ცნობებით, 10 ივლისს, დილით ჩინეთის ხელისუფლება თავს დაესხა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას, მან ხელთ ჩაიგდო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ტელეგრაფი მთელ ხაზზე, შესწყვიტა სატელეგრაფო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მიზეზების ახსნა-განუმარტებლად დახურა და დაბეჭდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა, აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობის, საფეიქრო სინდიკატის, ნავთის სინდიკატის და საბჭოთა-სავაჭრო ფლოტის განყოფილებანი. შემდეგ რკინის გზის დუბანმა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარემ ლიუ ი-ჰუნ-ხუანმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველს ემშანოვს მოსთხოვა — რკინის გზის მმართველობა გადაეცა დუბანის მიერ დანიშნულ პირისათვის. როცა რკინის გზის მმართველმა ამხ. ემშანოვმა უარი განაცხადა ამ უკანონო მოთხოვნის შესრულებაზე, რადგან ეს წარმოადგენს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დროებითი მმართველობის შესახებ პეკინში 1924 წლის 31 მაისს დადებული შეთანხმების, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ჩინეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთის სამი ავტონომიური პროვინციის მთავრობას შორის მუკდენში 1924 წლის 13 სექტემბერს დადებული შეთანხმების უხეშ დარღვევას,—მაშინ ამხ. ემშანოვი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან, ისევე, როგორც რკინის გზის მმართველის თანაშემწე ამხ. ეისმონტი. ამასთან მათი ადგილები დაიჭირეს დუბანის მიერ დანიშნულმა პირებმა. წევის და მოძრაობის დარგის უფროსები და სხვა პირები, იმავე დუბანის ბრძანებით, გადაყენებულ იქნენ და მათ ნაცვლად დანიშნეს უმთავრესად რუსი თეთრგვარდიელები. აღმოსავლეთ-ჩინეთის მთელ ხაზზე დახურეს და დაარბიეს რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციები; მოხდა აგრეთვე ჩხრეკა და დაპატიმრებანი, ამასთან დაპატიმრებულ იქნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები—200 კაცზე მეტი. ჩინეთის ფარგლებიდან უკვე გააძევეს საბჭოთა მოქალაქენი, რიცხვით 60 კაცამდე, მათ შორის ამხ. ემშანოვი და ეისმონტი.

ამავე დროს მიღებულია ცნობები, რომ საბჭოთა საზღვრის გასწვრივ თავი მოუყარეს მანჯურიის ჯარს, რომელიც საბრძოლველად არის გამზადებული და თვით საზღვრებთან არის მისული. ცნობების თანახმად, მანჯურიის ჯარის გარდა, საბჭოთა კავშირის საზღვართან დგანან რუს თეთრგვარდიელთა რაზმები, ამასთან მანჯურიის სარდლობა აპირებს მათ გადაყვანას საბჭოთა ტერიტორიაზე.

ზემოთ აღნიშნული მოქმედება წარმოადგენს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის არსებულ ხელშეკრულებათა პირდაპირი გარკვეული დადგენილებების აშკარად და უხეშად დარღვევას და ეს დარღვევა არ ხდება ნაკლებ აღმაშფოთებელი იმის გამო, რომ რკინის გზის დუბანი თავის განცხადებაში თვითონ ემყარება იმას, რომ მხარეთა წარმომადგენლების მოვალეობას შეადგენს ხელშეკრულებების მტკიცედ დაცვა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე და ამით ცდილობს მიჩქმალოს თავისი აშკარა უკანონო მოქმედება.

როგორც აშკარაა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დროებითი მართველობის შესახებ არსებული შეთანხმების (1924 წლის 31 მაისის თარიღით) 1-ლი მუხლიდან და მუკდენის შეთანხმების მე-6 პუნქტის 1-ლი ანალოგიური მუხლიდან, ყველა საკითხი, რომლებიც შეეხებიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას, განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნას ათი პირისაგან შემდგარი გამგეობის მიერ, ხოლო „გამგეობის გადაწყვეტილება ძალაში შედის, თუ იგი დადასტურებული იქნება გამგეობის არანაკლებ 6 წევრის მიერ“. ამასთან გამგეობის თავმჯდომარე—ჩინელი მოქალაქე, ხოლო თავმჯდომარის თანაშემწე—საბჭოთა მოქალაქე „ერთად განაგებენ გამგეობის საქმეებს და ორთავენი აწერენ ხელს გამგეობის ყველა დოკუმენტს“.

ამგვარად, თვით ის ფაქტი, რომ დუბანმა ცალმხრივი ბრძანება გამოსცა თავისი ერთპიროვნული ხელის მოწერით, როგორც გამგეობასთან, ისე დუბანის თანაშემწე—საბჭოთა მოქალაქესთან შეუთანხმებლად,—ამ აქტს აძლევს აშკარად არაკანონიერ ხასიათს, რომ არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ ეს აქტი ძირფესვიანად არღვევს ხელშეკრულების მიერ დაწესებულ პარიტეტის პრინციპს.

პეკინის იმავე შეთანხმების მესამე მუხლის და მუკდენის შეთანხმების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად „რკინის გზის გამგეობა ეკისრება საბჭოთა კავშირის მოქალაქეს—მმართველს და მმართველის ორ თანაშემწეს, რომელთაგან ერთი უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ხოლო მეორე ჩინეთის რესპუბლიკის მოქალაქე. აღნიშნული თანამდებობის პირებს ნიშნავს გამგეობა და ამტკიცებენ მთავრობები კუთვნილებისამებრ“. მათ უფლებებს და მოვალეობებს განსაზღვრავს გამგეობა, რომელიც ნიშნავს აგრეთვე რკინის გზის სხვადასხვა მმართველობათა უფროსებს და უფროსების თანაშემწეებს.

ამგვარად, რკინის გზის მმართველის გადაყენება დუბანის განკარგულებით და მისი შეცვლა, თუნდაც დროებით, ჩინეთის მოქალაქით, აგრეთვე გზის მმართველის თანაშემწის და მთელი რიგი თანამდებობის პირების ცალმხრივი გადაყენება, არღვევს 1924 წლის შეთანხმებათა ძირითად დადგენილებებს და სავსებით სცვლის გზის მმართველობის იმ რეჟიმს, რომელიც დამყარებულ იქნა საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მთავრებების შეთანხმებით და ჩამოყალიბებულია მათ შორის მომქმედ ხელშეკრულებებში. ხელშეკრულებების დარღვევა, რაიც არაფრით არ არის გამართლებული, მით უფრო აღმაშფოთებელ ხასიათს ატარებს, რომ, როგორც აშკარაა ხელშეკრულებების ზემომოყვანილი ადგილებიდან, აღნიშნულ თანამდებობის პირთა დანიშვნა და, მაშასადამე, გადაყენებაც წარმოადგენს მთლიანად გამგეობის პრეროგატივას და არ შეიძლება განხორციელებულ იქნას სხვა წესით, განსაკუთრებით კი დუბანის ცალმხრივი და ერთპიროვნული განკარგულებით.

დუბანი თავის განცხადებაში ემყარება ბრძანებას, რომელიც მან მისცა მმართველ ემშანოვს. ეს ბრძანება შეეხება ჩინეთის მხრივ წამოყენებულ მთელ რიგ მოთხოვნების განხორციელებას გზის მმართველობის წესების დარგში. მაგრამ გზის მმართველს, რომელიც მთლიანად მთელი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოა, არ შეუძლია შეასრულოს დუბანის, ან მისი მოადგილის ბრძანებები, თუ ეს ბრძანებები არ გამომდინარეობენ თვით გამგეობისაგან, თავმჯდომარის და მისი ამხანაგის ხელმოწერით, როგორც ამას მოითხოვენ 1924 წლის მუკდენის შეთანხმების პირველი და მე-6 მუხლები. თვით მითითება იმაზე, რომ მართველმა არ შეასრულა დუბანის რომელიღაც ერთპიროვნული განკარგულებები, ადასტურებს ამ დუბანის მოქმედების არაკანონიერ ხასიათს.

პეკინის და მუკდენის 1924 წლის შეთანხმებების მიხედვით, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის და ჩინეთის საერთო მმართველობის ობიექტს, ამასთან აღმოსავლეთ ჩინეთის გზა შეიძლება გადავიდეს ჩინეთის საკუთრებაში ან ხელშეკრულებით დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ, ან ამ ვადამდე ჩინეთის მიერ გზის შესყიდვის წესით, მხარეთა შეთანხმებით. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დუბანის ზემოთ აღნიშნული უკანონო მოქმედება, რასაც სანქცია მისცა ჩინეთის მთავრობამ, ნამდვილად ნიშნავს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებას და არსებული ხელშეკრულებების ცალმხრივი გაუქმების ცდას.

1924 წლის შეთანხმებანი აწესებენ რკინის გზის ირგვლივ წარმოშობილი ყველა სადაო საკითხის მოწესრიგების სავსებით განსაზღვრულ წესს. 1924 წლის 21 მაისის შეთანხმების მე-6 მუხლის და მუკდენის შეთანხმების პირველი და მეორე მუხლების მიხედვით, „ყველა საკითხი, რომლის შესახებაც გამგეობა ვერ შეთანხმდება, განსახილველად უნდა გადაეცეს ხელშეკრულების დამდებ მხარეების მთავრობებს სამართლიანად და მეგობრულად გადასაწყვეტისათვის“.

ამგვარად თვითეულ მხარეს აქვს სრული შესაძლებლობა მეორე მხარის წინაშე დასვას ყოველგვარი საკითხი და სავსებით კანონიერი ნორმალური წესით მიაღწიოს თავის მოთხოვნათა განხორციელებას. მაგრამ ჩინეთის წარმომადგენელმა ამ შემთხვევაშიაც, როგორც ზოგიერთ სხვა წინანდელ შემთხვევაში, როგორც, მაგალითად, სატელეფონო სადგურის ხელში ჩაგდება, არჩია ცალმხრივი და უკანონო მოქმედების გზა, რომელიც არამც თუ არღვევს, არამედ სავსებით სპობს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთს შორის მომქმედ ხელშეკრულებებს.

საბჭოთა კავშირის მთავრობა აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დუბანის აღნიშნული მოქმედება წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთს შორის არსებული ხელშეკრულებების უხეშად დარღვევას და გადაჭრით აცხადებს პროტესტს ამ მოქმედების წინააღმდეგ და მუკდენის მთავრობის და ჩინეთის რესპუბლიკის ეროვნულ მთავრობის ყურადღებას მიაქცევს მეტად სერიოზულ მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა ამ მოქმედებით.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი მშვიდობისმოყვარეობა და მეგობრული დამოკიდებულება ჩინეთისადმი იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდა და აწარმოებს ჩინელი ხალხი უთანასწორო ხელშეკრულებათა მოსასპობად და ჩინეთის სუვერენიტეტის აღსადგენად. საბჭოთა კავშირის მთავრობა იყო პირველი მთავრობა, რომელმაც დასდო ჩინეთთან ხელშეკრულება თანასწორობისა და ჩინეთის სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძვლებზე. საბჭოთა კავშირის მთავრობამ თითონ, თავისი ინიციატივით, ჯერ კიდევ 1919 წელს მიმართა ჩინელ ხალხს დეკლარაციით, რომელშიაც განაცხადა, რომ იგი მზად იყო მოესპო ჩინეთსა და მეფის რუსეთს შორის დადებული უთანასწორო ხელშეკრულებანი.

1924 წლის ხელშეკრულებაში საბჭოთა კავშირის მთავრობამ ამ თავის განცხადებებს რეალიზაცია უყო. საბჭოთა კავშირის მთავრობამ ნებაყოფლობით აიღო ხელი ჩინეთის სასარგებლოდ ტიანძინის და ხანკოუს კონცესიებზე. მან ნებაყოფლობით აიღო ხელი საკონსულო იურისდიქციაზე და თავის მოქალაქეთა ექსტერიტორიალობაზე ჩინეთში. მან, თავისივე ინიციატივით განაცხადა უარი ბოქსერთა კონტრიბუციაზე, და გადასცა იგი ჩინეთს, ჩინელი ხალხის განათლების საქმეზე გამოსაყენებლად. დასასრულ, მან აგრეთვე ნებაყოფლობით აიღო ხელი იმ პრივილეგიებზე, რომლებიც მინიჭებული ჰქონდა რუსეთს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. სახელდობრ იმ უფლებაზე, რომ ჩინეთში ჰყოლოდა თავისი ჯარი, პოლიცია და სასამართლო; ხელი აიღო სხვა სამხედრო-ადმინისტრატიულ ფუნქციებზედაც, რომელნიც იმ დრომდე შეადგენდნენ რუსეთის ხელისუფლების პრეროგატივას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, ამ გზისათვის გამოყოფილ მთელ ზოლში. ეს ხელის აღება ყველა იმ პრივილეგიაზე, რითაც დღემდე სარგებლობენ უცხოელი სახელმწიფოები, რომლებთანაც ჩინეთს ნორმალური ურთიერთობა აქვს, წარმოადგენდა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სოციალისტური ხასიათის გამოხატულებას. 1924 წლის ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს უდიდესი თანაგრძნობით შეხვდნენ ჩინეთის ყველა კუთხეში, ვინაიდან ეს ხელშეკრულება პირველად ახორციელებს მხარეთა თანასწორობისა და ჩინეთის სრული სუვერენიტეტის პრინციპს.

ზემოთ აღნიშნულიდან ცხადათ სჩანს, რომ, თუ ჩინეთის ხელისუფლებას რაიმე პრეტენზიები ჰქონდა გზაზე დაწესებული რეჟიმისა და საბჭოთა კავშირის ცალკე წარმომადგენელთა (გზაზე) მოქმედების გამო, ან თუნდაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე უფლებების დაწესების შესახებ—თვით ხელშეკრულების ვადის შემცირებამდე ან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ვადაზე ადრე გამოსყიდვამდე, ამ ხელისუფლებას ჰქონდა სრული, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, შესაძლებლობა კანონიერი წესით წარედგინა საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის ყოველი თავისი პრეტენზია.

საკავშირო მთავრობა აღნიშნავს, რომ იმ საკითხებში, რომელნიც ეხებოდნენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას, იგი ყოველთვის იჩენდა მზადყოფნას ყოველი სადაო საკითხი მეგობრულად მოეგვარებია. თავის იმ ნოტაში, რომელიც საბჭოთა კავშირის გენერალურმა საკონსულომ (მუკდენში) 2 თებერვალს გადასცა ჩინეთის აღმოსავლეთის სამი პროვინციის ცენტრალურ დიპლომატიურ სამმართველოს, საბჭოთა კავშირის მთავრობა აცხადებდა, რომ მას „უაღრესად სასურველად მიაჩნია, რომ ყველა სადაო საკითხი და კერძოდ ის საკითხები, რომელნიც გზის რეჟიმს ეხებიან და რომელნიც რამდენიმე წლის განმავლობაში გადაუჭრელნი რჩებოდნენ, გაუგებრობას იწვევდნენ და გზის ნორმალურ მუშაობას ართულებდნენ, განხილულ და გადაჭრილ იქმნან შესაძლებელი გაუგებრობისა და კონფლიქტების თავიდან ასაშორებლად“. ეს წინადადება, რომელიც მოწმობს იმას, თუ რამდენად არის მზად საბჭოთა კავშირის მთავრობა დააკმაყოფილოს ჩინეთის გონივრული სურვილები, საშუალებას აძლევდა ჩინეთის მთავრობას განსახილველად დაესვა ყოველივე მისთვის საინტერესო საკითხი. მაგრამ ჩინეთმა არ ისურვა ესარგებლნა იმ შესაძლებლობით, რომელსაც აძლევდა მას საბჭოთა მთავრობის ამა წლის 2 თებერვლის წინადადება: ეს წინადადება უპასუხოდ დარჩა. უპასუხოდ დარჩა აგრეთვე დეპეშა, რომელიც საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისრის ხელმოწერით 11 ივლისს გაეგზავნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარეს ლიუ-ჯუნ-ხუნს. დეპეშა შეიცავდა იმის განცხადებას, რომ საბჭოთა მთავრობა მზად იყო დაუყოვნებლივ განეხილა ყველა სადაო საკითხები, და ცნობას, რომ ამ საკითხებზე მოლაპარაკების წარმოებას გზათა სახალხო კომისარიატი ავალებდა თავისი კოლეგიის წევრს სერებრიაკოვს.

ყველა ეს ფაქტი საკმაო სიცხადით მოწმობს იმას, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დუბანის ხსენებულ განცხადებაში აღნიშნული ცნობა, ვითომ ჩინეთის მხრივ ადგილი ჰქონდა უნაყოფო ცდებს სადაო საკითხების მოგვარებისათვის, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

ყველა სადაო საკითხის მშვიდობიანად და მეგობრულად მოგვარების ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკას და ჩინეთის სუვერენულ უფლებებისადმი პატივისცემის პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა იმპერიალისტური პოლიტიკის საფუძვლების ძირფესვიანად უარყოფას, ეხლანდელი ჩინეთის ხელისუფლება, როგორც ეტყობა, სთვლის არა იმ პოლიტიკად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ბუნებიდან გამომდინარეობს, არამედ მისი სუსტის გამოხატულებად როგორც სჩანს, სწორედ ამიტომ, ჩინეთის ხელისუფლება ნებას აძლევს თავს მიმართოს მთელ რიგ უხეშ ძალადობას და პროვოკაციულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ბოროტად იყენებს რა მის მშვიდობიანობისმოყვარეობას ამიტომ საბჭოთა მთავრობა იძულებულია მოაგონოს ჩინეთის ხელისუფლებას, რომ მას მოეპოვება საკმაო საშუალებანი იმისათვის, რომ დაიცვას საბჭოთა კავშირის ხალხთა კანონიერი უფლებანი რაიმე ძალდატანებით შებღალვისაგან.

რჩება რა თავისი მშვიდობიანი პოლიტიკის ერთგული, საბჭოთა მთავრობა, ჩინეთის ხელისუფლების ძალდატანებითი და პროვოკაციული მოქმედების მიუხედავად, ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ იგი მზად არის დაიწყოს ჩინეთთან მოლაპარაკება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსის ირგვლივ. მაგრამ ასეთი მოლაპარაკება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ დაუყოვნებლივ იქნებიან განთავისუფლებული საბჭოთა კავშირის დაპატიმრებული მოქალაქენი და გაუქმებული იქნება ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებანი.

ამასთან შეფარდებით, საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა:

1) დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას კონფერენცია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის მოსაგვარებლად.

2) ჩინეთის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა გააუქმოს ყველა თვითნებური მოქმედება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მიმართ.

3) ყველა დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქე დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ უნდა იქნას და ჩინეთის ხელისუფლებამ უნდა შესწყვიტოს როგორც საბჭოთა მოქალაქეების, ისე საბჭოთა დაწესებულებების ყოველი დევნა და შევიწროვება.

საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს მუკდენის მთავრობას და ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალურ მთავრობას—აწონ-დასწონონ ის სერიოზული შედეგები, რაც მოჰყვება საბჭოთა კავშირის ამ წინადადების უარყოფას.

საკავშირო მთავრობა აცხადებს, რომ იგი სამი დღის განმავლობაში დაუცდის ჩინეთის მთავრობის პასუხს ზემოთ აღნიშნულ წინადადებაზე და იძლევა გაფრთხილებას, რომ იმ შემთხვევაში, თუ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, იგი იძულებული იქნება მიმართოს სხვა საშუალებებს საბჭოთა კავშირის კანონიერ უფლებათა დასაცავად.

მიიღეთ და სხვ.

კარახანი“.

ჩინეთის რწმუნებულის ნოტა

მოსკოვი, 16 ივლისი. 15 ივლისის ჩინეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულმა სია ბეი-სუნმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს კარახანს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„ბატონო სახალხო კომისარო! პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ 14 ივლისს, დილის 4 საათზე, მე გადმომეცა თქვენი 13 ივლისის გამოგზავნილი ნოტა. შეუდექი რა დაუყოვნებლივ პირადად ნოტის ჩინურ ენაზე გადათარგმნას, განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ შევსძელი დამემთავრებინა სრული თარგმანი მხოლოდ 14 ივლისის დღის დამლევისათვის და 15 ივლისის 1 საათსა და 30 წუთზე ჩამებარებინა მოსკოვის ტელეგრაფში ჩემი მთავრობის მისამართზე გასაგზავნად. არ მაქვს რა ჩინეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთის სამი პროვინციის ადგილობრივ მთავრობასთან უშუალო მიწერ-მოწერის ინსტრუქცია, მე დეპეშით ვსთხოვე სამინისტროს ნოტის მუკდენში გადაცემა“.

რუსული ტექსტის ასლი და გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის სერებრიაკოვის პასპორტი კი ჩინეთის საელჩოს მოსკოვში გადაეცა 12 ივლისს. მიუხედავად ამისა 15 ივლისის საღამომდე ჩინეთის საელჩომ, ნანკინის ინსტრუქციის მომიზეზებით, ჯერ კიდევ არ მისცა სერებრიაკოვს ჩინეთში შესვლის ვიზა (ადს).

თავდასხმის გამოძახილი უცხოეთში

ბენ-ტილეტი ჩინეთის საელჩოში

ლონდონი, 15 ივლისი. ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე ბენ-ტილეტი, ინგლის - რუსეთის საპარლამენტო კომიტეტის მდივან — კოტსისთან ერთად ესტუმრა ჩინეთის საქმეთა რწმუნებულს ინგლისში, შორეულ აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ბენ-ტილეტმა განაცხადა, რომ მან მიუთითა ჩინეთის საქმეთა რწმუნებულს ჩინეთის ხელისუფლების საქციელის დაუშვებლობაზე. ბენ-ტილეტმა გადასცა რწმუნებულს, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებით, რომელიც დადებულია 1924 წელს, უკვე გათვალისწინებულია ამა თუ იმ დავის მოგვარების საშუალებები, მაგრამ, როგორც სჩანს, ჩინეთის ხელისუფლება ამ საშუალებების გამოყენებას არ აპირებს. ბენ-ტილეტმა აღნიშნა ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლების აგრესიული ხასიათი და განმარტა, რომ თუ ომი აუცილებელი გახდა, მასში ჩაებმება რამოდენიმე დიდი სახელმწიფო. ბენ-ტილეტმა დაამატა, რომ შექმნილი მდგომარეობის პასუხისმგებლობა ეკისრება მთლიანად ჩინეთს და ორგანიზაციულად დარაზმულ ინგლისელ მუშებში ჩინელები თანაგრძნობას ვერ მოიპოვებენ, თუ მათი საქციელი გამოიწვევს მნიშვნელოვან გართულებებს.

დასასრულ ბენ-ტილეტმა გაიხსენა, რომ იგი იყო ჩინეთის მეგობარი და აქტიურად მუშაობდა ჩინეთის სასარგებლოდ. ეხლა კი მას სამწუხაროდ მიაჩნია, რომ ჩინეთი, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში მიმართავს იმავე იმპერიალისტურ მეთოდებს, რომლითაც ახლო წარსულში სარგებლობდნენ თვით ჩინეთის მიმართ.

ბენ-ტილეტის განცხადებებმა, როგორც სჩანს, მძიმე შთაბეჭდილება მოახდინეს ჩინეთის საქმეთა რწმუნებულზე, რომელიც შეჰპირდა ბენ-ტილეტს, რომ საუბრის შინაარსს დაუყოვნებლივ გადასცემს თავის მთავრობას. ამავე დროს რწმუნებულმა სთხოვა ბენ-ტილეტს, არ გადასდგას რაიმე ნაბიჯები მის მიერ პასუხის მიღებამდე. (ადს).

ანტი-იმპერიალისტური ლიგის მოწოდება

ბერლინი, 15 ივლისი. ანტი-იმპერიალისტური ლიგის გენერალურმა სამდივნომ, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი ამბების შესახებ, პრესას გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი მოწოდება:

„საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გამოწვევის მიზნით შეგნებულად დაწყებულ პროვოკაციაში ჩვენ ბრალსა ვსდებთ ნანკინის მთავრობას. ასეთ მნიშვნელოვან დროს, ჩვენ მოუწოდებთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის ყველა სექციებს და მათ მომხრე მუშათა და გლეხთა ყველა ორგანიზაციებს — შეამჭიდროონ თავიანთი რიგები იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული საერთაშორისო გამოსვლისათვის. ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან! ძირს პროვოკატორები, რომელთაც სურთ ომის გამოწვევა!

ამასთანავე ერთად, ლიგის გენერალურმა სამდივნომ მოწოდებით მიმართა ანტი-იმპერიალისტური ლიგის მომხრე ინგლისისა და ინდოეთის პროფკავშირებს და ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს“. (ადს).

იაპონიის პრესის კომენტარიები

ტოკიო, 15 ივლისი. ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ჩინეთის მთავრობისადმი მიმართული საბჭოთა ნოტის სრული ტექსტი. ჯერ-ჯერობით გაზეთები კმაყოფილდებიან მოკლე კომენტარიებით. „ხოცი“ სწერს, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას მტკიცე ნეიტრალიტეტი და ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი მიაღწევენ შეთანხმებას კონფლიქტის მშვიდობიანათ მოგვარების საქმეში. „სენდეი ასახი“ იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა მოლაპარაკების საწარმოებლად აგზავნის სერებრიაკოვს და ამასთანავე სწერს:

„საბჭოთა კავშირის გავლენა ჩრდილოეთ მანჯურიაში და იაპონიის გავლენა სამხრეთ მანჯურიაში წარმოადგენდნენ სასწორის ორ გათანაბრებულ მხარეს. ამჟამად სასწორის ცალი მხარე დამსხვრეულია და წონასწორობაც დარღვეულია. ამიტომ ჩინეთის ნაბიჯი წარიმართება იაპონიის გავლენის წინააღმდეგ“.

სიმბუნ - რენგოს სააგენტო აქვეყნებს ცნობას, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა ნოტა ჩინეთისადმი საშუალებაა მოლაპარაკებათა დასაწყებათ და იგი ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს მართლაც არ უნდა მიემართოს იარაღს. უკიდურეს შემთხვევაში საბჭოთა კავშირის განკარგულებაში, მანჯურიის საზღვართან არის, თუმცა უფრო მცირერიცხოვანი, მაგრამ გაცილებით უფრო თანამედროვე არმია. თუ რაიმე გაუთვალისწინებელ ამბებს არ დაიჭირა ადგილი, ჩინეთმა ეს საქმე მშვიდობიანათ უნდა მოაგვაროს“ (ადს).

ლონდონი, 15 ივლისი. „დეილი ჰერალდ“-ის დიპლომატიური მიმომხილველი ეხება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ ამბებს. მიმომხილველი სწერს: „თუმცა ანტისაბჭოთა გამოსვლები პოპულიარულ მოვლენად გადაიქცა ჩინეთის უცხოელთა წრეებში, მაგრამ მაინც უცხოეთის სახელმწიფოს მხრით ყაჩაღური თავდასხმა ისეთს პრეცედენტს წარმოადგენს, რომელსაც არ შეიძლება გულგრილად ვუყუროთ“.

შანხაი, 15 ივლისი. ამერიკული პრესა მეტად დიდ ინტერესს იჩენს ხარბინის ამბებისადმი. ამერიკის გაზეთებისა და სააგენტოების ადგილობრივ კორესპონდენტებს დაევალათ—ყოველმხრივ გააშუქონ ხარბინის ამბები.

პეიპინი, 15 ივლისი. ამერიკელთა ლიბერალური ორგანო „პეკინ ლიდერ“-ი სწერს, რომ „ჩინეთის რკინის გზის საკითხში შემდეგ ნაბიჯს მოსკოვი გადასდგამს“-ო.

იაპონიის მისიის ოფიციოზი პეიპინში „ნორთ ჩაინა სტანდარტ“-ი სწერს: „ჩრდილოეთ მანჯურიაში პანიკაა. საქმიანი ცხოვრება ჩაკვდა“. გაზეთი ემყარება ხარბინიდან გადმოცემულ ცნობას და აღნიშნავს, რომ ჩინეთის ხელისუფლებას განზრახვა აქვთ დახუროს შორეული აღმოსავლეთის ბანკიო.

მოწინავე წერილში გაზეთი სწერს: „მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, რა დიპლომატიური, იურიდიული ან მორალური უფლება ჰქონდა ჩინეთს — მიემართა ისეთი ძალმომრეობისათვის, როგორიც მან ჩაიდინა. თუ ჩინეთი საბჭოთა კავშირს კომუნისტურ პროპაგანდას აბრალებს, ამ შემთხვევაშიაც ჰქონდა თუ არა მას უფლება მიემართა დაპატიმრებისათვის და მოეხდინა ქონების კონფისკაცია იმ დრომდე, სანამ ეს საკითხი დაწვრილებით განხილული არ იქნებოდა ჩინეთისა და საბჭოთა დელეგატების მონაწილეობით“.

გაზეთი ფიქრობს, რომ ჩინეთი, ალბად, მოაწყობს „კარგად მოგვარებულ საშინელ საქმეს“. იმისთვის, რომ გაამართლოს თავისი მოქმედება. პეიპინის უცხოელთა წრეებში ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის რეორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ გზის ყოფილი მმართველი ოსტროუმოვი. ხოლო ხარბინის იმ ხელისუფლების ორგანოთა ზურგს უკან, რომელთაც ხელში ჩაიგდეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა, სდგას ჩან სიუე-ლიანის მრჩეველი დონალდი.

პარიჟი, 15 ივლისი. საფრანგეთის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტს. იგი დაწვრილებით ინფორმაციას აქვეყნებს ხარბინის ამბების შესახებ.

რადიკალ-სოციალისტების ორგანო „რესპუბლიკ“-ის აზრით, ეროვნული მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკამ თავი იჩინა იმ მომენტიდან, რაც დადებულ იქნა ხელშეკრულება ეროვნულ მთავრობასა და ინგლისის მთავრობას შორის, რომელნიც „იაპონიის კეთილად განწყობილი მეთვალყურეობით“ საბჭოთა კავშირზე ფართო შეტევას ახორციელებენ ჩინეთსა, ავღანისტანსა, სპარსეთსა და მთელს აზიაში (ადს).

ნანკინის მთავრობის ხელი

შანხაი, 15 ივლისი. „ნორთ ჩაინა დეილი ნიუს“-ი ბეჭდავს საბჭოთა ნოტას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდების შესახებ და სწერს:

„ეჭვს გარეშეა, რომ ნანკინის მთავრობამ არა იცოდა რა ხარბინის ამბების შესახებ და ეს ამბები მისი თანხმობის გარეშე მოხდა. მან ამჟამად უნდა გამონახოს ფორმულა იმ მდგომარეობის გამოსასწორებლად, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მეტად მნიშვნელოვანი და იქნებ, მეტად საშინელი შედეგებიც.

ჩინელები დიდი ხანია ოცნებობენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებაზე, რადგანაც ჩინელები დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონიის შიშით საბჭოთა კავშირი მანჯურიაში თავის ჯარს ვერ გაგზავნის“.

გომინის სააგენტო იუწყება, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშნულია 80 თეთრგვარდიელი. იმავე სააგენტოს ცნობით, ხარბინ-მანჯურიის ხაზზე დანაწილებულია სამი ბრიგადა; ხსენებული ხაზი ძლიან გამაგრებულია. (ადს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის საუბარი ჩინეთის თანამდებობის პირებთან

პეკინი, 15 ივლისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა ჩინეთის საქმეთა რწმუნებულს მოსკოვში ჩუ სიაო-იანს, საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის თანაშემწეს იუნგს და ჩინეთის სხვა თანამდებობის პირებს. საუბრის დროს მიღებული საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ჩინეთის მოღვაწეები ყოველგვარად სცდილობენ უმნიშვნელო რამეებად დასახონ ხარბინის ამბები. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი შეეკითხა იუნგს: ხომ არ შეიძლება ვან ჯენ-ტინის განცხადება იმის შესახებ, რომ ხარბინში საბჭოთა კავშირის საკონსულოში მომხდარი ჩხრეკის შედეგების მიხედვით, აუცილებლად საჭიროა იქ კომუნიზმის ამოფხვრა, ისე გავიგოთ, რომ ეროვნული მთავრობა იწონებს მუკდენის ხელისუფლების ორგანოების უკანასკნელ ნაბიჯებსო. ამაზე იუნგმა განაცხადა: ნაციონალურმა მთავრობამ საერთო ბრძანება გასცა კომუნიზმის ამოფხვრის შესახებ, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა მიმართეს ისეთ ზომებს, რომლებიც მათ ამ მიზნის განსახორციელებლად მიზანშეწონილად მიაჩნიათ (ადს).

თავდამსხმელთა ძალადობა

ჩიტა, 16 ივლისი. 13 ივლისს საგანგებო მატარებლით გაიარა ხარბინის საბჭოთა წარმომადგენლებმა და ორგანიზაციების პირველმა შემადგენლობამ. მატარებელში იყო 120 კაცი. მალე მოვიდა აგრეთვე 4 ვაგონი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშაკებით. ჩამოსულები ამბობენ, რომ გამოსვლის წინ პოლიცია მათ სდევნიდა და აპატიმრებდა. ოჯახის წევრებს არ უშვებდნენ სანახავად. პატიმრობაში მოგვივიდა რამდენიმე საათის გატარება. ჩამოსულთა უმრავლესობამ ოჯახები ბედის ანაბარა მიატოვა. არავითარ ბრალდებას არ გვიყენებდნენ. ჩინეთის პოლიციის და რუს თეთრგვარდიელების თავგასულობა ყოველგვარ საზღვარს იყო გადაცილებული. მოსამსახურეებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც ბოროტმოქმედს. (ადს)

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

სულთმობრძავი ტროცკიზმი

„ასეთი ტიპები დამახასიათებელნი არიან, როგორც ნამსხვრევები გუშინდელი ისტორიული დაჯგუფებებისა და ფორმაციებისა, როდესაც მუშათა მასიური მოძრაობა რუსეთში ჯერ კიდევ გამოღვიძებული არ იყო და ყოველ პატარა ჯგუფს „ეადვილებოდა“ გაესაღებია თავი მიმდინარეობად, ჯგუფად, ფრაქციად, ერთი სიტყვით, „სახელმწიფოდ“, რომელიც მსჯელობდა სხვებთან გაერთიანებაზე.

ლენინი, ტომი 12, ნაწილი 2, გვ. 445—463. („მთლიანობის დარღვევა, რომელსაც ფარავენ ყვირილით მთლიანობის შესახებ“.

როდესაც თვალყურს ადევნებ იმ თავგასხმურ ფაცი-ფუცს, რომელიც ასტეხა ტროცკიმ 1929 წელს ისეთი ხალხის ირგვლივ, როგორიც არის სუვარინი, უნებურად გაგონდება ეპიგრაფში მოყვანილი ლენინის სიტყვები ტროცკის შესახებ. ეს სიტყვები დაწერილია მაშინ, როდესაც ტროცკი ჰქმნიდა ყოვლად უპრინციპო ბლოკს ლიკვიდატორებისა და ბუნდელებისაგან, დიდი ამბით ფუსფუსებდა ამ ბლოკის ირგვლივ და „განცვიფრებდა“ ჩვენ, ბოლშევიკებს, რევოლუციონური ფრაზით. ყველამ იცის, რომ სუვარინი მემარჯვენეზე მემარჯვენეა. თუმცა მის პატარა ჟურნალს „პროლეტარული რევოლუცია“ ეწოდება, მაგრამ ბორის სუვარინი ისევე ახლო სდგას პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც კენტერბერიის არქიეპისკოპოსი. „ფანე დეს კომუნიზმუს“-ში ტროცკი სუვარინს უძღვნის სპეციალურ წერილს, რომელშიაც სხვების თვალის ასახვევად „ებრძვის“ ბრანდლერის მომხრეთა შეხედულებებს. მაგრამ ეს მას უმთავრესად იმისათვის ესაჭიროება, რომ დაიცვას თავისი საკუთარი მენშევიკური კონტრ - რევოლუციონური ლოზუნგები, რომელნიც ამჟამად ტროცკისტებს აშორებენ უკანასკნელსაც იმას, რაც კი მათ შორის ბოლშევიკური იყო.

თავის წერილს ტროცკი ამთავრებს იმით, რომ საერთო მუშაობისაკენ მოუწოდებს სუვარინს: „მე ძალიან მოხარული ვიქნებოდი, რომ თქვენ შესძლებდეთ შეეერთდეთ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს, ეს მოგვცემდა ჩვენ ერთად მუშაობის საშუალებას: ჩემთვის სავსებით ცხადია, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ასეთი თანამშრომლობა ჩვენი საქმისათვის“.

ტროცკის წერილის (1929 წლის 28 ივნისის თარიღით) საბოლოო სტრიქონებში სჩანს მთელი ტროცკი: ერთის მხრივ, გაბერილი, ფსევდომარქსული ფრაზები მემარჯვენეების წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ, წინადადება მემარჯვენეებთან ბლოკის შექმნის შესახებ და მათთან თანამშრომლობის შესახებ. როდესაც ტროცკის ერთ-ერთმა მეგობარმა პარიზიდან აუხსნა მას — საბჭოთა კავშირის მემარჯვენეებს რომ დიდი ხანი დასჭირდეთ, საეჭვოა, სუვარინზე უკეთესი ვინმე იშოვონო, ტროცკიმ განუმარტა ამ თავის თანამშრომელს, რომ არ უნდა უკუვაგდოთ არც ერთი კაცი, რომლის გამოყენებაც კი შეიძლება.

ამ ორმაგი ბუხჰალტერიის საიდუმლოება იმაშია, რომ ტროცკი იყო და დარჩება კომბინატორად: თუმცა იგი ამბობს სიტყვა „მასას“-ს, მაგრამ მასებთან იგი მხოლოდ მაშინ იყო დაკავშირებული, როდესაც მას ამ მასებთან ბოლშევიკური პარტია აკავშირებდა. ამ პარტიის გარეშე იგი მასების გარეშეა. ჩვენ მეხსიერებაში ცოცხალია მისი უძლურება — დაეჯერებია თუნდაც „ავიოპრიბორ“-ის ქარხნის უჯრედი, რაღა უნდა ვილაპარაკოთ მასებზე! აი რატომ ებღაუჭება ამჟამად ტროცკი სუვარინს და სხვა ლიკვიდატორებს.

რა თქმა უნდა, ტროცკი ისე იკატუნებს თავს, თითქოს მისი ტროცკისტული პარტიის დაშლა მცირედ აწუხებს და აღელვებს. მაგრამ ამას ვერ ახერხებს. იგი სწერს წერილს წერილზე, მაგრამ ამ წერილებში, რომლებშიაც ტროცკი სცდილობს მოთმინებისაკენ მოუწოდოს სხვებს, სჩანს უდიდესი დაბნეულობა და მოისმის სასოწარკვეთილების თითქმის ისტერიული გმინვა. იგი იმეორებს ბურჟუაზიული გაზეთების ცნობებს, თუმცა იცის, თუ რამდენ სიცრუეს სწერდნენ ეს გაზეთები თავის დროზე თითონ მის შესახებ. იგი ცოფმორეულ დორბლებს ჰყრის პიატაკოვის, რადეკის, სმილგას, პრეობრაჟენსკის და სხვა გუშინდელი თავისი მეგობრების წინააღმდეგ.

მაგრამ რა პერსპექტივა ესახება ტროცკის? სიმართლე რომ ვთქვათ,—არავითარი. მაგრამ მოსაჩვენებლად იგი იმავე ჩანგს იმეორებს: შორს დამიზნების ტაქტიკით ხსნის ყველაფერს, მოთმინება, მოთმინება და მოთმინება. თითონ იგი ისევ იძლევა ინტერვიუებს, რომლებშიაც გამოთქმულია, მაგალითად, ასეთი წინასწარმეტყველება: „მე „არა მგონი, რომ საბჭოთა რუსეთს შეეძლოს იარსებოს კაპიტალისტური ევროპის გარემოცვაში“. და იქვე გამოთქვამს იმ აზრს, რომ მსოფლიო რევოლუციამ „შეიძლება ასი და მეტი წლით დაიგვიანოს“. სწორედ ისე, როგორც მენშევიკები, რომელნიც სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა აგრეთვე „ასი და მეტი წლით“ გადადეს. მანამდე? მოთმინება, მოთმინება და მოთმინება. ჯერ კი შეიძლება გამოიცეს ავტობიოგრაფია, ამ ავტობიოგრაფიას ამავე დროს მრავალი ბურჟუაზიული გაზეთიც ბეჭდავს გამაბრუებელი რეკლამებით, რომელშიაც მკითხველს ეს გაზეთები მოუწოდებენ გაეცნოს იმას, თუ როგორ ხატავს ტროცკი „გაველურებულ“ რუსეთს. „მოთმინება, მოთმინება და მოთმინება—ეს არის ეხლანდელი პერიოდის ლოზუნგი“. რა თქმა უნდა, რაკი მსოფლიო „რევოლუციის საქმე ასეთი ხანგრძლივი ვადით გადაიდო, საჭიროა მოთმინებით აღჭურვა. ამ ხნის განმავლობაში კი მოხერხდება ბლოკის შექმნა კომინტერნის ყველა რენეგატებისაგან, ყოველგვარი უკლონისტებისაგან, ყველასაგან, ვინც ვიწროდ გრძნობს თავს კომინტერნის ფარგლებში. ტროცკი მიესალმება იმის ცდას, რომ ამერიკაში შეიქმნას მთელი ოპოზიციონური ჯგუფების გაერთიანება, მით უფრო, რომ ეს ჯგუფები ისე მორჩილნი არიან, რომ მაგალითად, „საფრანგეთის კომუნისტური ოპოზიცია“ ხელს აწერს რეზოლუციას, რომელიც იწონებს ტროცკის მონაწილეობას ბურჟუაზიულ პრესაში, ეს რეზოლუცია კი მთლიანად დაწერილია თითონ ტროცკის მიერ. გზაზნეული პაზი და ტრენი ამაყი ადამიანები არ არიან. მათ შეუძლიათ ხელი მოაწერონ, რასაც გნებავთ, ოღონდ ეს მიმართული იყოს კომინტერნის წინააღმდეგ და ისინი ხელს აწერენ იმ დოკუმენტზე, რომელშიაც ტროცკი „საფრანგეთის კომუნისტური ოპოზიციის“ სახელით თითონ ახდენს თავის რეაბილიტაციას. განა საჭიროა მეტი პოლიტიკური გახრწნის მაგალითის ძებნა!

ამ უკანასკნელი თვეებისა და კვირების განმავლობაში მრავალი ასი ოპოზიციონერი კავშირს სწყვეტს ტროცკისტებთან და ტროცკიზმთან. ისინი აშკარად აღიარებენ თავიანთ შეცდომებს, აშკარად აცხადებენ, რომ სავსებით ეთანხმებიან პარტიის ხაზს, უარს ამბობენ ტროცკისტული პლატფორმის დაცვაზე, აცხადებენ, რომ მზად არიან ებრძოლონ ტროცკიზმს. ისინი, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ უბრუნდებიან პარტიას: ზოგს ბოლომდე მიჰყავს თავისი დასკვნები, სხვები ნაკლებად გაბედულნი არიან. მაგრამ ეს პროცესი—ოპოზიციის დაშლის პროცესი, რომელიც გუშინ არ დაწყებულა, შეუჩერებლად ხდება. ყველაფერი, რაც მოპოვებოდა და მოეპოვება ტროცკისტულ ორგანიზაციას ბოლშევიკური, უბრუნდება და დაუბრუნდება პარტიას. ტროცკი ამ დაბრუნებას ხსნის იმით დაღლით და მოქანცვით, ვინც უარს ამბობს შემდგომ თანამშრომლობაზე მასთან. „ბოლოს და ბოლოს ისინი მოიქანცნენ და მათმა ნერვებმა ვეღარ გაუძლეს ბრძოლას“. ხოლო მეორეს მხრივ, ოპოზიციის დაშლას ტროცკი ხსნის იმით, რომ ოპოზიციონერებს შორისაც ცოტანი არ არიან ტერმიდორიანული ელემენტებიო. ჰერი-ჰა! ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინად ამტკიცებდნენ, რომ ტერმიდორიანელები პარტიაში დარჩნენ, ხოლო ოპოზიციაში მარტო ასპროცენტიანი „ბოლშევიკ - ლენინელები“ წავიდნენო. დღეს კი თურმე „არ უნდა ვიფიქროთ, რომ ოპოზიცია დაცულია ტერმიდორიანულ გავლენისაგან“. გმადლობთ გამოტეხისათვის: ჩვენ ამაში ეჭვი არასოდეს არ შეგვეპარებოდა. მეტიც: ჩვენ ვიყავით და დავრჩებით დარწმუნებულნი, რომ გადაგვარდა არა პარტია (რომელშიაც მოიპოვებიან უვარგისი, გახრწნისა და გადაგვარების გზაზე დამდგარი წევრები, რომლებისგანაც პარტია ენერგიულად სწმენდს თავის რიგებს), არამედ გადაგვარების გზას ისინი დაადგნენ და გადაგვარდნენ, ვინც ბურჟუაზიულ პრესაში თანამშრომლობს და ამ პრესაში ილაშქრებს საკავშირო კომპარტიის (ბ), კომინტერნის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ეხლანდელ პერიოდს ტროცკი აფასებს, როგორც „განგრძობილი რეაქციის პერიოდს და მთელი რიგი რევოლუციონურ წლების შემდეგ“ თურმე ნუ იტყვით, ეხლა „ჩვენ, რევოლუციონური მარქსისტები, მოვექცეით დევნილი უმცირესობის მდგომარეობაში, თითქმის იმავე მდგომარეობაში, რომელშიაც ვიყავით იმპერიალისტური ომის დასაწყისში“. მაგრამ ჩვენ მეხსიერებამ არ გვიღალატა, იმპერიალისტური ომის წინ ტროცკი ლიკვიდატორებთან ჰქმნიდა აგვისტოს ბლოკს და მენშევიკებთან ერთად შეთქმულებას აწყობდა ლენინის წინააღმდეგ, ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს ხომ ყველამ იცის. ყველამ იცის, რომ სწორედ ამ პერიოდში ტროცკი „სექტანტს“ უწოდებდა ლენინს. 1913 წელს 1 აპრილს ტროცკი სწერდა სახელმწიფო სათათბიროს წევრს, მენშევიკ ჩხეიძეს: „რაღაც უაზრო ჯადოქრობას ჰგავს ეს ბინძური კინკლაობა, რომელსაც სისტემატიურად აღვივებს ასეთი საქმეების ოსტატი ლენინი, ეს პროფესიონალური ექსპლოატატორი ყოველგვარი ჩამორჩენილობისა რუსეთის მუშათა მოძრაობაში“. ერთი სიტყვით, ლენინიზმის მთელი შენობა ამჟამად აგებულია სიცრუესა და სიყალბეზე და ისთონვე შეიცავს საკუთარი გახრწნის შხამიან ჩანასახს“. ასე სწერდა ტროცკი 1913 წელს, იმპერიალისტური ომის წინ. თავის მეგობარს ჩხეიძეს, იგი აღტაცებას გამოხატავდა მენშევიკების გამოსვლების გამო სახელმწიფო სათათბიროში და მენშევიკურ ლიკვიდატორულ გაზეთ „ლუჩ“-ში. ეხლა კი იგი წინასწარმეტყველებს, რომ რადგანაც მას სექტანტს უწოდებს, და განმარტავს, რომ „სექტანტობის არ უნდა ვეშინოდეს. ჩვენ უკვე ორჯერ გვაკავეთ ეს — ასე იყო 1907—1912 წლების რეაქციის დროს რუსეთში, ასე იყო იმპერიალისტური ომის დროსაც მთელ ევროპაში“. მაგრამ ნება გვიბოძეთ მოგაგონოთ, თუ რა „გააკეთეთ“ თქვენ სინამდვილეში. სწორედ ტროცკის როლის შესახებ 1907—1912 წლების რეაქციის პერიოდში ლენინი სწერდა: „რეაქციის პერიოდში ხანგრძლივი „უფრაქციო“ მერყეობის შემდეგ იგი ისევ მიდის მარჯვნივ და 1912 წლის აგვისტოში ჰკრავს ბლოკს ლიკვიდატორებთან; ეხლა იგი ისევ შორდება მათ, ხოლო არსებითად მათ იდეებსვე იმეორებს“.

აი თურმე რა „გავაკეთეთ“ „ჩვენ“ 1907—1912 წლების რეაქციის დროს რუსეთში. ტროცკის ჰგონია, რომ არავინ არ კითხულობს ლენინს და არ იცნობს პარტიის ისტორიას, თუ მან გადასწყვიტა ბოლშევიკურ პოზიციებად გაასაღოს თავისი მენშევიკური პოზიციები 1907—1912 წლებში და იმპერიალისტური ომის პერიოდის ცენტრალური პოზიციები. სექტანტობისათვის კი არ ლანძღავდა მაშინ ლენინი ტროცკის, არამედ იმისათვის, რომ იგი ატყუებდა მუშებს რევოლუციონური ფრაზით, რომლის უკანაც იფარებოდა მემარჯვენეთა და ლიკვიდატორთა დაცვა. დღესაც ტროცკი იმავე გზას ადგია, რანაირადაც არ უნდა ემიჯნებოდეს იგი ბრანდლერიზმს, რანაირადაც არ უნდა ეფიცებოდეს ერთგულებას პროლეტარულ რევოლუციას.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტროცკი უფრო მემარჯვენეა ბრანდლერზე, რომელსაც სიტყვიერად ებრძვის: მაშინაც, 1907—1912 წლებში, რეაქციის პერიოდში, ტროცკის ისეთივე პოზიცია ეჭირა, როგორიც უჭირავს მას ეხლა, უეჭველი რევოლუციონური აღმავლობის პერიოდში. ამ რევოლუციონურ აღმავლობას გულგატეხილობის განწყობილებებში ჩაფლული ტროცკი სთვლის უფრო ღრმა რეაქციის პერიოდად, ვიდრე 1914—1918 წლების იმპერიალისტური ომის წინა ხანას. თუ სად შეიძლება წაიყვანოს იგი ასეთმა შეფასებამ, ყველასათვის ცხადია. მხოლოდ რევოლუციონური ბრძოლის გზით კი არა.

მხოლოდ გაიდიდების ავადმყოფური მანიით შეიძლება აიხსნას ტროცკის განცხადება, რომ „პროლეტარული რევოლუციის ახალი თავი განვითარება დაიწყება ჩვენი „სექტანტური ჯგუფიდან““. ახალი განვითარება გადააბიჯებს ტროცკიზმს, იგი წავა წინ, უკუაგდებს ტროცკისტებს და გადალახავს ტროცკიზმს, როგორც დაბრკოლებას.

ყოფილი ოპოზიციონერები—სერებრიაკოვი, დრობნისი, პრეობრაჟენსკი, რადეკი, სმილგა, ვრაჩევი, დრეიცერი და ბევრნი სხვანი აღიარებენ თავიანთ შეცდომებს და პარტიის სიმართლეს და ბრუნდებიან პარტიაში. მხოლოდ ბრმა და ყრუ ვერას ხედავს, თუ რა წარმატებას აღწევს პარტია სოციალისტური გარდაქმნის გზაზე სწორედ იმიტომ, რომ მისი გზა იყო და რჩება ლენინური. არც კი დასიზმრებია ვისმე, რომ ჩვენ 1929 წელს შევძლებდით ასე შორს წასვლას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. ხუთწლიანი გეგმა, რომელიც თითქმის შეუსრულებლად ეჩვენებოდა ბევრ სკეპტიკოსს, უკვე ეხლა შლის ჩვენს წინაშე ახალ შესაძლებლობას და ბევრად უფრო ბუმბერაზულ პერსპექტივებს. მისი რეალიზაციის საფუძველზე ხდება მრავალი ღრმესი სოციალური გარდატეხა, მაგრდებიან პროლეტარიატის ბუმბერაზული ძალები, ათკეცდებიან სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შესაძლებლობანი. მთელი პარტია, მთელი მუშათა კლასი და მოწინავე გლეხობის მასები სცხოვრობენ გამძაფრებული ცხოვრებით, მოცულნი არიან სოციალისტური შეჯიბრების შემოქმედებითი გატაცებით. განა შეიძლება, რომ ამან გავლენა არ იქონიოს იმათზე, ვისაც სურს პატიოსნად გაერკვეს პარტიის პოლიტიკაში? განა ეს წარმატებანი პოლიტიკის სისწორეს არ მოწმობენ? წაიკითხეთ იმ მუშების განცხადებანი, რომელნიც ოპოზიციას შორდებიან: განა ცხადი არ არის, რომ დაღლა და დაქანცვა კი არ ალაპარაკებს მათ, არამედ, პირიქით, იმის სურვილი, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბრძოლაში, მშენებლობაში, არა ის სურვილი, რომ შეაფერხონ მუშაობა, იწუწუნონ, გახრწნან პარტია და ცილი დასწამონ მას, როგორც ამას სჩადის ოპოზიცია. და პირდაპირ სასაცილოა იმ ახირებული, სულელური განცხადებების წაკითხვა, რომელნიც ზოგჯერ შემოდის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, რომ ესა და ეს, ან ესა და ესენი „ფიცულობენ შეურყეველ ერთგულებას პლატფორმისადმი“. შეგიძლიათ მთელი თქვენი სიცოცხლე იფიცოთ—ცხოვრება თქვენ გვერდს გივლით. იგი ამართლებს ბოლშევიკების პარტიას, ჩვენს პარტიას, იგი ამართლებს სოციალისტური მშენებლობის ჩვენს გეგმას და პარტიაში დასაბრუნებლად ოპოზიციონერებს არა აქვთ და არ ექნებათ არავითარი სხვა გზა, გარდა იმ გზებისა, რომლებზედაც მიუთითა მათ პარტიამ თავისი მე-15 ყრილობის სახით.

ჩვენ იძულებულნი ვართ, ერთხელ კიდევ მოვაგონოთ მათ ეს, იმიტომ რომ ყოველთვის, როდესაც ოპოზიციას შორდება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაწილი, ისინი ვინც „პლატფორმის ურყევად ერთგულნი რჩებიან“, მთელი ძალღონით სცდილობენ შეაკავონ სხვები ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან. ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ მათ მუშათა კლასი დაუძახებს, რომ მათ 30.000 შიკრიკს გაუგზავნიან. ცხოვრება გვერდს უვლის ამ ხალხს. და ისინი ვერ შესძლებენ პარტიაში დაბრუნებისაგან შეაკავონ ყველა ის, ვინც შეცდომით გაჰყვა ტროცკისტებს იმის გამო, რომ სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებს შეუშინდა. პარტიის გარეშე დარჩებიან ყველა ჯურის უკლონისტები, რომლების გზაც მუშათა კლასის გზას არ ეთანხმება. ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ, რომ პარტია მოვალეა დააბრუნოს ყველა, ვინც გაჰყვა ტროცკისტებს და საპრონოვის ჯგუფს. თუ პარტია იშორებს არაბოლშევიკურ ნაწილს წმენდის დროს, იგი ვალდებულია დააკვირდეს იმათ, ვინც რამდენიმე წლის განმავლობაში იბრძოდა პარტიის ხაზის წინააღმდეგ ოპოზიციის რიგებში. და რაც უფრო გააჭიანურებენ ისინი ამ ბრძოლას, მით უფრო შორს იქნებიან პარტიისაგან, მით უფრო ძნელი იქნება მათთვის დაბრუნება.

ხოლო იმათ, ვინც სავსებით სწყვეტს კავშირს ოპოზიციასთან, ვინც სავსებით უერთდება პარტიას და ემორჩილება მის განკარგულებებს, ვინც სავსებით გამოასწორა თავისი შეცდომები, მათ პარტია მოეპყრობა უდიდესი ყურადღებით და გააკეთებს ყველაფერს, რასაც უკარნახებენ მას პარტიული გადაწყვეტილებანი.

ნამსხვრევები იქნებიან. მათი არსებობა აუცილებელია. თუ თავის დროზე ლენინი ახასიათებდა ტროცკის, როგორც „გუშინდელ ისტორიულ დაჯგუფებათა ნამსხვრევებს“, ჩვენი ბრალი არ არის, რომ ტროცკი დაუბრუნდა თავის ამ „პირველყოფილ მდგომარეობას“.

ყველას თავისი უნდა მიეზღოს.

ე. იაროსლავსკი.

„პრავდა“, გადმოცემულია ტელეგრაფით.

სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და სოფლად მუშაობის საკითხები

ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობაზე

ამხ. ლ. ღოღობერიძე

ამხანაგებო, ყრილობამ მოისმინა ხუთი ძირითადი მოხსენება. ამასთან ამხ. კახიანი და მახარაძე თავიანთ მოხსენებებში უკვე შეეხნენ სოფლის მეურნეობის საკითხებს. სოფლის მეურნეობის საკითხი კი სრული თავისი მოცულობით, ასე ვსთქვათ, გენერალური თვალსაზრისით, პარტიის ყრილობაზე პირველად ისმის. ამიტომ მე იძულებული ვიქნები ჩემს მოხსენებაში მოვიყვანო სხვადასხვა უაღრესად აუცილებელი ციფრები, რათა ყრილობის მონაწილეებს თვალნათლივ წარმოუდგეთ სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის სურათი. მაგრამ, ამხანაგებო, ძალიან ვეცდები შევამოკლო ეს ციფრები, რათა ყრილობის ისედაც დაღლილ მონაწილეებს არ გაურთულო მოხსენება.

ამხანაგებო, საქართველო წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას. სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის 70 პროცენტი სოფლის მეურნეობაზე მოდის. ხუთი წლის დამლევისათვის ჩვენ მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც მრეწველობაზე მოვა საერთო პროდუქციის 46,9 პროცენტი, ხოლო სოფლის მეურნეობაზე—53,1 პროცენტი, ე. ი. თუმცა ჩვენი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია უდიდესი კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში, მაგრამ ხუთი წლის დამლევისათვის ჩვენ ვერ მოვასწრებთ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციას იმდენად, რომ მრეწველობას ხელმძღვანელი როლი ჰქონდეს მთელს სახალხო მეურნეობაში.

ამგვარად, ხუთი წლის დამლევისათვის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია მაინც რამდენადმე მაღლა იდგომება მრეწველობის საერთო პროდუქციასთან შედარებით. მაშასადამე, ხუთი წლის დამლევისათვის ჩვენი ქვეყანა შეინარჩუნებს აგრარულ-სამრეწველო ხასიათს სოფლის მეურნეობის მეტი ხვედრითი წონით, რადგან სახალხო მეურნეობის ხასიათს განსაზღვრავს არა მარტო საერთო პროდუქცია, არამედ სხვა ფაქტორებიც.

გარდა ამისა, რომ ხუთი წლის დამლევისათვის ჩვენი ქვეყნის საერთო პროდუქციაში სოფლის მეურნეობა რამდენადმე უფრო დიდ ადგილს დაიჭერს. ვიდრე მრეწველობა არსებობენ კიდევ სხვადასხვა მაჩვენებლები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი მასის არსებობის ძირითად წყაროთ დარჩება სწორედ სოფლის მეურნეობა.

მხოლოდ მეორე ხუთი წლის განმავლობაში დაიწყებს ჩვენი ქვეყანა სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად გარდაქმნას.

სოფლის მეურნეობის ასეთი მდგომარეობა, მისი ესოდენ დიდი ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობაში გვავალებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სოფლის მეურნეობის საკითხებს; მით უმეტეს, რომ სოფლის მეურნეობა ამავე დროს წარმოადგენს ჩვენი და სრულიად საკავშირო მრეწველობის სანედლეულო ბაზისს. მაშინ, როცა სრულიად საკავშირო და საქართველოს მრეწველობა საკმაო ტემპით ვითარდება, სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ ვხედავთ ამ ტემპის შენელებას. მრეწველობის განვითარების ტემპისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის ასეთი გათიშვა ატანა დიდხანს არ შეიძლება. ამ გათიშვას შეიძლება მოჰყვეს ის, რომ სოფლის მეურნეობა საჭირო ნედლეულს, რომელზედაც მოთხოვნილება წლითი-წლობით გაიზრდება, ველარ მისწვდის ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებს, ამან კი შესაძლებელია გამოიწვიოს ეკონომიური ხასიათის სხვადასხვა სიძნელე, რასაც შეუძლია შექმნას სერიოზული კრიზისი. ეს გარემოება უფრო მეტად გვავალებს სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სოფლის მეურნეობას, ავამოძრაოთ იგი და მივაღწიოთ იმას, რომ მისი განვითარების ტემპი სავსებით შეეფერებოდეს მრეწველობის განვითარების ტემპს.

სოფლის მეურნეობის მდგომარეობა

ჩვენ, ამხანაგებო, ცარიზმისაგან და მენშევიკების რეჟიმისაგან მემკვიდრეობად მივიღეთ საქართველო უკიდურესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობით.

სამწუხაროდ, მე დღეს საშუალება არა მაქვს ჩემს მოხსენებაში შევჩერდე ცარიზმის პოლიტიკაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში, თუმცა ის ცნობები, რომლებიც ჩვენს ხელთაა, მეტის-მეტად საინტერესოა და ღირს იმად, რომ მათზე შევჩერდეთ. მხოლოდ მოკლედ ვიტყვი, რომ საქართველოში მეფის მთავრობის პოლიტიკა ისეთი იყო, რომ გლეხები ვერ დაინტერესდებოდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებით. წარსული საუკუნის 80-იან წლებიდან 1917 წლამდე ჩვენ ვხედავთ სოფლის მეურნეობის თანდათანობით დაცემას, ხოლო ზოგიერთ მის დარგში კატასტროფიულ დაცემასაც კი. ეს დაცემა მთლიანად და სავსებით აიხსნება იმ ეკონომიური პოლიტიკით, რომელსაც მეფის მთავრობა ადგა საქართველოს გლეხობის მიმართ. მეფის მთავრობა ყოველნაირად ზურგს უმაგრებდა ქართველ თავად-აზნაურობას, რომელიც მას სრულიად სამართლიანად მიაჩნდა ყველაზე საიმედო უფასო პოლიციად.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ 1921 წლამდე სურათი უფრო უარესდება. მენშევიკების მთავრობამ აბსოლუტურად არავითარი ყურადღება არ გამოიჩინა სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი. სწორედ მენშევიკების დროს სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო განადგურდა, თითქმის დაღუპვის კარამდე მივიდა. უეჭველია, ყრილობის მონაწილეებს ეცოდინებათ, რომ კახეთში გლეხები სჩეხავდნენ ვენახებს და სხვა ძვირფას ტეხნიკურ და სპეციალურ მცენარეებს და გადადიოდნენ პურისა და სხვა მარცვლეული კულტურების თესვაზე. ეს ადვილად გასაგებია, ვინაიდან მენშევიკები ხელოვნურად მოსწყდნენ რუსეთის ბაზარს და ვერ იღებდნენ საკმაო პურს, რომელიც მანამდე რუსეთიდან მოდიოდა. ამიტომ გლეხებმა გაათანაბრეს ვაზისა და მარცვლეულ კულტურათა რენტაბელობა და სრულიად სწორ დასკვნას დაადგნენ, სახელდობრ: მათთვის იმ დროს ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო მარცვლეულობა მოეყვანათ და პურის მოკლებულ ქვეყანაში სასპეკულაციო ფასად გაეყიდათ, ვიდრე დაეყენებიათ ღვინო, რომელსაც ისედაც არ გააჩნდა გამსაღებელი ბაზარი.

ჩვენ არ ვიცით, ამხანაგებო, თუ რა მოჰყვებოდა ბოლოს და ბოლოს მენშევიკების პოლიტიკას. მაგრამ შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით—ასეთი მდგომარეობა საქართველოში რომ კიდევ რამდენსამე წელიწადს გაგრძელებულიყო, აუცილებლად გამოიწვევდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საბოლოო კრახს, საბოლოო დაღუპვას.

სოფლის მეურნეობის განვითარება არსებითად იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, 1921 წლის თებერვლიდან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ მოვსპეთ ჩვენს სოფელში თავად-აზნაურულ-მემამულეობრივი, ფეოდალური და ნახევრად-ფეოდალური წყობილების ნაშთები. მიწა მთლიანად და სავსებით გადავეცით მშრომელ გლეხობას და განსაზღვრული ჩარჩოებით შევზღუდეთ კულაკის განვითარება და ექსპლოატატორული შესაძლებლობანი. საქართველოს ზოგიერთ რაიონში არა თუ მიწები ჩამოვართვით მემამულეებს, თავადებს და აზნაურებს, არამედ თავადები და აზნაურები, რომლებიც მავნე პროვოკაციას ეწეოდნენ გლეხთა შორის, ავყარეთ და გავაძევეთ თავიანთ ბუდეებიდან. გარდა ამისა, ჩვენ შევუდექით გლეხობისათვის რეალური სახელმწიფო დახმარების აღმოჩენას კრედიტებით, მანქანა-იარაღებით და სხვათი სოფლის მეურნეობის გაძლიერების მიზნით. სწორედ ამ ღონისძიებათა წყალობით, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში იწყება სოფლის მეურნეობის ნამდვილი გაძლიერება, ნამდვილი საღი განვითარება.

აგრარული რევოლუცია

ამხანაგებო, სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, მე ნებას მივცემ ჩემ თავს ცოტა ხანს შევჩერდე იმაზე, თუ რა მიიღეს გლეხებმა საქართველოს აგრარული რევოლუციის შემდეგ. 1917 წლამდე საქართველოში მთელი გამოსადეგი მიწა ასე იყო განაწილებული: ხაზინას ეკუთვნოდა 3.241 ათასი ჰექტარი, თავად-აზნაურობას—1.779 ათასი ჰექტარი, გლეხებს—805 ათასი ჰექტარი, ვაჭრებს და სასულიერო წოდების პირებს 158 ათასი ჰექტარი და სხვ.

1918 წლიდან 1921 წლამდე, ე. ი. მენშევიკების კუდმოკვეცილი აგრარული რეფორმის გატარების დროს, რითაც ისინი დღემდე ამაყობენ, სახაზინო მიწა უდრიდა 4.196 ათას ჰექტარს. თითქმის ერთი მილიონით მეტს. თავად-აზნაურთა მიწები შეადგენდნენ 282 ათას ჰექტარს. ვაჭრებისა და სამღვდელოების ხელში დარჩა 17.000 ჰექტარი, ხოლო გლეხებს ჰქონდათ 1.129 ათასი ჰექტარი მიწა.

თავად-აზნაურობისა და მემამულეთა მიწათმფლობელობის შემცირება ერთგვარ განმარტებას საჭიროებს. ალბად ყველა ამხანაგს ეხსომება, რომ მენშევიკებმა მემამულეებს და თავად-აზნაურობას ფორმალურად მიწა ჩამოართვეს. არსებითად კი ყოველმა თავად-აზნაურმა, ყოველმა მემამულემ 1921 წლამდე ფაქტიურად შეინარჩუნა თითქმის ყველა თავისი მიწა. ყოველ შემთხვევაში, ყოველმა თავად-აზნაურმა და მემამულემ მოახერხა 3—4 ნორმის შენარჩუნება. ალბად ყველას, ვინც იმ დროს სოფლად ცხოვრობდა, შეუძლია მოიგონოს, რომ არ არსებობდა არც ერთი თავად-აზნაურის ოჯახი, არც ერთი მემამულე, რომელიც ამა თუ იმ საფანელით არ მოეხერხებინოს 3—4 ნორმის შენარჩუნება. გარდა ამისა, გლეხებს მიწებს აძლევდნენ გამოსასყიდათ, ამიტომ არსებითად ჩემ მიერ მოყვანილი ციფრები არის არა ფაქტიური, არამედ ფორმალური; ფაქტიურად თავად-აზნაურობას გაცილებით ნაკლები ჩამოერთვა.

რა სურათს ვხედავთ 1928—29 წელს? სახაზინო (ჩვენი სახელმწიფო საფონდო) მიწები შეადგენდნენ წინათ 3.241.000 ჰექტარს, მენშევიკების დროს—4.296.000 ჰექტარს, ჩვენ დროს, 1928—29 წელს, შეადგენენ 3.287.000 ჰექტარს. ყოფ. მემამულეებსა და ყოფილ თავად-აზნაურობას შრომით სარგებლობაში დარჩათ სულ 28.000 ჰექტარი; მათ 1917 წელს ჰქონდათ 1.779.000, მენშევიკების დროს — 282.000 ჰექტარი. გლეხობის შრომით სარგებლობაშია 2.263.000 ჰექტარი, 1917 წელს იყო —805.000 ჰექტარი, მენშევიკების დროს — 1.129.000 ჰექტარი.

ვაჭრებსა და სასულიერო წოდებას ეხლა არც ერთი ჰექტარი მიწა არ აქვთ, ე. ი. 158.000 ჰექტარი მთლიანად ჩამოერთვათ. ამავე დროს საბჭოთა მეურნეობებს აქვთ 35.000 ჰექტარი, ხოლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს—23.000 ჰექტარი. ამგვარად, როგორც ხედავთ, მხოლოდ 1921 წლიდან იწყება გამოსადეგი მიწების ნამდვილი ხელახალი განაწილება და მხოლოდ მას შემდეგ გადაეცა მშრომელ გლეხობას მიწა სარგებლობისათვის.

ეს, ამხანაგებო, გვიჩვენებს იმას, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა საფუძვლიანი აგრარული რევოლუცია, საბოლოოდ ჩამოვართვით მიწები მემამულეებსა და თავად-აზნაურებს, ეკლესიებს და ვაჭრებს და მთელი მიწა გადავეცით სარგებლობისათვის გლეხობას.

შევუდგეთ ეხლა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის განხილვას. შედარებისათვის ავიღოთ ხუთი წლის მანძილი 1913 წლამდე (1909-დან 1913 წლამდე). ამასთან უნდა შევნიშნო, რომ ეს შედარება მეტად პირობითია; პირობითია თუნდაც იმიტომ, რომ 1913 წელი, და ხუთი წლის მანძილიც კი 1913 წლამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის უდიდესი აყვავების მაჩვენებელი არ არის, მაგრამ მთელს კავშირში შედარებისათვის მიღებულია ომისწინადროინდელი ციფრები, ამიტომ ჩვენც ამ მეთოდს მივდევთ.

ნათესების სივრცე

თუ ნათესს აბსოლუტურ ციფრებად ავიღებთ დავინახავთ, რომ 1913 წელს ნათესი მიწები შეადგენდნენ 729.400 ჰექტარს, ხოლო 1928 წელს— 783.071 ჰექტარს.

1913 წელთან შედარებით, 1928 წელს ნათესი სივრცე გადიდდა 7,4 პროცენტით. ამასთან დამახასიათებელია, ამხანაგებო, რომ 1925 წლიდან ნათესი სივრცე საქართველოში სისტემატიურად იზრდება. ეს ადასტურებს სოფლის მეურნეობის თანდათანობითსა და საღ განვითარებას. მარცვლეულ კულტურათა ნათესი სივრცეც თანდათან იზრდებოდა და 1928 წელს მან მიაღწია 106,7 პროცენტს ომის წინადროსთან შედარებით. აქაც დამახასიათებელია, რომ 1925 წლიდან წლითი-წლობით ვამჩნევთ თანდათანობით ზრდას, რაც აგრეთვე ადასტურებს ჩვენი პოლიტიკის სისწორეს სოფლად. ამის შედეგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების საღი ტენდენციები.

ტეხნიკური კულტურები

მთავარ ტეხნიკურ კულტურათა მიწებზედაც ჩვენ ვამჩნევთ ნათესი სივრცის გადიდებას ზოგიერთ დარგში. მაგალითად, 1913 წელს, აბსოლუტური ციფრები რომ ავიღოთ, ბამბას ეჭირა 8.193 ჰექტარი, 1928 წელს—7.884 ჰექტარი, ე. ი. ომის წინა დროის 95 პროცენტი; თამბაქოს 1913 წელს—10.028 ჰექტარი, ეხლა კი—14.781 ჰექტარი, ე. ი. გადიდდა 47 პროცენტით.

ამგვარად, მეთამბაქოობის დარგში ჩვენ ვხედავთ აშკარა ზრდას ომის წინადროსთან შედარებით. მებამბეობის დარგში ჩვენ ვხედავთ მდგომარეობის თანდათან გაუმჯობესებას, თუმცა ომის წინადროინდელ მდგომარეობამდე ჯერ კიდევ არ მისულვართ.

დანარჩენი სპეციალური კულტურების დარგში შემდეგ სურათს ვხედავთ: 1913 წელს ვაზს ეჭირა 55.600 ჰექტარი, 1928 წელს— 35.000 ჰექტარი. ვენახების სივრცის ეს უდიდესი შემცირება აიხსნება ფილოქსერის დამღუპველი გავლენით, ამასთან თუ ავიღებთ ძველ წლებს, 1895 წელს საქართველოში ვაზს ეჭირა 80.000 ჰექტარზე მეტი, 1913 წელს— 55.000 ჰექტარი, 1928 წელს — 35.000 ჰექტარი.

ამგვარად, ამხანაგებო, 1928 წელს ვენახების სივრცე უდრის იმამდე არსებული სივრცის 63 პროცენტს.

მებაღეობა

მებაღეობის დარგში ჩვენ არა გვაქვს ომის წინადროინდელი ცნობები, მაგრამ 1925 წლიდან სტაბილური მდგომარეობაა: იყო 11.500 ჰექტარი და დარჩა 11.500 ჰექტარი. ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ მუშაობის ამ დარგში დღემდე ჩვენ თითქმის არაფერი არ გაგვიკეთებია, მაშინ, როდესაც მებაღეობას საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ მოწმენი ვართ ჩაის კულტურის უდიდესი განვითარებისა. 1913 წელს სულ ითვლებოდა 894 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ხოლო 1928 წელს—4.010 ჰექტარი, ე. ი. ზრდა 337 პროცენტს უდრის.

თუ ავიღებთ მშა ჩაის პროდუქციას, აქაც ადგილი აქვს ზრდას ომის წინადროსთან შედარებით. ამ შემთხვევაში დამახასიათებელი და განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ჩაის მშა ნაწარმოების გადიდება მთლიანად მოდის ომის წინადროინდელ სივრცეზე, რადგან ახლად გაშენებულ პლანტაციებს ასე სწრაფად ეფექტის მოცემა არ შეეძლოთ.

მშა ჩაის პროდუქცია შეადგენდა 131 ათას კილოგრამს, ხოლო 1928 წელს — 254.180 კილოგრამს, ე. ი., ომის წინადროსთან შედარებით, ზრდა უდრის 94 პროცენტს.

მეაბრეშუმეობაში პარკის საერთო მოსავალი 1913 წელს შეადგენდა 1.556.100 კილოგრამს, ხოლო 1928 წელს — 2.646.327 კილოგრამს, ე. ი. მოსავალი გადიდდა 50 პროცენტით.

ამავე დროს ისევ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ პარკის მოსავლის გადიდება ხდება მოსავლიანობის ზრდით ერთ კოლოფ აბრეშუმის თესლზე.

მესაქონლეობა

მესაქონლეობის დარგში ჩვენ ვხედავთ უეჭველ წინსვლას. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 1913 წელს გვყავდა 1.273.800 სული, ხოლო ამჟამად — 1.521.000 სული. ზრდა უდრის 19 პროცენტს.

ცხვრის რიცხვი ომის წინადროსთან შედარებით 37 პროცენტით გაიზარდა, ღორის—161,5 პროცენტით.

მხოლოდ ცხენების რიცხვის მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ მაინც ვერ მივაღწიეთ ომის წინადროინდელ დონეს, რომელიც ისედაც არ იყო საკმაო. ასე, იმამდე სულ ითვლებოდა 121,5 ათასი ცხენი, ხოლო გასულ წელს— 98 ათასი, ე. ი. 80 პროცენტი.

ამრიგად, ამხანაგებო, მესაქონლეობის დარგშიაც ჩვენ, საერთოდ, უეჭველ ზრდას ვხედავთ.

მაგრამ ამ ციფრების ხარისხობრივ ანალიზს იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება წვრილფეხა საქონლის რაოდენობა, ხოლო შენელებულია მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის ზრდის ტემპი. მეორეს მხრივ, ვხედავთ საქონლის ასაკობრივი შემადგენლობის დაბლა დაწევას, ე. ი. ეხლა ახალგაზრდა საქონელი უფრო მეტია. და, ბოლოს, მესამე მომენტი ის არის, რომ შედარებით დაბალი ტემპით ვითარდება პროდუქტიული მეწველი საქონელი.

როგორ იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია

გადავდივარ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მაჩვენებლებზე. სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების რიცხვობრივ ზრდასთან შეფარდებით ჩვენ ვამჩნევთ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის თანდათანობით ზრდასაც. გამოსავალ წლად ამ მხრივ ჩვენ ვღებულობთ 1925-26 წელს, ე. ი. იმ წელს, როდესაც სერიოზულად მოვკიდეთ ხელი სოფლის მეურნეობას. პირობითი გამოთქმით, 1925-26 წელი უნდა ჩაითვალოს აღდგენის პერიოდის დამთავრების წლად, ომის წინადროინდელი მდგომარეობის მიღწევის წლად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით, 1928-29 წელს (უცვლელ ფასებში) 1925-26 წელთან შედარებით, გაიზარდა 5,5 პროცენტით. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1925-26 წელს შეადგენდა 256.138.700 მანეთს. ხოლო 1928-29 წელს — 270.032.500 მანეთს. ამავე დროს ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ფასეული გამოხატულება თანდათან, წლითი - წლობით იზრდება. შემცირებას იძლევა მხოლოდ 1927 წელი, რაც ამ წლის სპეციფიური მეტეოროლოგიური პირობებით აიხსნება. თუ ცალკე დარგების მიხედვით განვიხილავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: მარცვლეული კულტურების მთელი საერთო პროდუქცია, ჩალისა და ბზის ჩათვლითაც, 1928-29 წელს იძლევა ზრდას 7,9 პროცენტით, 1927-28 წელთან შედარებით, ტეხნიკური კულტურების საერთო პროდუქცია, იმავე წელთან შედარებით, გვიჩვენებს ზრდას 14,6 პროცენტით, კერძოდ თამბაქოს საერთო პროდუქცია 12,4 პროცენტით, ბამბის 37,9 პროცენტით.

ყველა მრავალწლიან მცენარეულობათა საერთო პროდუქცია 1928-29 წელს გაიზარდა 4,6 პროცენტით, მარტო მევენახეობის — 9,7 პროცენტით.

აქ, ამხანაგებო, თითქოს წინააღმდეგობას აქვს ადგილი: ერთის მხრივ ვხედავთ ვენახების სივრცის თანდათანობით და თვალსაჩინო შემცირებას, ხოლო მეორეს მხრივ აღვნიშნავთ პროდუქციის გადიდებას ამ შემცირებულ სივრციდან. ერთის მხრივ, ეს აიხსნება მოსავლიანობის გადიდებით, ხოლო მეორეს მხრივ — იმით, რომ, როგორც სპეციალისტებმა ამიხსნეს, ფილოქსერით დაავადებული ვაზი დაღუპვის წინ მაქსიმალურ პროდუქციას იძლევა.

დასასრულ, ჩაი 1928-29 წელს იმავე სივრცეზე იძლევა საერთო პროდუქციის ზრდას 1,5 პროცენტით.

მესაქონლეობის საერთო პროდუქციაც იზრდება. 1928-29 წელს მესაქონლეობა, 1927-28 წელთან (ე. ი. წინა წელთან) შედარებით, იძლევა ზრდას 3 პროცენტით, ამასთანავე წვრილფეხა საქონლის პროდუქცია 1928-29 წელს იძლევა შემცირებას 3,9 პროცენტით, თუმცა, 1925-26 წელთან შედარებით, იგი გაიზარდა. უმთავრესად ეს იმით აიხსნება, რომ 1927-28 წელს, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ გავრეკეთ საქონელი საზღვარზე თურქეთში, ჩვენმა მეცხვარეებმა გაზაფხულის ნაკრები მატყლი და ყველი იქვე გაჰყიდეს ლირებზე. ამრიგად, წვრილფეხა საქონლის საერთო პროდუქციის ნაწილი თურქეთში დარჩა, რამაც, რა თქმა უნდა, სათანადო გავლენა იქონია ამ პროდუქციის ღირებულებაზე ჩვენს ქვეყანაში.

მეღორეობის პროდუქცია 1928-29 წელს, 1927-28 წელთან შედარებით, იძლევა ზრდას 2,1 პროცენტით. მთელი მესაქონლეობა, მეფუტკრეობის ჩათვლითაც, იძლევა ზრდას 7,2 პროცენტით.

ეს ამხანაგებო, მეაბრეშუმეობის ჩაუთვლელად. ცალკე აღებული მეაბრეშუმეობა 1928-29 წელს, 1927-28 წელთან შედარებით, იძლევა საერთო პროდუქციის ზრდას 25 პროცენტით.

საერთოდ, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია, ცალკე კულტურების მიხედვით, 1928-29 წელს იძლევა შემდეგ ზრდას, 1927-28 წელთან შედარებით: მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურები, 1927-28 წელთან შედარებით, იძლევიან ზრდას 15,1 პროცენტით; ტეხნიკური კულტურები, ბამბისა და თამბაქოს ჩათვლით, — 18,4 პროცენტით; სპეციალური კულტურები (ვენახების და ჩაის ჩათვლით) — 5,7 პროცენტით; მესაქონლეობა (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი)—2,6 პროცენტით, ხოლო მთელი სოფლის მეურნეობა 1928-29 წელს, 1927-28 წელთან შედარებით, იძლევა საერთო პროდუქციის ზრდას 8 პროცენტით.

ასეთია, ამხანაგებო, ციფრები ჩვენი მეურნეობის მდგომარეობის შესახებ ცალკე დარგების მიხედვით. ციფრებიდან დაინახავთ, რომ სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ვამჩნევთ თანდათანობით, მაგრამ განუწყვეტელ ზრდას, რაც მოწმობს ჯანსაღი ტენდენციების არსებობას ჩვენს სოფელში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში თანდათან ვრცელდება რთული მანქანები, რაც ეჭვს არ არის, სათანადო გავლენას ახდენს ჩვენს სოფლის მეურნეობაზე. ასე, მაგალითად, მაშინ, როდესაც 1921 წელს ჩვენს სოფელში ერთი ტრაქტორიც არ იყო, ეხლა ტრაქტორების რიცხვი 300-დე აღწევს. 1921 წ-დან ჩვენი გლეხობა თანდათან შეუდგა ახლად მიღებული სათავად-აზნაურო მიწების დამუშავებას. ამ მიწების დამუშავების პროცესი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირება

მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირება წლითი - წლობით იზრდება. 1928-29 წელს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში ჩაბმულია ყველა ინდივიდუალური მეურნეობის უკვე 47 პროცენტი. მაგრამ თუ ამ ციფრიდან გამოვაკლებთ განმეორებულ წევრთა რიცხვს, მაშინ ზოგი ცნობით გვაქვს 29 პროცენტზე მეტი, ხოლო სხვა, როგორც მე მარწმუნებდნენ, უფრო შემოწმებული და სწორი ცნობით — 32 პროცენტი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ხაზით შეკავშირებულ გლეხურ მეურნეობათა. ეს ცნობები მიღებულია კოოპერატიულად შეკავშირებული სოფლის მოსახლეობის იმ საერთო აღრიცხვის მიხედვით, რომელიც საქართველოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა. უეჭველია ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა საღ საფუძველზე სდგას, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა თანდათან ვითარდება, თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ ეს ციფრი — 32 პროცენტი. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ მაქსიმალურად გადიდდეს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ხაზით გაერთიანებული მოსახლეობის პროცენტი. მიუხედავად ამისა, ის განუწყვეტელი ზრდა, რომელსაც 1921 წლიდან ვხედავთ, მოწმობს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია თანდათან შეიჭრა გლეხური მოსახლეობის მასაში და თანდათან აბამს მას კოოპერატიულ ცხოვრებაში.

კოლმეურნეობათა რიცხვიც ამ პერიოდში თვალსაჩინოდ გაიზარდა. თუ, მაგალითად, 1928 წლის 1 აპრილს 271 კოლმეურნეობა გვქონდა, 1929 წლის 1 აპრილისათვის გვაქვს 722 კოლმეურნეობა. ზრდა თითქმის სამმაგია. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მდგომარეობა ჩვენს საბჭოთა მეურნეობაშიაც. თქვენ, ალბად, გახსოვთ, რომ 2—3 წლის წინად ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი არსებითად განადგურებულ მეურნეობებს წარმოადგენდნენ, ხოლო ცენტრში, საბჭოთა მეურნეობების სამმართველო მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ხელგაწვდილი დარბოდა ბანკებში ყოველი კაპეიკის მისაღებად. ამჟამად ამ მდგომარეობას არ ვხედავთ. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მეურნეობანი ადგილებზე საღ საფუძველზე დგანან და ამჟამად იშლება ყველა შესაძლებლობა და პერსპექტივები მათი შემდგომი განვითარებისათვის და მეზობლად მცხოვრებ გლეხობასთან მათი შემდგომი დაკავშირებისათვის. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ სოფლის მეურნეობის განუხრელი და უეჭველი ზრდა როგორც ინდივიდუალურ მეურნეობათა დარგში, ისე კოლექტიურ მეურნეობებისა და ჩვენი საბჭოთა მეურნეობების შექმნის, გაუმჯობესებისა და განმტკიცების დარგში. სწორედ ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი ლაყბობა მემარჯვენე უკლონისტებისა, რომლებიც ამბობენ, რომ საშუალო გლეხი დეგრადაციას განიცდის, რომ მას არა აქვს არავითარი სტიმული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ იცავს ღარიბ გლეხს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ღარიბი გლეხი სავსებით კულაკს ჩაუგდო ხელში და რომ ამიტომ სოფლის მეურნეობას შემდეგში აღარა აქვს განვითარების პერსპექტივა და სხვ.,—ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მემარჯვენეთა მთელი ეს ლაყბობა არის ლაყბობა იმ ხალხისა, რომელიც შეუშინდა სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებს სოფლად, ე. ი. ლაყბობა იმ ხალხისა, რომელიც ჩვენი სოფლად მუშაობის უდიდესი ნაკლის გარდა ვერ ხედავს იმ უდიდეს დადებით ფაქტებს, რომლებზედაც ჩვენ ეხლა ვლაპარაკობთ ციფრებით ხელში. ყოველი ცოტად თუ ბევრად მცოდნე ადამიანისათვის გასაგებია, რომ ჩვენი ხელისუფლებისა და პარტიის პოლიტიკა სოფლად მიმართული რომ იყოს საშუალო გლეხობის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს ცენტრალურ მეურნე ფიგურას სოფლად, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, რომ ჩვენი პოლიტიკა სოფლად მიმართული იყოს ღარიბ გლეხთა მეურნეობების წინააღმდეგ,—ცხადია, სოფლის მეურნეობის არავითარ ზრდას ადგილი არ ექნებოდა. ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობის ასეთი ზრდა, ასეთი მდგომარეობა 1921 წლიდან 1928 წლამდე პირდაპირი შედეგია იმ დადებითი პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენი პარტია ატარებდა სოფლად. სწორედ ამიტომ, ვიმეორებ, მემარჯვენეთა ყოველგვარი ლაყბობა სოფ. მეურნ. დეგრადაციის შესახებ, არის ლაყბობა დამფრთხალი ხალხის, პანიკიორების, იმ ხალხის, რომელსაც ეშინია თვალი გაუსწოროს იმ სიძნელეებს, რასაც ადგილი აქვს სოფლად, და რომელიც ამჯობინებს იწუწუნოს ყოველი საჭირო თუ არასაჭირო საბაბის გამო.

ზრდის ტემპი საკმაო არაა

ამხანაგებო, გასაგებია, რომ მიუხედავად მთელი რიგი მიღწევებისა სოფლის მეურნეობაში, მიუხედავად სოფლის მეურნეობის ყველა დარგის უეჭველი ზრდისა, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ საერთოდ და მთლიანად საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი აბსოლუტურად არასაკმაოა. ეს უნდა ვაღიაროთ და აუცილებლად უნდა შევეცადოთ ამ ტემპის აწევას. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობაში ჩვენ ვხედავთ ჩვენი მუშაობის ისეთ დეფექტებს, რომლებიც ეხლავე უნდა აღვრიცხოთ და გამოვასწოროთ, —წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დეფექტებს შეუძლიათ მეტად საშიშარი შედეგები გამოიწვიონ, მათ შეუძლიათ გამოიწვიონ სოფლის მეურნეობის ზრდის შენელება, განსაკუთრებით ზემოთაღნიშნულ დარგებში.

გარდა ამისა, ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს სტაბილური მდგომარეობა სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში, როგორც, მაგალითად, მეთამბაქოობასა და მეხილეობაში, კიდევ მეტიც: შემჩნეულია მათი სივრცის ერთგვარი შემცირებაც ვენახების სივრცის უამისოდაც ძლიერი შემცირების პირობებში. ამავე დროს კი, როგორც უკვე ვთქვი, მებაღეობა ჩვენს პირობებში უდიდეს როლს თამაშობს. რას მოგვაგონებენ, ამხანაგებო, მოსკოვიდან? ამხანაგი მიქოიანი სამივე რესპუბლიკის სახკომსაბჭოებისადმი მომართულ სპეციალურ წერილში აღნიშნავს, რომ მებაღეობას ამიერ-კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, აქვს განვითარების უდიდესი პერსპექტივები და რომ ხუთწლიანი გეგმის ვარაუდი აბსოლიუტურად არასაკმაოა, რადგან იგი, სიმართლე რომ ითქვას, გამოდის ბაღების სივრცეების სტაბილობიდან. ამხ. მიქოიანი წინადადებას იძლევა—გადასინჯულ იქნას ეს საკითხი, რადგან იგი მებაღეობას აძლევს სერიოზულ საექსპორტო მნიშვნელობას, აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ჩვენი მუშათა კლასისათვის საჭირო ხილის მისაწოდებლად.

დასასრულ, ამხანაგებო, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მეურნეობა ტეხნიკური განვითარების მეტად დაბალ დონეზე იმყოფება. ის ფაქტი, რომ დღემდე საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში გლეხობა თავის მიწებს ძველი მამაპაპური სახნისით ამუშავებს, გვიმტკიცებს, თუ რამდენად ჩამორჩენილია ჩვენი სოფლის ტეხნიკური დონე იმ უდიდეს განვითარებასთან შედარებით, რომელსაც ჩვენ ვხედავთ არა მარტო კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ჩვენშიაც—საბჭოთა კავშირში.

ამრიგად, გადავდივარ რა საქართველოს სოფლის მეურნეობის თვისობრივ ანალიზზე, უნდა ვაღიაროთ მრავალი დეფექტი, მრავალი ნაკლი, რომელთა გამოსწორება პარტიის მორიგ საბრძოლველ ამოცანას წარმოადგენს.

სხვა და სხვა კულტურათა პროდუქცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურის საილუსტრაციოდ მე ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო საქართველოს საგეგმო კომისიის შედარებითი ცნობები.

საქართველოს მთელს სოფლის მეურნეობაში მემცენარეობის პროდუქციის 1927-28 წელს ეჭირა 61,9 პროცენტი, ხოლო 1928-29 წელს—68 პროცენტი. ეს ზრდა უმთავრესად მოდის მარცვლეული და სპეციალურ კულტურებზე, რომელთა პროდუქცია საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში 1927-28 წელს შეადგენდა 21,3 პროცენტს, ხოლო 1928-29 წელს—21,5 პროცენტს.

ტეხნიკური კულტურების პროდუქციის ხვედრითი წონა საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში 1925-26 წელს შეადგენდა 5,9 პროცენტს, ხოლო 1928-29 წელს —6,1 პროცენტს, ე. ი. ზრდა უდრის 0,25 პროცენტს.

ამხანაგებო, ეს ციფრები მოვიყვანე მხოლოდ იმიტომ, რომ მეჩვენებინა ყრილობისათვის, თუ რამდენად ჩამორჩენილია ჩვენში სპეციალური ტეხნიკური კულტურების განვითარების ტემპი. მე კი მგონია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა უნდა მიდიოდეს სწორედ ტეხნიკური კულტურების, სპეციალური კულტურების და მესაქონლეობის გაუმჯობესებისა და განვითარების გზით.

მესაქონლეობის პროდუქცია 1927-28 წელს შეადგენდა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის 38,1 პროცენტს, 1928-29 წელს კი—28,7 პროცენტს, ამასთან მსხვილფეხა საქონლის პროდუქცია—28,9 პროც., და 28,89 პროც., მეფრინველეობის—6,9 პროც. და 6,6 პროც., ბოლოს, მეაბრეშუმეობის—,11 პროც. და 1,2 პროც. საერთოდ, წინა წელთან შედარებით, ადგილი აქვს მესაქონლეობის ხვედრითი წონის შემცირებას.

ეს ცნობები, ამხანაგებო, მთლად სწორი არ არის, მაგრამ ისინი გვიხატავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკე დარგებს შორის არსებული შეფარდების დაახლოებით სურათს. ამგვარად, ჩვენ ძალიან ჩამორჩენილი ვართ ტეხ. კულტურების და მესაქონლეობის დარგში. ამის გამო საჭიროა პირველ რიგში ავსწიოთ სწორედ ტეხნიკური კულტურები და მესაქონლეობა.

ამხანაგებო, სასოფლო-სამეურნეო იარაღით მიწოდება საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის უმნიშვნელოა. ასე, მაგალითად, ამიერ-კავკასიაში ერთ ჰექტარ გამოსადეგ მიწაზე კაპიტალური დაბანდება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარში შეადგენს 8 მან. 90 კაპ., მაშინ, როდესაც ეს დაბანდება ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენს 80 მანეთს, გერმანიაში—33 მან. 87 კაპ., უკრაინაში—18 მ. 20 კაპ., რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში—7 მან. 40 კაპ. სამწუხაროდ, ამხანაგებო, მე არა მაქვს ციფრები საქართველოს შესახებ, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ამ მხრივ ამიერ-კავკასიაზე უკეთეს მდგომარეობაში არ არის.

ცხადია, ამხანაგებო, ასეთი მცირე ტეხნიკური დაბანდებანი მოწმობენ სოფლის მეურნეობის პრიმიტიულობას, მიწის დამუშავების პრიმიტიულ მეთოდს, რასაც სინამდვილეში ვხედავთ. ცხადია, იმ დრომდე, სანამ არ შევსძლებთ საჭირო თანხების დაბანდებას, ზედმეტია ლაპარაკი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციასა და მის ინტენსიფიკაციაზე. ყველა ამასთან ერთად მოსავლიანობა ჩვენში ძალიან დაბალია და ეს, უეჭველია, მიწის ცუდად დამუშავების შედეგია. აქედან თავის მხრივ გამომდინარეობს სოფლის მეურნეობის მეტად დაბალი საქონლიანობა.

ჩემს თეზისებში გამოყვანილია მოსავლიანობის ციფრები როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში. თქვენ, ალბად, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ჩვენ ამ მხრივ თითქმის უკანასკნელი ადგილი გვიჭირავს. ჩვენ ჩამორჩენით არა მარტო დანიას, ბელგიას, დიდ ბრიტანეთს და სხვებს, ჩამორჩენით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ოლქებსაც კი, და ეს იმიტომ, რომ მიწის ნიადაგის დამუშავების მეთოდი ჩვენში ჯერ კიდევ უფრო პრიმიტიულია, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

ასე, მაგალითად, შემოდგომის პურის ნათესის მოსავალი ყოველ ჰექტარზე საქართველოში უდრიდა 8,3 ცენტნერს, ჰოლანდიაში—28, ბელგიაში—24, დანიაში—23, დიდ ბრიტანეთში—20 და გერმანიაში—16 ცენტნერს.

ასეთივე სურათია ქერის მოსავლის მხრივაც და ეს, ვიმეორებ, მიწის მეტად პრიმიტიულად დამუშავების შედეგია. სავსებით გასაგებია, რომ იმერული კავით დახნულ მიწას არ შეუძლია იმაზე მეტი მოსავლის მოცემა, რასაც იგი დღეს იძლევა.

ეს მცირე მოსავლიანობა, შრომის ეს სუსტი ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში უშუალო გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის საქონლიანობაზე.

ჩვენ ვხედავთ, ამხანაგებო, შემდეგ სურათს: მარცვლეულ კულტურებში საქონლიანობა შეადგენდა 1,3 პროცენტს, მესაქონლეობაში—37 პროცენტს, სპეციალურ კულტურებში, მათ შორის და უმთავრესად მევენახეობაში—50 პროცენტს.

როგორც ეტყობა, გლეხური მოსახლეობა საქართველოში ძალიან ბევრ ღვინოს სვამს, რადგან სპეციალურ კულტურებმა მაქსიმალური საქონლიანობა უნდა მოგვცენ, ისინი კი გვაძლევენ მხოლოდ 50 პროცენტს. ტეხნიკური კულტურები საქონლიანობის შედარებით დიდ პროცენტს გვაძლევენ—საშუალოდ 95,5 პროც.-ს (ბამბა 90 პროც.-ს, თამბაქო—96 პროცენტს და სხ.).

ჩვენ გვაქვს ცნობები სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების საქონლიანობის შესახებ საქართველოს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რაიონების მიხედვით. ეს ცნობები (დამუშავებულია გლეხური მეურნეობის საბიუჯეტო გამოკვლევის მიხედვით) სავსებით და მთლიანად ადასტურებენ უნუგეშო სურათს—სოფლის მეურნეობის მეტად დაბალ მოსავლიანობას და ნაკლებ საქონლიანობას.

აქედან ამოცანა: სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია არა მარტო უნდა ავსწიოთ, არამედ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მეოხებით, გავადიდოთ კიდეც მისი საქონლიანობა.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ბევრ რაიონში სოფლის მეურნეობა ატარებს მხოლოდ და მხოლოდ ნატურალურ ხასიათს და იქ პროდუქციის საქონლიანობა ფაქტიურად ნულს უდრის.

სპეციალური კულტურების მოსავლიანობაც უნუგეშო სურათს გვაძლევს. ასე, მაგალითად, იმ დროს, როცა თამბაქოს მოსავალი ჰექტარზე 1909 წლიდან 1913 წლამდე ყოველწლიურად შეადგენდა 11 ცენტნერს, 1926 წელს შეადგენდა 7,1 ცენტნერს, ეხლა კი—თითქმის 4 ცენტნერს. გერმანიაში კი 1927 წელს თამბაქოს მოსავალი მოედნის ერთეულზე უდრის— 21,8 ცენტნერს, ე. ი. გერმანიაში თამბაქოს მოსავალი თითქმის ორჯერ მეტი იყო, ვიდრე ჩვენში იმამდე, და სამჯერ მეტია, ვიდრე ეხლა.

ბამბა იმამდე გვაძლევდა 6,8 ცენტნერს, 1926 წელს მან მოგვცა მხოლოდ 5,4 ცენტნერი. მოსავლიანობის ეს დაცემა უმთავრესად აიხსნება ცუდი მოვლით, ცუდი დამუშავებით, მაგრამ არის სხვა მიზეზებიც, რომელთა შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

ვაზის მოსავალი 1927 წელს ჰექტარზე შეადგენდა 34,5 ცენტნერს, 1928 წელს—49,9— ცენტნერს. ვაზის მოსავლიანობის გადიდების მიზეზებზე მე უკვე ვილაპარაკე.

ჩაქვის ჩაი და „სპეციალისტები“

ჩაის მოსავალი ერთ ჰექტარზე ცეილონში უდრის 2.500 კილოგრამს, ინდოეთში—2.800 კილოგრამს, იაპონიაში—3.000 კილოგრამს, საქართველოში კი—1.125 კილოგრამს (ხმა ადგილიდან: ცოტაა!). რასაკვირველია, ამხანაგებო, ძალიან ცოტაა, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ჩვენ საგრძნობლად გავადიდეთ ჩაის მოსავლიანობა, ამასთან ეს გადიდება მოხდა ნიადაგის დამუშავებისა და ჩაის ბუჩქების მოვლის გაუმჯობესების გამო. ჩაის მოსავლიანობა, ჩვენი გამოანგარიშებით, შეიძლება გავადიდოთ 100 პროცენტით. ნიადაგის განოყიერების წყალობით მოსავლიანობა გავადიდეთ 40 პროცენტით, შემდეგ, წმინდა დანარგი მოგვცემს 40 პროცენტს, ხოლო ნიადაგის მოვლა—დაახლოებით 20—30 პროცენტს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაის მოსავლიანობის მხრივ იაპონიასთან და სხვა ქვეყნებთან შედარებით დღემდე ჩამორჩენილნი ვართ. უეჭველია, ჩვენ მაინც გვაქვს დიდი მიღწევები ჩაის კულტურის საქმეში, როგორც მისი საერთო პროდუქციის, ისე მოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ.

ჩაის გაშენებას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ჩაი თავისი ხარისხით თუნდაც მინიმალურად დაუახლოვდება იმ ჩაის, რომელიც სხვა ქვეყნებში მოჰყავთ.

უნდა ითქვას, რომ, რაღაც მიზეზის გამო, საქართველოში თავის დროზე შემოტანილ იქნა ჩინური ჩაის ცუდი თესლი. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ჩაის დიდი იმპორტიორები, როგორებიც იყვნენ პოპოვი და სხვები, დაინტერესებული არ იყვნენ ჩაის გაშენებით ძველ რუსეთში, რადგან ჩაის გაშენება რუსეთში საერთოდ ნიშნავდა ამ იმპორტიორების კრახს და ლიკვიდაციას.

ეს გარემოება, რასაკვირველია, არსებით გავლენას ახდენდა დღემდე ჩვენი ჩაის ხარისხზე. გარდა ამისა, ჩვენი ჩაის მეტად დაბალი ხარისხი დღემდე აიხსნებოდა ჩაის ბუჩქის ცუდი მოვლით. სხვათა შორის, ჩაქვის მამულში გვყავდა ვიღაც ივან ივანიჩი, ჩინელი ლიაო-ჯინ-ჯაო, აშკარა პროვოკატორი და ავანტიურისტი, რომელსაც თავი რევოლიუციონერად მოჰქონდა და ამბობდა, რომ მისი შვილი ჩინეთში დიდი კომუნისტი—გომინდანელიაო. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ თვითონ ის ნამდვილი ჩინელი კონტრრევოლიუციონერია, ხოლო მისი შვილი ექსცესებს ახდენს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. ამ ლიაო-ჯინ-ჯაომ მეტად მავნე როლი ითამაშა ჩაქვის ჩაის კულტურის განვითარების საქმეში. შეიძლება იგი სპეციალურად მოგზავნილი აგენტიც იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რა წამს ჩაის საქმის ეს „მცოდნე“—ლიაო-ჯინ ჯაო,—გავაგდეთ, იმ წამსვე დაიწყო ჩაის კულტურის ნამდვილი რევოლიუცია და განვითარება, როგორც ჩაქვის მამულში, ისე საქართველოს სხვა რაიონებში.

ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ ჩვენ გვაქვს საერთო პროდუქციის უზომო გადიდება, ჩაის კულტურის საგრძნობლად გაუმჯობესება, მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენ გვაქვს ჩაქვის ჩაის ხარისხის უდიდესი გაუმჯობესება.

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ცოტა-ოდნად ობივატელურად ვეკიდებით ჩაქვის ჩაის. ფიქრობენ რომ ჩაქვის ჩაი უვარგისია და მისი მოხმარება არ შეიძლება. სანამ არ ეტყვი, რომ ეს ჩაქვის ჩაიაო, ამ ჩაის სვამენ და ამბობენ: „რა მშვენიერია“-ო, მაგრამ როგორც კი გაიგებენ, რომ ეს ჩაქვის ჩაია, მაშინვე წამოიძახებენ: „ფუ, რა საძაგლობაა“-ო. (სიცილი). მაგრამ ერთია ჩვენი ობივატელური დამოკიდებულება და ჩვენი გემოვნებითი შეგრძნობანი და მეორეა ამ საქმის სპეციალისტების განცხადება ჩვენი ჩაის შესახებ.

საქმე იმაშია, რომ ჩვენს დაწესებულებებში დღემდე კიდევ ზის ძალიან ბევრი მავნებელი, რომელიც მხოლოდ იმას სცდილობს, რომ ხელი შეუშალოს საბჭოთა წარმოების განვითარებას. 1926—27 და 1928 წლებში ჩვენ ჩაის დასკვნისათვის უგზავნიდით სხვადასხვა ფირმებს. ჩაი გავგზავნეთ ლონდონსა და შანხაიში. ამასთან ლონდონში გაუგზავნეთ სამ უდიდეს ფირმას, რომლებიც ფაქტიურად აწესებენ ჩაის ფასებს, ჩაის ხარისხს და რომლებსაც სავსებით და მთლიანად უპყრიათ ხელთ მსოფლიოს ჩაის ბაზარი. ამავე დროს ჩვენ ჩაი გაუგზავნეთ მოსკოვში „ცენტროსოიუზ“-ის სპეციალისტებს დასკვნისათვის. ამ სპეციალისტებს რატომღაც უწოდებენ „ტეტესტერებს“. ამასთან, ამხანაგებო, წლიდან წლამდე მეორდება ერთი და იგივე სურათი: ძალიან კარგ დასკვნას იძლევიან ის უცხოელი სპეციალისტები, რომლებმაც არ იციან, რომ ეს ქართული ჩაია. რომელიმე ინგლისურ ფირმას ვაძლევთ ჩაის და ვსთხოვთ: მოგვეცით დასკვნა ამ ჩაის ხარისხის, მისი შემადგენლობის, ცალკე დეფექტების და წარმოშობის შესახებ. ამასთან, მათ არ ვეუბნებით—საიდან არის ეს ჩაი. უცხოეთის ფირმები და ლონდონის და შანხაის ფირმები გვაძლევენ ასეთ პასუხს: ალბად, ეს ჩაი შანხაიდან, ცეილონიდან ან იავადან არისო და სხ. ჩაის ხარისხი, მათი გამოკვლევით, საშუალოზე მაღალია, ღირებულება კი უდრის ინგლისურ გირვანქა 72 კაპ.

„ცენტროსოიუზ“-ის სპეციალისტების დასკვნა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩაქვის ჩაი სრულებით არაფრად არ ვარგაო. მათ წინასწარ იცოდნენ ჩვენი ჩაის წარმოშობა, იცოდნენ, რომ ჩვენი ჩაი საბჭოთა ჩაია. ისინი აცხადებდნენ, რომ ეს ჩაი უფრო ცუდია, ვიდრე უცუდესი ხარისხის ჩინური ჩაი. და ეს იმ დროს, როცა ინგლისელი სპეციალისტები სწერდნენ, რომ ქართული ჩაი ბევრად უკეთესია, ვიდრე საშუალო ხარისხის ჩინური ჩაი და იგი თავისი ხარისხით უახლოვდება ჩინეთის, ცეილონის და ინდოეთის ჩაის საუკეთესო ხარისხს. როცა „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობის წევრმა ამხ. სუჯაკმა ამის გამო სკანდალი გამართა „ცენტროსოიუზ“-ში (უნდა ითქვას, რომ კომუნისტებს, რომლებიც „ცენტროსოიუზ“-ში სხედან, ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვით), სპეციალისტები „დათმობაზე წავიდნენ“ და ისეთი შეფასება მისცეს, რომლიდანაც სრულებით ვერაფერს ვერ გაიგებთ. მაგალითად, ისინი სწერენ: „ქართული ჩაი არა ჰგავს ჩინურ ჩაის“-ო. ეს მართალია, მაგრამ ეს ჩაი უფრო ცუდია, თუ უკეთესი, ამ დასკვნიდან არა ჩანს. ერთი სიტყვით, დღემდე კვლავ გრძელდება ამ საკითხის აბუჩად აგდება „ცენტროსოიუზ“-ს სპეციალისტების მხრივ. ეს ხალხი დღემდე გარკვეულად ეწევა მავნებლობას. ამის შესახებ ვაცნობეთ სადაც საჭირო იყო, კერძოდ ვაცნობეთ „ცენტროსოიუზ“-ს. „ცენტროსოიუზ“-ის გამგეობა, უეჭველია, ყველა ზომით უწყობს ხელს ჩაის კულტურის გავრცელებას საქართველოში და ყოველგვარი საშუალებით სცდილობს დაგვეხმაროს ამ საქმეში, მაგრამ სპეციალისტები, რომლებიც „ცენტროსოიუზ“-ში სხედან, სისტემატიურად შლიან საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების საქმეს. როგორც კი მივიღეთ დასკვნა ლონდონიდან, შანხაიდან და მოსკოვიდან, ჩვენ მაშინვე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი ამის შესახებ და საქმე გამოვასწორეთ.

მიწადმფლობელობა საქართველოში

დავუბრუნდეთ ისევ საქართველოს სოფლის მეურნეობის სუსტი მოსავლიანობის და პრიმიტიული მდგომარეობის საკითხს. ჩვენი სოფლის მეურნეობის ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზია გლეხურ მეურნეობათა დაქსაქსულობა. ჩვენ გვაქვს ციფრობრივი მასალა, რომელიც ახასიათებს იმას, თუ როგორ ქუცმაცდებოდა თანდათან გლეხური მეურნეობა რევოლიუციის მომენტიდან, ე. ი. რამდენად გაძლიერდა სოფლის მეურნეობის პარცელიარული ხასიათი რევოლიუციის შემდეგ. საქართველოს ცენტრ. სტატ. სამმართველოს ცნობები გვაძლევენ შემდეგ სურათს: 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით საქართველოში იყო 327.235 გლეხური მეურნეობა; ამასთან ერთ მეურნეობაზე მოდიოდა 4,47 ჰექტ. გამოსადეგი მიწა, ხოლო სახნავი მიწა ერთ მეურნეობაზე უდრიდა 2.14 ჰექტარს 1921 წელს, — მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მეტად არა სწორი აღრიცხვით, ჩვენ გვქონდა 32,466 მეურნეობა, ე.ი. მეურნეობათა რიცხვი 1917 წელთან შედარებით შემცირდა. ეს, რასაკვირველია, მართალი არ არის. 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით გვქონდა 388.480 მეურნეობა, ე. ი. მეტი, ვიდრე იყო 1917 წელს, და ბოლოს, 1927 წელს, სოფლის მეურნეობის ათპროცენტიანი ამორჩევითი გამოკვლევის მიხედვით გვქონდა 414.276 გლეხური მეურნეობა, ე. ი. მეურნეობათა რიცხვი საქართველოში 1917 წელთან შედარებით გადიდებულია თითქმის 100 ათასით. ცალკე მეურნეობათა რაოდენობა 1928-29 წელს, უეჭველია, კიდევ უფრო მეტია, რადგან ეს გამოკვლევა ჩატარდა 1927 წელს. მეურნეობათა რიცხვის ზრდის მიხედვით თანდათან მცირდება მიწის ნორმა მეურნეობაზე. ასე, მაგალითად: 1917 წელს ერთ მეურნეობაზე მოდიოდა 2,14 ჰექტარი სახნავი, 1927 წელს კი სულ 1,84 ჰექტარი სახნავი. ამგვარად, 1927 წელს 1917 წელთან შედარებით მეურნეობათა რიცხვი მომატებულია 32 პროცენტით. გლეხურ მეურნეობათა დაქსაქსულობა ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა და შემცირდა ყოველი მეურნეობის უზრუნველყოფა მიწით, განსაკუთრებით სახნავი მიწით.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით განზრახულია მეურნეობათა რიცხვის გადიდება, ე. ი. კიდევ უფრო დაქსაქსვა, რადგან ხუთი წლის დამლევს გვექნება 453.000 მეურნეობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა მიწით მეტად დაბალია, და ამ საქმეში, ამხანაგებო, ჩვენ თითქმის უკანასკნელი ადგილი გვიჭირავს. ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან აზერბეიჯანი, სომხეთი. ასე, მაგალითად, გლეხური მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში მოდის 0,64 ჰექტარი გამოსადეგი მიწა, აზერბეიჯანში—1,14 ჰექტარი, სომხეთში კი—0,86 ჰექტარი. ამასთან ჩვენი ნორმა—0,64 ჰექტარი ზოგიერთ რაიონში მცირდება 0,25 ანუ 1 მეოთხ. ჰექტარამდე. ამხანაგებო, ბუნებრივია, რომ ასეთი წვრილი და უწვრილესი მეურნეობების არსებობის პირობებში ზედმეტია ლაპარაკი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე, თესლცვლაზე და მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდებაზე, რადგან, გარდა იმისა, რომ ცოტა მიწაა,—სოფლის მეურნეობა არავითარი სერიოზული გაუმჯობესება მიწადსარგებლობის ასეთი მდგომარეობის დროს არ შეიძლება.

აი, აქ, ამხანაგებო, რუკაზე თვალსაჩინოდ არის დახატული მიწადსარგებლობის სურათი საქართველოში. მარცხნივ დასავლეთი საქართველო, მარჯვენივ აღმოსავლეთი საქართველო. თქვენ აქ თვალსაჩინოდ ხედავთ, რა წვრილ მიწის ნაჭრებს ფლობს ჩვენი გლეხობა, რა დაქსაქსულია და გაფანტულია მეურნეობანი.—საქართველოში არიან მეურნეობანი, რომლებსაც 2—3 დესეტინა ნათესი აქვთ მიწის 80 ნაჭერზე. ჩვეულებრივი სურათი კი, ამხანაგებო, ჩვენს გლეხურ მეურნეობაში ასეთია: 30—25—15 ნაჭერი მიწა 2—3 დესეტინა ნათესზე, ე. ი. ყოველ მეურნეობას აქვს მიწის პატარა ნაჭრები, რომლებიც შორს მანძილზე არიან დაშორებული ერთი მეორისაგან და, რასაკვირველია, ლაპარაკი იმაზე, რომ ახლანდელი მდგომარეობის დროს ასეთ მეურნეობას ავიყვანთ სათანადო სიმაღლეზე, რომ შესაძლოა ღონისძიებათა ჩატარება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, სავსებით უსაფუძვლოა. ამიტომ მიწადმოწყობის საკითხს გადამჭრელი როლი ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მიწადმოწყობის გატარება ჩვენთვის საჭიროა იმდენად, რამდენადაც სერიოზულად ვსვამთ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის, მისი ინტენსიფიკაციის საკითხს. მეურნეობათა ასეთი დაქსაქსვის, დაქუცმაცების დროს ვერ შევძლებთ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებას, ვერ შევძლებთ ღარიბი და საშუალო მეურნეობანი გამოვიყვანოთ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ისინი იმყოფებიან სუსტი მოსავლიანობისა და მათი მეურნეობის სუსტი საქონლიანობის გამო.

ამგვარად, ამხანაგებო, თუ ჯამს გაუკეთებთ ჩემი მოხსენების პირველ ნაწილს სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, მივალთ შემდეგ დასკვნამდე.

პირველი დასკვნა—ჩვენ ვხედავთ სოფლის მეურნეობის უეჭველ ზრდას მის ყველა დარგში ომის წინადროინდელ ხანასთან შედარებით, ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი ჩვენში საკმაო არ არის. ეს ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება მრეწველობის განვითარების ტემპს და მომავალში ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მრეწველობის განვითარება შენელდება ნედლეული და სასურსათო სასოფლო-სამეურნეო ბაზის უქონლობის გამო.

მეორე დასკვნა—ესაა საქართველოს სოფლის მეურნეობის დიდი დაქსაქსულობა და მეტად დაბალი ტეხნიკა, რაც განსაზღვრულ ფარგლებში აყენებს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას.

მესამე დასკვნა—სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების სახით, განსაკუთრებით კოლმეურნეობების სახით ფეხს იკიდებს საქართველოს სოფლის მეურნეობაში; 1928 წლის აპრილიდან 1929 წლის აპრილამდე მათი რიცხვი გაიზარდა მეტად, ვინემ სამჯერ, ეს მოწმობს იმას, რომ გლეხობას შორის არსებობს ლტოლვა კოლმეურნეობისაკენ, გლეხობამ შეიგნო, რომ კოლექტიური, მსხვილი განსაზოგადოებული სექტორის გარეშე იგი ვერ შესძლებს თავისი მეურნეობის გაუმჯობესებას.

სამწუხაროდ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვერ შევსძელით ამ მისწრაფებისათვის გაგვეწია ორგანიზაციული სამსახური. უნდა აღვნიშნოთ ცენტრის უდიდესი დეფექტები ამ დარგში.

სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების გზით

მეოთხე დასკვნა—ესაა სოფლის მეურნეობის შრომის დაბალი ნაყოფიერება, ნაკლები მოსავლიანობა და მცირე საქონლიანობა; ყოველივე აქედან გამომდინარეობს ის, რომ სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის გარეშე, მიწადსარგებლობის კოლექტიური ფორმების განმტკიცების, განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის აწევა იმ სიმაღლეზე, რომელიც საჭიროა უდიდესი ამოცანების შესასრულებლად სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში.

ამხანაგებო, გადამჭრელ მეთოდს სოფლის მეურნეობის სისუსტის დასაძლევად წარმოადგენს მისი გამსხვილება.

მაგრამ ეს გამსხვილება შეიძლება წარმოვიდგინოთ ორგვარად: მეურნეობათა გამსხვილება შეიძლება მოხდეს სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების გზით. და ეს გზა ჩვენთვის სავსებით მიუღებელია. არის მხოლოდ ერთი, ჩვენთვის მისაღები გზა—ეს არის სოციალისტური განვითარების გზა.

მაგრამ როდესაც ვაყენებთ სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების იდეას და ყოველმხრივ ვანვითარებთ კოლმეურნეობათა მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავივიწყოთ ინდივიდუალურ მეურნეობათა როლი.

ჩვენი გენერალური გეზი მდგომარეობს იმაში, რომ კოლმეურნეობათა განვითარებას, განსაზოგადოებული მსხვილი წარმოების შექმნას სოფლად შეუძლია გლეხობის ღარიბ-საშუალო მასები საბოლოოდ გამოიყვანოს მათი მეურნეობანი განვითარების, გამსხვილების და გაძლიერების გზაზე.

მაგრამ, ამხანაგებო, ამასთან ერთად ჩვენი მოვალეობის დავიწყება ინდივიდუალური მეურნეობების წინაშე, იმის დავიწყება, რომ მრავალმილიონიანი ინდივიდუალური მეურნეობანი კიდევ მრავალი წლების განმავლობაში იარსებებენ, რომ ამ ინდივიდუალურ მეურნეობებს აქვთ განვითარების დღემდე კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობანი,—ამის დავიწყება მიუტევებელი შეცდომა იქნება, ეს გამოიწვევს კავშირის გაწყვეტას მუშათა კლასსა და გლეხობას შორის.

მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება საბჭოთა ქვეყანაში ხდება წვრილი და უწვრილესი მეურნეობების არა ჩაყლაპვის, დანგრევის, მოსპობის და განადგურების გზით, არა მათთან ბრძოლის საშუალებით, არამედ მათი ეკონომიური განვითარების, ზრდის, ტეხნიკის, კულტურის და ორგანიზაციის უმაღლეს დონეზე აყვანის საშუალებით.

მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობა ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს კი არ უპირდაპირდება, როგორც მათთვის მტრული ძალა, არამედ უკავშირდება მათ, როგორც დახმარების წყარო, როგორც მსხვილი მეურნეობის უპირატესობის მაგალითი, როგორც ორგანიზატორი, რომელიც ხელს უწყობს მათ თანდათანობით გაერთიანებას მსხვილ მეურნეობაში. ამის მიხედვით პარტია აწარმოებს პრაქტიკულ მუშაობას სოფლად; ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობას უწევთ ეკონომიურ, ტეხნიკურ და აგროკულტურულ დახმარებას —მეურნეობის განვითარებაში მისი უშუალო დაინტერესების ზრდის ნიადაგზე და ამ დახმარებას უკავშირებთ მსხვილი სახელმწიფო და კოლექტიური მიწადმოქმედების პოზიციების გამაგრებას და გაფართოვებას.

„მხოლოდ ამგვარად, როცა პარტია მუშაობის ძირითად და მთავარი ამოცანის—მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების მოწყობის ამოცანის გადასაწყვეტად დაუკავშირებს ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობისათვის ყოველდღიურ, ფართო ორგანიზაციულ, ტეხნიკური და ეკონომიური დახმარების აღმოჩენას და კულაკების ზრდის გაძლიერებულ შეზღუდვას—პარტია შესძლებს შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანა — გახდეს სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების აწევის საქმის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“ (საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 კონფერენციის რეზოლიუციიდან).

აი, რას ამბობს, ამხანაგებო, მე-16 პარტკონფერენცია ჩვენი ძირითადი ამოცანების შესახებ სოფლად. ამგვარად, როცა ვატარებთ ჩვენს გენერალურ ხაზს მეურნეობის კოლექტიური ფორმების განსავითარებლად, სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის განვითარების გასაძლიერებლად, ოდნავადაც არ უნდა დავივიწყოთ ის უდიდესი როლი, რომელსაც დღემდე კიდევ თამაშობს და კვლავ ითამაშებს ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობა. ჩვენ ოდნავადაც არ შეგვიძლია დავივიწყოთ და არ უნდა დავივიწყოთ ის აუცილებელი დახმარება, რომელიც ვალდებული ვართ აღმოუჩინოთ ამ ინდივიდუალურ მეურნეობებს. უახლოესი ხუთი ან ათი წლის განმავლობაში ვერ შევსძლებთ გლეხურ მეურნეობათა უმრავლესობა გადავიყვანოთ მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე, ამგვარად, ინდივიდუალური მეურნეობანი მაინც აუცილებლად დარჩება კოლმეურნეობათა მოძრაობის ორბიტის გარეთ, ამხანაგებო, ინდივიდუალურ მეურნეობათ სამეურნეო საქმიანობის ფორმები და ტეხნიკური დონე იმდენად პრიმიტიულია, რომ ამ მეურნეობებისათვის მინიმალური დახმარების საშუალებით შეგვიძლია მივაღწიოთ არსებით სამეურნეო ეფექტს. სწორედ ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა როლი და ამიტომ ჩვენი ძირითადი ამოცანის გადაჭრასთან ერთად, სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული მშენებლობის დარგში ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის გატარებასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ დახმარების გაწევა ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს სადგილ-მამულო ორგანოებს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, რომელმაც ამ მხრივ უდიდესი მუშაობა უნდა ჩაატაროს სოფლად.

კოოპერატიული მშენებლობა სოფლად

მე უკვე ვსთქვი, ამხანაგებო, რომ მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირების დარგში უეჭველი მიღწევები აქვს ჩვენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. რასაკვირველია, კოოპერაციაში შეკავშირებულ მეურნეობათა 32 პროცენტი არ შეგვიძლია სავსებით საკმაო ციფრად ჩავთვალოთ, მაგრამ, ამხანაგებო, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ეს მოწმობს წინსვლას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ და მომავალში უეჭველად მივაღწევთ კოოპერაციაში გლეხურ მეურნეობათა შეკავშირების პროცენტის გადიდებას. გლეხურ მეურნეობათა 32 პროცენტის შეკავშირება კოოპერაციაში მაჩვენებელია იმისა, რომ კოოპერაცია ამ დარგში, უეჭველად საღ ნიადაგზე იდგა.

ამხანაგებო, რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ალებ-მიცემობას მოქცეული კოოპერაციით. და თუ ავიღებთ ჩვენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობას ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო სფეროში, მუშაობას ჩვენი გლეხური მეურნეობის საწარმოო კოოპერატიული შეკავშირების დარგში,—ნაკლებ საიმედო დასკვნამდე მივალთ. ჩვენ დღემდე არ გაგვიკეთებია ყოველივე ის, რაც საჭიროა ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის საწარმოო დახმარების აღმოჩენაც.

29 ივნისს „პრავდა“-მ გამოაქვეყნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ახალი დადგენილება ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ. ამ დადგენილებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, მან საფუძვლიანად უნდა შეცვალოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთელი მუშაობა. ამ დადგენილების ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ, პირველი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მთავარი ყურადღება მიაქციოს სწორედ საწარმოო-კოოპერატიულ შეკავშირებას, რათა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ თავისი ყურადღების 90 პროცენტი მიაქციოს ინდივიდუალური ღარიბ და საშუალო მეურნეობათა საწარმოო კოოპერატიულ მეურნეობას.

მეორე, ამ დადგენილების აზრი მდგომარეობს იმაში, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ თავის სალაროში მიიზიდოს გლეხობის თანხები. როცა ვლაპარაკობთ გლეხურ მეურნეობათათვის კრედიტის მიცემაზე სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ, ჩვენ არასწორ გამოთქმას ვხმარობთ. არსებითად, რომ ვსთქვათ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი გლეხობას კრედიტს კი არ აძლევს, არამედ ფინანსებს აწვდის სახელმწიფოს ხარჯზე. რა არის კრედიტის მიცემა? ეს ცნება გულისხმობს ურთიერთ ალებ-მიცემობას, მაგრამ ჩვენ ეს არა გვაქვს. ჩვენ ვიცით, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მიღებული ფული ნაწილდება გლეხებს შორის. ეს არის საქმის მხოლოდ ნახევარი, მე ვიტყოდი, ნახევარზე ნაკლები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მან თავის სალაროში მიიზიდოს გლეხების თანხები, რათა ამ თანხებს მიუმატოს თავისი და სახელმწიფოს თანხები გლეხობისათვის დასახმარებლად, მისთვის კრედიტის მისაცემად.

სამწუხაროდ, დადგენილება მხოლოდ ეხლახან მივიღეთ და ამიტომ ვერ მოვახერხეთ მისი საკმაოდ დამუშავება, რომ ყრილობისათვის წარგვედგინა დასამტკიცებლად რამე დამუშავებული ღონისძიებანი ან წინადადებანი ამ საკითხზე. ამიტომ იძულებულნი ვართ დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ყრილობის რეზოლიუციაში შევიტანოთ სათანადო პუნქტი იმის შესახებ, რომ პარტიის ცეკას დაევალოს შეუდგეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილებათა დამუშავებას და მის პრაქტიკულად განხორციელებას საქართველოში. ეს საჭიროა დაადგინოს ყრილობამ, რადგან, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვიდან გამოგზავნილი გადაწყვეტილებების განხორციელება ჩვენში რატომღაც კლიმატური თუ განსაკუთრებული ნიადაგის პირობების გამო ჩვეულებრივად იგვიანებს ორი-სამი-ოთხი-ხუთი თვით. სწორედ ამიტომ საჭიროა ყრილობამ დაავალოს ცეკას—განახორციელოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის, მისი საფუძვლიანად გარდაქმნის შესახებ.

კოლმეურნეობანი

ამხანაგებო, გადავდივარ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საკითხზე. მე მოვიყვანე საერთო ციფრები კოლმეურნეობათა ზრდის შესახებ საქართველოში. ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობა საქართველოში დაიწყო ორი-სამი წლის წინად. ორი წლის წინად კოლმეურნეობათა მოძრაობა საქართველოში უმნიშვნელო იყო. მხოლოდ 1925—26 წლიდან დაიწყო ეს მოძრაობა, არსებითად კი იგი განვითარდა სულ ორი წლის წინად, ამასთან, როგორც უკვე ვთქვი, ახლა ვხედავთ კოლმეურნეობათა ძლიერ, გიგანტურ ზრდას ჩვენს ქვეყანაში. თუ საერთო ციფრს დავანაწილებთ კოლმეურნეობათა მოძრაობის ცალკე დარგების მიხედვით, მივიღებთ შემდეგ სურათს: სასოფლო-სამეურნეო კოლმეურნეობის რიცხვი 1928 წლის 1 მაისისათვის შეადგენდა 13-ს, 1929 წლის 15 აპრილისათვის—19-ს, მომატებულია 6; სასოფლო-სამეურნეო არტელების რიცხვი 1928 წლის 1 იანვრისათვის იყო 31 და 1928 წლის 1 მაისისათვის—187, 1929 წლის 15 აპრილისათვის კი—315.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელების ძლიერ ზრდას ადგილი ჰქონდა 1928 წლის ოქტომბრის და 1929 წლის აპრილის პერიოდს შუა, ე. ი. მე-15 პარტყრილობის შემდეგ პერიოდში. ეს ადასტურებს, რომ სწორია პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილება, რომელმაც სტიმული მისცა გლეხობის ლტოლვას კოლმეურნეობისაკენ.

მეორე დასკვნა არის ის, რომ ყველაზე მეტია და მეტ სიმტკიცეს იჩენს კოლექტიური მეურნეობის სწორედ ეს ფორმა. საშუალო გლეხი ყველაზე უფრო მიდის სწორედ სასოფლო-სამეურნეო არტელში და არა კომუნაში. ეს სავსებით გასაგებია: გლეხები ფრთხილი ხალხია, განსაკუთრებით საშუალო გლეხები და მათ ეშინიათ შევიდნენ ისეთ კოლექტიურ მეურნეობაში, რომელიც ძალიან შორს აყენებს მათ ინდივიდუალურ სამეურნეო შესაძლებლობებს. ისინი არჩევენ უფრო მარტივ კოლექტიურ მეურნეობაში შესვლას, სადაც მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ პრაქტიკულად შეამოწმონ სამეურნეო საქმიანობის კოლექტიური ფორმის უპირატესობა ინდივიდუალური ფორმის წინაშე. მე მგონია, რომ ამ ფაქტიდან უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ჩვენ მომავალში კოლმეურნეობათა მშენებლობაში მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ პირვანდელ ფორმას, არ უნდა დავაფრთხოთ გლეხობა კოლმეურნეობის მაინც და მაინც უმაღლეს ფორმებში ჩაბმის სურვილით, ხელი უნდა შევუწყოთ მეურნეობის ამ პირვანდელ ფორმას, რათა

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

თანდათანობით გადავიყვანოთ მეურნეობანი მაღალ ფორმაზე.

მიწის საზიაროდ დამმუშავებელ ამხანაგობათა რიცხვი 1928 წ. 1 მაისისათვის შეადგენდა 271 და 1928 წლის 15 აპრილისათვის 722-ს (სასოფლო-სამეურნეო კომუნები, არტელები, სამანქანო ამხანაგობანი, ამხანაგობანი მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობანი), ამასთან სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების უმარტივეს ფორმათაგან 1929 წლის 15 აპრილისათვის იყო: სამანქანო ამხანაგობანი—65, სამელიორაციო ამხანაგობანი—26.

კოლმეურნეობათა რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ვხედავთ მათ ერთგვარ ხარისხობრივ გაუმჯობესებას. ასე, მაგალითად, თუ 1928 წლის 1 აპრილისათვის 1 კოლმეურნეობაზე მოდიოდა 15 მეურნეობა, ახლა 18 მეურნეობა მოდის 1 კოლმეურნეობაზე. ზრდა თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც უდავოა.

შემდეგ, ნათესი ხვნის კოლმეურნეობაზე 1928 წლის 1 აპრილისათვის საშუალოდ მოდიოდა 19,3 ჰექტარი, ახლა—32 ნახ. ჰექტარი. კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა პროცენტი ყველა გლეხურ მეურნეობასთან შედარებით 1928 წლის 1 აპრილისათვის შეადგენდა 0,8 პრ.-ს, ახლა შეადგენს—3,2 პრ.-ს; განსაკუთრებულ სახნავ მიწა შეადგენდა 0,8 პრ.-ს, ახლა შეადგენს—1,8 პრ.-ს და სხვ.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, პირველი, კოლმეურნეობათა მეტად დიდ რიცხვობრივ ზრდას, და, მეორე, მათ ერთგვარ გაუმჯობესებას ხარისხობრივად.

საბჭოთა მეურნეობები

ნება მომეცით ორიოდე სიტყვით დავახასიათო საბჭოთა მეურნეობის მდგომარეობა ჩვენში. ცენტრ. სტატ. სამმართველოს ცნობებით, ჩვენ გვაქვს 37 საბჭოთა მეურნეობა გამოსადეგი მიწის 33.994 ჰექტარის სივრცით. ამასთან, ამ რიცხვში შედიან ხე-ტყის რაიონები, მაგალითად, ჩაქვის, მუხურების მამულები და სხვ. ამ პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა, როგორც უკვე ვსთქვი, საბჭოთა მეურნეობების უეჭველ გაჯანსაღებას, მაგრამ მაინც საჭიროა აღვნიშნოთ საბჭოთა მეურნეობების არა მარტო ფინანსიურ-მატერიალური გაჯანსაღება, არამედ აგრეთვე აგროკულტურული მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებაც. უკანასკნელი ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ფილოქსერასთან საბრძოლველად, აგრეთვე სხვა ზოგიერთ საქმეში. არის მომენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ საბჭოთა მეურნეობანი, მართალია, ჯერ კიდევ ძლიან გაუბედავად, არასაკმაოდ, მაგრამ მაინც უკავშირდებიან გლეხურ მეურნეობას.

ხოლო ზედმეტია ლაპარაკი საბჭოთა მეურნეობების როლზე და გავლენაზე მახლობელი სოფლების გლეხური მეურნეობებისათვის აგროკულტურული დახმარების გაწევის და მათი კულტურული დონის ამაღლების მხრივ.

მაგრამ კოლექტიურ მეურნეობათა ზრდისა და გაუმჯობესების ამ დადებითი ფაქტებთან ერთად ჩვენ გვაქვს კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობებში მრავალი უარყოფითი მოვლენაც, რომლებიც, ამხანაგებო, საჭიროა აქვე, ყრილობაზე, აღვნიშნო, ვინაიდან თუ ისინი თავიდან არ ავიცილეთ, შეიძლება კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა ჩაფუშვამდე მივიყვანოთ.

ჩვენ კოლმეურნეობათა მშენებლობაში ისეთი უარყოფითი მოვლენებია, რომ მათი არ გამოსწორება ნიშნავს კოლმეურნეობრივ მოძრაობის შეფერხებას. ამიტომ იმ მიღწევებისა და დადებითი მხარეების აღიარებასთან ერთად, რომლებიც ჩვენ ამ დარგში გვაქვს, განსაკუთრებული ენერგიით უნდა აღვნიშნოთ ის დეფექტებიც, რომლებიც ჩვენ უეჭველად გვაქვს, ხმამაღლა ვაღიაროთ ისინი და გამოვასწოროთ.

როგორია, ამხანაგებო, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების ეს მნიშვნელოვანი დეფექტები? პირველი—როგორც კოლმეურნეობების, ისე საბჭოთა მეურნეობების ხაზით სინამდვილეში ჩვენ გვაქვს პატარა მეურნეობები. ამხანაგებო, ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლის მეურნეობის განმტკიცებაზე, იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის მიზნით, მისი ინტენსიფიკაციის, კულტურის მაღალ საფეხურზე და ტექნიკის მაღალ ბაზისზე აყვანის მიზნით, ჩვენ აუცილებლად უნდა შევძლოთ კოლ. და საბჭოთა მეურნეობების გაფართოება, გამსხვილება. ამავე დროს—კი გვაქვს ისეთი კოლექტიური მეურნეობანი, რომელთაც 5—6 და ზოგჯერ 9 ჰექტარზე მეტი მიწა არ მოეპოვებათ. გვაქვს ისეთი საბჭოთა მეურნეობები, რომელთაც 5—6, 10—15 დესეტინა უჭირავთ. ასეთი საბჭოთა მეურნეობები მე ვნახე კახეთში და დასავლეთ საქართველოში. კოლმეურნეობათა საშუალო ზომა, როგორც უკვე ვსთქვი, უკანასკნელ პერიოდში 19-დან 32 ჰექტარ გამოსადეგ მიწამდე ავიდა. მაგრამ, ამხანაგებო, 32 ჰექტარიც მეტად მცირე, უმნიშვნელო ციფრია (ადგილებიდან: თვითეულ კოლმეურნეობაში რამდენი გლეხის მეურნეობა შედის საშუალოდ?). საშუალოდ შედის 18 მეურნეობა.

ამხანაგებო, სიმართლეს თუ ვიტყვით, ჩვენში კულაკური მეურნეობებიც პატარა ზომისანი არიან. ჩვენი ეხლანდელი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები თავიანთ ზომით, საერთოდ, უახლოვდებიან რევოლუციის წინადროინდელ კულაკურ მეურნეობებს. ეს უკანასკნელნი, მაგალითად, კახეთში, გორის მაზრაში და სხვა ადგილებში უფრო დიდებიც იყვნენ.

მე ვამბობ, რომ 18 გლეხური მეურნეობა თვითეულ კოლმეურნეობაში საკმარისი არ არის, ამიტომ ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ არსებული კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების გაფართოება.

მე გაუგებრობად მიმაჩნია, როდესაც საბჭოთა მეურნეობას 5—6 ჰექტარი მიწა აქვს ან როდესაც აღმასკომებს აქვთ ასეთი ზომის საბჭოთა მეურნეობანი. ასეთი ნაკვეთები უნდა წარმოადგენდნენ საცდელ-საჩვენებელ მინდვრებს გლეხობისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პატარა საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც აღმასკომებს აქვთ, სრულებით არ წარმოადგენენ საცდელ-საჩვენებელ მინდვრებს გლეხური მეურნეობათათვის და ხშირად გლეხურ მეურნეობებზე დაბლაც კი სდგანან. ეს საბჭოთა მეურნეობები ყოველგვარ აზრს ჰკარგავს და სახელს უტეხენ იმ სახელმწიფო აპარატს, რომელიც ასეთი საშუალებით სცდილობს უჩვენოს გლეხობას, რომ მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობას უპირატესობა აქვს ინდივიდუალურის წინაშე.

კოლექტიურ მეურნეობათა დარგში ჩვენ გვაქვს მდგომარეობის ერთგვარი გაუარესება. თვითეულ კოლექტიურ მეურნეობაზე ამჟამად მოდის 31,4 ჰექტარი მიწა, ხოლო 1928 წელს მოდიოდა 32,4 ჰექტარი, ე. ი. გვაქვს შემცირება. ამხანაგებო, ცნობები კოლექტიურ მეურნეობათა შესახებ მიღებულია კოლმეურნეობის ცენტრიდან და მათ სინამდვილეში არავინაა პასუხისმგებელი. პასუხისმგებელია მარტო კოლმეურნეობრივი მოძრაობის „მეთაური" ვალოდია ცაგარელი.

მანქანების უხეიროდ გამოყენების წინააღმდეგ

ჩვენი მუშაობის მეორე დიდ ნაკლს წარმოადგენს მეტად მცირე ტექნიკური დაბანდება. მთელს საქართველოზე მოდის სამასამდე ტრაქტორი. ეს რაოდენობა საქართველოსთვის სრულებით საკმარისი არ არის, და, რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ასეთი მცირერიცხოვანი ტრაქტორებით სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე ლაპარაკი არ შეიძლება. გარდა იმისა, რომ ჩვენ ტრაქტორების მცირე რიცხვი გვაქვს, ამ რიცხვის სათანადო გამოყენებაც ვერ ხერხდება. განვითარების ეხლანდელ პერიოდში იმდენად ტრაქტორების სიმცირე არ გვაწუხებს, რამდენადაც მათი გამოყენების არ ცოდნა. საორგანიზაციო საკითხი, საკითხი რთული სასოფლო-სამეურნეო იარაღის გამოყენების შესახებ უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ამ იარაღის რაოდენობა. გლეხს საკითხი პრაქტიკულად აინტერესებს, მას სურს ყველაფერს ხელით შეეხოს და თუ ხედავს, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილი ტრაქტორი უფრო ცუდად მუშაობს, ვიდრე უღელი ხარი, ის არ მოისურვებს ასეთ ტრაქტორს. ამხანაგებო, ჩვენ უკვე გვაქვს იმის საშიში ნიშნები, რომ სოფლის ტრაქტორიზაციის იდეას შეიძლება სახელი გაუტყდეს.

ჩვენ უკვე გვაქვს თითო-ოროლა ფაქტი, როდესაც გლეხები თვით მოითხოვენ—მოგვაშორეთ ტრაქტორი. ქუთაისის მაზრის სოფელ თხილაურში არსებობს სამანქანო ამხანაგობა. ამ ამხანაგობის ერთი წევრი ამას წინად ჩამოვიდა ჩემთან თხოვნით, მოვაშოროთ ტრაქტორი, რადგან იგი ხელს გვიშლისო. გავკვირდი და ვკითხე—რატომ? მიპასუხა: „იმიტომ, რომ არ შეგვიძლია გამოვიყენოთ"—, რატომ არ შეგიძლიათ? იმიტომ, რომ მეტრაქტორე არაფრად ვარგა, ვერაფერს აკეთებს, ხოლო ადგილობრივი კომუნისტები, დახმარების ნაცვლად, ხელს გვიშლიან".

აი უპარტიო კაცის, მაგრამ დიდი აქტივისტის და არა უვარგისი გლეხის განცხადება. იგი იხდის 1 მან. 52 კაპ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, საშუალო გლეხზე ნაკლებს, და გვთხოვს—მოგვაშორეთ ტრაქტორი, რადგან ტრაქტორი მათ ხელს უშლის. მათი ტრაქტორი კი „ინტერნაციონალი"-ს მარკისაა.

საერთოდ შეცდომა იქნა დაშვებული თავიდანვე, როდესაც ჩვენ ისე გავფანტეთ ტრაქტორები მთელ საქართველოში. უნდა მომხდარიყო მათი დაგროვება ყველაზე უფრო საჭირო რაიონებში, რომ ამ საქმეს შესაფერი ეფექტი მოეცა. ამის ნაცვლად, ჩვენ დავარიგეთ თითო ოროლა ტრაქტორი მთელ საქართველოში და ამიტომ შედეგებსაც ვერ ვხედავთ. მათი ასეთი დაქსაქსვის გამო, ჩვენ ვხედავთ შემდეგ სურათს: „ფორძონ"-ს შეუძლია 150 ჰექტარის მოხვნა, ჩვენში კი ფაქტიურად ხნავს 75 ჰექტარს. „ხოლტ"-ს შეუძლია 250 ჰექტარის მოხვნა, ხნავს კი 130 ჰექტარს; „ინტერნაციონალ"-ს შეუძლია 300 ჰექტარის მოხვნა, ნამდვილად კი ხნავს 160 ჰექტარს. მარცვლის სარჩევ ტრიერს შეუძლია 6 ათასი ფუთი თესლის გარჩევა, ხოლო არჩევს ერთ ათასს. სალეწ მანქანას შეუძლია 30 ათასი ფუთი მარცვლის გალეწვა, ლეწავს კი მხოლოდ 20 ათასს.

ამრიგად, როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, ჩვენ არსებითად გვაქვს არა 300, არამედ 150 ტრაქტორი, იმიტომ რომ ისინი ნახევრად არიან დატვირთულნი. ეს სდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების ცუდი ექსპლოატაციის გამო.

ამხანაგებო, სასოფლო-სამეურნეო მანქანების არარაციონალური გამოყენების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს კახეთი. ჩვენ ამას წინად მოვახდინეთ კახეთის გამოკვლევა. ჩვენი ინსტრუქტორი ამხ. კორსაველი დიდხანს იჯდა კახეთში და იკვლევდა საქმეს. ბოლოს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კახეთში დაახლოვებით გვაქვს ორჯერ მეტი ტრიერი, ვიდრე საჭიროა მთელი სათესლე მარცვლეულის გასარჩევად. კახეთში ტრიერების დატვირთვა მხოლოდ 15 პროცენტს აღწევს. მე ეხლა არ მახსოვს ნამდვილი ციფრი, რომელიც გარჩეულ თესლს გვიჩვენებს: ალბად, კამათის დროს შევეხები იმას, რაც მე გამომრჩა, მაგრამ საერთო დასკვნა კი ისეთია, რომ კახეთში ტრიერების დატვირთვა არ აღემატება 15 პროცენტს (ხმა ადგილიდან: „ნაკლებია"). შეიძლება ნაკლებიც იყოს. იმ სავალალო ტექნიკის, მანქანების, ასე გამოყენება, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობის ეფექტიანობისათვის, ასეთი ხელმძღვანელობა ჩვენი მაზრების ხელმძღვანელი ამხანაგთა მხრით, ყოვლად დაუშვებელია. ამხანაგებო, ტრიერების იმ რიცხვით, რომელიც კახეთშია, შეიძლებოდა ერთი სხვა მაზრის დაკმაყოფილებაც და ამით საქმე მხოლოდ მოიგებდა. მაგრამ, ცხადია, ჩვენი ამხანაგები ადგილებზე ფიქრობენ, რომ ტრიერი თვითონ შევარდება გლეხის ეზოში და გასწმენდს თესლს. ამხანაგებო, თუ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების აპარატი ადგილებზე არ მიაქცევს ამ საკითხს სერიოზულ ყურადღებას, ჩვენ საქმეს წინ ვერ წავწევთ. პარტიის სამაზრო კომიტეტებმა, ისევე, როგორც ისინი თავიანთ მუშაობის დღის წესრიგში სვამენ ორგანიზაციულ პარტიულ საკითხებს, კომკავშირის საკითხებს და სხვ. და ყოველდღიურად არჩევენ, ამ საკითხებს სწყვეტენ, ასწორებენ და სხვ.—ასევე ყოველდღიურად და ყოველთვიურად უნდა დაამუშაონ სოფლის მეურნეობის საკითხები. სხვანაირად ჩვენ წინ ვერ წავალთ (ხმები: „მართალია"). მარტო მოთხოვნილების წარდგენა ცენტრში, მოლოდინი იმისა, რომ ყველა საკითხს ცენტრი გადაწყვეტს, არაფრად ვარგა. ცენტრის შესახებ ლაპარაკი ქვემოთ გვექნება, იქ შევეხები უდიდეს დეფექტებს ჩვენი ცენტრალური ხელმძღვანელების მუშაობაში. მაგრამ ვიმეორებ, მოთხოვნა, რომ მარტო ცენტრმა აგოს პასუხი ამ საქმეში და პრაქტიკულად ადევნოს თვალყური ყოველსავე იმას, რაც სოფლად ხდება, რასაკვირველია, სასაცილოა. საჭიროა, ჩვენი ქვედა პარტიული და საბჭოთა ორგანოები ამოქმედდნენ, საჭიროა მათ შეიგნონ, რომ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა აპარატს ეკისრება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ძირითადი მასიური მუშაობის გაძღოლა და მთელი პრაქტიკული საქმიანობა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დარგში (ხმები „მართალია"). სანამ ამას არ მივაღწევთ, ჩვენ არ გვექნება სერიოზული წინსვლა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში.

მესამე ნაკლი არის აგროპერსონალის ნაკლებობა ჩვენს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში. უმრავლეს შემთხვევაში კოლმეურნეობის ცენტრის აგრონომები და ინსტრუქტორები ჩვენს კოლექტიურ მეურნეობებს ესტუმრებიან მხოლოდ გასასეირნებლად და არავითარ რეალურ დახმარებას კოლმეურნეობის ცენტრის აგრონომები და ინსტრუქტორები ჩვენს კოლექტიურ მეურნეობებს არ უწევენ (ხმები: „მართალია").

კოლმეურნეობათა მიწადმოწყობა

მეოთხე ნაკლი, რომელიც კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში არსებობს, არის მიწის მოუწყობლობა და ის გაუგებრობა, რომელიც ამ ნიადაგზე ჩნდება კოლექტიურ მეურნეობებსა და გლეხებს შორის.

ამხანაგებო, მე თქვენ გიჩვენებთ მიწათსარგებლობის რუკა საქართველოში. აშკარაა, მიწათსარგებლობის ასეთ ფორმებში სასაცილო და გაუგებარია სერიოზულად ლაპარაკი სოფლის მეურნეობის კოლექტიური განსაზოგადოებული სექტორის შესახებ. ამიტომ პირველ რიგში უნდა გადასწყდეს კოლმეურნეობათა მიწადმოწყობის საკითხი. ეს არის ჩვენი დიდი მორიგი ამოცანა. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, კოლმეურნეობებზე უნდა ჩავატაროთ მიწადმოწყობა. საჭიროა გადაჭრით უარვყოთ მიწადმოწყობის მეთოდები, რომლებიც აქამდე იყო მიღებული და მოწონებული ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ.

რა გვქონდა ამ მხრივ დღემდე? ვთქვათ, სადმე, სოფელ კარდანახში, ეწყობა კოლექტიური მეურნეობა. მეურნეობის წევრები ირჩევენ სოფელში საუკეთესო მიწას. ეს მიწა ეკუთვნის არა კოლექტიურ მეურნეობაში შემავალ წევრებს, არამედ საშუალო და ღარიბ გლეხებს, მაგრამ კოლმეურნეობის წევრები აცხადებენ: „ჩვენ აქ გვინდა კოლექტიური მეურნეობის მოწყობა, რადგან აქ საუკეთესო მიწაა"-ო. იწყება საშუალო და ღარიბ გლეხთა მიწების ჩამორთმევა. პარტიის ზოგიერთმა სამაზრო კომიტეტმა დააკანონა ასეთი წესი და გამოსცა დადგენილება, რომ საჭიროა მიწადმოწყობა მოხდეს იქ, სადაც კოლექტიური მეურნეობა ეწყობა. ასეთია კახეთის სამაზრო კომიტეტის დადგენილება. ამ დადგენილებაში დაკანონებულია დებულება, რომ შეიძლება ღარიბებს და საშუალოებს ჩამოერთვათ მიწა კოლექტიური მეურნეობის მოსაწყობად. ამხანაგებო, ასეთი მიწადმოწყობის შედეგად სოფელში მივიღეთ მრავალი არასასიამოვნო ექსცესი. ეს არის გამაფრთხილებელი ხმა სოფლიდან. მე ვამტკიცებ, რომ თუ ჩვენ მომავალში ასე მასიურად შევაწუხებთ ღარიბ და საშუალო გლეხებს იმისათვის, რომ მოვაწყოთ კოლექტიური მეურნეობა, მეტად არა სახარბიელო ექსცესებს გამოვიწვევთ სოფლად (ხმები:—„მართალია").

იყო შემთხვევა, როდესაც გლეხებმა შეაჩერეს ავტომობილი, რომლითაც მაზრის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი მუშაკი მიდიოდა, უბრძანეს ჩამოსულიყო ძირს, მერე განუცხადეს, რომ სანამ ის არ დაშლის ამგვარად შემდგარ კოლექტიურ მეურნეობას, მანამ მას არ გაუშვებენ. ეს ფაქტი გვეუბნება, რომ ვილაცამ ამ საკითხში იმდენად გადაამლაშა, რომ შეიძლება მეტად არასასიამოვნო მოვლენებამდე მივიდეთ. არ შეიძლება, ამხანაგებო, დავუშვათ, რომ კოლექტიური მეურნეობის წევრებმა მიწა აირჩიონ იქ, სადაც მათ მიწა არა აქვთ, რომ საშუალო და ღარიბ გლეხებს ჩამოართვან მრავალი წლის ნაშენობა, რომ სხვის მიწაზე და სხვის შრომაზე ააგონ მათ კოლექტიური მეურნეობა. ამას შეუძლია ისეთი განხეთქილება ჩამოაგდოს კოლმეურნეობრივ მოძრაობასა და გლეხებს შორის, შეუძლია ისე გაუტეხოს სახელი კოლმეურნეობრივ მოძრაობას, რომ სამუდამოდ დავკარგოთ გლეხობის ნდობა ჩვენდამი. სწორედ ამიტომ აქვს ზოგიერთ ჩვენს სოფელში გასავალი კულაკების აგიტაციას კოლმეურნეობათა წინააღმდეგ, აგიტაცია იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმიტომ სურს შექმნას კოლექტიური მეურნეობანი, რომ ყველაფერი ჩამოგვართვასო.

ამ საკითხზე მე იმიტომ შევჩერდი ამდენ ხანს, რომ იგი მიმაჩნია ჩვენი სოფლად მუშაობის საფუძველთა საფუძვლად (ხმები: „მართალია").

მოსავლიანობა კოლმეურნეობებში

ბოლოს, ამხანაგებო, უნდა აღვნიშნოთ მეტად მცირე მოსავლიანობა კოლმეურნეობებში. სამწუხაროდ, მე ვერ მივიღე ცნობები კოლმეურნეობათა მოსავლიანობის შესახებ. სხვათა შორის, კოლმეურნეობათა ცენტრში არა აქვთ ძირითადი მაჩვენებლები კოლმეურნეობათა ეფექტიობის შესახებ, მაგრამ იმ ცნობებთან, რომლებიც შეგროვილია საექსპერტო წესით ჩვენი კოლმეურნეობის მცოდნე ამხანაგებთან საუბრის დროს გამოდის, რომ ჩვენი კოლმეურნეობების მოსავლიანობა არ აღემატება კულაკურ მეურნეობათა მოსავლიანობას, ხოლო ზოგან მოსავლიანობა ნაკლებიც არის.

რასაკვირველია, მოსავლიანობა კოლმეურნეობებში აღემატება ღარიბ მეურნეობათა მოსავლიანობას. ეს იმიტომ, რომ ღარიბ მეურნეობებს სულ არ მოეპოვებათ საწარმოო საშუალებანი და ამის გამო მიწას ისინი განსაკუთრებით პრიმიტიულად ამუშავებენ. მაგრამ თუ კოლექტიურ მეურნეობებს შევადარებთ საწარმოო საშუალებებით ყველაზე უფრო უზრუნველყოფილ კულაკურ მეურნეობებს, დავინახავთ, რომ მოსავლიანობა კოლმეურნეობებში დიდი არ არის, პირიქით ზოგიერთ ადგილას ნაკლებიც არის, ვიდრე კულაკურ მეურნეობებში.

ცრუ კოლექტივები

ცხადია, ამხანაგებო, რომ ასეთი მდგომარეობა სავსებით არანორმალურია. კოლმეურნეობებმა, უპირველეს ყოვლისა, გლეხებს უნდა დაუმტკიცონ, რომ შრომის მინიმალური დახარჯვით მიწის განსაზღვრულ სივრცეზე, კულტურული დამუშავების წყალობით, შეიძლება გაცილებით მეტი მოსავლის მიღება, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობაში.

შემდეგ, ამხანაგებო, უნდა აღვნიშნო, რომ ცრუ კოლმეურნეობათა დიდი პროცენტი განსაკუთრებით სამანქანო ამხანაგობებს შორის არის. იმავე კახეთში სამანქანო ამხანაგობათა უმრავლესობა ცრუ - გაერთიანებებია,—ესენი არიან კულაკური სამანქანო ამხანაგობანი, რომლებიც არსებითად ეწევიან საწარმოო საშუალებათა ექსპლოატაციას გლეხურ მეურნეობებზე, და ამით კიდევ მეტად უვლეფენ ღარიბ გლეხებს.

აი, ის ძირითადი დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვთ კოლმეურნეობრივი მოძრაობის დარგში. მე შემეძლო მოვიყვანო კიდევ სხვა ფაქტები, ჩვენი კოლმეურნეობათა მშენებლობის დეფექტები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს საჭირო არ არის. თუ კამათის დროს გაილაშქრებენ ჩემი აზრის წინააღმდეგ, ამ ფაქტებს მოვიყვან საბოლოო სიტყვაში.

კოლმეურნეობათა გაფართოება

კოლმეურნეობათა გაფართოების და კოლმეურნეობრივი მშენებლობის გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გადაისინჯოს მიწის და მეურნეობათა ის ნორმა, რომელიც აუცილებელია კოლმეურნეობათა მოსაწყობად. სულ ცოტა 10 მეურნეობას (მიწის განსაზღვრული რაოდენობით) შეუძლია შექმნას კოლექტიური მეურნეობის ესა თუ ის ფორმა. მე ვფიქრობ, რომ ეს ნორმა, რომელიც ჩვენ ავიღეთ, მეტად დაბალია, მან ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. საჭიროა შევისწავლოთ ეს საკითხი და გამოვარკვიოთ—შეიძლება თუ არა ამ ნორმის გადიდება. მე არ ვამბობ, რომ ყრილობამ დაადგინოს ამ ნორმის აუცილებლად გადიდება. შეიძლება საკითხის შესწავლის პროცესში მივიდეთ სხვა დასკვნამდე: გლეხობა იმდენ სიფრთხილეს იჩენს კოლექტივიზაციის საქმეში, რომ იქნებ მან არ მოისურვოს უცებ დასთანხმდეს დიდ გაერთიანებაზე. თუ ასე იქნება, მაშინ, რასაკვირველია, უკეთესია ნელი ტემპით სვლა, უკეთესია შევქმნათ პატარა კერები და შემდეგ ისინი გავაერთიანოთ დიდ მეურნეობებად, ვიდრე გლეხებს უცებ დავაფრთხოთ და არ მივცეთ მათ საშუალება შევიდნენ ჩვენს კოლმეურნეობებში.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები

საჭიროა ამ საკითხის შესწავლა. მეურნეობის გაფართოების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ტრაქტორიზაციის განვითარებას. ვფიქრობ, რომ ტრაქტორების არსებული რიცხვის დროს საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ შევსწყვიტოთ ის დაქსაქსულობა, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი, საჭიროა ტრაქტორებს თავი მოუყაროთ განსაზღვრულ ცენტრებში. ტრაქტორები უნდა გავგზავნოთ ისეთ რაიონებში, სადაც მათ მაქსიმალური სამეურნეო ეფექტის მოცემა შეუძლიათ (ხმა ადგილიდან: „გორის მაზრაში, კახეთში"). დიახ, ამხანაგებო, კახეთში, გორში. ეს ადგილები მარცვლეულის ძირითადი რაიონებია, უნდა გავგზავნოთ აგრეთვე სამეგრელოში. ამიტომ, ამხანაგებო, უნდა დავსვათ ტრაქტორების დაქსაქსვის შეწყვეტის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი დიდი ხანია გამოითქვა, ამას წინად მიღებული ტრაქტორები ცალ - ცალკე დაარიგეს. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ეხლა საჭიროა არსებულ ტრაქტორებს მოუყაროთ თავი, შევქმნათ სამანქანო - სატრაქტორო სადგური და სატრაქტორო კოლონები და ამით მივაღწიოთ იმას, რომ ტრაქტორმა მაქსიმალური ზეგავლენა მოახდინოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე.

ამხანაგებო, შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობა (უკრაინაში) უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. არსებითად აგრონომ მარკევიჩის მიერ შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოწყობა არის პრაქტიკული განხორციელება ლენინის იდეისა სოფლის მეურნეობისათვის ენერგეტიული ბაზის შექმნის შესახებ—არც მეტი, არც ნაკლები. სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოწყობის ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიური აზრი სწორედ ის არის, რომ, ჯერ—ერთი, აგრონომი მარკევიჩი საქმით, პრაქტიკულად უმტკიცებს მთელ მსოფლიოს და, პირველ რიგში, რუსეთის გლეხობას, რომ ენერგეტიული ბაზის შექმნის იდეა, ის იდეა, რომელიც მოგვცა პარტიის ბელადმა ლენინმა, — ეს იდეა არის არა ქიმერა, არა უტოპია, არამედ რეალური სინამდვილე. იგი ამტკიცებს, რომ სოფლის მეურნეობის ენერგეტიული ბაზისის შექმნა სავსებით შესაძლებელია.

მეორე — სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოწყობის აზრი ის არის, რომ იგი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარების ერთ-ერთ მეთოდს. ზოგიერთი ამხანაგი შეცდომით უპირისპირებს სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს კოლექტიურ მეურნეობებს. ისინი ფიქრობენ, რომ სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოწყობის შემდეგ ყოველგვარი აზრი ეკარგება კოლმეურნეობათა მოწყობას. მეტიც: ისინი ფიქრობენ, რომ სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოწყობის შემდეგ საჭიროა კოლმეურნეობათა ლიკვიდაცია. ეს არასწორი და მეტად შემცდარი თვალსაზრისია. სამანქანო - სატრაქტორო სადგური თავისთავად მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს, იგი წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც აჩქარებს სოფლის კოლექტივიზაციას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი დაპირისპირება კოლექტიური მშენებლობისათვის სოფლად.

ამხანაგებო, სამანქანო - სატრაქტორო სადგურში შეიძლება შედიოდეს როგორც მთელი სოფელი, როგორც ინდივიდუალური გლეხი, ისე კოლმეურნეობა. მე ვფიქრობ, რომ საფუძველს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობისათვის საბჭოთა კავშირშიაც, უკრაინაშიაც და ჩვენშიაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა წარმოადგენდნენ საბჭოთა მეურნეობანი და კოლექტიური მეურნეობანი. იქ, სადაც ისინი არსებობენ, იქ, სადაც ისინი დაკავშირებულნი არიან გლეხურ მეურნეობასთან, სწორედ იქ უნდა მოეწყოს სატრაქტორო სადგურები. ასეც მოხდა, ამხანაგებო. განა უკრაინის პრაქტიკა ამის დადასტურებას არ წარმოადგენს? უკრაინაში სამანქანო-სატრაქტორო სადგური ხომ იმიტომ მოეწყო შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, რომ საბჭოთა მეურნეობა წარმოადგენდა დასაყრდენ პუნქტს სადგურის მოსაწყობად და შემდეგში უკვე სადგურმა გაავრცელა თავისი გავლენა მეზობელ გლეხობაზე, იგი აერთიანებს 41 სოფელს და ამუშავებს 30 ათასამდე დესეტინა მიწას გლეხების 8 საათის მუშაობით.

ეს უდიდესი მიღწევაა.

ჩვენში, საქართველოში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოსაწყობად დიდი შესაძლებლობებია. მართალია, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის შენახვის თვითღირებულება ჩვენში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე უკრაინაში, ხოლო შედეგები საგრძნობლად უფრო დაბალი. მაგრამ საერთოდ და მთლიანად, გამოანგარიშების შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ უკრაინაშიაც, საბჭოთა კავშირშიაც, კაზახსტანშიაც და საქართველოშიაც დამუშავება სამანქანო-სატრაქტორო სადგურის საშუალებით 50 პროცენტით იაფ ჯდება მუშა საქონლის ძალით დამუშავებაზე. ჩვენში, საქართველოში, 1 დესეტინა მიწის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის საშუალებით დამუშავება თვალსაჩინოდ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე უკრაინაში. მაგრამ ხარებით დამუშავებაც ხომ ბევრად უფრო ძვირი ჯდება.

ამხანაგებო, აგრონომმა მარკევიჩმა გამოსცა სპეციალური წიგნი, რომელსაც ეწოდება „სასოფლოთაშორისო სამანქანო - სატრაქტორო სადგურები". მე ლაპარაკი მქონდა საქართველოს სახელგამთან იმის შესახებ, რომ საჭიროა საჩქაროდ გადმოითარგმნოს და გამოიცეს ეს წიგნი ქართულ ენაზე, თუ მთლიანად არა, მისი ძირითადი ნაწილი მაინც. ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოს ყოველმა სოფლელმა კომუნისტმა, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც უმალ შეიძლება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობა. აგრონომ მარკევიჩის ეს წიგნაკი უნდა გადაიქცეს პოპულარულ წიგნაკად საქართველოში. ამ წიგნაკს დიდი გაქანება აქვს. აგრონომ მარკევიჩს სრულიად სხვა საზომები აქვს, ვიდრე ჩვენ, არა მარტო სპეცებს, არამედ კომუნისტებსაც. ეს წიგნაკი ყველამ უნდა წაიკითხოს. რადგანაც იგი განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაშია, მას მხოლოდ განსაზღვრული წრე კითხულობს. მიწა-ტყის მუშათა კავშირმა ამ ცოტა ხნის წინად თბილისში მოიწვია აგრონომების თათბირი, რომელზედაც დაისვა საკითხი საქართველოში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ.

გარდატეხა ჩვენს სპეციალისტებში

სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო ის გარდატეხა პროფესორ ამირეჯიბის განწყობილებაში, რომელიც მან ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში განიცადა. ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინად იგი გადაჭრით ილაშქრებდა სოფლის მეურნეობის მაშინიზაციის წინააღმდეგ და ამტკიცებდა ხარით და კამეჩით დამუშავების რენტაბელობას ტრაქტორით დამუშავებასთან შედარებით. იგი ამტკიცებდა, რომ მაშინიზაციას სოფლად, საქართველოს სპეციფიურ პირობებში, არა აქვს ის აზრი, რაც რუსეთის ველებიან ადგილებში და გვირჩევდა მუშა საქონლის ძალით დამუშავების შენარჩუნებას.

ბუნებრივია, რომ ჩვენ არ შეგვეძლო უპასუხოდ დაგვეტოვებია პროფესორ ამირეჯიბის ასეთი აზიური განწყობილება, ასეთი კონსერვატიზმი, მით უფრო, რომ იგი სათავეში უდგას საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამანქანო-საცდელ სადგურს, ე. ი. ფაქტიურად და პრაქტიკულად შეუძლია თავისი განწყობილებით გავლენა მოახდინოს ჩვენი სოფლის მაშინიზაციაზე. ამიტომ მე მინდა აღვნიშნო, რომ პროფესორ ამირეჯიბის განწყობილება და მსოფლმხედველობა, სამანქანო-სატრაქტორო საცდელი სადგურის მოწყობის შემდეგ, მარკევიჩის წიგნის წაკითხვის შემდეგ, ძირიანად შეიცვალა, მის განწყობილებაში მოხდა დიდი გარდატეხა და ეხლა პროფესორი ამირეჯიბი გამოდის სოფლის მაშინიზაციის ყველაზე ავტორიტეტულ და თავგამოდებულ დამცველად. ამავე დროს იგი გამოვიდა არა დეკლარატიულად, არამედ ციფრებით ხელში, იგი ამბობდა, თუ რა დაჯდება მაშინიზაცია, რა ეფექტს გამოიღებს იგი, რა უპირატესობა აქვს მას ხარით და კამეჩით დამუშავებასთან შედარებით და სხვ.

ერთი სიტყვით, პროფესორი ამირეჯიბი პირველად შეეცადა ციფრებით გამოეხატა ის, თუ რად შეიძლება ჩამოყალიბდეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა ჩვენში.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ეხლა არიან სხვა პროფესორები, რომელნიც მიმდინარე წელს პროფესორ ამირეჯიბის ადრინდელ როლში გამოვიდნენ.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თათბირს, რომელიც მოწვეულ იქნა თბილისში მიწა-ტყის მუშათა კავშირის ინიციატივით, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ჩვენმა სადგილ-მამულო ორგანოებმა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები, რომ კავშირის ინიციატივა არ მიყრუვდეს და რომ შესაძლებელი გახდეს მისი პრაქტიკულად განხორციელება.

სატრაქტორო რაზმები

მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობას აქვს განსაკუთრებული თავისებურობანი, ჩვენ არ შეგვიძლია დავეყრდნოთ მხოლოდ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობას. სამანქანო-სატრაქტორო სადგური მოითხოვს, რომ მის ირგვლივ 5.000 ჰექტარი მიწა მაინც იქნას თავმოყრილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი რენტაბელური არ იქნება. ამავე დროს კი ჩვენ ყველა რაიონში როდი შეგვიძლია გამოვყოთ 5.000 ჰექტარი სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მუშაობისათვის. ამიტომ საჭიროა დაისვას საკითხი სატრაქტორო რაზმების მოწყობის შესახებაც. რა თქმა უნდა, თავიანთი ტექნიკური განვითარებით ისინი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე დაბლა დგანან, იმიტომ, რომ სატრაქტორო რაზმი ერთ ადგილას არ მუშაობს, ადგილს იცვლის, ამის გამო გლეხობა მტკიცედ არ არის დარწმუნებული, რომ ეს ენერგეტიული ბაზისი მის მახლობლად იქნება ყოველ წელს და ამიტომ რქოსანი საქონლის შენახვას ვერ ბედავს.

მაგრამ, ამხანაგებო, თუ, ჯერ-ერთი, მხედველობაში მივიღებთ საქართველოს სპეციფიურ პირობებს და, მეორე, იმ ფაქტს, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა ძალიან ძვირი ჯდება, ჩვენ ვერ შევძლებთ ერთბაშად მოვაწყოთ ისინი ყველგან. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობასთან ერთად, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ სამანქანო-სატრაქტორო რაზმების მოწყობასაც. სწორედ ამ გზას დაადგა რუსეთის ს.ფ.ს.ს. რესპუბლიკა, იმიტომ, რომ იქ არის ისეთი რაიონები, სადაც ყველგან არ შეიძლება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობა. მაგრამ, ამხანაგებო, ისე უნდა მოველოდეთ, რომ მოსალოდნელ წლებში, თუ გნებავთ 10—15—20 წლისთავშიაც კი, ჩვენ შევძლებთ საქართველოს ყველა რაიონში მოვსპოთ მიწის დამუშავება საქონლით. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენ ამისათვის სახსრები არ გვეყოფა, მაგრამ ამ საკითხსაც რომ გვერდი ავუხვიოთ, ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩვენი ქვეყნის რელიეფი—საქართველოს მთაგორიანი რაიონები, სადაც, კლიმატიური და ატმოსფერული პირობების გამო, ტრაქტორს არ შეუძლია იმუშაოს, ან და მისი მუშაობა ფუჭად მიდის. მაშასადამე, ჩვენ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ მუშა-საქონლის მოშენება-გაუმჯობესებაზედაც, პირადად მე მიმაჩნია და მოვითხოვ, რომ ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშა ცხენის მოშენება-გაუმჯობესებას. (ხმა: „მართალია!")

ხელმძღვანელობის და კადრების საკითხები

ამგვარად, ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ძირითად ამოცანას გაფართოებისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე წარმოადგენს ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის თანდათანობით გადასვლა მსხვილი განსაზოგადოებული წარმოების რელსებზე. დღემდე განსაზოგადოებული სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა ჩვენს პირობებში უმნიშვნელოა. ეს აიხსნება, ჯერ-ერთი, იმით, რომ ეს საქმე საქართველოში დაწყებულ იქნა ამ ცოტა ხნის წინად. მეორე და უმთავრესად იმით, რომ ჩვენ ვერ შევძელით უზრუნველგვეყო გლეხობის ლტოლვა კოლექტიური მეურნეობისაკენ სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებებით, რათა ჩამოგვეყალიბებინა გლეხობის ეს განწყობილება და ორგანიზაციულად განგვემტკიცებინა იგი.

ამასთან ერთად ჩვენს განსაზოგადოებულ სექტორში ადგილი აქვს მთელ რიგ უაღრესად ავადმყოფურ არასასურველ მოვლენებს, რომლებსაც აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მოვლენებს შეუძლიათ გამოიწვიონ კოლექტიური მოძრაობის იდეის სახელის გატეხა გლეხობის მასაში.

ხელმძღვანელობა მოიკოჭლებს

საჭიროა, ამხანაგებო, აღინიშნოს მეტად არასაკმაო და არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობათა მშენებლობის მიმართ კოლმეურნეობათა ცენტრის მხრივ და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრივ (ხმები: „მართალია!")

ამის დასამტკიცებლად მე ცოტა დავჩქარდები და ვიტყვი, რომ ჩვენი პარტიის სამაზრო კომიტეტების, განსაკუთრებით სათემო კომიტეტების ოქმების გაცნობის დროს ჩვენ თითქმის ვერც ერთ ოქმში ვერ შევხვდით კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხის დასმას. ეს იმას მოწმობს, რომ პარტიის სამაზრო კომიტეტები, სათემო კომიტეტები და, საერთოდ, კომუნისტები ძალიან მცირე ყურადღებას აქცევდნენ კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხებს. (ხმები: „მართალია!") ამავე დროს, ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხები, ე. ი. სხვა სიტყვით — სოფლად პარტიის გენერალური ხაზის გატარების საკითხები სოფლის ორგანიზაციების მუშაობის ქვაკუთხედს უნდა შეადგენდნენ. ჩვენი სამაზრო ორგანიზაციების მუშაობა უნდა იზომებოდეს სწორედ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ემსახურებიან ისინი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ძირითად იდეას, რამდენად ანხორციელებენ ისინი პრაქტიკულად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და განსაზოგადოების იდეას. ჯერ-ჯერობით ჩვენ ამას ვერ ვხედავთ.

მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა შემდეგი მშენებლობა აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს საწარმოო დახმარებას, რომელიც უნდა გაეწიოს ღარიბი და საშუალო გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობებს. კოლექტიური მშენებლობისა და ინდივიდუალური მეურნეობების ერთმანეთთან დაპირისპირება საფუძველშივე შეცდომას წარმოადგენს. ეს ეწინააღმდეგება პარტიის გენერალურ ხაზს. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის დროს ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომლებსაც უდიდესი პოტენციალური შესაძლებლობანი აქვთ თავიანთი შემდეგი განვითარებისათვის.

საუკეთესო მუშაკები კოლმეურნეობებს

ამიტომ საჭიროა უზრუნველვყოთ კოლექტიური მეურნეობანი საუკეთესო მუშაკებით როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ის მუშაკები, რომლებიც ამჟამად კოლექტიურ მეურნეობებში მუშაობენ, მეტის-მეტად სუსტად არიან მომზადებულნი. (ხმები ადგილიდან: „მართალია!"), მათ შორის არიან ყოფილი თავადები, ყოფილი მღვდლები, ნამდვილი თავადები. ჩვენ ამას დავამტკიცებთ მოხსენებაში და საბოლოო სიტყვაში, თუ ვინმე უარჰყოფს მას. (ხმა ადგილიდან: ნამდვილი თავადები?). დიახ, ნამდვილი თავადები თავიანთი სულისკვეთებით, თავიანთი მავნებელი დამოკიდებულებით საბჭოთა მშენებლობისადმი. ეს პირები კოლექტიური მეურნეობის ყველა ორგანიზაციაში იჭრებიან იმის წყალობით, რომ ასე თუ ისე ზურგი აქვთ გამაგრებული რომელიმე კომუნისტისაგან.

ამხანაგებო, კოლექტიური მეურნეობის მშენებლობის საუკეთესო მუშაკებით უზრუნველყოფა შეუძლებელია ისე, თუ არ მოვამზადებთ მუშაკების ახალ კადრებს. მუშაკები მზამზარეულად არ იბადებიან, კოლექტიური მეურნეობა კი ახალი საქმეა. ჩვენ ეხლავე გვაქვს ერთგვარი გამოცდილება ამ მხრით. განსაკუთრებით მხედველობაში უნდა მივიღოთ უკრაინისა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკების გამოცდილება. ჩვენ უნდა შევისწავლოთ კოლექტიური მეურნეობის მშენებლობა უკრაინასა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში, მანქანა-ტრაქტორების სადგურები, მანქანა-ტრაქტორების რაზმები და სხვა, ეს საკითხი ეხლა გადაჭრით უნდა დაისვას. ამ დარგში ჩვენ წინ ვერ წავიწევთ, თუ არ მოვამზადებთ კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკებს. სასაცილოა ფიქრი იმაზე, რომ უცოდინარს და ნაკლებად მცოდნე გლეხს დიდხანს შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს კოლექტიურ მეურნეობას.

კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებისათვის საჭირონი არიან ისეთი ხელმძღვანელნი, რომლებსაც შეუძლიათ გამოანგარიშება, ჩაწერა, და საქმის ისე წაყვანა, რომ კოლექტიური მეურნეობა კარგად იყოს მოწესრიგებული. გლეხს შეუძლია კარგად მოაწყოს კოლექტიური მეურნეობა, მაგრამ ის კარგი ხელმძღვანელი ვერ იქნება. ამიტომ ვხედავთ სხვადასხვა დეფექტებს კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობაში.

შრომის სწორი განაწილებისათვის საჭიროა არითმეტიკის ცოდნა, ვინაიდან აქ საჭიროა მათემატიკური გამოანგარიშება იმისა, თუ ვის რამდენი შრომა უნდა დაეკისროს. კოლექტიურ მეურნეობებში შრომის განაწილების არასწორი ორგანიზაცია ხშირად მათი დაშლის მიზეზად ხდება.

კულაკის წინააღმდეგობა უნდა დავსძლიოთ

ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ კოლექტიურ მეურნეობებში არა გვყავნან კარგად მომზადებული, სათანადო მუშაკები. კოლექტიურ მეურნეობათა კულტურული დონე გაცილებით უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე დანარჩენი გლეხობის კულტურული დონე, ჩვენში კი, სამწუხაროდ, კოლექტიურ-მეურნეობრივი მოძრაობის ბელადთა კულტურული დონე მთელი გლეხობის კულტურულ დონეზე მაღალი არ არის, ზოგჯერ კი უფრო დაბალიც არის. ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. უნდა მოვამზადოთ მუშაკების კადრები კოლექტიურ-მეურნეობრივი მოძრაობისათვის. ბოლოს, უკანასკნელი დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიყვანოთ ზემოთქმულიდან, შემდეგია: განვითარების დღევანდელ ეტაპზე ჩვენ სოფლად ვხედავთ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. კულაკი წინააღმდეგობას უწევს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს მთელი თავისი ძალ-ღონით, საშუალებით. არ არსებობს ისეთი უაღრესად უმსგავსო ხასიათის საშუალება, რომელსაც კულაკი არ იყენებდეს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების წინააღმდეგ: პროვოკაცია კოლექტიურ მეურნეობათა წინააღმდეგ, პროვოკაცია ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების ცალკე ფენებს შორის, დაქრთამება, რასაკვირველია, არა პირდაპირის აზრით. შესაძლებელია, რომელიმე აღმასკომის აპარატის ესა თუ ის მოხელე ქრთამებს იღებდეს, მაგრამ, ბოლოსა და ბოლოს, ამას ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს. კულაკი გაცილებით უფრო ეშმაკია და მოხერხებული...

მაგალითად, კახეთში არის ისეთი შემთხვევები, როცა კულაკი მიდის თემაღმასკომში, ან გლეხკომში და აცხადებს: „მე დამბეგრეს ინდივიდუალური წესით, დამარქვეს კულაკი და წამართვეს საარჩევნო ხმის უფლება იმიტომ, რომ მე მაქვს რაღაც ბაღი. რომ ასეთი ლაპარაკი აღარ მოხდეს, რომ არ წამართვან საბჭოთა მოქალაქის უფლებანი, შემომწირია ეს ჩემი ბაღი". და ყოფილან ისეთი ჭკუის კოლმეურნეობები, რომლებიც აღადგენდნენ ხოლმე ასეთ კულაკს უფლებებში, რადგან ფიქრობდნენ, რაკი კულაკი სწირავს ბაღს ან ორას მანეთს კლუბის ასაგებად, იგი საზოგადოებრივად სასარგებლო კულაკია, საბჭოთა კულაკია და აღდგენილ უნდა იქნას უფლებებში.

ასეთი მეთოდი კულაკების ბრძოლისა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაკვირველია, ყველაზე საშიშია, რადგან ისინი ნიღაბჩამოფარებულნი, ეშმაკური ხრიკებით მოქმედობენ და ყველა კომუნისტს, მაზრის ხელმძღვანელს, ყოველთვის არ შეუძლია მიუხვდეს კულაკებს ამ ეშმაკურ ხრიკებს. მაგალითებზე შემდეგ შეგვიძლია მოვილაპარაკოთ. კლასობრივი ბრძოლის ეს გამწვავება გვავალებს—უფრო მეტი სიფხიზლე და სიფრთხილე გამოვიჩინოთ და უფრო მკაფიო კლასობრივი ხაზი გავატაროთ სოფლად. კულაკისა და მისი თავხედობის წინააღმდეგ შეგვიძლია წარმატებით ვაწარმოოთ ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიის ირგვლივ დავრაზმავთ გლეხობის ღარიბ-საშუალო მასებს. ამ პირობის გარეშე, სოფლის მოსახლეობის ფართო ფენებში პარტიის ლოზუნგების გავრცელების გარეშე, სოფლად პრაქტიკულ მუშაობაში სწორი ხაზის განხორციელების გარეშე, პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ ღარიბ-საშუალო ფენების დარაზმვის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ კლასობრივი ხაზის გატარებას ბოლომდე, ვერ შევძლებთ კულაკის იმ გაძლიერებული წინააღმდეგობის დაძლევას, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი.

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კლასობრივი ბრძოლა სრულებითაც არ სწყდება, იგი მხოლოდ სხვა ფორმებს, ზოგჯერ უფრო მწვავე ფორმებს ღებულობს, ვიდრე პროლეტარიატის დიქტატურამდე, ამასთან, კლასობრივი ბრძოლა თავისი განვითარების განსაზღვრულ პერიოდებში იზრდება და ნელდება. კლასობრივი ბრძოლის ზრდა ეხლა, კულაკების წინააღმდეგობის გაძლიერება, შეტევა ჩვენს საზოგადოებრივ პოზიციებზე,—ყოველივე ეს წარმოადგენს სოფლად ჩვენი ზრდის შედეგებს. კოლმეურნეობათა სწრაფი ტემპით ზრდა სოფლად გაფართოებულ წინააღმდეგობას იწვევს კულაკების მხრივ, რადგან კულაკები ხედავენ, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობა ასეთი ტემპით იწარმოება, ეს ყველაზე უწინარეს მათ გაუთხრის სამარეს. ეს წინააღმდეგობა გაგრძელდება და გაძლიერდება ერთ ხანობამდე. კლასობრივი ბრძოლა გაძლიერდება იმ დრომდე, სანამ სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, საგრძნობლად [illegible] გაუსწრებს კერძო სექტორს, ე. ი. იმ დრომდე, სანამ განსაზოგადოებული სექტორი, განსაკუთრებით სოფლად, არ გახდება სოფლის მეურნეობის განვითარების გადამწყვეტი, მთავარი ფაქტორი.

სოფლის მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმა

ამხანაგებო, ერთ-ერთს უდიდეს დეფექტს ჩვენს მუშაობაში სოფლის მეურნეობის განსავითარებლად წარმოადგენს ის გარემოება, რომ დღემდე სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა სერიოზულად, პრაქტიკულად არ არის დაკავშირებული საერთო-საკავშირო გეგმასთან, აგრეთვე ამიერ-კავკასიის მეზობელი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმებთან.

ჩვენ თეორეტიულად ყველანი ვაღიარებთ, რომ საქართველოს გამოყოფა დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულად, საქართველოს სახალხო მეურნეობის გეგმის აშენება ეროვნულად შეზღუდულ ფარგლებში წარმოუდგენელია. ჩვენი გეგმა, იქნება იგი სახალხო მეურნეობის განვითარების გენერალური გეგმა, თუ სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა გეგმა, სავსებით და მთლიანად დაკავშირებული უნდა იყოს გენერალურ გეგმასთან და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის, განსაკუთრებით, უკრაინის ღონისძიებებთან, პირველ რიგში კი იმ ღონისძიებათა გეგმასთან, რომლებიც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ხორციელდებიან. სამწუხაროდ, ამას დღემდე ვერ ვხედავთ. ვიმეორებ, საერთოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა დაკავშირებული უნდა იყოს მეზობელი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმასთან. იმ საკონტროლო ციფრებს გარდა, რომლებსაც მოსკოვი გვაძლევს და რომლებსაც ჩვენ მივსდევთ, დღემდე არა გვაქვს ჩვენი გეგმების დამუშავების პრაქტიკული მეთოდების დაკავშირება. ამავე დროს წარმოუდგენელია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება საერთო - საკავშირო მრეწველობასთან დაუკავშირებლად, მთლიანად კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარებასთან და იმ ღონისძიებებთან დაუკავშირებლად, რომლებიც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში (სომხეთი, აზერბეიჯანი), ტარდებიან სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. ამ უშუალო პრაქტიკული დაკავშირების გარეშე მივიღებთ ისეთ გეგმას, რომელიც გამოიწვევს ჩვენი სოფლის მეურნეობის დაცემას და არა განვითარებას. ეს მით უფრო ნათელია, რომ არსებითად საქართველოს სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით ძვირფასი ტექნიკური კულტურები, საკავშირო მრეწველობისათვის, აგრეთვე საქართველოს მრეწველობისათვის, უნდა იყოს და არის ძირითადი ნედლეულის ბაზისი. ამიტომ, სანამ ვილაპარაკებთ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების საჭიროებაზე, უნდა ვიცოდეთ, რა ღონისძიებებია დასახული საკავშირო მთავრობის და საქართველოს მთავრობის მიერ სამრეწველო მშენებლობის დარგში. სოფლის მეურნეობის განვითარება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მრეწველობას, რადგან ვერ წარმოგვიდგენია მრეწველობის განვითარება ერთი ხაზით, ხოლო სოფლის მეურნეობის განვითარება მეორე ხაზით.

ეს დებულება თითქოს უდავოა, მაგრამ ჩვენ დეფექტები გვაქვს სოფლის მეურნეობის განვითარების საპერსპექტივო გეგმის საქართველოს მრეწველობის განვითარების გეგმასთან დაკავშირების საქმეშიაც კი. ეს განსაკუთრებით გვეცემა თვალში, როცა განვიხილავთ ჩვენს ღონისძიებებს და გეგმებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან დაკავშირებით. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სადგილ-მამულო ორგანოებს დღემდე თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ ჩვენი პრაქტიკული ნაბიჯები დაეკავშირებიათ სომხეთის და აზერბეიჯანის პრაქტიკულ ნაბიჯებთან. გეგმების ასეთი დაუკავშირებლობის გამო ზოგჯერ მეტად სერიოზულ დეფექტებს აქვს ადგილი პრაქტიკულ მუშაობაში. მოვიყვან რამდენსამე მაგალითს.

აზერბეიჯანში ააგეს აბრეშუმის ხართავი ფაბრიკა, რომელიც მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ნავარაუდევია 500 ტაშტისათვის. მაშინ, როდესაც აზერბეიჯანში დამზადებული აბრეშუმის პარკის ძველი ფაბრიკების მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს. ამჟამად ეს ფაბრიკა დატვირთულია მხოლოდ ნახევრად. ეხლა საკითხი ასე სდგას: ან უნდა დაიხუროს ძველი ფაბრიკები და აბრეშუმის წარმოებას თავი მოუყაროს ამ ახლად აგებულ ფაბრიკაში, ან ნახევრად დატვირთული უნდა დარჩეს იგი.

შემდეგი მაგალითი შეეხება თბილისს. თბილისის აღმასკომმა ანგარიში არ გაუწია არც ჩვენი მუშაობის გეგმას საერთოდ, არც პარტიის დირექტივებს ალკოჰოლის მოხმარების შემცირების შესახებ, და შეუდგა ლუდის სახდელი ქარხნის აგებას თბილისში, მაშინ, როდესაც ბაქოს ლუდის სახდელი ქარხანა დატვირთულია მხოლოდ 40 პროცენტით, პირველი, იმის გამო, რომ ხელოვნურად შემცირდება ლუდის დამზადება, მაშასადამე, შემცირდება ალკოჰოლის მოხმარება მუშათა კლასის მიერ, და მეორე, იმ მიზეზის გამო, რომ ლუდის დასამზადებლად საჭიროა მარცვლეული, რომლის დახარჯვა ლუდისათვის [illegible] იქნება ეხლანდელი სასურსათო კრიზისის დროს, როცა მუშებს არა ჰყოფნის ჩვენ მიერ მიწოდებული პური. ამ ლუდის სახდელი ქარხნის ასაგებად თბილისში დახარჯეს 500.000 მანეთი, აქედან ორასი ათასი მანეთი საბოლოოდ დაიკარგა, რადგან ეს თანხა მოხმარდა ლუდის ქარხნის სპეციალურ მოწყობილობას, სამასი ათასი მანეთი კი შეიძლება ავინაზღაუროთ ამ შენობის გამოყენებით სხვა საქმისათვის.

მოსკოვში პირდაპირ სასაცილოდ აგვიგდეს იმის გამო, რომ თბილისში, მევენახეობის რაიონში, ვაშენებდით ლუდის ქარხანას, და ჩვენც იძულებულნი გავხდით შეგვეწყვიტა მისი აგება. უნდა ითქვას, რომ ლუდის ქარხნის აგება დაიწყო ქალაქის აღმასკომის ინიციატივით, რომელსაც ეს საკითხი არ შეუთანხმებია არც ც. კომიტეტთან და არც სახკომსაბჭოსთან.

აი, ორი ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა ვაშენოთ და რამდენად საჭიროა ჩვენი გეგმების დაკავშირება მეზობელი რესპუბლიკების გეგმებთან.

საერთოდ, ამხანაგებო, ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს, განსაკუთრებით, ამ გეგმის შემდგომი დეტალიზაციის დროს (ეს კი ჩვენს ძირითად ამოცანას შეადგენს), სახ.-სამეურნეო დარაიონების განხორციელების დროს — რის შესახებაც ქვევით ვილაპარაკებ, — არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ჩვენი გეგმები პრაქტიკულად არ დაუკავშიროთ მეზობელ რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის განვითარების და დარაიონების გეგმებს. სამწუხაროდ, ამ მარტივ აზრს საკმაოდ ვერ ითვისებენ ჩვენი სპეციალისტები. მეტიც: ჩვენ გვყავნან ისეთი სპეციალისტები, რომლებიც სცდილობენ მტკიცედ გაატარონ ეროვნული შემოფარგლულობის ხაზი. ისინი ფიქრობენ, საქართველო იმდენად მდიდარია, რომ აქ შეიძლება ყოველგვარი მეურნეობის განვითარება და რომ ამიტომ ჩვენი გეგმების შედგენის დროს, სოფლის მეურნეობაში ამა თუ იმ პრაქტიკული ღონისძიების გატარების დროს სრულებითაც არ არის საჭირო ანგარიში გაეწიოს მეზობელი რესპუბლიკების გეგმებს

სამწუხაროდ, ზოგიერთი კომუნისტებიც, სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელი კომუნისტი ხშირად არ უწევს ანგარიშს ამას.

ბოლოს და ბოლოს, ამხანაგებო, ჩვენი სპეციალისტები ხომ იმას ასრულებენ, რასაც მათ პარტიისა და საბჭოთა ორგანოები ავალებენ. ჩვენ არა გვაქვს არც ერთი დოკუმენტი, არც ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობდეს იმას, რომ ჩვენი სადგილმამულო და დამგეგმავი ორგანოები ავალებდნენ ჩვენს სპეცებს—გაითვალისწინონ და მხედველობაში მიიღონ მეზობელი რესპუბლიკების ესა თუ ის გეგმა. დროა ბოლო მოეღოს ასეთ უთავბოლობას და უგეგმობას ჩვენს მუშაობაში. საჭიროა, პირველ რიგში კომუნისტებმა, განსაკუთრებით ამა თუ იმ სამეურნეო დაწესებულებების, როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა შეიგნონ, რომ დიდი მნიშვნელობა და პრაქტიკული სარგებლობა აქვს საქართველოს გეგმების და ღონისძიებების დაკავშირებას აზერბეიჯანის, სომხეთის და მთელი კავშირის გეგმებთან და ღონისძიებებთან. საჭიროა მივაღწიოთ სპეციალისტების შეხედულებათა საფუძვლიან გარდატეხას ამ საკითხში.

ამხანაგებო, ამას წინად, საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით, მოხდა ამიერ-კავკასიის მწერალთა კულტურული დაკავშირება. საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მწერლები ეწვივნენ ერთმანეთს სტუმრად, გაეცნენ ურთი-ერთის კულტურულ მიღწევებს. ვფიქრობ, რომ ამ დაკავშირებას დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ამხანაგებო, თუ მოხდა დაკავშირება კულტურულ დარგში, მით უფრო საჭიროა დაკავშირება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, რადგან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებობს მჭიდრო სამეურნეო კავშირი. მრავალი ობიექტიური პირობების გამო ეს რესპუბლიკები ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ მათ „არ შეუძლიათ უერთმანეთოდ არსებობა".

ამიერ-კავკასია წარმოადგენს მთლიან, ერთიან მეურნეობას. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ამიერ-კავკასიის სამეურნეო სისტემის მთლიანობას. ავიღოთ თუნდაც მდინარეების სისტემა. განა შეიძლება დიდი საირიგაციო მუშაობის ჩატარება ისე, თუ არ გავითვალისწინებთ მეზობელი რესპუბლიკების გამოცდილებას და საჭიროებას? არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. შეიძლება დავხარჯოთ მრავალი მილიონი მანეთი და არავითარი ეფექტი კი არ მივიღოთ.

ვფიქრობ, რომ ვალდებულნი ვართ ჩავატაროთ ამიერ-კავკასიის სპეციალისტების, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტების დაკავშირება. რასაკვირველია, ეს დაკავშირება არ მოხდება ისეთი ფორმით, როგორც მწერლების, მაგრამ ამის განხორციელება აუცილებლად საჭიროა.

იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად მოწყვეტილნი ვართ ეხლა ერთმანეთს, მოვიყვან შემდეგ მაგალითს. განჯაში არსებობს სასელექციო სადგური. უნდა განვაცხადო, რომ ეს სადგური მეცნიერების უდიდესი მიღწევაა, უდიდესი საქმეა. ამ სადგურში მეტად საინტერესო მუშაობას ეწევიან. და აი, ეს სადგური არ უნახავს არც ერთ სპეციალისტს საქართველოდან. მოვიყვან მხოლოდ ერთ ფაქტს, მრავალ აგრონომიულ ღონისძიებათა წყალობით, იქ მიაღწიეს იმას, რომ შემოდგომის პურის მომწიფების დროს შეამოკლეს თითქმის 1 ნახევ. თვით. ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი ამტკიცებს, თუ რა დაუფასებელ ფაქტორს წარმოადგენს განჯის სასელექციო სადგური სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და ინტენსიფიკაციის საქმეში. ჩვენი სპეციალისტები კი პრაქტიკულად არ იცნობენ მის მუშაობას.

მეორე მაგალითი. ლენინაკანის მაზრაში შემოდგომის ნაცვლად სთესენ გაზაფხულზე, რის მეოხებითაც მოსავლიანობა იზრდება და, საერთოდ, ძირიან-ფესვიანად იცვლება სოფლის მეურნეობის სტრუქტურა. ეს საინტერესო ცდაა, და იგი ლენინაკანის მაზრიდან შეიძლება გადავიტანოთ საქართველოს იმ რაიონებშიც, რომლებიც თავიანთ კლიმატიურ და ნიადაგის პირობებით უახლოვდებიან ლენინაკანის მაზრას. ამის შესახებ გავიგეთ მხოლოდ ეხლა, რადგან არც ერთი ჩვენი სპეციალისტი ლენინაკანის მაზრაში არა ყოფილა, არ გასცნობია ლენინაკანის გამოცდილებას და ამის გამო მას, რასაკვირველია, არ შეეძლო ამ გამოცდილების გამოყენება საქართველოში. მეტიც: იქ არ ყოფილა არც ერთი ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგი კომუნისტი. ეს დიდი მინუსია ჩვენს მუშაობაში.

სწორედ ამიტომ საჭიროდ ვსცნობ, რომ ყველა ჩვენი ღონისძიება, გეგმა სოფლის მეურნეობის დარგში შევათანხმოთ ამიერ-კავკასიის და საკავშირო მაშტაბით. ეს ძირითად პირობას წარმოადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის. კმარა განუწყვეტელი დეკლარატიული ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭიროა კავშირის განმტკიცება, რომ ამიერ-კავკასია მთლიან მეურნეობას წარმოადგენს. ეხლა უნდა გადავიდეთ საქმეზე. ამიტომ წინადადება შემომაქვს, ყრილობამ დაავალოს ც. კომიტეტს, რათა მან შეისწავლოს პრაქტიკულად ეს საკითხი და სათანადო ინიციატივა გამოიჩინოს ისეთი შემათანხმებელი კომიტეტის შესაქმნელად, რომელიც ცალკე რესპუბლიკების ყველა გეგმას და ღონისძიებას შეათანხმებს და დაუკავშირებს ერთმანეთს.

პირადათ მე არა ვარ ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოწყობის წინააღმდეგი, ეს ძალიან კარგი იდეაა და იმის განხორციელება სულაც არ იქნება დანაშაული. ეს იდეა თანდათან მწიფდება, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება დღესვე ზედმეტად მიმაჩნია. ჯერ-ჯერობით მხედველობაში გვაქვს ისეთი ორგანო, კომიტეტი, რომელიც აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს გეგმებს შეათანხმებს და დააკავშირებს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო გეგმასთან. ამ შემთხვევაში აღარ განმეორდება შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს წარსულ მუშაობაში.

დასამალავი არაფერია: ეს კომიტეტი ალბად მოამზადებს ნიადაგს ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოსაწყობად და, ვიმეორებ, ეს არავითარ დანაშაულს არ წარმოადგენს. ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი, იგი განამტკიცებს სამეურნეო მთლიანობას, კავშირს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის, რომლებიც მთლიან სამეურნეო ერთეულს წარმოადგენენ. (ტაში).

მარცვლეული კულტურები

მე უკვე ვსთქვი, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა — ტექნიკური და ძვირფასი კულტურების რაიონი—საკავშირო მრეწველობის ნედლეულის ბაზისს წარმოადგენს. ამიტომ, ამხანაგებო, მგონია, რომ ჩვენს მომავალ მუშაობაში სოფლის მეურნეობის განსავითარებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სწორედ ტექნიკური კულტურების განვითარებას საქართველოში. ტექნიკური კულტურების განვითარების მხრივ ჩვენი მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ტექნიკურ კულტურებს სოფლის მეურნეობაში მხოლოდ 9 პროცენტი უჭირავთ. ეს ციფრი მეტად მცირეა. ხუთწლიანი გეგმითაც კი არა გვაქვს დასახული ტექნიკური კულტურების ისეთი ზრდა, როგორიც საჭიროა. სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში ტექნიკური კულტურებისა და პროდუქტიული მესაქონლეობის ინტენსიური განვითარების გარეშე წარმოუდგენელია. თუ გვსურს საქართველოს სოფლის მეურნეობა მართლაც ავასწიოთ არაჩვეულებრივ სიმაღლეზე, ამისათვის უნდა დავისახოთ პირველ რიგში სწორედ ტექნიკური კულტურებისა და პროდუქტიული მესაქონლეობის მაქსიმალურად განვითარება.

მაგრამ, როცა გენერალურ ამოცანად ვისახავთ ტექნიკური კულტურების განვითარებას, არ უნდა დავივიწყოთ მარცვლეული კულტურების როლი და მნიშვნელობა საქართველოში. პურისა და საქონლის საკვების პასიური ბალანსი და სასურსათო სიძნელენი, რასაც ამ ბოლო დროს ადგილი აქვს მთელ კავშირში, მეტადრე საქართველოში, გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მარცვლეულ კულტურებს. მეტიც: უნდა ვსთქვა, რომ მარცვლეული კულტურები წარმოადგენენ ბაზისს ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის. თუ ჩვენი გლეხები არ დარწმუნდებიან, რომ იგი უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი პურით და დამოკიდებული არ იქნება შემოტანილ პურზე, რომელიც შეიძლება შემოიტანონ და შეიძლება არც შემოიტანონ, იგი არ დასთანხმდება თავისი მეურნეობის საფუძვლიანად გარდაქმნას, ტექნიკური კულტურების განვითარებას. ამიტომ თუ მართლაც გვსურს მივაღწიოთ ტექნიკური და ძვირფასი კულტურების და პროდუქტიული მესაქონლეობის განვითარებას იმ ზომამდე, როგორც ეს საჭიროა საკავშირო და ჩვენი მრეწველობისათვის, ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ ინტენსიფიკაციის პრობლემა მარცვლეულ კულტურების დარგშიაც და ვაწარმოოთ მუშაობა ამ მიმართულებით იმგვარად, რომ ხუთი წლის დამლევს შევძლოთ საკუთარი პურით სავსებით უზრუნველვყოთ სოფლის მთელი მოთხოვნილება, მრავალწლიანი კულტურების რაიონები, აგრეთვე საქართველოს პატარა ქალაქების მოთხოვნილება.

ამხანაგებო, მართლაც სასაცილოა რუსეთიდან შემოვიტანოთ პური ისეთი პატარა ქალაქებისათვის, როგორიც არის ხაშური, ბორჯომი, სამტრედია, რომელთაც არავითარი დიდი სამრეწველო მნიშვნელობა არ აქვთ. მაგრამ ამავე დროს სწორი არ იქნება ამოცანად დავისახოთ ის, რომ შინაური მარცვლეული მეურნეობის პროდუქციით სავსებით უზრუნველვყოთ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება. ამისათვის საჭირო იქნებოდა მარცვლეული კულტურების განვითარება ტექნიკური კულტურების ხარჯზე, რაც გამოიწვევდა საქართველოს სოფლის მეურნეობის უკან დაბრუნებას, მის მხოლოდ და მხოლოდ მარცვლეული მეურნეობის ნიადაგზე დარჩენას. ჩვენ შეგვიძლია და უნდა უზრუნველვყოთ კიდეც პურით სოფლის მოსახლეობა და ქალაქების ნაწილი. ეს არის არა ჩემი კერძო აზრი, არამედ ჩვენი პურის რესურსების მტკიცე აღრიცხვის შედეგი, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ამოცანა შეიძლება შესრულებული იქნას. ამ საკითხთან დაკავშირებით, ნება მომეცით შევეხო მოსავლიანობის საკითხს.

ხუთწლიანი გეგმის ვარაუდით, ჩვენ ყოველწლიურად უნდა შემოვიტანოთ 7.200.000 ფუთი პური, აქედან დაახლოებით 6.000.000 ქალაქის მოსახლეობისათვის და 1 მილიონზე მეტი სოფლის მოსახლეობისათვის. სახელმწ. საგეგმო კომისიის მუშაკები—სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენის დროს მარცვლეული კულტურების დარგში გამოდიოდნენ იმ დებულებიდან, რომ, საერთოდ, ჩვენს პირობებში შეუძლებელია სოფლის მეურნეობის და მარცვლეულის კულტურების მოსავლიანობის ისე გადიდება, როგორც ეს დასახულია საკავშირო მთავრობის მიერ. ამხანაგები ამტკიცებენ, რომ მოსავლიანობის გადიდება 18 პროცენტით, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისიის მიერ, მაქსიმალურია და შემდგომი განვითარება მარცვლეული კულტურებისა ჩვენში წარმოუდგენელიაო. მაგრამ ციფრები ამტკიცებენ, რომ ეს სწორი არ არის. ბევრი ფაქტი ცხადჰყოფს, რომ ჩვენ შეგვიძლია და უნდა მივაღწიოთ კიდევ მეტ მოსავლიანობას.

მოსავლიანობა მაქსიმალურად გავადიდოთ

მოხსენების პირველ ნაწილში მოვიყვანე მარცვლეული მეურნეობის მოსავლიანობის ციფრები. თუმცა სოფლის მეურნეობის კულტურა ჩვენში პრიმიტიულია, მაგრამ სხვადასხვა უმარტივესი ღონისძიებებით შეგვიძლია ავამაღლოთ მოსავლიანობა 30 პროცენტით. სახელმწ. საგეგმო კომისიის პირველი პროექტი მოსავლიანობის გადიდებას მხოლოდ 6 პროცენტით ითვალისწინებდა. ცხადია, რომ ასეთი პროექტი არ მივიღეთ და, სახელმწიფო საგეგმო კომისიას მივუთითეთ, რომ ეს პროექტი სრულებით არ ეთანხმება იმ ამოცანებს, რომლებსაც ვისახავთ სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. სახელმწ. საგეგმო კომისიამ პროტესტი განაცხადა, მაგრამ ეს ციფრი მაინც აიყვანა 12 პროცენტამდე. კვლავ მივუთითეთ, რომ ეს ციფრიც არ გვაკმაყოფილებს. ამის შემდეგ შედგენილ იქნა ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსავლიანობის გადიდებას 18 პროცენტით. ამასთან, ამხანაგებო, თუ თქვენ საფუძვლიანად ჩაუკვირდებით სახელმწ. საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილ გეგმას, დაინახავთ, რომ მას უცოდინარობის ბეჭედი აზის. რატომ? იმიტომ, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მომუშავე ამხანაგებმა ცალკე ღონისძიებათა მეოხებით გადიდებული მოსავლიანობის პროცენტები და არითმეტიკულად შეაერთეს. ისინი ანგარიშობენ ასე: ღრმად მხვნელი გუთნები მოსავლიანობას გაადიდებენ 2 პროცენტით, ტრიერები—10 პროცენტით და სხვ. შემდეგ ისინი ამ ციფრებს აერთებენ და გამოჰყავთ მოსავლიანობის გადიდების საშუალო არითმეტიკული. ამგვარად მიიღეს 18 პროც. ეს, ამხანაგებო, აშკარაა აგრონომიული უცოდინარობაა. ერთია ცალკე ღონისძიება, ხოლო მეორეა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. სამწუხაროდ, როგორც ხედავთ, სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ხშირად წმინდა ჩინოვნიკურად, ბიუროკრატიულად ეკიდებიან საქმეს. ფაქტები და აგრონომიული ცნობები კი გვიჩვენებენ, რომ ღონისძიებათა კომპლექსი, მთლიანად აღებული მიწის ამა თუ იმ ნაკვეთზე, მოგვცემს ეფექტიობის ნაკლებ პროცენტს, ვიდრე ცალკე ღონისძიებათა ჯამი. უკრაინა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ითვალისწინებს ამას, ჩვენმა სპეცებმა კი ეს ვერ მოიფიქრეს.

ამ საკითხში, ამხანაგებო, უთანხმოება არსებობს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და ამიერ-კავკ. სახელმწ. საგეგმო კომისიას შორის. საქმე იმაშია, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწ. საგეგმო კომისია მოსავლიანობის გადიდებას 20 პროცენტით ივარაუდა, ამასთან მან არ გაითვალისწინა მოსავლიანობის გადიდების სამი მთავარი ფაქტორი: პირველი—თესლცვლა, მეორე — ბრძოლა მავნებლებთან, რომლის გატარებაც არა მარტო გაადიდებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას, არამედ გააუმჯობესებს კიდეც მინდვრის ნიადაგს, და ბოლოს, მესამე, — წყლით სარგებლობის მოწესრიგება ჩვენი სოფლის მეურნეობაში. როცა ამიერ-კავკ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციის თავმჯდომარეს ამხ. ივანოვს შევეკითხეთ: რა ეფექტს მოგვცემს მოსავლიანობის გადიდების მხრივ ამ სამი პირობის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, მან გვიპასუხა, რომ ამ ფაქტორების არსებობა 1932—33 წლისათვის მოსავლიანობას გაადიდებს 28—30 პროცენტით, ე. ი. მოსავლიანობის გადიდება დაუახლოვდება მინიმალურ საკავშირო ნორმას, რომლის მიხედვითაც 30 პროც. ითვლება მინიმალურ ნორმად, ხოლო 35 პროც.—მაქსიმალურად.

აშკარად უნდა ითქვას, რომ არსებითად, საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისიის ეს ციფრები ჰაერიდან არის აღებული, მათ არავითარი რეალური საფუძველი არა აქვთ, ამიტომ არ უნდა ვიქონიოთ რაიმე პრაქტიკული შედეგების იმედი. უნდა ვსთქვათ, რომ საკავშირო ცაკ-ის დირექტივა და საქართველოს ც. კ-ის აპრილის პლენუმის დირექტივა საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისიას არ დაუმუშავებია. ამიტომ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას უნდა დაევალოს შემუშავოს ეს ღონისძიებანი და, რათაც არ უნდა დაუჯდეს, მიაღწიოს მოსავლიანობის გადიდებას საკავშირო ნორმის მინიმუმამდე.

ასეთი გულგრილობა მუშაობისადმი მოჰყვა ის, რომ დავკარგეთ მთელი 1929 წელი, ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია არა მარტო მოსავლიანობის გასადიდებლად, არამედ 1930 წლისთვის საჭირო ღონისძიებათა მოსამზადებლად. ასეთი მუშაობა, რასაკვირველია, არ გაადიდებს ჩვენს მოსავლიანობას არც 18 პროც. არც 1 პროცენტით, და ჩვენ კვლავ ძველ ადგილას დავრჩებით. ამავე დროს მოსავლიანობის გადიდების საკითხი ჩვენში უდიდეს და მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

სახელმწ. საგეგმო კომისიის და სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს დავალება — გამოეანგარიშებინათ, თუ რას მოგვცემს მოსავლიანობის გადიდება 18 პროცენტით და 30 პროცენტით. ხუთწლიანი გეგმით ჩვენ წინაშე ასეთი სურათი იშლება: მოხმარების სულობრივი ნორმა 1926—27 წელს სოფლისათვის შეადგენდა 15,7 ფუთს, ხოლო 1932—33 წლისათვის იგი მიაღწევს 17,5 ფუთამდე. ამგვარად, სოფლის მოსახლეობის მოხმარების სულობრივი ნორმა მოიმატებს 1,8 ფუთით. ქალაქის მოსახლეობის სულობრივი მოხმარების ნორმა ხუთი წლის დამლევს შეადგენს 14 ფუთს, ნაცვლად 13,85 ფუთისა 1926—27—28 წლებში, ე. ი. მოხმარების ნორმა აქაც გაიზრდება. თუმცა საკავშირო სახელმ. საგეგმო კომისიის მიერ აკრძალულია მოხმარების ნორმის გადიდება სოფლის მოსახლეობისათვის, რადგან იგი ეხლა საკმაო რაოდენობის პურს ხმარობს, მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ საქართველო მაინც მომხმარებელი რაიონია და რომ ეს აკრძალვა უმთავრესად შეეხება საწარმოო რაიონებს, სულობრივი მოხმარების ნორმას სოფლის მოსახლეობისათვის ვადიდებთ თითქმის ორი ფუთით.

იმის გამო, რომ სახელმ. საგეგმო კომისიამ სწორად არ გამოიანგარიშა მოსავლიანობის გადიდების ნორმები, ხუთი წლის დამლევს გვექნება 7.442.000 ფუთი მარცვლეულის დეფიციტი. თუ მოსავლიანობას გავადიდებთ 30 პროცენტით (მე ვამტკიცებ, რომ ეს შესაძლებელია), მაშინ ჩვენი პურის დეფიციტი შემცირდება 2.650.000 ფუთამდე. მაგრამ ამის მოსაღწევად საჭიროა ჩვენი სადგილ-მამულო ორგანოების, სახელმწ. საგეგმო კომისიის, ყველა ადგილობრივი ორგანის, პარტორგანიზაციის და სხვათა გაძლიერებული მუშაობა.

უნდა ვსთქვათ, ამხანაგებო, რომ მარცვლეული კულტურების განვითარება არავითარ შემთხვევაში არ იქონიებს უარყოფით გავლენას და არ შეუშლის ხელს ტექნიკური კულტურების და პროდუქტიული მესაქონლეობის განვითარებას. 2.650.000 ფუთი მარცვლეულის დეფიციტი ხუთი წლის დამლევს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი საკუთარი პურით სავსებით უზრუნველვყოფთ მესაქონლეობის რაიონებს, ტექნიკური კულტურების, მევენახეობის და სხვა რაიონებს. ამას გარდა, უზრუნველვყოფთ ქალაქების მოხმარების საგრძნობ ნაწილს. ჩვენი მუშაობის პლიუსი იქნება ეს თუ მინუსი? რასაკვირველია, ეს იქნება უდიდესი პლიუსი, რადგან ამხანაგებო, ბოლოს და ბოლოს, რუსეთიდან ჩვენში შემოტანილი ყოველი ფუთი მარცვლეული ნიშნავს მინუსს ოქროს მანეთს, რადგან ეს მარცვლეული შეგვიძლია გავიტანოთ საზღვარგარეთ, გავყიდოთ ვალუტაზე და შემოვიტანოთ ჩვენთვის საჭირო მანქანები, იარაღი და სხ. ამგვარად, მოსავლიანობის გადიდება 30 პროცენტით დაკავშირებულია არა მარტო ადგილობრივ ინტერესებთან, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ინტერესებთან. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო არ არის ერთადერთი ისეთი ქვეყანა საბჭოთა კავშირში, რომელსაც პურის დეფიციტი აქვს. თუ ეს რესპუბლიკები, ყველანი, ამოცანად დაისახავენ და შეასრულებენ კიდეც მოსავლიანობის 30 პროცენტით გადიდებას, ამ შემთხვევაში მივიღებთ პურის მოხმარების უდი-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

დეს შემცირებას დეფიციტიან რაიონებში და ამის ხარჯზე ჩვენი მარცვლეულის ექსპორტის გადიდებას.

ამხანაგებო, სავსებით ცხადია, რომ თუ სახელმწ. საგეგმო კომისიაში ამ საკითხს ისევე მოეკიდებიან, როგორც მოეკიდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის (სამი წლის განმავლობაში) ლიკვიდაციის პროექტს, რომლის შესახებაც ამხ. კვირიკაძემ აქ მეტად თამამად განაცხადა, რომ მან ც. კ-ის დირექტივა ვერ გაიგო, ხოლო კანდელაკმა „გაიგო“, მეტი-ც: იგი დასცინის კიდეც ც. კ-ს სამდივნოს ამ დადგენილებას,—თუ ჩვენ ასე მოვეპყრობით ც. კ-ის გადაწყვეტილებას, რასაკვირველია, მოსავლიანობას სრულებით ვერ გავადიდებთ.

სიმინდის მეურნეობა

ამხანაგებო, ნებას მივსცემ თავს შევჩერდე აგრეთვე სიმინდის მეურნ. პრობლემაზე. მე თვითონ დასავლეთ საქართველოდან ვარ—სიმინდის პატრიოტი ვარ (სიცილი), ამიტომ ჩემი დაინტერესება ამ საქმეში სავსებით გასაგებია. ძალიან ბევრი ამხანაგი, მეტად პასუხისმგებელი კომუნისტებიც კი ფიქრობენ, რომ საერთოდ, სიმინდის საკითხი უბრალო საქმეა. ეს ამხანაგები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ სიმინდი კულტურაც კი არ არის. ასეთი თვალსაზრისი საფუძვლიანად შემცდარია. სიმინდის მეურნეობა ძალიან კულტურული მეურნეობაა. ეს აზრი რომ უფრო გასაგები გახდეს ყრილობის მონაწილეთათვის, მე აღვნიშნავ, რომ ეხლა ამერიკა მრეწველობისა და პროდუქტიული მესაქონლეობის განსავითარებლად დიდ ყურადღებას აქცევს სიმინდს, მხოლოდ ამერიკაში მას ეწოდება მაისი და არა სიმინდი. უეჭველია გამომცხვარი პური უკეთესია, ვიდრე სიმინდი, მაგრამ სიმინდის მეურნეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის განვითარების საქმეში. ამერიკაში ამჟამად პრაქტიკულად დასმულია პრობლემა ქაღალდის მრეწველობის განვითარებისა სიმინდის ღეროს საშუალებით. მას უკვე აქვს განსაზღვრული გამოცდილება ამ მხრივ, რომელიც ამტკიცებს, რომ სიმინდის ღეროდან მიღებული ქაღალდი თავისი ხარისხით უკეთესია, ვიდრე ხისგან მიღებული ქაღალდი.

მიუხედავად ამისა, ჩვენში სიმინდის მეურნეობის პრობლემას სრულებით არსად არა სვამენ. კერძოთ, ხუთწლიან გეგმაში სიმინდის მეურნეობა თითქმის არავითარ გამოხატულებას არ პოულობს. აქ მხოლოდ სწერია მარცვალი, ამასთან, მარცვლეულ მეურნეობად ნაგულისხმევია ხორბალი, ქერი და სხ.

სიმინდის მეურნეობას დასავლეთ საქართველოში 1927—28 წელს ეჭირა მთელი ნათესის სივრცის 94,6 პროცენტი, 1928—29 წელს—94,4 პროცენტი. აღვნიშნავ რა ამ ფაქტს მე აქ არავითარ პრაქტიკულ ღონისძიებას არ გიდგენთ, მხოლოდ ვსვამ საკითხს იმის შესახებ, რომ პარტიის ც. კ-ს უნდა დავავალოთ დასვას სიმინდის მეურნეობის პრობლემა, შეისწავლოს იგი, გამოიტანოს საჭირო გადაწყვეტილებანი და დასახოს ღონისძიებანი ერთფეროვანი სიმინდის მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციისათვის. ამასთან ხაზს ვუსვამ, რომ სიმინდის მეურნეობის განვითარება მე უმთავრესად წარმოდგენილი მაქვს, როგორც ბაზისი პრაქტიკული მესაქონლეობის განსავითარებლად, თუმცა შეიძლება დაისვას საკითხი იმის შესახებაც, რომ სიმინდის მეურნეობა განვითარდეს სამრეწველო მიზნითაც.

ჩაი და სხვა ტექნიკური კულტურები

თქვენს ყურადღებას მივაქცევ აგრეთვე ჩაის კულტურის განვითარებაზე. ამ დარგში დიდი მიღწევები გვაქვს, რაც აიხსნება, პირველი, იმით, რომ ჩაის საქმე, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, სავსებით და მთლიანად უზრუნველყოფილია მატერიალურად, მეორე, იმით, რომ მუშაკები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში სხედან, სინდისიერად მიუდგნენ ამ საქმის შესწავლას და გაუმჯობესებას. ამიტომაც ვხედავთ ნათესის სივრცის უდიდესად გაზრდას, ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსავლიანობის გადიდებას. თუმცა უნდა ითქვას, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ შესაძლებლობას, რომელიც საქართველოს ჩაის კულტურის დარგში აქვს, ჩაის კულტურის განვითარების ტემპი არ შეიძლება საკმაოდ ჩაითვალოს. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ტემპების გადიდებას. აქ პირველ რიგში სდგება ადგილობრივი ორგანიზაციების (პარტიის სამაზრო კომიტეტები, სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი სამაზრო ორგანოების) როლი და მნიშვნელობა ჩაის კულტურის განვითარებაში ადგილებზე, სადაც ყველაფერი რიგზე არ არის. გულგრილ დამოკიდებულებას ამ საქმისადმი ძალიან ხშირად აქვს ადგილი, განსაკუთრებით კოლმეურნეობათა ცენტრის მხრით. ჩვენ გვაქვს მრავალი ისეთი ფაქტი, რომ ჩაის საქმის კოლმეურნეობებს (ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში) აწყობენ ამგვარად: გლეხს აძლევენ საფონდო მიწას, აძლევენ კრედიტს და უუბნებიან: „მოაწყვე კოლმეურნეობა“-ო. რა გამოდის აქედან? გამოდის ის, რომ ინდივიდუალური მეურნეობა რჩება თავისთავად და მის გვერდით შენდება კოლექტიური მეურნეობა იმ მიწებისა და სახსრების ხარჯზე, რომლებსაც სახელმწიფო აძლევს გლეხობას სავსებით ცხადია, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობა უნდა წარმართოს წვრილი ინდივიდუალური მეურნეობების გაზოგადოების ხაზით. რა გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა? რა მოეთხოვება კოლმეურნეობათა ცენტრს? ჩვენ ყველანი ვაღიარებთ, რომ ეს ცენტრი ცუდად მუშაობს, მაგრამ თუ ადგილობრივი ორგანიზაციები ამას სერიოზულად არ მოეკიდებიან და არ უხელმძღვანელებენ კოლმეურნეობათა მშენებლობას, არ წარმართავენ მას განსაზღვრული ხაზით, არაფერი არ გამოვა. ამხ. ბარამიძე ამბობს, რომ გურიაში, სენაკში და აჭარისტანში კოლმეურნეობებს აშენებენ სახელმწიფო საფონდო მიწებზე პლიუს სახელმწიფო ფული (ბარამიძე: სხვანაირად არ შეიძლებოდა შენება). ბარამიძის თვალსაზრისი ყველაზე საშიშია. ეს მართალი არ არის. თუ წავალთ იმ გზით, რომელსაც ამხ. ბარამიძე დაადგა, ეს ნიშნავს, რომ, საერთოდ, კოლმეურნეობათა მშენებლობა არ შეიძლება. ჩვენში ვაძლევთ მიწასაც და ფულსაც, ე. ი. ხელში გვაქვს გლეხურ მეურნეობაზე ზეგავლენის უდიდესი საშუალება, მაშ რატომ არ შეიძლება მუშაობა კოლექტივიზაციისათვის უფრო წარმატებით ვაწარმოოთ სწორედ ამ რაიონებში? რატომ შეიძლება კოლექტივიზაცია სატრაქტორო სადგურების და რაზმების ირგვლივ, ბოლოს, რატომ შეიძლება კოლექტივიზაცია ცარიელ ადგილას და არ შეიძლება ასეთივე კოლექტივიზაცია ჩაის კულტურის ირგვლივ, რომელსაც ამ საქმეს ხმარდება დიდი თანხები, საფონდო მიწები და თესლი? საჭიროა მოხდეს გადამწყვეტი გარდატეხა იმ ამხანაგების აზროვნებაში, რომლებიც ვალდებულნი არიან უხელმძღვანელონ კოლმეურნეობათა მშენებლობას ადგილებზე. საჭიროა მათ ამიერიდან მეტი ყურადღება მიაქციონ ჩაის კულტურის გაშენებას და ჩაის კოლმეურნეობათა მშენებლობას.

ეხლა, ამხანაგებო, თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო მეთამბაქოეობას. ამ დარგში უკანასკნელ წლებში შენიშნულია სახიფათო სიმპტომები—მეთამბაქოეობის სტაბილობა და შემცირება. მთავარი ნაკლი აქ ის არის, რომ დღემდე არავინ არ აქცევდა ყურადღებას ნიადაგის გამოყენებას, ნიადაგის, რომელიც თამბაქოსაგან განსაკუთრებით იფიტება. არავინ ფიქრობს ნაყოფიერების პრობლემაზე, რომლის გადაჭრაც უზრუნველყოფს მეთამბაქოეობის შემდგომ ზრდას არა მარტო რაოდენობით, არამედ ხარისხობრივადაც.

ეხლა უნდა დავსვათ თამბაქოს საქმის განვითარების საკითხი და, უპირველეს ყოვლისა, საკითხი იმის შესახებ, რომ თამბაქოს პლანტაციების სივრცე არ შემცირდეს. ჩვენ ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი მეთამბაქოეობას რადგან ამასთან არის დაკავშირებული არა მარტო მრავალი ათასი გლეხური მეურნეობის ინტერესები, არამედ ჩვენი მრეწველობის უდიდესი დარგის ინტერესებიც. ამიტომ ამ საქმეს ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ.

ტექნიკური კულტურების მეორე დარგს წარმოადგენს კენაფი. კენაფი საქართველოში ახალი საქმეა და დღემდე ჩვენმა ორგანოებმა ვერ დაამუშავეს სერიოზულად მისი განვითარების საკითხი. მაგალითად სახელმწ. საგეგმო კომისია ხუთი წლის დამლევს კენაფისათვის ვარაუდობს 1.600 ჰექტარს. ამხანაგებო, სასაცილოა ასეთ ციფრზე ლაპარაკი 5 წლიან გეგმაში, უხერხულიც არის მისი აღნიშვნა ამ გეგმაში. ამ ციფრს გლეხები თვითონ მიაღწევენ. ამიერ-კავკასიის სახელმწ. საგეგმო კომისიის პირველი ვარიანტით, კენაფის ნათესის სივრცე მთელ ამიერ-კავკასიაში ნავარაუდევი იყო — 10.000 ჰექტარის რაოდენობით, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ აზერბეიჯანი ფიქრობს მიმდინარე წელს დათესოს 10.000 ჰექტარი კენაფი, ხოლო ხუთი წლის დამლევს ეს ციფრი აიყვანოს 85.000 ჰექტარამდე. 1.600 ჰექტარი საქართველოში სრული არარაობაა. კენაფის კულტურის განვითარების ტემპი საქართველოში ისე უნდა გაძლიერდეს, რომ იგი შეეფერებოდეს ჩვენს ხუთწლიან გეგმას.

მეხილეობა მებოსტნეობა

მე, ამხანაგებო, უკვე ვილაპარაკე მეხილეობაზე, მის მნიშვნელობაზე და ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევჩერდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ მეხილეობის განსავითარებლად თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 5.000 ჰექტარი—ეს ციფრი მეტად უმნიშვნელოა. ჩვენ კი მოგვეპოება ხილის ისეთი რაიონები, როგორიცაა გორის რაიონი, რომელსაც უდიდესი პერსპექტივები აქვს მეხილეობის და მებაღეობის განვითარების საქმეში. მე მგონია, ჩვენ უნდა წავიდეთ არა მარტო ინდივიდუალური გლეხური მეხილეობა - მებაღეობის მეურნეობათა განვითარების გზით, არა მარტო მათი კოლექტივიზაციის გზით ,არამედ სახელმწიფო მებაღეობის შექმნის გზითაც, რომელიც სანიმუშო უნდა გახდეს ინდივიდუალური მეურნეობებისათვის.

უკანასკნელი საკითხი, რომელზედაც მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, არის ქალაქის გარეუბნების, მის მახლობლად მდებარე ადგილების მეურნეობის საკითხი. ეხლა, ამხანაგებო, გვაქვს ასეთი მდგომარეობა: თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები იკვებებიან შემოტანილი ბოსტნეულით, ჩვენ ეხლა არა მარტო ზამთრის, ზაფხულის ბოსტნეულიც კი ჩრდილოეთ კავკასიიდან მოგვდის.

ამხანაგებო, ეს იმდენად არანორმალური მოვლენაა, რომ განსაცვიფრებელიც კი არის: როგორ შეიძლება, რომ საქართველომ ისეთმა რაიონმა, სადაც ყველაფერი სწრაფად მწიფდება, სადაც ნიადაგის და ჰავის უდიდესი შესაძლებლობანია, ვერ უზრუნველყოფს თავისი ქალაქები—თბილისი, სოხუმი და ბათომი ბოსტნეულით?

ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია. და აქ მთავარი მუშაობა ეკისრება თბილისის აღმასკომს, რომელსაც თითქმის არაფერი გაუკეთებია ქალაქის გარეუბნების მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა და გეგმის დამუშავებისათვისაც კი. ამავე დროს ჯერ კიდევ 1928 წლის ოქტომბერში პარტიის ც. კ-ის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება ქალაქის გარეუბნების მეურნეობის საკითხის შესახებ, იმის შესახებ, რომ თბილისი ზამთრის და ზაფხულის ბოსტნეულით უზრუნველყოფილ იქნას.

ამას წინად ც. კ-მა გამოჰყო სპეციალური სასურსათო კომისია, რომელსაც დაავალა შეუდგეს ამ საკითხის მოგვარებას. მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ თურმე საქართველოში ქალაქის გარეუბნების მეურნეობის მოწყობის შესახებ მუშაობს 7 კომისია. ამასთან ისინი მუშაობენ ურთიერთისაგან დამოუკიდებლად და არსებითად არაფერს არ აკეთებენ.

მეორე, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თბილისის აღმასკომს არაფერი არ გაუკეთებია ც. კ-ის იმ დირექტივის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რომელიც ოქტომბერში იქნა გამოცემული.

მესამე, ჩვენ უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს თბილისში ქალაქის გარეუბნების მეურნეობათა მოსაწყობად. ავიღოთ თუნდაც დიდომის ველი, რომელსაც უკვე რწყავენ და რომელიც დიდ რეზერვს წარმოადგენს ქალ. თბილისისათვის ყოველგვარი ბოსტნეულის მისაწოდებლად. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ თბილისის აღმასკომის საადგილმამულო განყოფილება და საგეგმო კომისია ყველაფერს ჰკიდებენ ხელს, რაც გნებავთ, მაგრამ არა სოფლის მეურნეობის საკითხებს.

ამხანაგებო, მომავალში ეს მუშაობა უნდა მოვაგვაროთ, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს მივაწოდოთ საკუთარი ბოსტნეული. ამის შესაძლებლობა არსებობს და ამ ამოცანის განხორციელება ძნელი არ იქნება, თუ ერთგვარ აქტიობას გამოიჩენენ არა მარტო საადგილ-მამულო ორგანოები, არამედ ხელმძღვანელი ამხანაგები.

მესაქონლეობის განვითარება

გადავდივარ, ამხანაგებო, მესაქონლეობის საკითხზე. როგორც ვსთქვი, მესაქონლეობაში ადგილი აქვს რიცხვობრივ ზრდას, მაგრამ ამასთან ერთად ვხედავთ პროდუქტიული მესაქონლეობის განვითარების შედარებით ნელ ტემპს. ადგილი აქვს აგრეთვე საქონლის ასაკობრივი შემადგენლობის შემცირებას. ჩვენს უბედურებას მესაქონლეობის დარგში შეადგენს საქონლის საკვები ბაზისის სიმცირე. პროფესორ ჯანდიერს ვსთხოვე მოეცა ცნობა იმის შესახებ, თუ რა საკვების რესურსები აქვს საქართველოს. აღმოჩნდა, რომ მთელი მიწის სივრცის 17,1 პროცენტს საძოვარი შეადგენს. საზაფხულო საძოვრის საერთო სივრცე უდრის 492.000 ჰექტარს, აქედან უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის. ამ საძოვრებს უმთავრესად იყენებენ ცხვრისათვის. როგორც იცით, მეცხვარეობა ჩვენში ნახევრად მომთაბარე მეურნეობის ხასიათს ატარებს. სავსებით ცხადია, რომ მეურნეობის ასეთი ტიპის დატოვება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ შეეფერება ჩვენს ინტერესებს. საქმე იმაშია, რომ მეურნეობის ასეთი ტიპის დროს ცხვარი ყოველთვის მოძრაობს დაუსრულებლივ, საზაფხულო საძოვრებიდან მიდის ზამთრის საძოვრებზე, ზამთრის საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე, რაც შეუძლებელს ხდის ხელი ჩავჭიდოთ ამ მეურნეობას და გარდავქმნათ იგი კოლექტიურ ნიადაგზე.

გარდა ამისა, ამხანაგებო, მომთაბარე მეურნეობას მეცხვარეობის დარგში აქვს ერთი უდიდესი მინუსიც იმ მხრივ, რომ ცხვარი საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე გადადის სავსებით გამოფიტული. საზაფხულო საძოვრებზე ცხვარი სუქდება, მატულობს მისი წონა, მაგრამ საზაფხულო საძოვრებიდან საზამთრო საძოვრებზე გადასვლის დროს, მეტად ცუდი გზებისა და გზაში საკვების უქონლობის გამო, ცხვარი ისევ ჰკარგავს თავის წონას და კვლავ იფიტება. ჩვენი საზამთრო საძოვრები ძალზე დატვირთულია, ამიტომ ცხვარი ვერ იკვებება. ამგვარად, იქმნება თითქოს ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ფიქრი არ შეიძლება მეურნეობის რამე ინტენსიფიკაციაზე.

თუშურ ცხვარზე დაკვირვებამ ზოოტექნიკურ სადგურზე გვიჩვენა, რომ იგი თვალსაჩინოდ შეიძლება გაუმჯობესდეს. თუშური ცხვრის, მატყლის წონამ თითქმის 100 პროცენტით მოიმატა. საგრძნობლად მოიმატა ხორცის წონამაც. ეს მიღწეულ იქნა იმით, რომ ცხვარი უზრუნველყოფილ იქნა საკვების მინიმუმით.

ცხადია, ამხანაგებო, რომ უცებ ვერ მოვსპობთ მომთაბარე მეურნეობას, რადგან ეს დიდ ზიანს მიაყენებს ღარიბ და საშუალო მეურნეობებს, მაგრამ უნდა მივიღოთ ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მეურნეობის თანდათან გადასვლას მეურნეობის უფრო ბინადარ ტიპზე, მოეწყოს იგი უფრო რაციონალურად, რათა შესაძლებელი გახდეს მისი რეკონსტრუქცია და კოლექტივიზაცია.

ვფიქრობ, მართალი ვიქნებით, თუ დავისახავთ მეცხვარეობის არა რაოდენობით, არამედ თვისობრივად გაუმჯობესების ამოცანას, რადგან საძოვრები არ გვყოფნის. ჩვენი საძოვრების სივრცე საგრძნობლად შემცირდა, რადგან საძოვრების ნაწილი თურქეთის ხელში გადავიდა. თურქეთის საძოვრებზე ყოველთვის იმედი დამყარება არ შეიძლება. პირველი, ეს დაკავშირებულია ვალიუტის საკითხთან, ხოლო მეორე—მრავალ უდიდეს დაბრკოლებასთან, რომლებიც საშუალებას არ მოგვცემენ მოვახდინოთ ამ მეურნეობის ინტენსიფიკაცია. სწორედ ამიტომ სავსებით სამართლიანი და სწორი იქნება პრაქტიკულად დაისვას საკითხი საქონლის **რაოდენობის** სტაბილიზაციის შესახებ საქართველოში, საკითხი ჩვენი ცხვრის საერთო პროდუქციის და საქონლიანობის გადიდებისა მისი ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე. მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ ამგვარად მივიღებთ გაცილებით მეტ სამეურნეო ეფექტს, ვიდრე ეხლა გვაქვს. სხვა გზით წასვლა არ შეიძლება, იმიტომ, რომ მეცხვარეობის განვითარების საქმეში დაწესებული გვაქვს განსაზღვრული ლიმიტები, რომელთა გადაბიჯებაც არ შეგვიძლია.

მიწის ნაკლებობისა და საქართველოს აგრარული მოსახლეობის საჭიროების პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა პროდუქტიული მესაქონლეობის განვითარებას, გაუმჯობესებას. უკვე ვსთქვი, რომ ეს პრობლემა ამჟამად სავსებით და მთლიანად უკავშირდება საქონლის საკვების პრობლემას. იმავე პროფესორმა ჯანდიერმა მოგვცა ცნობა, რომ ეხლა ჩვენი გლეხის ჩვეულებრივი ძროხა სჭამს დაახლოვებით იმის ნახევარს, რაც საჭიროა მისი ნორმალური კვებისათვის, ე. ი. ჩვენი ძროხა 50 პროცენტით ნაკლებს სჭამს, ვიდრე ნორმალურად არის საჭირო და ამიტომ იგი იწველის მხოლოდ 85 ფუთ რძეს წელიწადში. ეს ძალიან ცოტაა. თუ ჩვენი ძროხის კვებას ავიყვანთ ნორმამდე, იგი მაშინვე მოგვცემს 100 პროცენტით მეტ რძეს, ე. ი. 60—75 ფუთს. თუ ამ საკვებს მივუმატებთ ეგრედწოდებულ ძლიერ საკვებს, როგორიცაა კოპტონი, მაშინ თითო ძროხა მოგვცემს 110—115 ფუთ წელიწადში. საშუალო ძროხა ზოოტექნიკურ სადგურში იძლევა დაახლოვებით 120 ფუთ რძეს. ეს ნორმაა ყველა ძროხისათვის, მაშასადამე, არსებობს ჩვენი პროდუქტიული მესაქონლეობის გაუმჯობესების, ინტენსიფიკაციის სრული შესაძლებლობა. ამასთან, ამ ზოოტექნიკურ სადგურში არაფერი კეთდება გარდა იმისა, რომ ძროხა სჭამს იმ პორციას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მან ნორმალურად იწველოს. ამგვარად, პროდუქტიული მესაქონლეობის საკითხი უკავშირდება საქონლის საკვების პრობლემას. პირველ რიგში ეს პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ, თუ გვსურს გვქონდეს ინტენსიური პროდუქტიული მესაქონლეობა.

არ შევეხები საქონლის იმუნიზაციას, წვრილფეხა რქოსანი საქონლის ეპიზოოტიასთან ბრძოლას. თქვენი ყურადღება მსურს შევაჩერო მეღორეობაზე, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოფლის მეურნეობის განმტკიცებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით, არამედ მრეწველობის ახალი დარგის შექმნის თვალსაზრისითაც. მე მხედველობაში მაქვს ბეკონის ქარხნის აგება. ჩვენი ღორი სავსებით გამოსადეგია ბეკონიზაციისათვის, საჭიროა მხოლოდ თვითონ ამ ღორის გაუმჯობესება. ასეთი გაუმჯობესება საჭიროა მესაქონლეობის ყველა დარგს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ გაუმჯობესებაზე მეტიზაციის გზით. არიან პროფესორები, ისეთი სპეციალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენი საქონლის მეტიზაცია საერთოდ ზედმეტი საქმეა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია საქონლის ჯიშის გაუმჯობესება უცხოეთის საქონელთან მეტიზაციის გზით, რომ თვითონ ჩვენი საქონელი უნდა გავაუმჯობესოთ უმეტიზაციოთ. ეს არის კონსერვატიული თვალსაზრისი, რომელსაც ჩვენი სოფლის მეურნეობა მიჰყავს ნელი ტემპით რეგრესისაკენ. ამოცანად უნდა დავისახოთ როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა საქონლის გაუმჯობესება თავის-თავად, ამავე დროს ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საქონლის მეტიზაცია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტიზაციას მეღორეობის დარგში ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე მესაქონლეობის სხვა დარგებში.

რაც შეეხება მეფრინველეობას, ამ დარგს საქართველოს პირობებში განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი აქვს. ამ დარგზედაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა, მით უფრო, რომ დასავლეთ საქართველოს მთელი გლეხობა დიდი ხანია მეფრინველეობას მისდევს და ეს მისთვის არ წარმოადგენს ახალ რამეს. ეს დიდი პერსპექტივაა, ამიტომ ეს დარგი ყოველგვარი საშუალებით უნდა განვავითაროთ.

უკანასკნელი საკითხი მესაქონლეობის დარგში არის ძვირფასბეწვიანი ნადირის მოშენება. არ შევუდგები იმის მტკიცებას, თუ რა შესაძლებლობანი და რა პერსპექტივები აქვს ამ საქმეს საქართველოს პირობებში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, სადაც გლეხობა დიდ სიღატაკეს განიცდის. ამ საკითხს, როგორც პრობლემას, ვსვამ პარტიის წინაშე, სათანადო ორგანოების წინაშე და ვფიქრობ, რომ ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. ბეწვეულის დარგში არაჩვეულებრივი, უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს. შედარებით მცირე თანხის დახარჯვით შეგვიძლია რამდენიმე მილიონის სხვადასხვა ბეწვეული გავიტანოთ საზღვარგარედ.

სატყეო მეურნეობა

გადავდივარ სატყეო მეურნეობაზე. ვფიქრობ, ჩვენს ამოცანას ამ დარგში შეადგენს ჩვენი ტყეების ექსპლოატაციის არა შემცირება, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს მათ დაცვაზე, არამედ გაძლიერებული, რაციონალური ექსპლოატაცია. ეს ამოცანა ნათელი გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენ ტყეებში, გამოუყენებლობის გამო, ბევრია დაბერებული ხე, რაც დამღუპველ გავლენას ახდენს ახალ ტყეზე.

ტყეების ექსპლოატაციის რაციონალიზაციისათვის სერიოზული მუშაობა უნდა ჩავატაროთ გზების გასაყვანად მიუვალ ადგილებში, რათა შევიდეთ იქ, სადაც ადამიანის ფეხი ჯერ არ დადგმულა. მე სავსებით ვუერთდები იმ ამხანაგების აზრს, რომლებმაც განაცხადეს, რომ სერიოზულად უნდა შევუდგეთ ტყის საკითხის მოგვარებას. უნდა მოვიწვიოთ ორი ან სამი სათანადო სპეციალისტები, რომლებიც ხელს მოჰკიდებენ ამ საქმეს. მეტყეობის საქმე განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული გერმანიასა და შვეიცარიაში, იმ რაიონებში, სადაც პირდაპირ ქვებზე ახერხებენ ხელოვნური ტყის მოშენებას, რომელსაც ვერ გაარჩევ ნამდვილი ბუნებრივი ტყისაგან. ამხანაგებო, თუ ვიწვევთ ინჟინერებს და სხვა სპეციალისტებს სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში, ვფიქრობ, საჭიროა მოვიწვიოთ ტყის საქმის ერთი ან ორი სპეციალისტიც.

საგზაო მშენებლობა

ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება საგზაო მშენებლობის პრობლემას, ტრანსპორტის პრობლემას. აქ, ამხანაგებო, გაკრულია სამი რუქა, რომლებსაც გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ. ეს არის მეტად დიდი, მეტად საინტერესო მუშაობის შედეგი, რომელიც ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო ორგანიზაციამ ჩაატარა.

ეს რუქები სრულ წარმოდგენას იძლევიან იმაზე, თუ სად უნდა აიგოს გზები, როგორია ნიადაგი ამა თუ იმ უბანში, როგორი უნდა იყოს გზების ზედაპირი, რომ მათ აიტანონ ბარგის სიმძიმე.

უპირველეს ყოვლისა, ეს რუქები გვიჩვენებენ, რომ ხუთი წლის დამლევს არსებულ გზატკეცილების ქსელი სრულებით არ იქნება საკმარისი, იგი შეაფერხებს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, რადგან გლეხობა ვერ შესძლებს გაიტანოს ბაზარზე თავისი მეურნეობის პროდუქცია. ეს არის პირველი ეკონომიური დასკვნა.

მეორე დასკვნა ისაა, რომ გზების არსებობა და მათი გაყვანა სრულებითაც არ უზრუნველყოფს გლეხური მეურნეობის პროდუქციის იაფად გატანას ბაზარზე.

ამხანაგებო, მე შევეცადე შემედგინა იმის შედარებითი ცხრილი, თუ რა ჯდება ბარგის გადაზიდვა რკინის გზაზე და გზატკეცილზე. სამწუხაროდ, მე ეს ცხრილი ვერ დავამთავრე, მაგრამ იმ დასკვნამდე მაინც მივედი, რომ, თუ ბარგის გადაზიდვის ტარიფიკაციის შედარებითი ცხრილს შევადგენთ, მივიღებთ შემდეგს: რკინის გზით ბარგის გადაზიდვა სადგურ კავკასიამდე უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე იმავე ბარგის დილომამდე გადაზიდვა გზატკეცილით.

სავსებით გასაგებია, რომ გზების ასეთი მდგომარეობა და ტრანსპორტის სიძვირე აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ამცირებს მის სასაქონლო გამოსავალს. ამიტომ საჭიროა გადაისინჯოს საგზაო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც სრულებით არ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანებთან ხუთი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, საჭიროა ვიფიქროთ საგზაო მშენებლობის იმ სახეების შესახებაც, რომლებიც ძალიან ხშირად გვეპარება მხედველობიდან და რომელთა გამოყენებაც ჩვენი ქვეყნის მთიანი რელიეფის პირობებში მეტი წარმატებით შეიძლება.

მე ხაზში მაქვს ვიწროლიანდაგიანი რკინის გზების გაყვანა. რატომღაც ამ საკითხს არავინ აყენებს, მაშინ როდესაც საქართველოს ზედაპირი სწორედ ვიწროლიანდაგიანი გზების გაყვანის საჭიროებას გვკარნახებს და გვკარნახებს არა ცალკე ტოტების, არამედ მთელი ქსელის აგებას. მე ამით სრულებით არ მინდა ვსთქვა, რომ საჭირო არ არის ფართოლიანდაგიანი გზები და რომ უნდა დავანგრიოთ ბაქო-ბათომის და სენაკი-სოხუმის გზები. ესენი არიან სატრანზიტო გზები, რომლებიც ჩვენ გვაერთებენ მთელს საბჭოთა კავშირთან. ამაზე როდია ლაპარაკი. მე მინდა ვსთქვა რომ ამ სატრანზიტო გზების გარდა, ამ ძირითადი მაგისტრალის გარდა, რომელიც ამიერ-კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებას საბჭოთ. კავშირის დანარჩენ ნაწილთან აკავშირებს, ჩვენთვის აუცილებელია ვიწროლიანდაგიანი რკინისგზების გაყვანა მექანიკური გადატვირთვის მოწყობით ფართოლიანდაგიან რკინის გზებთან შეხვედრის ადგილებში.

რომ ვიწროლიანდაგიანი რკინისგზები უაღრესად რენტაბელურია, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ბელგიას, რომელსაც ყველაზე უფრო მჭიდრო სარკინიგზო ქსელი მოეპოვება, ფართოლიანდაგიანი ქსელის გარდა აქვს ვიწროლიანდაგიანი რკინისგზების უდიდესი ქსელიც. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ვიწროლიანდაგიანი ქსელი 40 პროცენტით იაფი ჯდება, ვიდრე ფართოლიანდაგიანი და, გარდა ამისა, მთიან ადგილებში, როგორიც საქართველოა, მისი აგება ფართოლიანდაგიანზე უფრო ადვილია. მე გადაჭრით ვსვამ საკითხს საქართველოში ვიწროლიანდაგიანი რკინისგზების აგების შესახებ და ვიძლევი წინადადებას ეხლავე დაიწყონ ამ პრობლემის პრაქტიკული შესწავლა.

მე დიდხანს არ ვილაპარაკებ ავტო-ტრანსპორტის საჭიროებაზე. ეს ყველასათვის ნათელი და გასაგებია. მე მხოლოდ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ ბარგის გადაზიდვა თბილისიდან მანგლისამდე ურმით უფრო იაფია, ვიდრე საბარგო ავტომობილით. ცხადია, გლეხი ამის გამო ურემს მისცემს უპირატესობას. ეს, უეჭველია, ტრანსპორტის ორგანოთა ლიაპსუსია, მათი „მხატვრული შემოქმედებაა“, რაც უეჭველად დაუშვებელია. რამდენიმე სიტყვა მდინარის ტრანსპორტზე, რომელსაც შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს, რამდენადაც ჩვენი დიდი მდინარენი გამოსადეგნი არიან ან შეიძლება გახდნენ გამოსადეგნი ნაოსნობისათვის. ხუთწლიან გეგმაში ტრანსპორტის ეს სახე თითქმის გამოტოვებულია. აქაც უნდა მოხდეს გარდატეხა, საჭიროა ჩვენი მდინარის გზები სავსებით იქნან გამოყენებულნი.

მიწადმოწყობა

გადავდივარ მიწადმოწყობის საკითხებზე. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოსცა ინსტრუქცია მიწადმოწყობის მუშაობათა წარმოების შესახებ. ამ ინსტრუქციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სოფლად მიწადმოწყობის განხორციელება ამ ინსტრუქციაზეა დამყარებული. ამ ინსტრუქციაში ნათქვამია შემდეგი: „ოჯახის საშუალო უზრუნველყოფა მიწით იმ სოფელში, სადაც მიწადმოქმედება ხდება, არ უნდა იყოს კანონიერი ნორმის სამმეოთხედზე ნაკლები (ეზოების და საბალახოების ჩაუთვლელად).

იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირობა არ სრულდება, მიწადმომწყობ კომისიას, ამა თუ სოფლის მიწადსარგებლობის პირობების ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ, გამოაქვს დადგენილება, სთვლის თუ არა იგი შესაძლებლად და მიზანშეწონილად ამ სოფელში ჯგუფური მიწადმოწყობის ჩატარებას (ინსტრუქცია მიწადმოწყობის სამუშაოთა წარმოების შესახებ საბჭოთა საქართველოში“, თავი 10, პარ. 56 პუნ. „გ“. საქართველოს მიწადმოქმედების კომისარიატის გამოცემა, 1929 წ.).

შემდეგ გადავდივარ მე-59 მუხლზე: „თუ ამ ინსტრუქციის მე-56 მუხლის ძალით შეუძლებელი ან მიზანშეუწონელი იქნება ჯგუფური მიწადმოწყობა მიწის გამათანაბრებელი გადანაწილებით, მაშინ მიწადმომწყობი კომისია არკვევს, რამდენად შესაძლებელია ჯგუფური მიწადმოწყობა არაგამათანაბრებელი გადანაწილებით, ე. ი. მიწადსარგებლობის კანონიერ ნორმის ფარგლებში არსებული დიფერენციაციის დატოვებით“.

ამხანაგებო, ჩემის აზრით, სავსებით უკანონოა ამჟამად, როდესაც ამ საკითხზე არ არსებობს პარტორგანიზაციის და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილება, კონტრაბანდული გზით გატარდეს გამათანაბრებელი მიწადსარგებლობის პუნქტი. მე ერთ-ერთ თათბირზე უკვე ვილაპარაკე ამ საკითხის ირგვლივ და ახლაც ვიმეორებ, რომ ეს გამათანაბრებელი მიწადსარგებლობა საქართველოს პირობებში დაუშვებელი საქმეა, მიწის სიმცირის პირობებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, გამათანაბრებელი გადანაწილება აუცილებლად გამოიწვევს მიწადსარგებლობის შემდგომ დაწვრილმანებას, რაც ბევრად შეამცირებს მოსავლიანობას. ყოველ შემთხვევაში, გამათანაბრებელი მიწადსარგებლობის საკითხი იმდენად სერიოზულია, იმდენად ღრმად ეხება ღარიბ და საშუალო გლეხობის ფართო მასების მეურნეობას, რომ მისი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატში, უმაღლესი ორგანოების სათანადო დადგენილების გარეშე, გადაწყვეტა ყოვლად დაუშვებელია. ამასთან ერთად, ამ გამათანაბრებელი მიწადსარგებლობის შესახებ მთელს წიგნაკში მარტო ერთ მუხლშია ლაპარაკი. მიწადმოქმედების კომისარიატს სურდა ეს საკითხი კონტრაბანდული გზით გაეტარებინა სათანადო დადგენილების მიღებამდე.

ჯერ კიდევ მოხსენების დაწყებამდე მომცეს შეკითხვა და მთხოვეს მეთქვა, როგორ მესმის საქართველოს მიწადმოწყობა. მე არ ვცდილობ გადმოვცე პარტიის ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისი ამ საკითხზე, იმიტომ, რომ თქვენ ალბად იცით, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ეს საკითხი გამოაცხადა სადისკუსიოდ, რომ თავიდანვე აგვეცილებინა შეცდომები, რომლებსაც ადგილი ექნებოდა, მისი აჩქარებული გადაჭრის დროს.

რაც შეეხება ჩემს პირად თვალსაზრისს, რა თქმა უნდა, მე გადაჭრით ვეწინააღმდეგები, ჯერ ერთი, გამათანაბრებელ მიწადსარგებლობას და, მეორე, თემურ მიწადსარგებლობას, რომელსაც ზოგიერთი ამხანაგი აყენებდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მე მგონია, საქართველოს პირობებში ეს იქნება უკან დახევა და არა წინ სვლა. რუსეთში, სადაც თემური მიწადსარგებლობის ტრადიცია არსებობს, ცდილობენ მოახდინონ მისი რეკონსტრუქცია. ფაქტიურად რუსეთში კითხვა სდგას ისე, რომ სურთ გადაახალისონ ძველი ტიპის თემური მიწადსარგებლობა და პირველ ხანებში შექმნან ახალი საადგილ-მამულო თემი იმ ვარაუდით, რომ საბოლოო ანგარიშით იგი სრულიად მოსპონ და გადავიდნენ მიწადსარგებლობის ნამდვილ საბჭოთა ფორმაზე—კოლექტიურ მეურნეობაზე.

როდესაც კითხვას იძლევი, რა სარგებლობას მოიტანს თემური მიწადსარგებლობა, ამბობენ, რომ სარგებლობა მდგომარეობს მიწის ვითომდა უკეთეს კონტროლში, რამდენადაც საადგილ-მამულო თემი არის საზოგადოებათა გაერთიანება, რომლის მიმართ კონტროლის გაწევა ადვილია. ლაპარაკობენ, რომ საადგილ-მამულო თემი უფრო ადვილად ემორჩილება სახელმწიფოს ზეგავლენას, ვიდრე ცალკე ინდივიდუალური მიწადმოსარგებლენი. სრული სიმართლეა, მაგრამ მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ ამ საზოგადოებათა მმართველობაში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, გაძვრებიან არა ისინი, ვინც ჩვენ გვჭირდება, არამედ კულაკური, მენშევიკური და ანტისაბჭოთა ელემენტები. ამხანაგები ამის საწინააღმდეგოდ მეტყვიან, რომ ჩვენ უნდობლად ვეკიდებით ჩვენს პარტიულ ორგანოებს ადგილებზე, რომ მე ვხატავ სოფლის უნუგეშო სურათს და გადაჭარბებულად ვაფასებ მენშევიკების და კულაკების ძალებს საადგილ-მამულო საზოგადოებებში გასვლის საკითხში. მაგრამ ფაქტების წინააღმდეგ ვერ წახვალ. მთელ რიგ კოოპერატივებში, რომლებიც ჩვენი დაუღალავი კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან, ჩვენს კოლექტიურ მეურნეობებშიაც კი ჩვენ გვაქვს მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც იქ სხდიან ყოფილი მღვდლები, თავადები და სხვა საეჭვო ელემენტები. საადგილ-მამულო საზოგადოებაში, რომელიც პარტიული ორგანიზაციის კონტროლისა და პარტიის ხელმძღვანელობის მხრით ბევრად უფრო ნაკლებად იქნება უზრუნველყოფილი, ეს საფრთხე უფრო გაძლიერდება. ეს ფაქტები იმას გვეუბნებიან, რომ თემური მიწადსარგებლობა საქართველოში საზიანო საქმეა. შემდეგი საკითხია, თუ როგორ შეხვდება ამას გლეხობა. ცხადია, საჭირო იქნება დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რომ განვმარტოთ გლეხს მიწადსარგებლობის თემური ფორმის რაობა. ჩვენი გლეხობა მას არ იცნობს და, ჩემის აზრით, საჭირო არაა უნაყოფო შრომის დახარჯვა, როდესაც არსებობენ მიწადსარგებლობის უფრო პროგრესიული ფორმები.

გამათანაბრებელი მიწადსარგებლობა გულისხმობს მიწის პერიოდულად გადანაწილებას, ერთ მეურნეობაში მიწის რაოდენობის შემცირებას, მეორეში გადიდებას. ასეთი ფორმა მიუღებელია, მარტო იმიტომაც, რომ იგი მიწადსარგებლობაში ქმნის მერყეობას და, გარდა ყოველივე ამისა, ლახავს საშუალო გლეხობის ფართო მასების ინტერესებს. ყოველივე ეს გააფუჭებს ჩვენს დამოკიდებულებას საშუალო გლეხთან, რასაც სრულებით არ მოითხოვენ ჩვენი ინტერესები.

პირადად მე მხარს ვუჭერ ჯგუფურ მიწადსარგებლობას და მიწადმოწყობას, რადგან სწორედ ჯგუფური მიწადსარგებლობა უზრუნველყოფს ჩვენთვის იმ დადებით მოვლენებს, რომელთა შესახებაც საადგილ-მამულო თემის მომხრეები გვეუბნებიან. ჯგუფური მიწადსარგებლობის დროს, როდესაც ერთ ფარგალში გამოიყოფა მეურნეობის განსაზღვრული რაოდენობა, ბევრად უფრო ადვილია მათი მართვა, კონტროლი და ხელმძღვანელობა, ვიდრე ცალკე ინდივიდუალური მეურნეობებისა, რაც არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ არ შევლახავთ საშუალო გლეხობის ინტერესებს. ამიტომ არ უნდა დავხუჭოთ თვალი სინამდვილის წინაშე. საჭიროა უდიდესი ყურადღება მივაქციოთ მიწადმოწყობის ამ ფორმას და საადგილ-მამულო ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ გაავრცელონ სწორედ ჯგუფური მიწადმოწყობა.

ჩემის აზრით, ჯგუფური მიწადსარგებლობა ყველაზე რენტაბელურია, ყველაზე უფრო მისაღებია გლეხობისათვის. როგორია მდგომარეობა გვაქვს ამჟამად? მთელს საქართველოში გვყავს 100 მიწისმზომელი, თვითეულზე მოდის 800 ჰექტარი. რა თქმა უნდა, ასეთი მუშაობით ჩქარა ვერ წავალთ წინ და მიწადმოწყობის დამთავრებას შევძლებთ მხოლოდ 22 წლის შემდეგ. ამავე დროს ჩვენ გვაქვს დადგენილება და იმედია ყრილობა დაადასტურებს ამას, რომ მიწადმოწყობა უნდა დამთავრდეს 7 წელიწადში. ეს მაქსიმალური ვადაა. მე არ ვეთანხმები სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიან გეგმას, რომლითაც მიწადმოწყობა უნდა დამთავრდეს 5 წელიწადში. ეს ვადა არ არის რეალური. ეს ციფრი, ყველა ანგარიში და მიწადმოწყობის მთელი ანალიზი გვეუბნება, რომ მხოლოდ 7 წლის განმავლობაში შევძლებთ დავამთავროთ მუშაობა და ისიც დიდი გაჭირვებით.

რამდენი მიწის მზომელია საჭირო, რომ მიწადმოწყობის სამუშაოები 7 წელიწადში დამთავრდეს. 1930 წელს საჭიროა 180 მიწისმზომელი, 1931 წელს—240, 1932 წელს—310, 1933 წ.—310 და 1934 წ.—310.

თბილისის სამიწამზომლო ტექნიკუმმა კი 1928 წელს გამოუშვა მხოლოდ 29 მიწის-მზომელი, შემდეგ წლებში კი გამოუშვებს 20-დან 25-მდე. მიწისმზომელების ასეთი ნელი გამოშვება ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. ამიტომ სახალხო განათლების და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ და მოგვცენ მიწისმზომელთა ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს მიწადმოწყობის გატარებას. ეს გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან თუ არ გვეყოლება მიწისმზომლები, არ გვექნება მიწადმოწყობა, ხოლო უამისოდ კი ზედმეტია ფიქრი რაიმე პროგრესზე, რეკონსტრუქციაზე, ინტენსიფიკაციაზე და სხვა. (ხმები ადგილიდან: მართალია).

ახლა ხარისხის შესახებ. ჩვენი ტექნიკუმების მიერ გამოშვებული მიწისმზომლების ხარისხი ყოველგვარი კრიტიკის დაბლა სდგას. ეს პირდაპირ უნდა ითქვას. და რომ ეს ხარისხი ამაღლდეს, საჭიროა ცნობილი სპეციალისტების მოწვევა, მათთვის ხელფასის გადიდება, თუნდაც თვეში 500 მანეთის მიცემა, მაგრამ იმ პირობით, რომ მათ გამოუშვან ნამდვილი მიწისმზომლები, ვინაიდან ტექნიკუმების მიერ გამოშვებული მიწისმზომლები მეტად სუსტი მიწისმზომლები არიან. საჭიროა ვიფიქროთ მიწისმზომლების ხარისხზე, არა მარტო ახალგაზრდების, არამედ ძველებისაც. ამ მიზნით, მიწადმოქმედების და განათლების სახალხო კომისარიატებმა უნდა გამონახონ საშუალებები, და მოაწყონ მოკლევადიანი კურსები მიწისმზომლების გადასამზადებლად.

ყოველივე ამასთან მიწისმზომლების მუშაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტიის და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია, რადგან არცერთ მიწისმზომელს პარტიისა და ხელისუფლების აქტიური დახმარების გარეშე არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

(დასასრული ხვალ)

წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია

პროფკავშირთა წევრებს შორის

გუშინ საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა კავშირების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირზე გამოირკვა, რომ ეხლახან დამთავრებულ სამოსწავლო წლის განმავლობაში ძალიან ცოტაა გაკეთებული პროფკავშირთა წევრების წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში, მიუხედავად იმისა, რომ მაღლა მდგომი ორგანოები, ყველა თავის ცირკულიარებში და სადირექტივო წერილებში აღნიშნავდნენ, რომ მუშაობის ამ დარგს უნდა მიექცეს მაქსიმალური ყურადღება.

თათბირზე აღნიშნული იყო, რომ კავშირებმა წერა - კითხვის უცოდინარ 2.000 კაციდან (35 წლის ჰასაკამდე) წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში გაგზავნეს 800 კაცი, აქედან სკოლები დაამთავრა მხოლოდ 400 კაცმა.

კავშირების ცენტრ. გამგეობები და ადგილკომები კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ მუშების სკოლებში გაგზავნით, შემდეგ კი ივიწყებდნენ მათ. არც ერთ კავშირს არ ჩაუტარებია გამოკვლევა იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს მეცადინეობა სკოლებში. წერა- კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხები არ ირჩეოდა კავშირების ცენტრ. გამგ. სხდომებზე. არც კავშირებს, არც ადგილკომებს არ აქვთ წერა - კითხვის უცოდინარ წევრების და სკოლებში გაგზავნილთა სწორი სიები.

პოლიტგანი, რომელიც კავშირებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით აწარმოებს წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, ძალიან გვიან შეუდგა სკოლების გახსნას (იანვარში და თებერვალში), მას არ ჰქონდა საჭირო ხელსაწყოების და სახელმძღვანელოების საკმაო რაოდენობა, სკოლების ბინები უვარგისი იყო, სკოლები შეფარდებული არ იყო მუშების თავისუფალ დროსთან და სხვა.

თათბირმა დაადგინა, რომ 1929 წლის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობა მთლად 100 პროც. უნდა იქნეს მოსპობილი შემდეგ 15 კავშირში: სამთამადნო, ხეზე მომუშავეთა, მეტყავეთა, მელითონეთა, მბეჭდავეთა, ქიმიკოსთა, ფეიქართა, მკერავთა, რკინისგზელთა, ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა, კავშირ გაზმეურნობის, მედსანშრომის, განათლების და საბჭოთა - სავაჭრო მუშაკთა კავშირებში.

ოთხმა კავშირმა — მიწა - ტყის, სახალხო კვების, მშენებელი მუშათა და კომუნალურ. მუშაკთა კავშირებმა წერა - კითხვის უცოდინარობა უნდა მოსპონ 30—31 წლის განმავლობაში.

ამ მუშაობის შესასრულებლად ყველა კავშირებმა ეხლავე უნდა შეადგინონ წერა - კითხვის უცოდინარ მუშა - მოსამსახურეთა სიები.

სალიკვიდაციო სკოლები მიმაგრებული იქნება კავშირების ცენტრ. გამგეობებზე, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მუშაობის სწორად დაყენებისათვის.

პოლიტგანათლების მმართველობას წინადადება მიეცა, ეხლავე შეუდგეს სოორგანიზაციო მუშაობას. სახელგამს დაევალა გამოსცეს სათანადო ლიტერატურა სალიკვიდაციო სკოლების კურსდამთავრებულთათვის.

წყალსადენი სოფლად

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თბილისის მაზრის სოფლების უმრავლესობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა სასმელი წყალის უქონლობის გამო.

მოსახლეობა უმთავრესად ხმარობდა ჭების დაბალი ღირსების წყალს, რაც სოფლად იწვევდა სხვადასხვა სენის და კერძოდ მალარიის გავრცელებას.

თბილისის აღმასკომმა გაითვალისწინა რა ეს გარემოება, გადასწყვიტა მაზრის ყველა იმ სოფელში, სადაც სალი წყალი არ მოიპოვება, გაიყვანოს მთის წყაროები. ამ მიზნით მუშაობა დიდი ხანია დაწყებულია და მრავალ სოფელში უკვე გაყვანილია წყალსადენი.

დღემდე წყალსადენი გაყვანილი იქნა და ამ საქმეზე დაიხარჯა: ლილუბანში—500 მ., პატარა ენაგაში—984 მანეთი, ვაკეში—3129 მ., ხიდულებში—3.000 მ., გუდარეხში—1200 მ., ანტაკაში—2.500 მ., მარწყოვკაში—1.639 მან., ახალდაბაში—4.381 მ., ბაგებში—1.658 მ., გოლოვინში—321 მ., ლოუბანში—7.473 მ., ალბულაღში—3.727 მ., შინდისში—2.163 მ., ზარიბიანთ კარში—3.249 მ., ბერთუბანში—2.708 მ. და საგარეჯოში—4.622 მანეთი.

ამ სოფლებში თბილისის აღმასკომმა წყალსადენები გაიყვანა თავის ხარჯით და სულ დახარჯა 46.079 მანეთი.

დანარჩენ სოფლებს წყალსადენის გასაყვანად სესხად მიეცათ ამდენივე თანხა.

მიღებულია ზომები, რათა მაზრის არც ერთი სოფელი არ დარჩეს უწყლოთ. გარდა ამისა, მოზრდილ სოფლებში ეწყობა აბანოები, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოსახლეობის გაჯანსაღების საქმეს.

თბილისის აღმასკომი ამასთანავე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თბილისის მაზრის აგარაკების კეთილმოწყობას და პირველ რიგში წყლით მათ უზრუნველყოფის საქმეს.

აღმასკომმა უკვე გაიყვანა წყალსადენი მანგლისში, ამ წყალსადენის გაყვანა სულ დაჯდა 52.381 მანეთი. ასე რომ მანგლისში წელს დასასვენებლად წასულ მუშებს და მათ ოჯახებს შეუძლიათ ისარგებლონ სალი წყალით.

განზრახულია წყალსადენის გაყვანა კოჯორში და მაზრის სხვა აგარაკებში. ამ მხრივ უკვე დაწყებულია წინასწარი მუშაობა.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

თამბაქოს საშრობი ქარხანა

გადაწყვეტილია აფხაზეთში აგებული იქნეს თამბაქოს საშრობი ქარხანა და საწყობი. მათ მოსაწყობად ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 520.000 მანეთი. საქართველოს სხვა მეთამბაქოეობის რაიონებში თამბაქოს საშრობი ფარდულებისა და შესანახ ადგილების მოსაწყობად გადადებულია 12.000 მანეთი.

სესხის არა დანიშნულებისამებრ მოხმარისათვის

საბჭოთა მამულების ტრესტს, მეცხვარეობისათვის და ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სესხად მისცა 25.000 მანეთი. როგორც გამოირკვა, ეს ფული ტრესტმა მოიხმარა არა დანიშნულებისამებრ, რის გამო აა.-კ. სას.-სამ. ბანკმა დაადგინა აღნიშნული თანხა დაუყოვნებლივ დაიბრუნოს უკან.

ყველის ქარხნები

სამხრეთ-ოსეთში არსებული ყველის 3 ქარხნის გასაფართოვებლად და სოფ. სარტატში ყველის ახალი ქარხნის მოსაწყობად ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 9.000 მანეთი.

სოციალისტური შეჯიბრება

ეროვნული

შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკებში შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა

გავაუმჯობესოთ დამკვრელ ბრიგადების მუშაობა

სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადებამ ფაბრიკა-ქარხნებს შორის წამოაყენა ბრიგადული ფორმა მუშაობისა. ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება გაიზარდოს და გაძლიერდეს მუშათა ინიციატივა შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, თვითღირებულების შემცირებაში, სამუშაოების უმიზეზოთ გაცდენის წინააღმდეგ ბრძოლაში და საერთოდ წარმოების რაციონალიზაციაში. ე. წ. დამკვრელ ბრიგადების არსებობა და მათი მუშაობა, საუკეთესო საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად და მუშათა აქტიობის გასაზრდელად ამ საქმეში. მუშაობის ეს ფორმა დიდი ხანი არ არის, რაც შემოღებულია პრაქტიკაში. სულ ორი თვე არც კი იქნება, რაც დაიწყეს მუშაობა დამკვრელმა ბრიგადებმა. მიუხედავად ამისა მათმა მუშაობამ ნათლად უჩვენა ის გარემოება, რომ მუშაობის ეს ფორმა აუცილებელ საშუალებათაგანია პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებების შესასრულებლად და წარმოების გასაუმჯობესებლად. ბრიგადების მუშაობამ არამც თუ მარტო აწია შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, არამედ მან გაზარდა მუშათა აქტიობაც, გამოაცოცხლა საერთოდ მუშაობა.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად დამკვრელ ბრიგადების მუშაობას ნაკლიც აქვს, რაც უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პროფორგანოები ბრიგადების მუშაობას ვერ ადევნებენ სათანადოდ და ვერ უწევენ მათ საჭირო ხელმძღვანელობას. დამკვრელ ბრიგადების მუშაობის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალ ფაქტებით უჩვენოს დანარჩენ მუშებს და დაუმტკიცოს მათ თუ რას შეუძლიან მიაღწიოს მუშათა რომელიმე ჯგუფმა საწარმოო დისციპლინის განმტკიცებით და როგორ შეიძლება არსებულ პირობებში შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება. ადგილობრივი პროფორგანოები და ადმინისტრაცია კი ასეთ ბრიგადებს აძლევენ უპირატესობას და შედარებით სხვა მუშებთან, აყენებს უკეთეს პირობებში, რათა რაც შეიძლება გაადიდონ შრომის ნაყოფიერება. დამკვრელი ბრიგადების მუშაობისადმი ასეთი მიდგომა დიდი შეცდომაა. საქმე ის კი არ არის, რომ მუშაობის განსაკუთრებულ პირობებში (ბრიგადების საუკეთესო სამუშაო დაზგით და ხელსაწყო იარაღებით უზრუნველყოფა) აწიონ შრომის ნაყოფიერება—(ასეთ პირობებში ყველა მუშა შესძლებს თავის მუშაობის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების აწევას), საქმე იმაშია, რომ მუშაობის იმავე პირობებში, როგორშიაც უხდებათ მუშაობა დანარჩენ მუშებს, შრომის დისციპლინის განმტკიცებით და ნედლი მასალის ეკონომიურად გამოყენებით, გაადიდონ როგორც პროდუქციის გამოშვება, ისე აწიონ მისი ხარისხი და შეამციროს მისი თვითღირებულება. აი რაში მდგომარეობს დამკვრელ ბრიგადების მთავარი მნიშვნელობა. ამ ბრიგადების განსაკუთრებულ უკეთეს პირობებში ჩაყენება კი დაუკარგავს დიდ მნიშვნელობას და დასცემს მის ავტორიტეტს მუშათა შორის.

მეორე ნაკლი დამკვრელ ბრიგადების მუშაობისა არის ის, რომ მათი მუშაობა ხშირად არ არის შეთანხმებული მთელი წარმოების პირობებთან: ბრიგადების გვერდით მომუშავე მუშათა ჯგუფები, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია ბრიგადების მუშაობასთან, ვერ ასწრებენ მუშაობას, ამის მიზეზი შრომის დაუკავშირებლობა ურთიერთ შორის მთელს საამქროში, ნედლი მასალის ნაკლებობა, დგომა თვითბრიგადებისა და სხვ. ამაში რასაკვირველია ბრიგადებს არ მიუძღვით ბრალი. ეს უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ ტექნიკური და ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა ამ დარგში ჯერ კიდევ საკმაოდ მოისუსტებს.

სოციალისტური შეჯიბრების მთავარი დანიშნულება არის მთელი წარმოების გაუმჯობესება, ბრძოლა მის სწორ და უკეთეს ორგანიზაციულ ფორმებში ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ ბრიგადების მუშაობასთან ერთად უნდა გაუმჯობესდეს ადმინისტრატიული და ტექნიკური ხელმძღვანელობა წარმოებაზე მიღებულ უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ რაც შეიძლება უკეთესად მოეწყოს წარმოება. უამისოდ არავითარი მნიშვნელობა სოციალისტურ შეჯიბრებას და დამრტყმელ ბრიგადების მუშაობას ერ ექნება.

ვ.

შეჯიბრების პირველი შედეგები აბრეშუმის მრეწველობაში

საქართველოს აბრეშუმის ძაფ-სახვევი ფაბრიკები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეულ ყავს მოსკოვის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას. ამის გარდა ადგილობრივი ფაბრიკები ეჯიბრებიან ერთი მეორეს; შეჯიბრება სწარმოებს აგრეთვე ცალკე მუშებსა და წყებებს შორისაც.

უნდა ითქვას, რომ მუშები სრული შეგნებით შეხვდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას. ჯერ ორი კვირაც არ გასულა რაც დაიწყო შეჯიბრება და უკვე მიღებულია თვალსაჩინო შედეგები. თუ რამდენად დაინტერესებული არიან მუშები შეჯიბრებით, სჩანს იქიდანაც, რომ სამუშაოს დამთავრების შემდეგ, თვითეული ფაბრიკა აცნობებს სხვა ფაბრიკას დღიური მუშაობის შედეგებს და შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამ ცნობებს მუშები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს.

შეჯიბრებამდე სამუშაოს გაცდენა არასაპატიო მიზეზებით და სამუშაოზე დაგვიანება აღწევდა 10—12 პროც. დიდი იყო აგრეთვე საპატიო მიზეზებით სამუშაოს გაცდენის პროცენტიც. შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ კი არასაპატიო მიზეზებით სამუშაოს გაცდენა და სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადება თითქმის სრულიად მოისპო. ქუთ. აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკაში, სადაც მუშაობა სწარმოებს სამცვლად და ჩაბმულია 1200 მუშა,—ამ ხნის განმავლობაში დაგვიანებით მოსვლის შემთხვევა იყო მხოლოდ ერთი.

საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერებაც.

ხონის ძაფ-სალებ ფაბრიკის თვითეული აუზის პროდუქცია დაცემული იყო 500 გრამამდე. ეხლა კი თვითეული აუზის პროდუქცია ამ ფაბრიკაში უდრის 830 გრამს. ქუთაისის ფაბრიკის თვითეული აუზის პროდუქცია შეჯიბრების შემდეგ 450 გრამიდან აყვანილია 600 გრამამდე. ასეთივე მდგომარეობაა სამტრედიის აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკაშიც. შეჯიბრების პერიოდში დიდად გაუმჯობესდა აგრეთვე ძაფის ხარისხიც. თვითეული მუშა ყოველ ძალღონეს ხმარობს ძაფის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ასეთ შედეგებს თავისთავად მოსდევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

ამჟამად თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აბრეშუმის ძაფ-სახვევი ფაბრიკების მუშები მთლიანად შეასრულებენ მოსკოვთან დადებულ ხელშეკრულებას და გადააჭარბებენ საწარმოო გეგმას.

შეჯიბრების ფონდში აბრეშუმის ტრესტს გადადებული აქვს 12.000 მანეთი, საიდანაც დაჯილდოვებული იქნებიან შეჯიბრებაში გამარჯვებული ფაბრიკები და ცალკე მუშები.

ტყემალი.

მიღწევებთან ნაკლიც გვაქვს

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრება გასული ერთი თვის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა. როსტოველ მუშებთან ხელშეკრულების დადების პირველსავე თვეს საქვაბე და ამწყობთა საამქროებმა გამოუშვეს შვიდ-შვიდი ქვაბი და ორთქლმავალი. ე. ი. ხელშეკრულების პირობა მთელი ასი პროცენტით იქნა შესრულებული. ამწყობთა სამქროს უნდა გამოეშვა 6 ნახევ. ორთქლმავალი. მან კი გამოუშვა 7 ორთქლმავალი. ასევეა საქვაბე საამქროშიაც. მას ბევრი სხვა ისეთი შეკეთების დამუშავება ხვდება, რომ თითქმის 2—3 ქვაბის შეკეთებას უდრის.

ქვაბების დადგმის ხანგრძლივობაც ძალზედ შემცირდა. თუ ამ წლის პირველ კვარტალში საშუალოდ 36 დღე იდგა ქვაბი შეკეთებაში, ივნისში უკვე 28 დღემდე ჩამოვიდა. ერთ თვეში 8 დღით ადრე გამოშვება ქვაბისა დიდი მიღწევაა. მილების შეკეთებაც 80 პროცენტით გადიდდა ივნისში. ყოველ შემთხვევაში მიღწევები გვაქვს, რაც უნდა მიეწეროს შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

მაგრამ ამ მიღწევას თავისი დამაბრკოლებელი მიზეზიც აქვს. მაგალითად: 2 ივლისს საქვაბე სამქროს, შეკეთებაში ფაქტიურად ედგა 4 ქვაბი ნაცვლად 8 ქვაბისა. საქვაბე საამქროს არ შეუძლიან ნაკლებ ქვაბებზედ დატოვოს მუშა ხელოსნები. საწარმოო პროგრამითაც 8 ქვაბია გათვალისწინებული. მიზეზი ამ არანორმალობის ყოფილა ერთი უთავბოლო განკარგულება. სახელდობრ ის, რომ თუ შესაკეთებელი ორთქლმავალი ქარხნის გარეთ თვეობით ცივი დგას, ის არ ითვლება შეკეთებაში, მაგრამ თუ ამ ორთქლმავალმა სახელოსნოს ზღურბლი გადააბიჯა, იმავე დღიდან [illegible] დარგი თავის წიგნში სწერს, რომ ესა და ეს ორთქლმავალი შეკეთებაშია. ამის გამო სახელოსნო ვეღარ ბედავს, რომ ეს ორთქლმავლები შიგნით იყოლიოს და საჭიროების დროის შეტანის დასაშლელ განყოფილებაში.

განა სულ ერთი არ არის გაცივებული ორთქლმავალი, სადაც იდგება შეკეთებამდე? უფრო კარგი არ იქნება, რომ შესაკეთებელი ორთქლმავალი ქარხანაში იდგას, რომ საქვაბე სამქროს საშუალება ჰქონდეს წვრილმან საქმეებზე არ დაკარგოს დრო და ნორმალურად აწარმოოს თავისი მუშაობა? სანამ ორთქლმავალი სახელოსნოში არ იქნება ყოველთვის მზად, შეკეთების საქმე ვერ მოწესრიგდება. ასეთ უთავბოლო მუშაობის გამო სოციალისტური შეჯიბრება მარტო ქაღალდზე დარჩება.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ამავე საამქროსათვის მასალის რკინის და სპილენძის მომარაგება. თუ ეს წინადადება მიღებული იქნება, საქვაბე-საამქრო თვეში 7 ქვაბის მაგივრად 7 ნახ. და 8 ქვაბს შეაკეთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულების მთელი ასი პროცენტით შესრულებაზე.

ვ. ნ. ნ.

შრომის დეზერტირების საჩვენებელი გასამართლება

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის ახალ კლუბში შესდგა შრომის დეზერტირების და ხულიგანების საჯარო საჩვენებელი გასამართლება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. საბრალდებულო სკამზე სხედან სტამბის მუშები,: **ბარადოვიჩი** და **კანკოვი**. სასამართლოს თავმჯდომარე მუშა ამხ. კამაროვსკი ბრალდებულებს უკითხავს საბრალდებულო ოქმს.

ბარადოვიჩს ბრალი ედება იმაში, რომ მან 4 თვის განმავლობაში უმიზეზოთ, სიმთვრალის გამო გააცდინა 4 ნახ. დღე. ამავე ხნის განმავლობაში კანკოვმა გააცდინა 5 ნახ. დღე, რაც საშუალოდ 41 მან. უდრის.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გაცდენის მეორე დღესაც ეს ამხანაგები წარმოებისათვის არ არიან გამოსადეგი. ამით ფერხდება წარმოება, ეცემა პროდუქციის ღირსება და მცირდება შრომის ნაყოფიერებაც.

ბევრი შეკითხვების შემდეგ ირკვევა, რომ ეს ამხანაგებს არ ჰქონიათ არავითარი დატვირთვა, არ ყოფილან ჩაბმული კულტურულ საქმეში და სხვა.

ბრალმდებელი ამხ. **გულუმიანი** აღნიშნავს, რომ ეს ამხანაგები იყვნენ გაფრთხილებული თავის საქციელისათვის, მაგრამ მათ მაინც ვერ დაიშალეს ცუდი ყოფა-ქცევა. ჩირქს სცხებენ მუშებს და აყენებენ ზარალს წარმოებას ლოთობით და ამ ნიადაგზე სამუშაოზე გამოუცხადებლობით. ყოფილა შემთხვევა, როცა ნისიათ გამოტანილი ფეხსაცმელები 24 მან. ღირებული, გაუყიდიათ 12 მან. და დაუხარჯავთ ღვინოში. ანგარიშს არ უწევენ—იმას, რომ სიმთვრალის გამო მოხსნილი მუშები პირველ რიგში არ მიიღებიან სამუშაოზე, რაც დიდ გავლენას ახდენს მათი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე.

ამხ. **ბერზაკი** უმატებს რამოდენიმე ბრალდებას და მოითხოვს სასამართლოსაგან შრომის დეზერტირების სამსახურიდან მოხსნას.

დამცველები: **ჩიქოვანი** და **გრიგორიანი** ამტკიცებენ, რომ ბრალდებულების დანაშაულში წილი გვაქვს ჩვენც, მის გვერდით მომუშავე ამხანაგებსაც. ჩვენ ვერ მივაქციეთ ყურადღება და ვერ ჩავაბით ისინი სხვადასხვა ორგანიზაციებში. ამიტომ საჭიროა მათი არა დასჯა, არამედ გამოსწორება.

დასასრულ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, სადაც ბრალდებულებს მიეცა უკანასკნელი გაფრთხილება და 6 თვის ვადა გამოსწორებისათვის.

კუპრიელა.

მუშაობა გაცხოველდა

ზუგდიდი, 8 ივლისი. (საქ. კორესპონდენტისაგან). სოციალისტურმა შეჯიბრებამ აამოძრავა ზუგდიდის მაზრის მთელი წარმოება-დაწესებულებები. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ყველგან. მედსანშრომის მუშაკთა კავშირის სამაზრო პროფაქტივის თათბირზე მოსმენილ იქნა ეკონომ-კომისიების მოხსენებები, გარჩეული იქნა ცენტრალური გამგეობის დირექტივები სოციალისტურ შეჯიბრების შესახებ. თათბირმა გამოიტანა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი და შეადგინა პროექტი, რომლის ცხოვრებაში გატარება დაევალა ყველა პროფ უჯრედებს.

ზუგდიდის საბჭოთა აფთიაქი და საავადმყოფო უკვე შეუდგა პროექტის განხორციელებას და შეჯიბრებაში გამოიწვია სენაკის აფთიაქი და საავადმყოფო. პროექტში გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების აწევა და დაწესებულებების რაციონალურად მოწყობა.

მიწა-ტყის კავშირის სამაზრო განყოფილებასთან არსებული აგრონსექციამ მოიწვია მაზრის აგრსპეციალისტთა პირველი კონფერენცია. კონფერენცია უმთავრეს ყურადღებას აქცევს სოციალისტურ შეჯიბრების საკითხებს.

კოდუა.

ნედლეულის დამზადება

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, ივნისის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სხვადასხვა სამრეწველო ნედლეულის, ადგილობრივი საკლავი საქონლის და ბოსტნეულის დამზადება. წინასწარი ცნობების მიხედვით, ივნისის განმავლობაში დამზადებულია სულ 4.600.000 მან. ზემოხსენებული საქონელი, წინა თვეში (მაისში) დამზადებული იყო 3.500 ათასი მანეთის, ხოლო გასული წლის ივნისში კი 4 მილიონ მანეთის საქონელი. ამრიგათ მიმდინარე წლის ივნისში დამზადებული იქნა 15 პროც. მეტი საქონელი, ვიდრე გასულ წელს.

ზემოხსენებულ დამზადებაში მთავარი ადგილი უჭირავს აბრეშუმს. 5 ივლისამდე მთელ ამიერ-კავკასიაში დამზადებული იყო 2.950 ტონა აბრეშუმის პარკი. (გასული წლის ივნისში დამზადებული იქნა 1.926 ტონა აბრეშუმის პარკი). აბრეშუმის დამზადების გეგმა ივნისში შესრულებული იქნა 64,5 პროცენტით.

1 ივლისისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში დამზადებული იყო 1.406 ტონა მატყლი (შესრულებულია გეგმის 66 პროც.) საქართველოში დამზადებული იქნა—656 ტონა, აზერბეიჯანში—696 ტონა და სომხეთში 54 ტონა მატყლი.

განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასვლა

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გაეცნო ყველა იმ მასალებს, რომელიც შეაგროვა და შეისწავლა მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების საქმის შემსწავლელმა სპეციალურმა კომისიამ. კომისიის მუშაობისა და მიღებული დასკვნების შესახებ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. სოკოლოვმა.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მოიწონა კომისიის მუშაობა და დაამტკიცა მრეწველობის ყველა იმ დარგების სია, სადაც შემოღებული უნდა იქნას განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი. ს. მ. უ. ს. დადგენილებით განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი დაუყოვნებლივ უნდა იქნას შემოღებული ახალშენებათა საქართველოს ხაზით—თამბაქოს დიდი საწყობის ასაგებ სამუშაოებზე, თბილისის ლითონის ახალი მექანიკური ქარხნის საამშენებლო სამუშაოებზე, თბილისის მაუდის ფაბრიკაში და პროვინციის ახალ საამშენებლო სამუშაოებზე (ქ. გორში, სამტრედიაში, ოზურგეთში და სხ.) საამშენებლო მასალათა დამამზადებელ წარმოებებში განუწყვეტელი მუშაობა შემოღებული უნდა იქნეს—კირის ქარხნებში, აგურის ქარხნებში დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეზე და თბილისის აღმასკომის კუთვნილ გრანიტის ქარხანაში (სოფ. გელათთან, ქუთ. მაზრა).

სამთამადნო მრეწველობის დარგში კომისიის დადგენილება მთლიანად დამტკიცებულია. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა ამასთანავე მოიწონა სამთო ქიმტრესტის გადაწყვეტილება დიატომიტის მადნის სამუშაოებზე განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების შესახებ.

ცნობილია აგრეთვე აუცილებლათ, რომ განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლის რეფორმა გატარდეს გუმბრინის (ნავთის საწმენდი მადანი) სამუშაოებზე, ბარიტის მრეწველობაში და გლაუბერის მარილის წარმოებაში. საერთოდ, სამთამადნო მრეწველობის დარგში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოსაღებად ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს: საბრუნავი თანხების გაძლიერება, დამატებითი კაპიტალური მშენებლობა და ფინანსების მიწოდების საქმის მოგვარება.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ყველა იმ წარმოებებს, სადაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შემოღებული აღნიშნული ახალი რეფორმა, წინადადება მიეცათ მიიღონ ზომები განუწყვეტელ მუშაობაზე დაჩქარებით გადასასვლელად.

პურის ცხობის გასაუმჯობესებლად

პურის ცხობის გაუმჯობესების მიზნით, თბილისში დაარსდა პურის ინსპექცია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს პურის წესიერად ცხობას. ინსპექცია უკვე შეუდგა მუშაობას. პურის საცხობების გამოკვლევამ შემდეგ ინსპექცია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მსხვილი პურის საცხობები, რომლებიც უკეთ არიან მოწყობილი, საკმაოდ არ არიან დატვირთული სამუშაოთი—ამავე დროს პურის ცხობა სწარმოებს პატარა საცხობებში, რომლებიც სრულიად არ არიან მოწყობილი. პატარა საცხობებში პურის გასაცივებელ ადგილის უქონლობის გამო, ყიდიან საცხობიდან ახლად ამოღებულ ცხელ პურს. წესით კი პურის გაყიდვა უნდა დაიწყოს მისი საცხობიდან ამოღების 4 საათის განვლის შემდეგ, ე. ი. როდესაც პური უკვე გაცივებულია. ამიტომ ინსპექციის აზრით საჭიროა პატარა პურის საცხობების დახურვა.

ახლო მომავალში ინსპექცია შეუდგება მიმდინარე წლის მოსავალ ხორბლეულის გამოკვლევას და დახარისხებას.

სას.-სამეურნეო გადასახადის კამპანია

ახალქალაქის მაზრაში

სას. სამეურნეო გადასახადის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად ახალქალაქის მაზრაში მიღებული იყო ყოველგვარი ზომები: გლეხობას გააცნეს სას. სამ. გადასახადის ახალი კანონი და ამ კანონიდან გამომდინარე შეღავათები. საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებში ზედმიწევნით დამუშავდა ახალი კანონი სას. სამეურნეო გადასახადის შესახებ და ზემდგომ ორგანოებიდან მიღებული ყოველგვარი ინსტრუქციები და ახსნა განმარტებები მომავალი კამპანიის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ჰქონდა დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის სწორად ჩატარების საქმეს. ამ მიზნით მოეწყო აღმრიცხველთა გადამზადებელი კურსები, რომლებიდაც დამუშავებული იქნა როგორც თვითო ახალი კანონი, აგრეთვე აღრიცხვის ტექნიკური მხარეები, შემუშავდა საჭირო საკონტროლო მასალები, სასოფლო სიები და სხ.

დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა დაიწყო 1 ივნისს. აღრიცხვის საქმის სახელმძღვანელოდ გამოყოფილი არიან მაზრის პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც მიმაგრებული არიან თემებზე და უშუალოდ ადევნებენ თვალყურს საღრიცხვო კომისიების მუშაობას. აღრიცხვის საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობენ აგრეთვე საგადასახადო განყოფილების ინსტრუქტორები.

როგორც ირკვევა მიმდინარე საგადასახადო კამპანიაში ნაწილობრივად შემცირდება ნათესების სივრცე და როგორც მსხვილფეხა, აგრეთვე წვრილფეხა საქონელი. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ გასულ წელს ნათესების საგრძნობი ნაწილი დააზიანა სეტყვამ, ხოლო წელს სათესი მასალის მცირე რაოდენობით მოწოდების და სარჩოს სიძვირის გამო, სათესი მასალის ნაწილი გლეხობამ დახარჯა სარჩოდ და ამავე მიზნისათვის გაყიდულ იქნა საქონლის საგრძნობი რაოდენობა.

ამასთანავე მიღებულია ზომები რომ ინდივიდუალურად დასაბეგრთა სიაში არ მოხვდეს საშუალო შეძლების გლეხობა. აღნიშნული სიები უპირველესად ყოვლისა შემოწმებული იქნებიან ღარიბ გლეხობის საერთო კრებებზე, რის შემდეგაც გადატანილი იქნებიან განსახილველად უფრო ფართო კრებებზე. ღარიბი და საშუალო. შეძლების გლეხობა მიმდინარე წლის კამპანიაში იჩენს გაცილებით მეტ აქტიობას, ვიდრე წინა წლებში და ეს გარემოება თავდებია, რომ საგადასახადო კამპანია ახალქალაქის მაზრაში წელს მთლიანად გაამართლებს თავის მიზნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტესტების ტალღა საბჭოთა კავშირში

საპროტესტო დემონსტრაციები მოსკოვში

მოსკოვი, 16 ივლისი. კვირას კულტურისა და დასვენების პარკში შესდგა უდიდესი საპროტესტო მიტინგი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ყაჩაღური თავდასხმის წინააღმდეგ. მიტინგს დაესწრო 8000 კაცზე მეტი—მოსკოვის უდიდესი ქარხნების მუშები, მოსამსახურეები და წითელარმიელები.

მოსკოვის საქალაქო პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის, ამხ. **სტროევსკის** მოკლე მოხსენების შემდეგ, სიტყვებით გამოვიდნენ მოსკოვის მთელ რიგ წარმოებათა მუშები, რომლებიც მოითხოვდნენ გადამჭრელი ზომების მიღებას ჩინელი გენერლების წინააღმდეგ და აგრეთვე ძალ-ღონის უფრო მეტად დაჭიმვას სოციალისტური მშენებლობის საქმეში..

მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: **„ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. გენერლების ზურგს უკან ჩვენ მივმართავთ ჩინეთის მუშათა კლასს და გლეხობას და მოუწოდებთ ალაგმონ თავაშვებული ბანდიტ - ექსპლოატატორები.** ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობისაგან არ შეჩერდეს არავის წინაშე და ბოლო მოუღოს ბანდიტურ თავგასულობას და ძალადობას. ჩინეთის გენერლებისადმი მიმართული ჩვენი ულტიმატუმის გასამაგრებლად ჩვენ მოვითხოვთ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის დაუყონებლივ გამოშვებას. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დაძახებაზე ჩვენ იარაღით ხელში, როგორც ერთი კაცი, გამოვალთ საბჭოთა კავშირის დასაცავად.

იმავე დღეს ანალოგიური რეზოლიუციები მიღებულ იქნა მოსკოვის მშრომელთა მრავალათასიან მიტინგების მიერ—ლენინის გორებზე, მანდელშტამის სახელობის ბაღში და სხვ. საპროტესტო მიტინგები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ბანდიტური თავდასხმის წინააღმდეგ მოხდა აგრეთვე ხაბაროვსკში, ნოვოსიმბირსკში, ირკუტსკში, ყაზანში, ასტრახანში და სხვა ქალაქებში.

ორშაბათს, მუშაობის გათავებისა და წარმოებებში მფრინავი მიტინგების გამართვის შემდეგ მოსკოვის მუშების დიდი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ჩინეთის საელჩოსაკენ. დემონსტრანტები ლოზუნგებში მოუწოდებდნენ ხელისუფლებას დაუყონებლივ მიიღოს გადამჭრელი ზომები ჩინეთის კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ. პირველად საელჩოს მიუახლოვდნენ „დინამო"-ს მუშები. „ძირს ჩინეთის რევოლიუციის ჯალათები! გაუმარჯოს საბჭოთა ჩინეთს"—გაიძახოდნენ ისინი. ამ ლოზუნგების საპასუხოთ გაისმოდა ერთსულოვანი „ურა". ვიღაცამ წამოიწყო „ინტერნაციონალი" და მთელმა დემონსტრაციამ დასჭექა რევოლიუციონური ჰიმნი. „შორს ხელები საბჭოთა კავშირისაგან, ძირს ახალი ომის პროვოკატორები"„ გაისმოდა დემონსტრანტების ხმა. „ძირს"—იგრიალა მთელმა მიტინგმა და ჰაერი შეარხია ერთსულოვანმა სტვენამ, რომლისგანაც საელჩოს ფანჯრებმა ზანზარი დაიწყეს. ამის შემდეგ უკანა რიგების მიწოლის გამო დემონსტრანტებმა გადათელეს მილიცია, რომელიც სამ წყებად იცავდა საელჩოს ალაყაფის კარებს. საელჩოს დაუშინეს კიტრისა და ვაშლის ნაფცქვენები. დემონსტრანტებმა თითქმის უკვე გაარღვიეს მილიციის წრე. ამ დროს გაისმა ხმა: „ამხანაგებო, ვერავინ შესძლებს წამოგვაგოს ომის პროვოკაციის ანკესზე. თუ საჭირო იქნება აქ კი არა, იქ, საბჭოთა კავშირის საზღვრებზე, დავამტკიცებთ, რომ შეგვიძლია ომი და გამარჯვება". „მართალია"—უპასუხეს დემონსტრანტებმა და მოშორდნენ საელჩოს კარებს. კოკისპირული წვიმის მიუხედავად კიდევ დიდხანს გაგრძელდა დემონსტრაციების მსვლელობა.

განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია კომუნისტური უნივერსიტეტის ჩინელ მშრომელ სტუდენტთა რაზმების გავლამ. ერთმა ჩინელმა სტუდენტმა ჩინურ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა საბჭოთა კავშირის მშრომელთადმი სოლიდარობის შესახებ. მრავალი მუშა გაემართა კავშირის სახლისაკენ და აგრეთვე კომინტერნისაკენ, სადაც იმართებოდა მფრინავი მიტინგები. დემონსტრაციამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის არ მოიპოვება არც ერთი კაცი, რომელიც მთავრობისა და პარტიის პირველსავე დაძახებისთანავე არ გამოვა საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს).

მოსკოვი, 16 ივლისი. ჩინეთის სამხედრო ხროვის და რუსი თეთრგვარდიელების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის უხეშმა დაკავებამ მოსკოვის პროლეტარიატის საშინელი აღშფოთება გამოიწვია. მრავალ ფაბრიკებსა, ქარხნებსა და დაწესებულებებში სტიქიურად გაიმართა მიტინგები, რომლებზედაც მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუციები მილიტარისტების პროვოკაციის წინააღმდეგ. რეზოლიუციები მოითხოვენ ენერგიული ზომების მიღებას საბჭოთა დაწესებულებებზე თავდასხმის აღსაკვეთად. რეზოლიუციებში მუშები უცხადებენ პარტიას და მთავრობას, რომ ისინი, თუ საჭირო იქნება ყველანი, როგორც ერთი კაცი, გამოვლენ საბჭოთა კავშირის დასაცავად. ელექტრო-ქარხნის რამდენიმე ათასი მელითონე-მუშა პროტესტს აცხადებენ ჩინეთის კონტრ-რევოლიუციონერების აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე უხეში თავდასხმის წინააღმდეგ. „ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მთავრობისაგან,—ნათქვამია რეზოლიუციაში—მიიღოს გადამჭრელი ზომები მსოფლიო იმპერიალისტების იარაღის—თავაშვებული ჩინელი კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ ჩინელი ჯარის დაუყოვნებლივ წაყვანას ჩვენი საზღვრებიდან, საბჭოთა კავშირის დაპატიმრებულ მოქალაქეთა განთავისუფლებას, თეთრგვარდიელების განდევნას, ჩვენი წარმომადგენლობის და მუშათა ორგანიზაციების აღდგენას. ჩვენ მოუწოდებთ ყველა ქვეყნის პროლეტარიატს, ძლიერი პროტესტებით აღკვეთონ იმპერიალისტების პროვოკაცია" (ადს).

ლენინგრადი, 16 ივლისი. ცნობამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ბანდიტური თავდასხმის შესახებ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ლენინგრადის კვანძის ყველა რკინისგზელებში. სახელოსნოებში და უბნებში შესდგა მიტინგები, რომლებზედაც მუშებმა და მოსამსახურეებმა თავიანთი ზიზღი გამოხატეს მკაცრ რეზოლიუციებში. „პროლეტარული ქარხნის" რამდენიმე ათასმა მუშამ და მოსამსახურემ რეზოლიუციაში განაცხადეს სასტიკი პროტესტი იმ გენერალთა ხროვას ხულიგნური გამოსვლების წინააღმდეგ, რომლებიც პირველად არ უპოტინებენ ხელს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას. უკანასკნელმა შემთხვევამ ჩვენი მთავრობის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით უნდა დასვას საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა კაპიტალის დაქირავებულ აგენტების და რუსი თეთრგვარდიელების თარეშს გადაჭრით ალიკვეთოს (ადს).

კურსკი, 16 ივლისი. მიტინგები, რომლებიც სტიქიურად მოხდა წარმოებებსა და დაწესებულებებში, თავიანთ რეზოლიუციებში გამოსთქვამენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ბანდიტური თავდასხმის საწინააღმდეგო პროტესტის და ზიზღის გრძნობებს,რომლითაც გამსჭვალულნი არიან ქალაქის მშრომელები. მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები აცხადებენ, რომ მზად არიან პირველ დაძახებისთანავე გამოვიდნენ იარაღით ხელში საბჭოთა კავშირის დასაცავად (ადს).

კიევი, 16 ივლისი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩინელი ბანდიტების ყაჩაღურმა თავდასხმამ კიევის მშრომელთა შორის ძლიერი აღშფოთება და სასტიკი პროტესტები გამოიწვია.

მუშები მოითხოვენ გადამჭრელ პასუხს ბანდიტური თავდასხმის წინააღმდეგ: „ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ, თუ გვაიძულებენ ვიომოთ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, ავიღებთ ხელში თოფს და დავდგებით ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს სადარაჯოზე" (ადს).

ხაბაროვსკი, 16 ივლისი. ხარბინში მომხდარი ახალი თავდასხმის შესახებ ცნობის მიღებისთანავე ხაბაროვსკის ყველა კოლექტივებში და წარმოებებში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები. მიღებულ რეზოლიუციებში მშრომელები სალამს უძღვნიან ჩინეთის პროლეტარიატს და მოითხოვენ საბჭოთა მთავრობისაგან მიიღოს ენერგიული ზომები, რომლებიც კაპიტალის აგენტებს ერთხელ და სამუდამოდ გაუფუჭებენ საბჭოთა კავშირის უზენაესი უფლების შელახვის მადას (ადს).

ჩიტა, 16 ივლისი. ჩინეთის ხელისუფლების ახალი პროვოკაციის—ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე თავდასხმის საპასუხოდ საბჭოთა წარმომადგენლობებმა ხარბინში და ჩიტას მშრომელებმა დაუყონებლივ გამართეს მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი. შეკრებილებმა აღშფოთებით განაცხადეს: „ჩვენ უკანასკნელ მრისხანე გაფრთხილებას უთვლით უხეშ ჩინელ ბანდიტებს, რომლებიც ახალი ომის პროვოკაციას აწყობენ. თუ ჩვენ გამოგვიწვევენ, ყველანი მზად ვართ პასუხისათვის. მოუწოდებთ ყველა ქვეყნის მუშათა კლასს, ხელი შეუშალოს ახალი სასაკლაოს გამართვას, რომლის პასუხისმგებლობა კაპიტალისტებს დაატყდება თავზე. (ადს).

ნიჟნი-ნოვგოროდი, 16 ივლისი. ფაბრიკებსა და ქარხნებში იმართება საპროტესტო მიტინგები ჩინეთის სატრაპების აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმის წინააღმდეგ. მუშები საკავშირო მთავრობისაგან მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას უცხოეთის კაპიტალის აგენტების —თავაშვებული ჩინელი მილიტარისტების ალაგმვისათვის. (ადს).

ვორონეჟი, 16 ივლისი. ვორონეჟის მთელ რიგ წარმოებებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ბანდიტური თავდასხმის წინააღმდეგ. (ადს).

საქ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროტესტი

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მე-6 ყრილობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია მუკდენის ხელისუფლების პროვოკაციულ - ყაჩაღური თავდასხმის გამო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე.

რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ჩინელი მილიტარისტები სპეკულიაციას ეწევიან საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ხალხების განსაკუთრებულ მშვიდობის მოყვარეობაზე და ყაჩაღურად არღვევენ საბჭოთა სახელმწიფოს ელემენტარულ უფლებებს. ყრილობა გამოსთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირი გამონახავს საჭირო საშუალებებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ლაგამი ამოსდოს გათავხედებულ იმპერიალისტურ ხროვას. საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები სიტყვას იძლევიან, რომ ყველა, როგორც ერთი კაცი ყოველნაირად შეუწყობენ ხელს მთავრობას, რა ფორმებიც არ უნდა მიიღონ მოვლენებმა".

ამიერ-კავკასიაში

ბაქოში

ბაქო, 15 ივლისი. ცნობამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმის შესახებ ბაქოს მუშების დიდი აღშფოთება გამოიწვია. 15 ივლისს ამის გამო გამოტანილ იქნა რეზოლიუციები მთელ რიგ საწარმოებში. რეზოლიუციებში მუშები მოითხოვენ უცხოეთში საბჭოთა დაწესებულებებზე თავდასხმის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას.

„საბჭოთა ქვეყანა ძლიერია, რადგან იგი ემყარება მშრომელთ, და საბჭოთა კავშირი შესძლებს თავისი უფლებების დაცვას, ამბობენ ბაქოს მუშები. ჩვენ აღთქმას ვსდებთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ პირველ დაძახებისთანავე როგორც ერთი კაცი გამოვალთ ჩვენი საზღვრების დასაცავად".

15 ივლისს სასტიკი საპროტესტო რეზოლიუციები იქნა გამოტანილი ბაქოს სარეწაოების მშრომელთა მფრინავ მიტინგებზე. პარიზის კომუნის დოკის მუშები სავსებით მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის ნოტას. შემდეგ მუშებმა აირჩიეს დელეგაცია, რომელმაც თავისი დადგენილება შეატყობინა ბაქოს საბჭოს პრეზიდიუმს. ბაქოს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მამედ სულთანოვმა დაარწმუნა დელეგაცია, რომ პროტესტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საკავშირო მთავრობას. ასევე იყო ბაქოს რკინის გზის დეპოს მუშების სულიერი განწყობილებაც.

„ბურჟუაზიას სურს გამოიწვიოს ომი,—აცხადებენ რკინის გზელები თავის რეზოლიუციაში,—მაგრამ დე, იცოდეს მათ, რომ პასუხისმგებლობა იმაში, რაც ომს მოჰყვება, მათ დაეკისრება".

ასევე ჩატარდა მიტინგი აზნავთის იზოლაციის განყოფილებაში, ძერჟინსკის სახელობის მექანიკურ ქარხანაში, სამხედრო-საზღვაო ნავთსადგურში, ილიჩის სახელობის ნავთსადგურში და სხ.

„ხელში ჩაიგდეს რა ვერაგულად აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა,—ნათქვამია რეზოლიუციებში,— და დაარბიეს რა საბჭოთა ორგანიზაციები, მათ საზღვარი დაუდვეს ჩვენს მოთმენას. ჩინეთის გენერლები მოქმედობენ მსოფლიო იმპერიალისტების მითითებით. მაგრამ ისინი სცდებიან, როდესაც ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირი ვერ შესძლებს ბოლო მოუღოს მათ ბანდებს. ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან, რომ მან ლაგამი ამოსდვას ჩინეთის გენერლებს, კატეგორიულად მოვითხოვთ ჩვენი საზღვრების გაწმენდას ყაჩაღური ბანდებისაგან, ქონების დაბრუნებას, საბჭოთა კავშირის უფლებების აღდგენას რკინის გზაზე და თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების გარეკვას" (ადს).

საქართველოში

თბილისში

ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის მუშების ხმა

16 ივლისს, ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში შესდგა ქარხნის ყველა ცეხების მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ პროვოკაციული თავდასხმასთან დაკავშირებით. მომხდარი ამბების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **თავშავაძემ**, რომელმაც მუშებს გადასცა ცნობები ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მოწყობილ თავდასხმის შესახებ.

მოხსენების შემდეგ მიტინგმა ერთხმად მიიღო შემდეგი საპროტესტო რეზოლიუცია:

„ჩვენ, ამხ. სტალინის სახელობის შემკეთებელი ქარხნის მუშები სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ჩვენს რკინის გზაზე და საბჭოთა დაწესებულებებზე გათავხედებული მანჯურიის ხუნხუზების თავდასხმის გამო. ავღნიშნავთ ამასთანავე, რომ მანჯურიელი ხუნხუზები და ჩვენი ქვეყნიდან გარდახვეწილი თეთრგვარდიელები თავის ავანტიურისტული საქციელით ისე შორს წავიდნენ, რომ ისინი საფრთხეს უმზადებენ საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმეს და ქმნიან ახალი ომის შესაძლებლობას. თავდასხმების სისტემატიურად მოხდენა ჩვენს წარმომადგენლებზე, სრულუფლებიან წარმომადგენლობათა დარბევა, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა მხეცურათ მკვლელობა (კანტონი) და უკანასკნელათ კი თავდასხმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე—აშკარად ამტკიცებს, რომ გაცოფებული ჩინელი მილიტარისტები, უმაგალითო პროვოკაციული ფანდებით უტიფრად სცდილობენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა გამოწვევას ახალი სისხლის მღვრელ ომში, მანჯურიის ჯარების თავის მოყრა საბჭოთა კავშირის საზღვრებთან, თეთრგვარდიელთა რაზმების მომზადება, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადასაყვანად და სხ. აშკარად მოწმობენ ხუნხუზების მზაკვრულ განზრახვაზე და ჩინელი გათავხედებული გენერლების ავანტიურისტულ გეგმებზე.

სტალინის სახელობის ქარხნის მუშებს კარგათ ვესმის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი ცინიკური აქტის მნიშვნელობა. საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, ჩვენ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს ჩვენი მტრების თვითეულ ნაბიჯს და უფრო მეტის ენერგიით ვიმუშავებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმის განსამტკიცებლად, ნუ დაავიწყდებათ მოქმედ ავანტიურისტებს, რომ ჩვენს საზღვრებს იცავს ძლევამოსილი წითელი არმია, რომელთა ფოლადის ხიშტებით საკმაოდ ძლიერ კედელს შექმნიან იმისათვის, რომ ვერავინ შესძლოს წითელი საზღვრების გადალახვა. უნდა იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ წითელ არმიას მხარს უჭერს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი, რომელიც ასეთი ენთუზიაზმით ემზადება საერთაშორისო წითელი დღის ჩასატარებლად.

სტალინის სახელობის ქარხნის მუშები მოვითხოვთ მუშებისა და გლეხების მთავრობისაგან, მიიღოს გადამწყვეტი ზომები ალვირახსნილი ხუნხუზების წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ გადაჭრით იქნეს დაყენებული საკითხი ჩვენი სუვერენიტეტის შესახებ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, ისე რომ მომავალში უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობიანობა ჩვენი აღმოსავლეთის საზღვრებზე. ამასთანავე მოვითხოვთ მომზადებული იქნეს ჩვენი სახელოვანი წითელი არმია იმისათვის, რომ საჭირო მომენტში განადგურებულ იქნენ ყველა ის მტრები, რომლებიც გაბედავენ ჩვენი საზღვრების გადალახვას.

ნურავინ დაგვემუქრება ომით—ჩვენ მზადა ვართ ომისათვის. „გაუმარჯოს იმპერიალიზმთან ბრძოლის წითელ დღეს—პირველ აგვისტოს".

მე-5 სტამბის მუშების პროტესტი

გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგა პოლიგრაფტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ჩინელ ხელისუფლების წარმომადგენელთა აღმოსავლეთ რკინის გზაზე ყაჩაღური თავდასხმის შესახებ. მოხსენების ირგვლივ მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მე-5 სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, მოისმინა რა ინფორმაციული მოხსენება აღმოსავლეთ რკინის გზაზე ჩინელ ხელისუფლების წარმომადგენელთა ყაჩაღური თავდასხმის შესახებ, სასტიკ პროტესტს აცხადებს მსოფლიო იმპერიალიზმის ფინიების პროვოკაციული მოქმედების გამო. მე-5 სტამბის მუშა-მოსამსახურეები, დიდი კავშირის მუშებთან ერთად ერთხელ კიდევ ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ თუ ვინმე მას ძალად თავს მოგვახვევს მზად ვართ იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ დიდი ოქტომბრის მონაპოვარი.

ჩინეთის მილიტარისტთა ამ პროვოკაციულ მოქმედებას ჩვენ საბჭოთა ქვეყნის უნარიანობის განმტკიცებით, ეკონომიურად გაძლიერებით და **ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვების მოთხოვნით უპასუხებთ.**

ძირს ჩინეთის მილიტარიზმის ბოროტი ზრახვები.

ძირს მსოფლიო ომი.

გაუმარჯოს ჩინეთის პროლეტარიატსა და რევოლიუციონურ გლეხკაცობას.

გაუმარჯოს ოქტომბრის მონაპოვართა ერთგულ გუშაგს—სახელოვან წითელ არმიას.

1-ლი სტამბის მუშების ხმა

გუშინ, პოლიგრაფტრესტის პირველ სტამბაში შესდგა ადგილობრივი მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცნობა, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე და საბჭოთა დაწესებულებებზე ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა თავდასხმის შესახებ.

გამოსული მუშები აღშფოთებას გამოსთქვამდნენ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთი მორიგი პროვოკაციული გამოსვლის გამო და მოითხოვდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღოს ზომები საბჭოთა დაწესებულებების უშიშროების დასაცავად ჩინეთის საზღვრებზე.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „ჩინეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილ თავდასხმას ვაფასებთ როგორც მორიგ ავანტიურას, რომელიც მოწყობილია თეთრგვარდიელებისა და ყოველგვარი ჯურის კონტრ - რევოლიუციონერების ზეგავლენით, იმიტომ რომ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირში წარმოებულ მშვიდობიან აღმშენებლობას.

ჩვენ, პირველი სტამბის მუშები ვაცხადებთ, რომ პირველ დაძახებისთანავე გავალთ პროლეტარიატის დიქტატურის მტრებთან საბრძოლველად და არავის მივსცემთ ნებას ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვიდობიან შრომას".

დასასრულ კრება მოითხოვს საბჭოთა კავშირის მთავრობის აქტიურ ჩარევას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტში, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ჩინეთის ხელისუფლების ასეთ

ადგილებზე

რკინისგზელთა პროტესტი

ქუთაისი, 16 ივლისი. ქუთაისის დეპოს და მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე, რომელსაც დაესწრო 800-მდე კაცი, გაკეთებული იქნა მოხსენება ჩინელ ხელისუფლების წარმომადგენელთა ვერაგულ თავდასხმის შესახებ აღმოსავლეთ რკინის გზაზე. მიტინგმა მოხსენების ირგვლივ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია რომელშიაც ნათქვამია:

„ქუთაისის რკინის გზის დეპოსა და მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი სასტიკ პროტესტს გამოსთქვამს ჩინეთის ხელისუფლების მორიგ უხეშ პროვოკაციული გამოსვლების გამო. მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობისაგან, რათა ასეთ პროვოკაციულ გამოსვლების წინააღმდეგ მიღებული იქნეს კატეგორიული ზომები და დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას ნორმალური მდგომარეობა აღმოსავლეთ რკინის გზაზე. ჩვენ, რკინის გზელი მუშები კიდევ ერთხელ ვაცხადებთ საბჭოთა კავშირის მტრების გასაგონად, რომ არავითარი მუქარის ჩვენ არ გვეშინიან და საჭიროების დროს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ დიდი ოქტომბრის მონაპოვარს.

შორს ჩინეთის მილიტარისტების სისხლიანი ხელები აღმოსავლეთ რკინის გზიდან.

გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

ჩვენი პროტესტი ჩინელ მილიტარისტებს

ხაშური, 16 ივლისი. ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა საპროტესტო მიტინგმა მოისმინა ამხ. კალმახელიძის მოხსენება ჩინეთის რეაქციონური ხელისუფლების მოქმედების შესახებ კრება აღშფოთებით გამოსთქვამს ჩინეთის ხელისუფლების ვერაგულ მოქმედების გამო და აღნიშნავს, რომ ჩინეთის რეაქციონური მთავრობის მოქმედება აშკარა დარღვევაა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებული იყო ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩინეთის რეაქციონური მთავრობის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე აშკარად ამტკიცებს იმას, რომ მათ ზურგს უკან სდგას, დასავლეთის იმპერიალისტები ინგლისის მეთაურობით, რომლებსაც სურთ საბჭოთა კავშირი გახვიოს ომის ქარცეცხლში. ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ პროლეტარული ხელისუფლების სადარაჯოზე მუდამ მზად ვიქნებით. მიტინგი მოითხოვს საბჭოთა საზღვრებიდან თეთრ გვარდიელების განდევნას და ჩინეთის ხელისუფლებისაგან კი რუსეთის თეთრ გვარდიელებთა ბრბოს დაშლას.. კატეგორიულად მოვითხოვთ რათა აღდგენილ იქნენ უფლებებში საბჭოთა კავშირის რკინის გზის წარმომადგენლები და განთავისუფლებულ იქნენ ყველა დაპატიმრებულნი.

მუქარით ვერავინ შეგვაშინებს

ჩოხატაური, 16 ივლისი. (ტელ. ჩვენი კორ.) დღეს ნაშუადღევის 3 საათზე გაიმართა ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც შეკრებილი იყო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე უკანასკნელად მომხდარი ამბების გამო. მიტინგზე მოსმენილ იქნა ცნობა მანჯურიის კონტრრევოლიუციონური გენერლების უკანასკნელი გამოსვლის შესახებ, რომლითაც ისინი სცდილობენ გადმოიყვანონ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საომრად მომზადებული თავიანთ ჯარებთან ერთად რუს თეთრგვარდიელთა ჯარებიც. მოხსენების შემდეგ მიტინგმა ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა მოსახლეობა აღმოსავლეთ რკინის გზაზე მომხდარი ამბების გამო სასტიკ პროტესტს აცხადებს და მოითხოვს საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა მთავრობისაგან გადამჭრელი და კატეგორიული ზომების მიღებას მოძალადე მტარვალთა წინააღმდეგ. ჩოხატაურის რაიონის მშრომელი მოსახლეობა აცხადებს, რომ იგი გვერდში ამოუდგება საბჭოთა ხელისუფლებას და ოქტომბრის დიად მონაპოვართა გუშაგს, წითელ არმიას, რომელიც მოწოდებულია დაიცვას საბჭოთა კავშირის სუვერენობა და მისი საზღვრები.

მიტინგი მოუწოდებს ჩინეთის მრავალ მილიონიან ტანჯულ მშრომელთ, ხელი შეუწყონ საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიტინგი კიცხავს რა მოძალადეების თავხედურ მოქმედებას, მხურვალე სალამს უძღვნის ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა კავშირის უძლეველ მუშტს—წითელ არმიას.

პრ. ცინცაძე.

უკანასკნელი ცნობები

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან

მოსკოვი, 16 ივლისი. ჩინეთის საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში ბატონმა სია-ვენ-სუნმა გუშინ დაახლოვებით ექვს საათზე გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს აცნობა შემდეგი დეპეშა-ინსტრუქცია, რომელიც მან მიიღო ჩინეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან ნანკინიდან.

მოგვყავს მთლიანად ინსტრუქციის ტექსტი:

„თუმცა ჯერ კიდევ არ არის ჩვენ მიერ მიღებული მთელი დეპეშა, რომელიც შეიცავს საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის პროტესტს და დანიშნული ვადისთვის პასუხის მოთხოვნას, მაგრამ მთავარი აზრი უკვე გასაგებია. ჩვეულებრივ ჩვენი მთავრობა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობას. ამ ბოლო დროს ხარბინის ამბებმა გამოიწვიეს ზომების მიღების აუცილებლობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მიმართ, მაგრამ ამას არ შეუძლია გავლენა იქონიოს ორი სახელმწიფოს ამჟამად არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობაზე. ელჩი ჩუ-შაუიანი მალე დაბრუნდება სამსახურის ადგილზე. თუ საბჭოთა მთავრობას აქვს რაიმე მოსაზრება, შეიძლება დღესვე შეუდგეთ ორივეს მხრით მის გულწრფელ განხილვას. ჩვენის აზრით, ყველა საქმეები უნდა წყდებოდეს ორი სახელმწიფოს არსებულ დებულებათა საფუძველზე და ირჩეოდეს ფაქტიურად ორივე მხარის მონაწილეობით. ასეთი პირობით საკითხები ადვილად გადაწყდება. გიბრძანებთ წინასწარ ზეპირად აცნობოთ ამის შესახებ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს და დაუმატოთ, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ გავსცემთ პასუხს, როგორც კი მივიღებთ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის პროტესტის მთელს შინაარსს.

ვაი ძიაო-ბუ (გარეშე საქმეთა სამინისტრო) 16 ივლისი, 1929 წ.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მიერ ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, საკავშირო მთავრობა არ ფიქრობს გასცეს პასუხი ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ამ დეპეშას და ელოდება ჩინეთის მთავრობის პასუხს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის 13 ივლისის ნოტაზე. ამ პასუხის გაცემას ნანკინის გარეშე საქმეთა სამინისტრო, მისი განცხადების თანახმად, დაგვპირდება დაუყოვნებლივ, როგორც კი მიიღებს ნოტის მთელ ტექსტს.

პოლიციის თავხედობა

ჩიტა, 16 ივლისი. სწრაფი მატარებლით გამოვიდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშაკთა პირველი ჯგუფი. წამოვიდნენ ექიმებიც კი, რომლებიც რკინის გზის სადგურებზე მუშაობდნენ. პოლიცია მოითხოვდა მუშაკებისაგან რამდენიმე წუთის განმავლობაში დაეცალათ ბინები და სასწრაფოდ სხდნენ მატარებელში. ექიმ ფრინკელს სადგურ მანჯურიაში სცემეს იმის გამო, რომ მოისურვა ოჯახის თან წამოყვანა. საბჭოთა ქვეშევრდომების მოხსნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე გრძელდება. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამმართველოს რუსული ნაწილი მმართველ ემშანოვთან ერთად გამოვიდა ხარბინიდან ადს).

ხაბაროვსკი, 16 ივლისი. 15 ივლისს პოლიცია ეწვია საბჭოთა კავშირის საელჩოს სადგურ პაგრანიჩნაიაზე, ვითომ რადიოდადგმულობის გასასინჯად, ნამდვილად კი იგი გამოცხადდა ჩხრეკის მოსახდენად. პოლიცია არ იქნა დაშვებული საელჩოში, რის გამო მან განაცხადა, რომ ამას აცნობებს სამხედრო სარდლობას. ყველაფერი ეს მოხდა დიპლომატიური კომისარის დასწრებით. 11 საათსა და 10 წუთზე პოლიცია შემოერტყა საბჭოთა საბაჟოს და მოინდომა შენობაში შესვლა კარების ძალით გაღების საშუალებით, მაგრამ ეს ვერ შესძლო. რამდენიმე ხნის შემდეგ მოსალაპარაკებლად გამოცხადდა საბაჟოს გამგე კუზოვლევი, რის შემდეგ პოლიცია წავიდა. 14 ივლისს ღამის 12 საათზე პოლიცია გამოცხადდა საბაჟოს სამორიგეო ბინაში, მაგრამ არაფერი ჩაუდენია და ცოტა ხნის შემდეგ წავიდა.; დღეს ხარბინში გამოცხადდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ადმინისტრატიული განყოფილების გამგის ბრძანება კიდევ 45 კაცის დათხოვნის შესახებ (ადს).

ამერიკის ეკონომიური დელეგაცია

ბერლინი, 15 ივლისი. ამერიკის ეკონომიური დელეგაცია 15 ივლისს მოსკოვს გაემგზავრა. (ადს).

მოწოდება მასიური გაფიცვებისა და დემონსტრაციებისაკენ

ვენა, 16 ივლისი. ბულგარეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ორგანო „ედინენიე", ბურჟუაზიის, ფაშისტური ბანდების და სოც.-ფაშისტების ტერორის მიუხედავად, ხელახლა მოუწოდებს მუშებს, ჩაატარონ 1 აგვისტოს მთელს ბულგარეთში გაფიცვები და მასიური დემონსტრაციები.

თვითმფრინავი „საბჭოთა ფრთები" გაფრინდა პარიზისაკენ

ბერლინი, 16 ივლისი. საბჭოთა თვითმფრინავი „საბჭოთა ფრთები" 13 საათსა და 30 წუთზე ბერლინიდან პარიზისაკენ გაფრინდა. გაფრენის წინ აეროდრომზე შეიკრიბა გერმანიის მთავრობის, საჰაერო ორგანიზაციების, გაზეთების და საბჭოთა ახალშენის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები სრულუფლებიან წარმომადგენლობის კრესტინსკის მეთაურობით. გამოთხოვება იყო მეტად გულითადი, განსაკუთრებით გრომოვთან, რომელსაც თავისი ბერლინში ყოფნის განმავლობაში გაზეთების მრავალი წარმომადგენელი ნახულობდა და რომელიც საერთო ყურადღების საგნად იყო გადაქცეული. აეროდრომის წინ შეიკრიბა მრავალი ხალხი, განსაკუთრებით მუშები, რომლებიც მღეროდნენ რევოლიუციონურ სიმღერებს. გასაფრენად გამზადებულებს გაუმართეს მხურვალე ოვაციები.. თვითმფრინავი განსაცვიფრებული სიმსუბუქით აფრინდა და სწრაფად მიიმალა დასავლეთის მიმართულებით (ადს).

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

ლონდონი, 15 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„თემთა პალატაში კონსერვატორი დეპუტატი სმიტერსი შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრ ჰენდერსონს, გაეგზავნა თუ არა საბჭოთა კავშირს ან მიღებულია თუ არა მისგან წინადადება ურთიერთობის განახლების შესახებ. ჰენდერსონმა უპასუხა, რომ საბჭოთა მთავრობას ინგლისის მთავრობისთვის არ მიუმართავს დიპლომატიური გზით, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ნორვეგიის მთავრობის საშუალებით მოგვცა წინადადება, რომ გამოგზავნის საბჭოთა მთავრობის პასუხისმგებელ წარმომადგენელს ლონდონში იმ პირობების გამოსარკვევად, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაუწყვეტელ საკითხების უმოკლეს დროში მოგვარებას. ჰენდერსონის ამ განცხადებას მუშათა პარტიის სკამებიდან ტაშის ცემით შეეგებნენ (ადს).

ლონდონი, 15 ივლისი. თემთა პალატაში კონსერვატორების დეპუტატმა ოლივერ ლოკკერ-ლემპსონმა ჰკითხა პრემიერს, დაინიშნება, თუ არა კამათის დღე საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ, სანამ ინგლისში ჩამოვიდოდეს საბჭოთა რომელიმე თანამდებობის პირი.

მაკდონალდმა უპასუხა, რომ მთავრობა ფიქრობს სავსებით დაიცვას მოქმედების ისეთი წესი, რომლითაც მისმა წინამოადგილეებმა 1927 წელს ისარგებლეს. ჩემბერლენმა ჰკითხა, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მაკდონალდი მოლაპარაკების შემდეგ არ გადადგამს უკანასკნელ ნაბიჯს, სანამ თემთა პალატა არ მიიღებს საშუალებას განიხილოს იგი. მაკდონალდმა უპასუხა დადებითად, ოლივერ ლოკკერ-ლემპსონი შეეკითხა, ექნება თუ არა თემთა პალატას საშუალება განიხილოს ეს საკითხი სესიის დასრულებამდე.

მაკდონალდმა უპასუხა, რომ სესიის დამთავრებამდე—არა.

ლოიდ-ჯორჯი შეეკითხა: ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ, თუ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის მოლაპარაკება პალატის დათხოვნამდე დამთავრდება, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები არ იქნებიან დაშვებულნი ინგლისში ოქტომბრამდე ან ნოემბრამდე.

მაკდონალდმა უპასუხა: ეს იმას ნიშნავს, რომ არავითარი დადგენილება, რომელსაც მთავრობა მიიღებს, ცნობის შესახებ არ შევა ძალაში მანამდე, სანამ არ გაირჩევა თემთა პალატაში.

უთანხმოება მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში

„დროა ვინმე ალაპარაკდეს, როგორც სოციალისტი"

ლონდონი, 15 ივლისი. უმუშევრობასთან ბრძოლის მინისტრმა ტომასმა პარლამენტში შეიტანა წინადადება— —გადაიდოს ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი „კოლონიების განსავითარებლად სამუშაოებისათვის". ეს წინადადება მან იმით დაასაბუთა, რომ კოლონიების ხელისუფლებას უნდა მიეცეს საშუალება გადაიხადოს მის მიერ აღებული სესხების პროცენტებიო. ამ სესხებით მიღებული თანხებიდან 40 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაიხარჯება „კოლონიების განსავითარებელ სამუშაოებზე".

კოლონიების ყოფილმა მინისტრმა ბოლდუინის კაბინეტში ემერიმ სავსებით დაუჭირა მხარი ტომასის წინადადებას. ლიბერალების სახელით წინადადებას მხარი დაუჭირა გამილტონმა, მაგრამ ტომასის წინადადებამ კრიტიკა გამოიწვია მუშათა პარტიის რიგებში.

თემთა პალატის ახალმა წევრმა ბროუნმა აღნიშნა, რომ ტომასი და ემერი ერთსა და იმავე შეხედულებებს ქადაგებენ და ერთნაირი სიტყვებითაცო.

„დროა,—სთქვა ბროუნმა,—ვინმე ალაპარაკდეს, როგორც სოციალისტი". ბროუნი მოითხოვდა, რომ „კოლონიების განსავითარებელ სამუშაოებზე" დახარჯული თანხები გამოყენებული იქნან მუშების ჩაგვრის წინააღმდეგ, და ჰკითხა ტომასს, ეს თანხები მრეწველებისთვის სუბსიდიების მისაცემად ხომ არ იქნება გამოყენებულიო.

ტომასმა მკვახედ უპასუხა—ბროუნს „რომ მეტი საპარლამენტო გამოცდილება ჰქონდეს, იგი ასეთ შეკითხვებს არ შემოიტანდა, ვინაიდან თითონ ეცოდინებოდა პასუხიო".

ამაზე ბროუნმა განაცხადა: „რაც უნდა დიდხანს დავრჩე პარლამენტში, იმედი მაქვს არასოდეს არ დავმცირდები ისეთ მოქმედებამდე, როგორიც არის ტომასის მოქმედებაო".

ბროუნის ამ გამოსვლამ, აგრეთვე მუშათა პარტიის ბევრი წევრის სასტიკმა გამოსვლებმა მარგარიტა ბონფილდის წინააღმდეგ წინა სხდომაზე გამოიწვია დიდი ნერვიულობა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელთა შორის.

16 ივლისთვის დანიშნულია ფრაქციის სხდომა ფრაქციული დისციპლინის საკითხის განსახილველად (ადს).

უცხოელთა ექსტერიტორიალობის გაუქმება ჩინეთში

პეკინი, 15 ივლისი. პრესის წარმომადგენლების მიღების დროს ნაციონალური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ჯენ-ტინმა განაცხადა, რომ ნაციონალურმა მთავრობამ ვადასწყვიტა—**1930 წლის 1-ლ იანვრიდან გააუქმოს უცხოელებისათვის ექსტერიტორიალობა ჩინეთში.** შემდეგ ვან ჯენტინმა სთქვა,—ნაციონალურ მთავრობას „სურს გაიგოს, თუ რამდენად გულწრფელია ინგლისისა და საფრანგეთის მეგობრული დამოკიდებულება ჩინეთისადმიო. ამ მიზნით ნაციონალურმა მთავრობამ გადასწყვიტა, დაიწყოს მათთან მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ნებაყოფლობით უარი სთქვან ექსტერიტორიალურ უფლებებზე და სხვა პრივილეგიებზე მათსა და ჩინეთს შორის დადებულ ხელშეკრულებათა ვადის გასვლამდე (ადს).

„საბჭოთა ფრთები"-ს გადაფრენა

ბერლინი, 15 ივლისი. საბჭოთა კოლონიის კლუბში შესდგა საღამო აეროპლან „საბჭოთა ფრთები"-ს გადაფრენის მონაწილეთა პატივსაცემად. ყველას ყურადღებას იპყრობდა მფრინავი გრომოვი, რომლის ცნობასაც გადაფრენის პირველი ეტაპის შესახებ მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. ეს ცნობა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. გრომოვმა სთქვა: „გადაფრენა დაიწყო ძალიან ძნელ პირობებში—ნისლი, დაბლა დაშვებული ღრუბლები, წვიმა და აეროპლანის ზედმეტი დატვირთვა. როდესაც 200 კილომეტრი გამოვიარეთ, ამინდი გამოკეთდა, მაგრამ დაიწყო მოპირდაპირე ქარი, რომელიც ანელებდა აეროპლანის სისწრაფეს. იძულებული გავხდი ძალიან დაბლა მეფრინა, ზოგჯერ 50—100 მეტრის სიმაღლეზე, სადაც ქარის ძალა უფრო სუსტი იყო. ქარი ერთი მხრიდან მეორეზე ისროდა აეროპლანს, მე ჩემს თანამგზავრებზე ბევრად უკეთ ვგრძნობდი თავს, ისინი კაბინის იატაკზე ეყარნენ. 10 ნახ. საათი მე უჭმელი დავრჩი, რადგანაც ამხანაგებს არ შეეძლოთ ჩემთვის საჭმელის მოწოდება. ბალტიის ზღვაზე აეროპლანის ქანაობა შესწყდა და მგზავრები თანდათან გამოცოცხლდნენ. **განვლილი ძნელი ეტაპი იმის საწინდარია, რომ „საბჭოთა ფრთები" წარმატებით გაივლის მთელ მარშრუტს. აეროპლანი თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება ისეთ მსოფლიო მარკებს, როგორიც არის იუნკერსის სამმატორიანი აეროპლანი „ლ 5" ან „როჰრბახი".**

„საბჭოთა ფრთების" პარიზში გაფრენა დანიშნულია სამშაბათისათვის (ადს).

ბერლინი, 15 ივლისი. გერმანიის საზოგადოებრიობა და გერმანიის საავიაციო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ ჰაეროპლანის „საბჭოთა ფრთების" გადაფრენისადმი. პრესაში მოთავსებულია დაწვრილებითი ცნობა გადაფრენის შესახებ. პრესა ესალმება „საბჭოთა ფრთებს". აეროპლანი ინჟინრებისა, კონსტრუქტორებისა და მექანიკოსების დიდს ინტერესს იწვევს. მას უდიდესი ინტერესით ათვალიერებენ აგრეთვე მუშები. სპეციალისტები აცხადებენ, რომ „საბჭოთა ფრთები" არ ჩამოუვარდება იუნკერსის მოტორიან აეროპლანს. (ადს)

ექსპედიცია ფრანც იოსების მიწაზე

მოსკოვი, 16 ივლისი. არხანგელსკში გაემგზავრა ამხ. შმიდტი, რომელიც საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა ფრანც იოსების მიწაზე გასაგზავნი ექსპედიციის უფროსად. გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. შმიდტმა ექსპედიციის ამოცანების შესახებ სთქვა:

„ფრანც იოსების მიწა ჩვენი კავშირის ყველაზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაა. 1914 წელს კუნძულებზე რუსეთის დროშა იქნა აღმართული. 1926 წლის 15 აპრილს საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა, რომ მიწები „საბჭოთა კავშირის პოლიარულ სექტორში", მათ შორის ფრანც იოსების მიწაც, ცნობილ იქნას საბჭოთა კავშირის კუთვნილებად. არქიპელაგი ჯერ კიდევ თითქმის არ არის გამოკვლეული და სრულიად არ არის გამოყენებული. ამავე დროს ამინდი საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში მჭიდროდ არის დამოკიდებული იმისაგან, თუ როგორია ამინდი ჩრდილოეთში. დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირში ამინდის წინასწარ გაგებისათვის და, რასაკვირველია, ჩრდილოეთის ზღვებში მცურვი გემების უშიშო დახმარებისათვის ჩვენ ჩრდილოეთ კუნძულებზე დიდი მეტეოროლოგიური სადგურის აგებას. ეს არის ექსპედიციის პირველი ამოცანა. კუნძულზე ჩვენ დავტოვებთ აგრეთვე პირველ მოსახლეობას, შვიდ გაბედულ მოქალაქეს. ეს იქნება დედამიწაზე ყველაზე ჩრდილოეთით მცხოვრები მოსახლეობა. ამ მოსახლეობას შეადგენენ: ორი მეტეოროლოგი, ორი რადისტი, ექიმი, მზარეული და ძაღლების დარაჯი. გზაში და სადგურის აგების დროს ექსპედიცია მოახდენს მახლობელი ზღვის კუნძულების სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევას. ცნობილი სპეციალისტების პროფესორ სამოილოვიჩისა და ვიზეს ხელმძღვანელობით, რომელთაც „კრასინ"-ისა და „მალიგინ"-ის გმირობის შემდეგ მთელი ქვეყანა იცნობს (ადს).

რკინის გზის დაცვის რაზმი უნდა გაიწმინდოს

ალექსანდრე ხერხეულიძის „საქმენი საგმირონი"

ხერხეულიძე უნდა მოიხსნას სამსახურიდან და მისი საქმე გადაეცეს სასამართლოს. — უნდა გამოირკვეს ვინ მფარველობდა ხერხეულიძეს

ჩვენ, ა.-ტ. რკინის გზის დაცვის პირველ რაიონის უფროს ამხ. ა. ხერხეულიძეზე ვლაპარაკობთ. თითქმის წელიწად ნახევარია, რაც ხერხეულიძე სათავეში უდგას ხსენებულ რაიონის რაზმს. ეს რაიონი საკმაოდ დიდია: ხაშური, ბათომი, ბორჯომი, ქუთაისი; ტყიბული, ჭიათურა, ზუგდიდი, ფოთი და ოზურგეთი. რაზმის შემადგენლობა მნიშვნელოვანია. ვფიქრობდით, რომ ამ რაიონის უფროსად ამხ. ხერხეულიძის დანიშვნით, საქმე უფრო წინ წაიწევდა, ინტრიგებს, რომელთაც წინად ადგილი ჰქონდა, მსროლელების აბუჩად აგდებას, მათი უფლებების ფეხ ქვეშ გათელვას ბოლო მოეღებოდა. მაგრამ სინამდვილე საწინააღმდეგო სურათს იძლევა: ამხ. ხერხეულიძის ამ სამუშაოზე დაყენებით საქმე ოდნავად წინ არ წაწეულა, პირიქით, კიდევ მეტი უხეშობა, მსროლელთა მოქალაქობრივი უფლებების არარაობამდე დაყვანა,. პარტიულ ამხანაგების დევნა, პარტუჯრედების ბიუროების დაშლა-დანგრევა, პროტექციონიზმი, მამლაყინწაობა, ბიუროკრატიზმი, ჭეშმარიტების მთქმელთა „დაფერთხა", მუშკორების სამარცხვინო დევნა, „ნათლიმამობა" თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ლაქიობა, უმართებლო დაბეზღება, ბრძოლა კარიერისათვის—აი ის სურათი, რომელიც ჩვენს წინ იშლება. ნათქვამის საილუსტრაციოდ, თვით ფაქტები ავამეტყველოთ. მაგრამ ჯერ გავიგოთ ვინ ბრძანდება თვით ბ-ნ. ხერხეულიძე?

„ხერხეულიძე"—თავადის გვარის მაძიებელი

თურმე ნუ იტყვით, ხერხეულიძე ამ „ჩვენი" „ხერხეულიძის" გვარი როდი ყოფილა. მისი ნამდვილი გვარი ხარატიშვილია. ხარატიშვილს არ მოსწონს ხარატიშვილის (გლეხის) გვარი და თავი ხერხეულიძედ (თავადის გვარია) მოაქვს. რად დასჭირდა კომუნისტს გლეხის გვარი ძველი ფეოდალის გვარს ანაცვალოსო,—ამბობენ მსროლელები.

„ხერხეულიძე"-ც რასაკვირველია, ვერ მალავს ამ ფაქტს. მისი თქმით, ის იძულებული იყო 1917 წელში—ხერხეულიძის გვარი მიეღო ჯარში გაწვევის თავიდან ასაშორებლად. დაუშვათ, რომ ეს ასე არის, მაგრამ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ რად არ მოისურვა „ხერხეულიძემ" თავის ნამდვილი გლეხური გვარის ხარატიშვილის აღდგენა? იქნებ ეს სასახელო ფსევდონიმი იყო მისთვის არა ლეგალურ მუშაობის დროს? სრულიადაც-არა. 1917 წ. პარტიაში ის არც კი ირიცხებოდა. აქ ამ წყეული თავადური გვარისაკენ რაღაც ბუნებრივი მიმხიდველობა არის.

ეგრედწოდებული ხერხეულიძე ფულების მოყვარული კაცი ბრძანდება

ხერხეულიძემ ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა. მან კუთვნილზე მეტი ფული ჩაიდება „სამივლინებო" ხარჯების სახით. ხერხეულიძეს უამრავი ბრალდებები წამოუყენეს დასავლეთ საქართველოს რკინის გზის ყველა კუთხეებიდან. ქუთაისის სამაზრო საკონტროლო კომისია სპეციალურად არკვევდა ხერხეულიძეზე წამოყენებულ ბრალდებებს. ამ საქმეზე დაკითხულ იქნა 27 ამხანაგი. მათში 17 პარტიული და 10 უპარტიო. პირველი რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციების კრებებზეც მოსმენილ იქნა ამხანაგების აზრი ხერხეულიძის „საქმიანობის" შესახებ. ამ საქმიანობის გამოსარკვევად თავის დროზე ქუთაისის პარტორგანიზაციის საკონტროლო სამეულმა გამოჰყო ამხ. ა. ბარამიძე. რა გამოიკვლია მან?

მოგვყავს ერთი ადგილი კვლევა-ძიების ოქმიდან:

„გამოძიებამ გამოარკვია, რომ ამხ. ხერხეულიძე შტაბში თითქმის არ იმყოფება, არამედ ის მუდამ მივლინებაშია; თვიური მივლინება გამოდის 32 დღეც, (თვეში კი ჯერ-ჯერობით 30 დღეა. ს. მ.) და ცამეტი თვის განმავლობაში ჯამაგირის სახით მიღებული აქვს 2.080 მან., მივლინების კი 1.611 მან. და 92 კაპ. სულ—ცამეტი თვის განმავლობაში 3.691 მან. და 92 კაპ. ჯამაგირი კი თვეში 160 მან. აქვს".

ამრიგად, თვიური ჯამაგირი ცალკე, მივლინების ფული კი თვეში 32 დღის (?) კიდევ ცალკე. ამის შემდეგ ხერხეულიძეს კიდევ ჰყოფნის გამბედაობა უკმეხად უპასუხოს სამართლიანად შემნიშვნელ მსროლელს: „დღიური ფული მე თქვენგან არ მაქვს მიღებული. მე ასეთი მეძლევა თანახმად არსებული კანონისა"-ო. „კანონის თანახმად" კი, თუ მართალია ის, რაც ამ საქმის მცოდნეებმა გამოგვცეს, რაიონის უფროსს შეუძლია თვეში **მხოლოდ შვიდი დღის სამივლინებო ფული** აიღოს.

კიდევ მეტი. როგორც დოკუმენტებიდან სჩანს, მე-5 ოცეულის პ.-მ. მდივნის ამხ. მანჯგალაძის განცხადებით, ხერხეულიძეს სალაროდან ავანსად 500 მანეთი გაუტანია.

რაზმს აქვს მიწა, რომელზეც ის ეწევა კოლექტიურ მეურნეობას. ახლად ჩამოყალიბებულ მეურნეობას მცირე თანხები აქვს არსებობისათვის. ხერხეულიძეს კოლექტივის ეკონომიური სიუძლურე „ფეხებზე ჰკიდია". კოლექტივის სალაროდან მას „დროებით" სესხად 150 მან. გააქვს. მხოლოდ 5 თვის შემდეგ შეაქვს ხერხეულიძეს სესხის დასაფარავად 70 მ. 80 მანეთი კი დღესაც მასზე ირიცხება, თუ კი მოლარე ავანსის დაფარვას მოსთხოვს ამ დიდ „ხაზეინს"—ის დატუქსვით უპასუხებს: **„მოთრეხელ არ გაამხილო, მე რაიონის უფროსი ვარ და როგორც მინდა ისე მოვიქცევი".**

ერთი ამხანაგი უფრო „დიდ გარემოებასაც" აღნიშნავს. დაცვის სამმართველოს, ეკონომიის თანხიდან, კოლექტივის გასაუმჯობესებლად გადაუცია 800 მანეთი. ეს თანხა საერთო კრების დასტურით კოლექტივის გამგეობას უნდა ჩაბარებოდა. მაგრამ ეს ფული კოლექტივს დღემდეც არ ჩაბარებია. უჯრედის მდივნის მოთხოვნაზე ფულის კოლექტივისათვის ჩაბარების შესახებ, ხერხეულიძე მკვახეთ უპასუხებს, რომ ფული მას გამოუგზავნეს და არა კოლექტივსო. რა უყო ამ ფულს ხერხეულიძემ: შესჭამა, დაკარგა, თუ ინახავს სადმე—ეს ჯერაც გამოურკვეველია.

მესამე ოცეულის თავი ამხ. რუხაძე აცხადებს, (როგორც ზევით, ისე აქაც და ქვემოდაც ჩვენ ვეყრდნობით მხოლოდ დოკუმენტებს), რომ მოსკოვში ხერხეულიძესთან ყოფნის დროს, ხერხეულიძეს თბილისის სამმართველოდან დასაჯარიმებელ ქვითარის წიგნაკს და ფულს სთხოვდენო. ამ წიგნაკით ხერხეულიძეს 500—700 მანეთამდე უნდა წარედგინა. მაგრამ წიგნაკი თურმე, ხერხეულიძის თქმით, დაკარგული (?) აღმოჩნდა.

რამდენად მართალია ეს „ახსნა-განმარტება"—ეს გამოსარკვევია.

ვინ მისცა ხერხეულიძეს უფლება დაშალოს ხაშურის მსროლელთა უჯრედის ბიურო?

ხერხეულიძე დიქტატორია თავის სამოქმედო რაიონში. ის დაუნდობელი მტერია ყოველივე საღად მოკრიტიკე ამხანაგის. კრიტიკას, მიმართულს მუშაობის გასაუმჯობესებლად, ის ძირშივე კლავს. მყისვე უნდა აიბარგოს დიდი „ბატონის" მოკრიტიკე. „თუ კი მითითება შეეხება ადმინისტრაციას, **მიმთითებელი უსათუოდ მიიღებს რაიმე დისციპლინალურ სასჯელს, რაც შემდეგში საფუძვლად ედება მის დათხოვნას**"—ვკითხულობთ სამეულის ზემოხსენებულ ოქმში. ამრიგად, კრიტიკას ხერხეულიძე ვერ ითმენს.

„უნდა ითქვას, რომ ხერხეულიძეს ეჯავრება პარტიული ამხანაგები იმიტომ, რომ ისინი მას საჭიროების დროს საღ კრიტიკას გაუწევენ, რაც პირადათ მისთვის მიუღებელია"-ო —აცხადებს ერთი სამტრედიელი ამხანაგი.

„ხერხეულიძეს თუ არ მოეწონა რომელიმე თანამშრომელი აითვალწუნებს მას, შეეცდება რაიმე მოუგონოს და დაითხოვს სამსახურიდან **პარტიის წევრს. მაგალითად: მის მიერ** იყო დათხოვნილი უდანაშაულოდ პარტიის წევრი კაშიბაძე, რომელიც დაცვის უფროსმა ისევ აღადგინა სამსახურში"-ო —სწერს მეორე ამხანაგი.

ერთი წლის განმავლობაში პარტიის მთელი რიგი წევრები დაითხოვა რაზმიდან სათანადო ორგანოებთან შეუთანხმებლად. აი რას ვკითხულობთ სამეულის მიერ მოხდენილ კვლევა-ძიების ოქმში ამის შესახებ:

„პირველ რაიონის რაზმში ხერხეულიძეს სამსახური დაუწყია 1928 წლის 8 მარტს. ამ ხნიდან, ვიდრე 1929 პირველ მარტამდე, დაუთხოვია პარტიის 121 წევრი, ამათში დიდი უმრავლესობა შეთანხმებული არ არის სათანადო ორგანოებთან".

აი საუკეთესო სურათი იმისა, თუ როგორ ერეკება „კომუნისტი" ხერხეულიძე პარტიის წევრებს რაზმის რიგებიდან.

საკითხავია, ვის ღებულობს განდევნილთა ძაცვლად?

„ხერხეულიძე ხშირად აწინაურებს არასამედო პირებს, როგორც არის ნიკ. ხონელიძე და აქვეითებს პარტიულ ამხანაგებს"—აცხადებს პოლიტხელი ლომთათიძე.

„ხერხეულიძე გაურბის პარტიულ ამხანაგებს, სამაგიეროდ კავშირს იჭერს უპარტიო არასასურველ პირებთან"—ამბობს მსროლელი თოფურიძე.

მაგრამ ხერხეულიძე განა მარტო ამით კმაყოფილდება? სრულიადაც არა. თუ კი ამას „საჭიროება" მოითხოვს ის მზად არის უჯრედის ბიუროც გარეკოს. მაგალითისათვის ხაშურის მსროლელთა ბიუროს დაშლა ავიღოთ.

ხაშურის უჯრედის სურვილია „არტელშჩიკად" პარტიის წევრი ბზიკაძე წამოაყენეს. ეს რა თქმა უნდა არ მოსწონს ხერხეულიძეს. მას ამ საქმისათვის უკვე გამზადებული ყავს ვინმე ამაშუკელი. უჯრედს ბზიკაძე გაჰყავს. ამაშუკელს კი როგორც ძველ აზნაურს და გვარდიის ოფიცერს უარს ეუბნებიან. ბევრი ხანი არ დასცლია და უჯრედის ბიუროსაც ასეთ „ურჩობისათვის" თავს რისხვა დაატყდა ხერხეულიძისაგან. ხერხეულიძემ უჯრედის ბიუროს წევრთა დაჭაჭვით—დაშალა უჯრედის ბიურო. მოუსმინოთ ისევ სამეულის კვლევა-ძიების ოქმს, ამის შესახებ:

„რაც შეეხება პარტმუშაობის ხელის შეშლას და პარტიისადმი მტრულ დამოკიდებულებას—უნდა ითქვას, რომ ამხ. ხერხეულიძე არ შეიძლება ჩაითვალოს პარტიისადმი მტრულ განწყობილების მატარებლად (ესღა აკლდა ს. მ.), მხოლოდ პარტმუშაობის ხელის შეშლა, ეს გარემოება მართალი არის, რაც უჯრედის ბიუროს დაშლაში გამოიხატა. მთელი მისი შემადგენლობა მან „მიავლინა" პარტსკოლაში, **საიდანაც ისევ უკანვე დააბრუნეს, როგორც პარტსკოლა კურსდამთავრებულნი, არ არის მართალი ამხ. ხერხეულიძის განმარტება, თითქოს მან არ იცოდა თუ ვინ იყვნენ ოცეულში ბიუროს წევრები".**

ეს არის პარტამხანაგებზე ხელმძღვანელობა და ამხანაგების რაციონალურად გამოყენება? იმიტომ, რომ ხერხეულიძის ნათესავი ამაშუკელი უჯრედმა „არტელშჩიკად" არ წამოაყენა, მან უჯრედის ბიურო დაშალა. სწორია თუ არა ეს ამაშუკელის შესახებ? აი ამონაწერიც სამეულის იმავე კვლევა-ძიების ოქმიდან:

„მსროლელ ამაშუკელის შესახებ გამოირკვა შემდეგი: ამხ. ხერხეულიძე უარყოფს ამაშუკელის ნაცნობობას, მაგრამ გამოძიებამ დაადასტურა, რომ არამც თუ ნაცნობობა, არამედ თვით ამხ. ხერხეულიძეს სხვებთან ერთად უქეიფნია ამაშუკელის ოჯახში, რომელიც შორაპნის მაზრაში ცხოვრობს. ეს ამაშუკელი თვით ხერხეულიძის სიტყვით არის კულაკი, ნიკოლოზის ოფიცერი და მსროლელების სიტყვით კი ანტი-საბჭოთა ელემენტი".

უჯრედის ბიუროს ძველი ნაფიცრალი უნდა ანაცვალო. რა თქმა უნდა რომ „ჩინებული" კომუნისტობაა ასეთი საქციელი. აი სად არის ნამდვილი პროტექციონიზმი და პირდაპირი დანაშაულობა.

ხერხეულიძე გაურბის უჯრედის ბიუროს დავალებებს

ხერხეულიძეს ფეხებზე ჰკიდია უჯრედის ბიუროს დავალებები. უჯრედის ბიუროს ჩირადაც არ აგდებს. მის დავალებებს არ ასრულებს. როგორ ახასიათებს უჯრედის ბიურო მას? აი ზოგიერთი ნაწყვეტები ამ დახასიათებიდან:

„ხერხეულიძე ირიცხებოდა მე-5 ოცეულის უჯრედში ერთ წელზე მეტს. ამ ხნის განმავლობაში, ის კრებებს არ ესწრებოდა, თუ დაესწრებოდა მხოლოდ განსაკუთრებული თხოვნით. უჯრედის მიერ დავალებას ასრულებდა გულგრილად. კრებებზე დაუსწრებლობის გამო მას ჰქონდა ბიუროს მიერ გამოცხადებული საყვედური... ის უდიერად ეპყრობა მსროლელებს, აგინებდა დედას და ყოველგვარ უშვერი სიტყვებით მიმართავდა. მან ხელოვნურად დაშალა ხაშურის ოცეულის უჯრედის ბიურო რაიკომთან შეუთანხმებლად. ავტორიტეტი საერთოდ ცუდი აქვს".

აი „კომუნისტის" დახასიათება. მერე რათ ემართება ეს ხერხეულიძეს?

საქმე იმაშია, რომ მას თავისი სამუშაო რაიონი საშუალო საუკუნოების მზგავს „დამოუკიდებელ სამთავროდ" წარმოუდგენია. აი რა ჩვენებას იძლევა ამის შესახებ ამხ. ვ. მელქაძე:

„ხერხეულიძემ განაცხადა ერთ-ერთ კრებაზე, რომ ის არ ემორჩილება პარტიის დადგენილებას, პარტიას არ აქვს არავითარი უფლება, რომ შეიჭრას ადმინისტრაციის საქმიანობაშიო. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს მიმაგრებულმა ამხანაგებმა ერმილე სტურუას და სხვ."

ამრიგად, ხერხეულიძეს ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ის წამ და უწუმ ხსნის პარტიის წევრებს სამუშაოდან „საპატიო" მოტივების გამო. მთელი რიგი მსროლელები, როგორც უპარტიონი, ისე პარტიულები ერთხმად აღნიშნავენ რაზმში გაბეფებულ ბიუროკრატიზმს. მსროლელებს მთელი საათობით უხდებათ უფროსის კაბინეტის კარებთან ცდა. საქმეზე მისულებს კი ყვირილით, ლანძღვით და გინებით ისტუმრებს.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ერთ-ერთი მსროლელი, რომ „ისეთივე ჩინოვნიკებია შტაბში, როგორც წინად იყვნენ"-ო. მართლაც ვინ არიან შტაბში მოკალათებულნი? ნიკოლოზის დროის ოფიცერი, ყოფ. გენერალი ლეიტენანტი, ყოფ. აზნაური, ყოფ. პოლკოვნიკი, ყოფ. გენერალი, ყოფ. კაპიტანი და სხვ. ამხ. ბარამიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „რაზმი ფაქტიურად ანტისაბჭოთა ელემენტების ხელშია—გამოკლებით თვით რაზმის უფროსისა და ერთი მემანქანისა"-ო. მთელი შტაბის შემადგენლობაში ორი პარტიული? არაფრად მოსაწონია ეს ამბავი! ანდა როგორ, რომელი პარტიული გაუჩერდება ასეთ ხელმძღვანელ „კომუნისტს" შტაბში, როდესაც მათ თუ შეიძლება ასე ითქვას ჯოხით მიერეკება?

ამის შემდეგ სასაცილო არის ხერხეულიძის განცხადება იმის შესახებ, რომ „არავითარ ბიუროკრატობას ადგილი არ აქვს რაიონში და არც ექნება არასოდეს"-ო.

„ვინ ვარ მე?" „ცოლი ჩვენ გამოგზავნე!"

ხერხეულიძის უხეში მოპყრობამ მსროლელებისადმი ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. პარტიულებსაც და უპარტიოებსაც ხერხეულიძის ეშინიათ, ხერხეულიძეს მსროლელები გაურბიან. „ხერხეულიძეს რომ შეხვდებით გავრბივართ"-ო აცხადებენ უპარტიოები. რამდენი საჩივარი არ დაუწერიათ მათ ხერხეულიძის „საგმირო" საქმეებზე, მაგრამ დღემდე ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

„უკანასკნელად კიდევ გთხოვთ პირველი რაზმის ყველა მსროლელები გვიხსნათ გაჭივრებულო ხალხი"... ასე იწერებიან საჩივრებს ხერხეულიძისაგან დაჩაგრული მსროლელები, მაგრამ მათი ხმა რჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა", ამ ბოლო დროს მოხსნის გამო შეშინებული მსროლელები უსახელო წერილებსაც უგზავნიან ზემდგომ ორგანოებს. თავის განცხადებებს ასე აბოლავებენ: „გაუმარჯოს კომპარტიას, რომელიც მტკიცედ იცავს უდანაშაულო საწყალ ხალხს"-ო. ხელს არ ვაწერთ—გვეშინია, თავი არ მოგვძულებია"-ო—დასძენენ ისინი.

კიდევ ერთი ფაქტი:

მოქმედება ხაშურში სწარმოებს.

შეჩერდა მატარებელი. საგუშაგოზე ახლად მიღებული მსროლელი დგას. მატარებლის ფანჯრიდან „ბატონი" ხერხეულიძე გადმოსძახებს გუშაგს:

— „ვინა ვარ მე?"..

— არ ვიცი, ბატონო,, ვინა ხარ.

— მე თქვენ გაჩვენებთ არ ცოდნას.

ხერხეულიძემ მყისვე განკარგულება გასცა და სრულიად უდანაშაულო მსროლელი 15 დღით გაუპტვახტში მოათავსა.

აბა საიდან უნდა სცოდნოდა ახლად მიღებულ მსროლელს უნახავ ხერხეულიძის სახე? სასაცილო ამბავია, სატირალი რომ არ იყოს.

მეორე სურათი:

ეს ხდება შავი ზღვის პირად, მშვენიერ ბათომში.

პეტრე ფირცხალავას სამხედრო ნაწილიდან შარვალი არ მიუღია: არ იყო იქ. ფირცხალავა უშარვლოდ არ რჩება, სამხედრო შარვლის მომსგავსო ფერის შარვალს ყიდულობს და იცვამს. ხერხეულიძე ამის გამო ღელავს. დანახვისთანავე განკარგულებას აძლევს ფირცხალავას 15 დღით დაპატიმრების შესახებ. ეს მოხდა ხომ ბათომში. ამავე მიზეზით ის ბრძანებას იძლევა ფირცხალავას კვლავ მეორეხელ 15 დღით დაპატიმრების შესახებ, ახლა უკვე ქუთაისში. ფირცხალავა რა შუაშია? შარვალი არ იყო, მსგავსი შარვალი იყიდა და ჩაიცვა. აი სანამდე მივიდა ხერხეულიძის თავხედობა.

კიდევ მეტი. ხერხეულიძე ამითაც არ აკმაყოფილებს მსროლელებს.

ამანულა ხანი ბათომში მოდის. მსროლელები შესახვედრად არიან გამოწყობილი. ხერხეულიძე ღელავს, როგორც ეს „შემვენის" უფროსს. ხერხეულიძეს არ მოსწონს რაზმი და ხმა - მაღლა შეჰყვირებს.

— თქვენი დედა...

მაგრამ სამწუხაროდ დედებითაც არ კმაყოფილდება ეს ვაჟბატონი. ეხლა მსროლელების ცოლებზეც გადადის. ერთხელ მსროლელი კილაძე შვებულებას სთხოვს ხერხეულიძეს ცოლ-შვილის სანახავად.

— რაო? ცოლშვილი რად გესაჭმება. ცოლი ჩვენ მოგვიყვანე"-ო.

მსროლელი ხურციძე, რომელიც უფროსის კაბინეტის კარებთან იყო ატუზებული, ისიც შვებულების სათხოვნელად, ამის გაგონებაზე სასწრაფოდ გარბის, ერიდება უფროსისაგან მსგავს ქუჩურ შეურაცყოფას. ვინ იცის ამ საქმეების მხილების გამო რამდენი პარტიულები და ერთგული უპარტიოები მოიხსნა რაზმში სამსახურიდან.

რამ აიძულა ხერხეულიძე შტაბი ქუთაისიდან სამტრედიაში გადაეტანა?

ამ კითხვაზე ჩვენ აქ პასუხს არ გავსცემთ, თავს ვიკავებთ. მხოლოდ მოვითხოვთ კატეგორიულად, რომ სხვა საქმეებთან ერთად ხერხეულიძის ეს საქმეც ე. ი. საქმე, რომელიც შეეხება მისი გადასვლის მიზეზებს—სასწრაფოდ გამორკვეულ იქნეს.

„ფრჩხილები უნდა გაიხსნას" ანუ ხერხეულიძე და ამხ. კოპლაშვილი

ხერხეულიძე — ლაქიობასაც კარგად ყოფილა ჩვეული. მას „ძმა-ბიჭური" კავშირი აქვს დაცვის უფროს კოპლაშვილთან (ამბობენ ის ნათესავიც არისო). ხერხეულიძე მეთაურობა და მსროლელებში შეკრებილ ფულით ნაყიდ „გეკოს" სისტემის თოფს საჩუქრად კოპლაშვილს მიართმევს. ამიტომ არის, რომ კოპლაშვილიც გაჭირვების დროს დახმარების ხელს უწევს ხერხეულიძეს. უჯრედების აქტივის კრებაზე, რომელსაც 67 კაცი ესწრებოდა, არც ერთ მსროლელს ხერხეულიძის სასარგებლოდ სიტყვა არ უთქვამს. ყველა სხვადასხვა ბრალდებებს უყენებდა მას. კოპლაშვილი კი გამწვავებულ მდგომარეობას ანგარიშს არ უწევს და ქრისტიანულად აცხადებს: „თქვენი წამოყენებული ბრალდებები ხერხეულიძეზე უბრალოა, მხოლოდ მტკიცდება მისი უხეში მოპყრობა და ვეცადოთ, რომ მას ეს გამოვასწორებინოთ და ურთიერთ შორის ჩამოვაგდოთ კონტაქტიური მუშაობა"-ო.

ხერხეულიძე აპატიმრებს მუშკორს

ამგვარად გათავხედებული ხერხეულიძე არავის ინდობს. მუშკორი კორესპონდენციას აწვდის ჩვენს რედაქციას ხერხეულიძის მოღვაწეობის შესახებ. რედაქცია სიფრთხილეს იჩენს, აქაც ისე, როგორც ყოველთვის: კორესპონდენციის შინაარსის შესამოწმებლად თავის თანამშრომელს გზავნის დაცვის სამმართველოში. ხერხეულიძე „რაღაც" ნაირად გებულობს კორესპონდენტის ვინაობას. 12 ივნისს ის თბილისიდან სამტრედიაში ბრუნდება. ხოლო 13 ივნისს კი ტელეგრამით იბარებს ფოთიდან ოცეულის მეთაურს კობახიძეს (პარტიულია) ვითომდა თათბირზე დასასწრებლად. კობახიძე ცხადდება რაზმის უფროსთან. რაზმის უფროსი წინადადებას აძლევს პატაკი დასწეროს... სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. კობახიძე თანხმდება. ხერხეულიძე ეკითხება მას:

— თქვენ გაუგზავნეთ ჩემს შესახებ რედაქციას კორესპონდენცია?

— დიახ, მე!—მოქალაქეობრივი გამბედაობით უპასუხებს კობახიძე.

— Я вам покажу, как нужно писать в газетах!

აღელვებული უფროსი აღებს კაბინეტის კარებს და კობახიძის მოსვლის დროს კაბინეტიდან გაძევებულ უპარტიო თანაშემწეს შეჰყვირებს:

— Арестовать его!

კორესპონდენტს აპატიმრებენ და ათავსებენ ხულიგნებთან ერთად.

— ვნახავ, ვნახავ, თუ კი მას შერჩება კორესპონდენციის დაწერის გამო ჩემი დატუსაღება. გაიძახოდა უდანაშაულო პატიმარი.

ჩვენ გვგონია, რომ ამხ. კობახიძე მართალია. ამ საქმეში: ხერხეულიძეს მართლაც აღარ შერჩება ამდენი თავხედობა.

ეს „ძველი, ისტორია", აღარ განმეორდება.

სევ. მინდაძე.

დღეს, ოთხშაბათს, 17 ივლისს, საღამოს 6 საათზე, აღმშენებელთა კლუბში
(პლეხანოვის პროსპექტი) მოწვეულია

თბ. საბჭოს კომუნალური სექციის რიგს გარეშე სხდომა

სექციის წევრების, კანდიდატების სექციაზე მიმაგრებულ აქტივის დასწრება—სავალდებულოა

დღის წესრიგი:

ინჟ. დიასამიძის მოხსენება ნატახტარის ახალი წყალსადენის შესახებ.

იქვე საღამოს 5 საათზე შესდგება **სექციის ბიუროს სხდომა.**

ნ. 2978

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

ქრონიკა

აკადემიკოსი ლევინსონ-ლესინგი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა აკადემიკოსი ლევინსონ-ლესინგი, რომელსაც განზრახვა აქვს დაათვალიეროს თბილისის სამეცნიერო დაწესებულებები.

უკრაინელ მწერლების მოხსენება

დღეს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში მოხსენებებს გააკეთებენ უკრაინელი მწერლები ამხ. პოლტორაცკი—უკრაინის ლიტერატურაზე და ამხ. სოტნიკი—უკრაინის ხელოვნების შესახებ. მოხსენებების მოწყობის მიზანია უკრაინის ლიტერატურული ცხოვრე-

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობა

გუშინ, საღამოს საქართველოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მეექვსე ყრილობა. ყრილობა გახსნა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. აკ. მჟავიამ.

საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობა გადავიდა დღის წესრიგის მუხლების განხილვაზე. პირველად მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარის ამხ. ლაზარის მოხსენება.

დაწვრილებით ხვალ.

საშეფო საზოგადოების კონფერენცია

გუშინ მელითონეთა კლუბში გაიხსნა საშეფო საზოგადოების მე-3 საქალაქო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საშეფო საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ასრიბეკოვმა.

კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ ბაქოს საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დაწვრილებითი ანგარიში ხვალ.

თბილისის აღმასკომში

◆ **ბალნეოლოგიური სადგური.** ახლო ხანში საგეგმო კომისიაში შესდგება სპეციალური თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება თბილისში ბალნეოლოგიური სადგურის აგების საკითხი.

◆ **ადმინისტრატიულ განყოფილებასთან** არსდება ქვეგანყოფილება, რომელიც მიიღებს ზომებს მეეზოვეთა შორის შრომის დისციპლინის ასამაღლებლად და უხელმძღვანელებს მათ მუშაობას.

◆ **მინდვრის თაგვები.** საადგილ-მამულო განყოფილების ცნობით ანანურის თემში გაჩნდა მინდვრის თაგვები, რომელთა წინააღმდეგ მიღებულია სასწრაფო ზომები.

მიწსახკომში

◆ **მეაბრეშუმეობის კურსები** დაამთავრა 52 კაცმა.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის** შესასწავლად მიწსახკომმა მაზრებში გაგზავნა გამომკვლევი კომისიები.

შრომის კომისარიატში

◆ **შრომის დაცვა.** მწყემსების და მენახირეების შრომის პირობების გასაუმჯობესებლად შრ. კომისარიატმა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მიავლინა შრომის ინსპექტორები.

◆ **ტექნიკურ უშიშროების** დაცვის მიზნით შრომის კომისარიატი შეუდგა რესპუბლიკაში არსებულ წარმოებების გამოკვლევას.

სხვადასხვა

◆ **პიონერთა ლაშქრობა.** აგვისტოს პირველ რიცხვებში ამიერ-კავკასიის ფარგლებში ეწყობა თბილისის პიონერთა პირველი ლაშქრობა.

◆ **ზემო-სვანეთში დაარსდა** მეძროხეობა-მესაქონლეობის არტელი, რომელსაც კოლმეურნეობის ცენტრმა სესხად მისცა 8 ათასი მანეთი.

◆ **არხი.** დიდ-ჯიხაიში (ქუთ. მაზრა) დამთავრდა არხის გაყვანა. არხი მორწყავს 500 ქცევამდე მიწას.

„საბჭოთა აღმშენებლობა № 18.

გამოვიდა ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა" № 13, შემდეგი შინაარსით: პირველი აგვისტო—**მ. ცხაკაია**, ბარბიუსი თავის წიგნის შესახებ—**ბარბიუსის წერილი**, ახალქალაქის მაზრაში—**მ. ცხაკაია**, გლეხობის ფენებად დაყოფა—**აკ. გოლაძე**, ახალი საქმე— **ე. ტ.**; საბჭოთა აპარატის მუშაობა და მისი საკითხები: საბჭოთა აპარატის წმენდა—**ერ. ტოროტაძე**, აპარატის გამარტივება—**ნებიერიძე**, ქალთა კურსები—**დ. ქურულორია**, თბ. საბჭოს სექციების მუშაობა— **მებუკე**; საბჭოთა მეურნეობა და საბჭოთა მშენებლობა: კოლმეურნეობათა სინამდვილიდან—**ლ. კ—ძე**, მაუდის ფაბრიკა—**რ. გ.**, დიდი საქმე—**მეთვალყურე**, თბ. სამაზრო ვაჭრობა—**შ. გომართელი**, საჭიროა გლეხის სასახლის გაფართოვება—**ივ. მჭედლიშვილი**; წერილები ადგილებიდან.

ჟურნალში მოთავსებულია მრავალი საინტერესო ინფორმაცია საქართველოს ცაკისა და თბილისის აღმასკომის მუშაობის შესახებ, მოქმედ კანონმდებლობისა და მთავრობის განკარგულებათა მიმოხილვა და ოფიციალური ნაწილი.

ხელოვნება

„სტროიკა"-ს გამგზავრება

ლენინგრადის მუშათა თეატრმა „სტროიკა"-მ დაამთავრა გასტროლები თბილისში და გაემგზავრა ქუთაისსა და ბათომში.

„სტროიკა" თბილისში მოწვეული იყო 20 წარმოდგენაზე, ფაქტიურად კი მან გამართა 50-დე წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო 150.000 კაცზე მეტი. აღსანიშნავია, რომ „სტროიკა" გამოდიოდა ყოველგვარ სასცენო მოედნებზე, დაწყებული საოპერო თეატრით და გათავებული საერთო საცხოვრებლებით და სასადილოებით; მიუხედავად მუშაობას მძიმე პირობებისა, „სტროიკა"-ს გამოსვლა მხატვრულის მხრივ ყველგან დამთავრებული და გამართლებული იყო.

„სტროიკა"-ს გასტროლებთან დაკავშირებით, მუშათა კლუბებში გაიმართა ორი დისპუტი, რომელიც მიძღვნილი იყო თვითმოქმედ თეატრისა და „სტროიკა"-ს მუშაობისადმი. ამას გარდა, „სტროიკის" მონაწილეებმა ჩაატარეს მთელი რიგი საუბრები დრამატიული წრეების წევრებთან, თეატრალური მუშაობის მცირე ფორმების შესახებ.

მიუხედავად ძლიერი დატვირთვისა, „სტროიკამ" სამჯერ შესძლო ბანაკად გასვლა წითელარმიელებთან, სადაც იგი აღფრთოვანებით მიიღეს. „სტროიკა" თბილისში მუშაობდა ორი თვე.

ბათომ - ქუთაისის გარდა, „სტროიკა" რამდენიმე წარმოდგენას გამართავს ბაქოს სარეწაოებზე, სადაც იგი მიწვეულია სამთამადნო და მშენებელ მუშათა კავშირების მიერ.

ბაქოში გამგზავრების წინ „სტროიკა" თბილისში დამატებით გამართავს რამდენიმე წარმოდგენას.

ალ. ბატურინის კონცერტი

დღეს, 17 ივლისს, სახელმწიფო ოპერაში გაიმართება მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის, ცნობილ ბანის **ალექსანდრე ბატურინის** პირველი კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე **როზა უმანსკაია** (სკრიპკა), **ე. დობროვოლსკაია** (კოლორ. სოპრანო) და **დ. ვლადიმიროვი** (როიალი). პროგრამაში შედის რუსეთის და უცხოეთის კომპოზიტორების ნაწარმოებები.

თბილისში ჩამოსვლამდე ბატურინი გამოდიოდა ბაქოში, სადაც გამართა 8 კონცერტი, რომლებიც დიდი მხატვრული და მატერიალური წარმატებით ჩატარდა. თბილისიდან ბატურინი ისევ ბაქოში ბრუნდება.

ხვალ, 18 ივლისს, ბატურინი გამოვა მუშათა აუდიტორიის წინაშე, პლეხანოვის სახელობის კლუბში.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას განზრახული აქვს ა. ბატურინი მოიწვიოს სხვა მუშათა კლუბებშიც.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ბატურინის კონცერტი.** ხვალ, პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში გაიმართება ბატურინის კონცერტი.

◆ **საკლუბო რეპერტუარის** შესახებ, 18 ივლისს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება სპეციალური თათბირი.

◆ **სახელმწიფო ბაღში** დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი სავიჩის დირიჟორობით.

◆ **საბჭოთა მუშაკების კლუბში** დღეს გაიმართება ბათომის სატირის თეატრის წარმოდგენა.

ცხენოსან ნაწილების შეჯიბრება

შეჯიბრების შედეგი

დასრულდა კავკ. წითელდროშ. არმიის ცხენოსან ნაწილების შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ № ცხენოსანი ბრიგადა, ქართული, სომხეთის და აზერბეიჯანის ცხენოსანი ლეგიონები და საარტილერიო ნაწილები.

პირველი ადგილი დაბრკოლებების დაძლევაში დაიკავა № ცხენოსანი ნაწილის მეთაურმა ამხ. ცვიგუნმა.

კონკურ-შპიკში (ხტომა 1 მეტრის და 10 სანტიმეტრის სიმაღლეზე) პირველობა მიეკუთვნა № ლეგიონის მეთაურს ამხ. სოტნიკს, რომელმაც გააკეთა 31 ნახტომი.

ქართ. ცხენოსანი ლეგიონის მეთაურმა ამხ. ხაბეიშვილმა მიიღო პირველობა ხტომაში. სამი კილომეტრი მანძილი 6 დაბრკოლებით მან დაჰფარა 4 წუთსა და 5 წამში.

შეჯიბრებაში ცხენების გამძლეობაში (გადარბენა 185 კილომეტრის მანძილზე) პირველი ადგილი დაიკავა სანაპირო რაზმის მეთაურმა ამხ. მიშჩენკომ, მეორე ადგილი ქართ. ცხენოსანი ლეგიონის მეთაურმა ამხ. ელენტმა.

ჯირითში პირველობა მიეკუთვნა № ლეგ. მეთაურს ამხ. გალაევს და ქართ. ცხ. ლეგიონის მეთაურს ამხ. ბაზირაშვილს.

ჩეხვაში პირველი ადგილი დაიკავეს № ცხენოსანი და ქართული ცხენოსანი ლეგიონებიდან ამხ. კურმანმა და ხაბეიშვილმა.

ცხენოსან ნაწილების ჩატარებულმა შეჯიბრებამ ნათელჰყო ის გარემოება, რომ არმიის ცხენოსანი ნაწილები საუკეთესოდ არიან მომზადებულნი გასულ წელთან შედარებით და აქვთ დიდი მიღწევები.

როგორც მეთაურები, ისე წითელი არმიელები საუკეთესოდ ერკვევიან ცხენოსნობაში, იჩენენ მზრუნველობას ცხენებისადმი, რაც ხელს უწყობს ცხენების გაწვრთნას და ცხენოსნობის განვითარებას.

მონადირეთა კავშირში

მონადირეთა კავშირის რეორგანიზაცია

მონადირეთა კავშირი შეუდგა სამზადისს და მუშაობას კავშირის მაგიერ მონადირეთა სარეწაო-კოოპერატიული ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად. რეორგანიზაციის შემდეგ აღნიშნული ორგანიზაცია შეუდგება ძვირფას ქურქიანი გარეული ცხოველთა ჯიშების მოშენებას საექსპორტო ქურქების დამზადებას და სხ.

მონადირეთა სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციის საბოლოო ჩამოყალიბება უნდა დამთავრდეს მომავალ ზაფხულამდე.

მონადირეთა ხელახალი რეგისტრაცია

მონადირეთა კავშირი აცხადებს თავის წევრთა ხელახალ რეგისტრაციას. რეგისტრაციაში უნდა გატარდენ კავშირის ყველა წევრები. რეგისტრაციაში გატარებულ მონადირეებს დაურიგდებათ ახალი საწევრო წიგნაკები.

სამონადირო მასალის შეძენა

მონადირეთა კავშირმა მიავლინა თავის წარმომადგენელი მოსკოვში სამონადირო მასალების შესაძენად. სამონადირო თოფების პირველი პარტია უკვე მიღებულია.

სასამართლო

უცხო და მავნე ელემენტი

ცნობილი მსხვილი ვაჭარის შვილი, ფუფუნებაში აღზრდილი, ანტისაბჭოთა სულისკვეთებით გაჟღენთილი **სამსონ ყაზარიძე ბოსტანჯიანცი** 1928 წლის დასაწყისში ფეხს იკიდებს ჩვენს კოოპერატიულ ორგანიზაციაში და ძალე, როგორც უმაღლესი განათლების მქონე „ეკონომისტი" (!), გვევლინება ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

1928 წ. თებერვლიდან ის ინიშნება ახალქალაქის ერთიან სამომხმარებლო კოოპერატივის რწმუნებულად ცეკავშირში. ეს ანტისაზოგადოებრივი ტიპი, ჩვენი მოწინააღმდეგე კლასის ღირსეული შვილი არ კმაყოფილდება მით, რომ სხვადასხვა ოინებით თბილ ალაგას მოიკალათა, რომ მისი ყოველთვიური მტკიცე ჯამაგირი 150 მანეთს უდრის, რომ ყოველ მის გასეირნებას „სამივლინებო დანიშნულება" აქვს და ყოველი მისი ფეხის გადადგმა კოოპერაციას დიდძალი თანხა უჯდება.

ეს არაფერია ბოსტანჯიანცისათვის, რა არის „რაღაც" 150 მანეთი მსხვილი ვაჭარის შვილისათვის. მან ისე უნდა იცხოვროს, როგორც ცხოვრობდა ძველად—განცხრომით, ფუფუნებით. მამამ „ივარგა", შვილმაც უნდა „ივარგოს", კიდევ მეტი, უნდა აჯობოს მამას.

კოოპერატივის ფულებს უხვად გამოაქვს ბოსტანჯიანცს „საქვეანგარიშოთ" და უანგარიშოთ ფლანგავს თავის პირად კეთილდღეობისათვის. სჭამს და სჭამს მადიანად, გული არ მოუშლის, სულ რომ გაფცქვნას კოოპერაცია. რა აქვს მასთან საერთო, რა თავში იხლის მშრომელ მომხმარებელთა ინტერესებს. ბოსტანჯიანცზე უკეთესი მომხმარებელი „ღმერთმა" შეარცხვინოს. არ იკლებს კოოპერატივის ხარჯზე დროს ტარებას, აფართოებს ბინას, იძენს ავეჯეულობას, არ აკლებს დახმარებას ახლობელ და შორეულ ნათესავ-მოყვარეს. ასე უყვარდა მამას... ასე უნდა ჰქნას შვილმაც...

ერთი წლის განმავლობაში სამომხმარებლო კოოპერატივის რწმუნებულმა ბოსტანჯიანცმა 3.000 მანეთამდე „მოიხმარა" თავისი საჭიროებისათვის. შემდეგ დააპატიმრეს, თორემ ვინ იცის კიდევ რამდენ ათას მანეთს ჩაძხეთქავდა ანტისაბჭოთა ელემენტის გაუმაძღარი სტომაქში.

— მართალია გავფლანგე, მაგრამ ეს გამოიწვია ოჯახურმა გარემოებამ,—ლაპარაკობს სასამართლოში ბოსტანჯიანცი.

— რა იყო ასეთი გარემოება?

— ცოლი მყავდა ავად. მომყავდა კერძო ექიმები და ბევრი ფული დამიჯდა.

— რატომ მოგყავდათ კერძო ექიმები?

— იმიტომ, რომ დამზღვევ სალაროს ექიმებს მე არ ვენდობი.

იქნება კიდევ იყო ასეთი გარემოება?

— ეკითხება სასამართლოს თავმჯდომარე ბოსტანჯიანცს.

— რასაკვირველია იყო. აი მაგალითად, ჩემთან ხშირად მოდიოდნენ სტუმრები. სტუმრებს ხომ პატივისცემა უნდა! პატივისცემას კი—ფული უნდა...

— მერე, კოოპერატივის ფულით უმასპინძლდებოდი სტუმრებს?

— ჩემი არ მყოფნიდა,... კიდევ ქონდა სხვა ხარჯებიც... აი, მაგალითად, ჩემს ძმის შვილს მუსიკას ვასწავლიდი. მუსიკის მასწავლებელს თვეში ვაძლევდი 25 მანეთს. ეს ხომ ჩემი აუცილებელი მოვალეობა იყო... თუ კარგად არ აზრდი ძმის შვილს, როცა გაიზრდება იტყვის: ცუდი ბიძა მყავდაო... ხომ მომეჭრებოდა თავი?...

აი ყველა ის „არგუმენტები", რომლებიც ბოსტანჯიანცმა გადმოალაგა თავის გასამართლებლად.

მკითხველი ხედავს, ვინ ლაპარაკობს, რა სულის პატრონი იქნება ეს „პატივცემული გვამი".

სასამართლომ ეს „არგუმენტები" მიიღო მხედველობაში და ბოსტანჯიანცს, როგორც საზოგადოებრივად მავნე ელემენტს, როგორც ჩვენს აპარატში ბოროტი განზრახვით შემოპარულ პიროვნებას, **მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ სამოქალაქო უფლებების აყრა ხუთი წლის ვადით.**

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ამხ. **რ. კალანდაძე**, სახალხო მსაჯულები **ტატანაშვილი, ქერდიკოვი**, პროკურორი—ამხ. **ტატიშვილი**.

ბერ.

სააგიტაციო გადაფრენა

გუშინ საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა მიიღო ცნობა საკავშირო ავიოქიმისაგან, რომ „იუნკერს 13", რომელიც მოახდენს სააგიტაციო გადაფრენას ამიერ-კავკასიაში, გამოფრინდება მოსკოვიდან 20 ივლისს.

„იუნკერს 13" ბაქოში მოფრინდება 25 ივლისს და დაჰყოფს აზერბეიჯანში და ნახიჩევანის მხარეში 17 დღეს.

13 აგვისტოს თვითმფრინავი ესტუმრება სომხეთს და დაჰყოფს იქ 21 აგვისტომდე.

თბილისში „იუნკერს 13" მოფრინდება 21 აგვისტოს ღამით. საქართველოში იგი დაჰყოფს 11 სექტემბრამდე, ე. ი. 21 დღეს.

„იუნკერს 13" ამ ხნის განმავლობაში ინახულებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს სადაც მოწყობილი იქნება დასაფრენი მოედნები.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა განსაკუთრებული წერილით მიმართა ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებს დაჩქარებით მოაწყონ დასაფრენი მოედნები.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმს უკვე მოსდის ცნობები მაზრებიდან დასაფრენი მოედნების მოწყობის შესახებ. მოედნები მოწყობილია გრაკალში, ბრეთში (გორის მაზრა), ახალ-სენაკში, ზესტაფონში, სვირში, ქობულეთში; ბათომში, ზუგდიდში, ოჩემჩირეში; გაგრაში და ახალციხეში.

არავითარი ცნობები არ მოსულა ოზურგეთის, ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებიდან და კახეთის ოლქიდან.

რაც შეეხება სვანეთს, „იუნკერს 13" ვერ ინახულებს ამ შორეულ კუთხეს, რადგან იქ არ არის მოწყობილი დასაფრენი მოედანი. სვანეთში არსებობს შესაძლებლობა მოედნის მოსაწყობად, მხოლოდ ამისათვის საჭიროა თანხების გაღება, რომლებიც არ მოეძებნება საქ. ავიაქიმს და ავიაქიმის სვანეთის ორგანიზაციას.

გაუსწორებელ ბოროტმოქმედთა დაპატიმრება

გასული წლის 24 აგვისტოს, მახათის მთის (მე-3 სამილიციო უბანი) მახლობლად, ხევში, იპოვეს დამხრჩვალი ქალის გვამი, რომელიც აღმოჩნდა 14 წლის ზოია გიროვა (მერძევეს შვილი). ამ ამბის შესახებ აცნობეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც ამ დღეებში აღმოაჩინა ეს საქმე და ყველა ბოროტმოქმედი დააპატიმრა.

ამ საზიზღარი ბოროტმოქმედების დაწვრილებითი ცნობები ასეთია: 24 აგვისტოს, ზოია გიროვა თავის დედას გაუგზავნია ცხენის საძებნად. ძებნამ შედეგი არ გამოიღო. ზოიამ გადასწყვიტა სახლში დაბრუნება, მაგრამ მას ამ დროს მიუსწრეს ცნობილ ქურდ-რეციდივისტებმა: ნადეჟდა ვასილის ასულმა ფომენკომ, მათათი მოსეს ძე ბაჩაკაშვილმა (მეტ - სახელად „ურია"), ალექსანდრე გიორგის ძე ოქროპირიძემ (მეტ-სახელად „იხვი"). ქსენია ივანეს ასულმა გლადიშევამ და ნიკოლოზ ლესნიკოვმა (მეტ - სახელად „ლესნიკ"), რომლებიც დასეირნობდნენ „მსხვერპლის" საძებნად. ზოიას დანახვაზე ისინი მივარდნენ ბავშთან და გამოკითხეს ვინაობა. შემდეგ თვალით ანიშნეს ერთმანეთს და შეტევაზე გადავიდნენ. პირველობა იკისრა ლესნიკოვმა, რომელმაც გიროვა მიწაზე წააქცია. ზოიამ მორთო ყვირილი, მაგრამ მხეცებმა მას პირზე ხელი დააფარეს, შემდეგ დანა ამოიღეს და სიკვდილით დაემუქრა.

დიდი ბრძოლის შემდეგ გოგონა დაიმორჩილეს. პირველად მასთან სქესობრივი კავშირი დაიჭირა ბაჩაკაშვილმა, შემდეგ ლესნიკოვმა და ბოლოს კი ოქროპირიძემ. ამის შემდეგ ზოიას გამოსტაცეს თავზე შემოხვეული შარფი, მოაბეს კისერში და ჩამოკიდეს ელექტრონის რკინის ბოძზე. როცა ბავში გაიგუდა, სტაცეს ხელი გვამს და გადააგდეს ხევში.

როგორც ირკვევა, ეს ბოროტმოქმედება მომხდარა დაახლოებით დღის ორ საათზე.

გვამი იპოვეს იმ დღესვე; როცა ზოიას სახლში მოსვლა დააგვიანდა, დედამ მის საძებნად გაგზავნა მეზობლის ბავში, რომელიც ხევში წააწყდა გვამს.

სისხლის სამართლის მილიციის ცნობით, ყველა დაპატიმრებული პირები არიან გამოუსწორებელი ბოროტმოქმედნი და სოციალურად მავნე ელემენტები. გლადიშევას აქვს 4 რეგისტრაცია ქურდობასა და ხულიგნობაში, ოქროპირიძეს კი 14 რეგისტრაცია; ფომენკოს ქალი ცნობილი ბოროტმოქმედია; რამდენიმე წელია, რაც მეძაობას ეწევა. მას გარშემო შემოკრებილი ჰყავს ავარიების ჯგუფი, რომელთაც ხელს უწყობს სხვადასხვა ბოროტმოქმედების ჩადენაში. კერძოდ ამ საქმეში ბრალდება აქტიური მონაწილეობა. ლესნიკოვიც საეჭვო ელემენტია, მასაც სტაჟი აქვს ქურდობასა და ჯიბგირობაში.

ამჟამად ბოროტმოქმედთა ეს კრებული სხედან სპეცდანიშნულების იზოლიატორში და ამ ახლო ხანში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

შემთხვევები

ბანაობის მსხვერპლი

დიდუბის ბორანთან მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ილია ილიას ძე რურუკოვი (მცხ. საბჭოთა ქ. № 62). გვამი არ არის აღმოჩენილი.

დაჯახება

ტრამვაის პარკთან, ტრამვაის ვაგონი (№ 55 მარშრუტი მე-2), რომელსაც მართავდა ვატმანი ლალუაშვილი, დაეჯახა იქვე გაჩერებულ ტრამვაის ვაგონს. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მძიმედ დაშავდა ვაგონში მჯდომი მილიციონერი ხუნდაძე, რომელიც გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

თავის მოწამვლა

მიხეილ ალექსის ძე ხადათოვმა (მცხ. სტავროპოლის ქ. № 22), საპნის სპირტით მოიწამლა თავი. ხადათოვი სიკვდილს გადაარჩინეს.

ხანძარი

გუშინწინ, დღისით, ხაბადურის ქუჩაზე, ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 32. ხანძარი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

უბედური შემთხვევა

სოფ. კრწანისში ქვების ნაღმით აფეთქების დროს, მძიმედ დაშავდა ალექსი იაგორის ძე ხაღვარძამაშვილი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

უეცარი სიკვდილი

გუშინ, დღისით, თავის ბინაზე (მე-4 სამილიციო უბანი) უეცრად გარდაიცვალა კუკულა გეურქის ასული პეტუხოვა.

გვამის პოვნა

სანაპირო ქუჩაზე გამვლელებმა იპოვნეს ახლად დაბადებულ ბავშის გვამი.—გუშინწინ, დიდუბის ბორანთან მტკვრის პირას იპოვნეს დამხრჩვალი მამაკაცის გვამი — დაახლოებით 21 წლისა. ვინაობა გამოურკვეველია.

მოძრაობის მსხვერპლი

კომუნარის ქუჩაზე გრიგოლ ალექსის ძე გაბელოვს დაეჯახა ეტლი, რომელიც მიჰყავდა გიორგი ტატოევს. გაბელოვი მძიმედ დაშავდა. გამოძიება სწარმოებს.

ფულის გამოტანა ყალბი საბუთებით

დაპატიმრებულია ივანე იოსების ძე იაშვილი, რომელმაც ყალბი საბუთებით ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ კანტორიდან გამოიტანა 73 მანეთი და მიითვისა.

აფერისტის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა დავით ლალიაშვილი, რომელმაც სიღნაღის მაზრაში გლეხებს დასტყუა 2.300 მანეთის ღვინო ნისიათ და იმალებოდა.

ფეხბურთი

ოდესა — თბილისი

შაბათს, 13 ივლისს ოდესის „დინამო"-სთან უნდა ეთამაშა თბილისის ტრანსპორტელთა გუნდს, მაგრამ ვინაიდან ამჟამად გუნდს აკლია ოთხი მოთამაშე, სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდა მედსანშრომის მუშაკთა გუნდი. ამ უკანასკნელის გამოყვანა საქალაქთაშორისო შეჯიბრებაში ჩვენ მიგვაჩნია სამწუხარო გაუგებრობად, რომელიც შემდეგში აღარ უნდა განმეორდეს. მატჩი დამთავრდა მედსანშრომის სრული დარბევით 6:1.

მეორე დღეს მელითონეების მაგივრად (მელითონეთა გუნდი ამჟამად აფხაზეთშია) ოდესასთან თამაშობდა თბილისის „დინამო"-ს პირველი გუნდი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საინტერესო თამაში დიდი ხანია აღარ უნახავს თბილისს. ოდესელებმა იცოდნენ, რომ „დინამო"-ს სახით მათ ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდათ საქმე (ამიტომაც ყველა საუკეთესო მოთამაშე გამოიყვანეს ამ შეჯიბრებაში), მაგრამ ასეთ სამწუხარო შედეგს, მაინც არ მოელოდნენ.

თამაში თავიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო; ინიციატივა შეჯიბრების დაწყებისთანავე ხელთ იგდეს თბილისელებმა, რომლებმაც მძლავრი შეტევა განავითარეს და ძალიან შეავიწროვეს ოდესელები. ეს უკანასკნელები დაიბნენ და უსისტემო თამაშით ერთხანს ძლიერ გაუჭირდათ თბილისელების იერიშების მოგერიება.

მეათე წუთზე ოდესის კარებთან შეიქნა კრიტიკული მომენტი. თბილისელებმა ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და პირველი ბურთი მოაქციეს ოდესის ბადეში.

მაგრამ სტუმრების გასაჭირი ამით არ გათავებულა. პირველ ბურთს ჩქარა აბაშიძემ მეორე მიუმატა, რამაც საგრძნობლად იმოქმედა ოდესელების წინააღმდეგობის სიმტკიცეზე. თამაში თითქმის სულ ოდესის კარებთან სწარმოებდა, მაგრამ თბილისელების იერიშებს შემდეგში აღარ მოყოლია რეალური შედეგი და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 2:0 თბილისის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ინიციატივა ისევ თბილისის ხელში იყო, თუმცა დროგამოშვებით ოდესაც გადადიოდა შეტევაზე. მთელი ტაიმის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა გოლისათვის, მაგრამ ვერც ერთმა გუნდმა ვეღარ შესძლო მიღწეული შედეგის დარღვევა და შეჯიბრება დამთავრდა თბილისის „დინამო"-ს გამარჯვებით—2:0.

გამარჯვებული გუნდი თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: **ბალდოევი, ვორონოვი, ფოჩხუა, პარამონოვი, ანიკინი, ფრუიძე, ქოიავა, ფაჩულია, აბაშიძე; ვაჩნაძე და მდივანი.**

ოდესის გუნდიდან სხვებთან შედარებით უკეთესად თამაშობდნენ მარჯვენა ინსაიდი და მარჯვენა გარე-მარბი. მთლიანად კი გუნდის თამაშიდან მეტად მკრთალი შთაბეჭდილება რჩება.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 17 ივლისი

დღეს, თბილისის რადიო - ცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან — ოქტომბრელის საათი, რუსულ ენაზე; რადიო - გაზეთი, ქართულ ენაზე; ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება: „სასოფლო მეურნეობის განვითარების გზები და საშეფო საზოგადოების მორიგი ამოცანები"; საგლეხო კონცერტი; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; რადიო - გაზეთი, რუსულ ენაზე; მომღერალ ბატურინის კონცერტის ტრანსლიაცია; უკანასკნელი ამბები; მორზეს ანბანი, ქართულ ენაზე.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. მაისის 10.
თბილისი-სასახლე.

დებულება

მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ.

კარი I.

ზოგადი დებულებანი.

1. ყველა იმ პირს, რომელიც მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის სამსახურში იმყოფება, მიენიჭება ამ დებულებით გათვალისწინებული შეღავათები და უპირატესობანი.

2. სამილიციო სამსახურში მყოფ პირებად იგულისხმებიან:

ა) სამილიციო სამწყობრო შედგენილობის პერსონალი (მ. გ. მილიციის დებ. 11 მუხ.).

ბ) სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის აქტიური შედგენილობის პერსონალი (მ. გ. მილიციის დებ. 17 მუხ.).

გ) საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პერსონალი (მ. გ. მილიციის დებ. 18 მუხ.).

3. ამა დებულების მესამე მუხლში აღნიშნულ პირთა ოჯახებს, განსაკუთრებით იმათ, რომელთაც არ დარჩათ შრომის უნარიანი მომუშავენი, აღმოეჩინებათ სახელმწიფოებრივი დახმარება.

4. მუშათა და გლეხთა მილიციის სამსახურში მყოფ პირთა ოჯახად იგულისხმება ნათესაობრივ-შრომითი გაერთიანება სხვადასხვა ხარისხის ნათესავთა, რომელნიც ერთად ცხოვრობენ და ერთ მეურნეობას ეწევიან ან და ცხოვრობენ საერთო სახსრით.

შენიშვნა 1. ოჯახის შედგენილობის პირებად ითვლებიან აგრეთვე ისეთებიც, რომელნიც ოჯახში ქორწინებით ან მეკომურობით შედიან.

შენიშვნა 2. გლეხის ოჯახის შედგენილობაში ჩაითვლება აგრეთვე ის პირიც, რომელიც დროებით სამუშაოზე წასულა, ხოლო კანონის ძალით კომლიდან გასულად არ ითვლება.

5. მუშათა და გლეხთა მილიციის სამსახურში მყოფ პირთა და მათი ოჯახებისათვის ამა დებულებით მინიჭებული შეღავათები არ უკარგავს მათ უფლებას იმ შეღავათებზე, რაც მათ ეძლევათ სხვა რაიმე კანონის ძალით.

6. ამა დებულებით გათვალისწინებული შეღავათების სარგებლობა მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის პირად შედგენილობას შეუძლიან მხოლოდ მშვიდობიანობის დროს.

შეღავათები და მათი სარგებლობის წესი ომიანობის დროს განისაზღვრება სპეციალური საკანონმდებლო აქტით.

7. ამა დებულებით გათვალისწინებული შეღავათების სარგებლობის უფლების წარმოშობის ან მოსპობის მომენტად ჩაითვლება ბრძანება, რომლითაც ესა თუ ის თანამშრომელი ჩარიცხულია მუშათა და გლეხთა მილიციის რიგებში ან დათხოვნილია მილიციიდან.

შენიშვნა. მუშათა და გლეხთა მილიციის დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო სამსახურის ვადის გასვლისას, მილიციიდან გასული მომუშავე ამა დებულებით დაწესებულ შეღავათებს ისარგებლებს სამი თვის განმავლობაში სამსახურიდან დათხოვნის დღიდან.

კარი II.

უმცროს მილიციელთა და მილიციის მეთაურთა შედგენილობისათვის მინიჭებული შეღავათები.

თავი I.

შეღავათების სახე.

8. უმცროს მილიციელებს, მილიციის სამეთაურო შედგენილობას და მათ ოჯახებს მიეცემათ:

ა) შეღავათი შრომითი მიწათსარგებლობისა და სასოფლო-სამეურნეო სფეროში;

ბ) საგადასახადო და საგამოსაღებო შეღავათი;

გ) საბინაო შეღავათი;

დ) შეღავათი სახალხო განათლების სფეროში.

თავი II.

შეღავათები შრომითი მიწათსარგებლობისა და სასოფლო-სამეურნეო სფეროში.

9. შრომითი მიწათსარგებლობისა და სასოფლო-სამეურნეო სფეროში მინიჭებულ შეღავათებს მილიციის მომუშავენი ისარგებლებენ მიწის კოდექსისა და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სათანადო დადგენილებათა თანახმად.

თავი III.

საგადასახადო და საგამოსაღებო შეღავათები.

ა) სახელმწიფო დაბეგვრის სფეროში.

10. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გადახდის საქმეში მინიჭებულ შეღავათებს მილიციის მომუშავენი ისარგებლებენ ამ გადასახადთა დებულებით განსაზღვრულ ფარგლებში.

11. მილიციის მომუშავენი განთავისუფლებულ არიან სახელფასო სამონადირო გამოსაღებისა და მისი ადგილობრივი ზედნართის გადასახადისაგან.

ბ) ადგილობრივი დაბეგვრის სფეროში.

12. მილიციის მომუშავეებს საბინაო დავთრებში ჩაწერისათვის დაწესებული სახასაწერო გამოსაღები არ გადახდებათ.

13. მილიციის მუშაკთა ოჯახებს არ გადახდებათ ქვემოთ აღნიშნული ადგილობრივი გადასახად-გამოსაღები.

ა) დასახლებულ ქალაქ-ადგილას ქონებულ შენობაზე შეწერილი გადასახადი, უკეთუ ამ შენობით თვით მილიციის მომუშავის ოჯახი უშუალოდ სარგებლობს და არ აქირავებს შემოსავლის მიღების მიზნით;

ბ) დასახლებულ ქალაქ-ადგილას ქონებულ სამრეწველო ბაღებსა და ბოსტნებზე შეწერილი გადასახადი, უკეთუ მილიციის მომუშავის ოჯახი პირადათ თვითონ, მუშის დაუქირავებლად, დაამუშავებს და გამოიყენებს ამ ბაღებსა თუ ბოსტნებს და უკეთუ ოჯახზე მოდის 250 კვადრ. მეტრზე არა უმეტესი სივრცე;

გ) ცხენებსა და გამოსასვლელ ეტლებზე შეწერილი გადასახადი; ამასთანავე ოჯახზე გადასახადისაგან განთავისუფლდება მხოლოდ ერთი ცხენი, უკეთუ იგი არ არის გამოსასვლელი და მოიხმარება მარტოოდენ მილიციელის ოჯახის სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად;

დ) საქონელსა და სხვა შინაურ ცხოველზე შეწერილი გადასახადი; ამასთანავე გადასახადისაგან განთავისუფლდება ერთი სული მსხვილფეხა და სამი სული წვრილფეხა საქონელი ოჯახზე;

ე) საბინაო დავთრებში ჩაწერისათვის დაწესებული სახასაწერო გამოსაღები.

14. მილიციის მომუშავეებისა ან მათი ოჯახების მიერ დასახლებულ ქალაქ-ადგილას დაჭერილი მიწის ნაკვეთი. რასაც ისინი უშუალოდ თვითონ, დაქირავებულ შრომის გამოუყენებლად დაიმუშავებენ, აგრეთვე ის მიწაც, რაზედაც აგებულია მილიციის მომუშავეთა ოჯახების მიერ დაჭერილი საცხოვრებელი სადგომები, უკეთუ ეს სადგომები არ ქირავდება, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს მიწის რენტისაგან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დადგენილი წესით.

თავი VI.

საბინაო შეღავათები.

15. მილიციის მომუშავეებზე და მათ ოჯახების წევრებზე გავრცელდება ყველა ის შეღავათი, რაც გათვალისწინებულია „სსრკ მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების კანონთა კოდექსის" მე-2 კარის მეოთხე თავში და მე-3 კარის მეოთხე თავში (სსრკ კან. კრ. 1924 წ. 21 №-რი, მუხ. 198).

თავი V.

შეღავათები სახალხო განათლების სფეროში.

16. მილიციის მომუშავეთა ოჯახებს არასრულწლოვანი წევრები, დანარჩენ მოქალაქეთა შვილებზე უპირატესად. უკეთუ ამასთანავე ყველა სხვა პირობა ერთნაირია, მიიღებიან საბავშო სახლებში. ბაღებში, ახალშენებში და სოციალურ აღზრდის სხვა საინტერნატო დაწესებულებებში და პირველი საფეხურის სკოლებში, თანაც განთავისუფლდებიან სწავლის ფულისაგან. სახელმძღვანელოები და სასწავლო ხელსაწყოები მათ პირველ რიგში მიეცემათ.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ „კომუნისტის" საშუალებით [illegible] მადლობა გამოვუცხადო საქ. „წერა-კითხვის საზოგადოების" გამგეობას და [illegible] თანამშრომლებს და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩემი ძმის თეოფილე (იგივე პილატე) ივანეს ძე ხომერიკის დაკრძალვაში, რომელიც გარდაიცვალა 12 ივლისს რთულ და მძიმე ოპერაციის შემდეგ.

ძ. ხომერიკი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოწვეულია ბიურო - კოლექტივების გაერთიანებული კრება. ბიუროს ყველა წევრებისათვის დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

18 ივლისს, საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების პროფმუშაკის კაბინეტში შესდგება კონსულტაცია, რომელსაც უნდა დაესწრონ კულტკომისიების და კლუბების გამგეობების წევრები. კონსულტაციის თემაა: „როგორ ჩავატაროთ საერთაშორისო წითელი დღე კლუბებში და წითელ კუთხეებში".

უღრმეს მწუხარებაში მყოფი დედა მაშო, მამა მიხეილ, ძმები—შალიკო და ვასო, რძლები ჟენია და თინა, დები—სონია და მარგალიტა გოგოლაძეები, სიძეები ნესტორ ყაჭიეშვილი და ვასო ბერძენიშვილი ანეტათი, ბიძები—თომა და ამბაკო და ბებია ფეოდოსი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ შაბათს, 20 ივლისს, დღის 2 საათზე სოფ. ამაღლებაში (გურია) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის საყვარელ და მარად დაუვიწყარ

ბენია გოგოლაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. (ა. ჯ.)

დამწუხრებული ამხანაგები: თამარა ბერძნიშვილი, ბაბულია მაღალაშვილი, ნინო ჩხეიძე, ნათელა ჯავახიშვილი და მერი მიქაძე აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი ადამიანის

ნინა ლოლაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ბინიდან (არცრუნიევის ქ. 13). 2580

ღრმად დამწუხრებულნი მეგობრები: გოგიაშვილი იონა, ღოღობერიძე ბიძინა, რობაქიძე სევერიან, გოჯიჩაძე გოგინა, სულაბერიძე რაჟდენ, ყიფიანი სიმონიკა, ჩხეიძე ბუხუტა, ბოგ. ტელო ალბერტი, ანდრონიკაშვილი გავრიკ, საკანდელიძე ანტუშა, დარახველიძე ანდრო და ლუტუ მდივანი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს საყვარელ მეგობრის

ნინა ლოლაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება (არწრუნიევის ქ. № 13). (ს)

დამწუხრებული მშობლები: შალიკო და ნასტა ლორთქიფანიძეები იუწყებიან დაუვიწყარ და საყვარელ

პატარა ვასიკოს

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან შერმეტიევის ქ. № 37. დღეს 3 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2572

დამწუხრებული ბაბუა ვასილი და ბებია მაკრინე ლორთქიფანიძეები; ბიძები: კლიმენტი, დათიკო და სამსონი; მამიდები: მარიამი, ანიკო და ქეთო იუწყებიან მათთვის საყვარელ

პატარა ვასიკოს

უდროოდ დაკარგვას. 2572

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები დედა თეკლე, მამა თედორე, ბებია ქაქა, ძმა მიშა, დები ლოლია, თამარა ლომთათიძეები და სიძე ვანო რამიშვილი აუწყებენ ნათესავთ-მეგობრებს, თბილისის ეკონომიური ტექნიკუმის უკანასკნელი კურსის მსმენელის, მათთვის ძვირფას

ილიკო (ილია) ლომთათიძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 18 ივლისს, სოფ. პაპისუბანში, ხიდისთავის თემი (გურია). (შ)

მამიდა ტერეზი, ჯულმადია ბესო, მამიდაშვილები იორდანე, ევგენი, ისაკი, დიოსი, სანდრო და შალვა ცხოიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, ნორჩ ახალგაზრდა

ილიკო თედორეს-ძე ლომთათიძის

ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. (შ)

თავზარდაცემული მამა ანანია, დედა ედუკი, ძმები მიტუშა, შალიკო, დები თამარა, ვარვარა ფხაკაძეები, სიძე ტერენტი ურთმელიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი საყვარელი

ჟორჟი ფხაკაძის

ტრაღიკულად დაღუპვას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, დაკრძალვა ხუთშაბათს, 18 ივლისს. ლიბკნეხტის ქუჩა № 23. 6 2576

თავზარდაცემულნი მშობლები ილია და ნიფადორე შვილებით, რძლებით და შვილიშვილებით იუწყებიან, რომ 21 ივლისს, 1 საათზე, სამტრედიის ძველ სასაფლაოზე ტრაღიკულად დაღუპულ უსაყვარლესი შვილის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ

შიო (შოთიკო) ილიას-ძე ნიკურაძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2567 2—1

გულმოკლულნი და ლიდა და სიძე სავლე ვლადიმერის-ძე ქორციკები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 21 ივლისს, დღის 1 საათზე ქალ. სამტრედიაში, ძველ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ საყვარელ ძმის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სტუდენტ

შიო (შოთა) ილიას-ძე ნიკურაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2567

დამწუხრებული მეუღლე მაკრინე, შვილები: ექიმი სერგო, ალექსანდრე, პეტრე, თამარა, სეიმნი და მედეა, რძლები ანა და მარიამი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

კირილე ლაზარეს-ძე ოდიშარიას

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, მელიქოვის ქ. № 14. დასაფლავება ის დღე ცალკე გამოცხადდება. 2571

სახელმწიფო ოპერა ოთხშაბათს, 17 ივლისს
მოსკოვის სახელმწ. აკადემიური დიდი თეატრის ცნობილი ბასის
ალექსანდრე ბატურინის ერთად ერთი კონცერტი მოსკოვის თეატრების არტისტების—ე. დობროვოლსკაიას (კოლორატურული სოპრანო), რ. უმანსკაიას (სოლისტკა) და დ. ვლადიმიროვის (როიალი) მონაწილეობით.
პროგრამაში რუსი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოები. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11-დან 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან.
2541 2—1. რწმუნებული მ. ბასმანოვი.

საზაფხულო ბაღი (ყოფ. „არტო")
ოთხშაბათს, 17 და ყოველდღე
მოსკოვის დრამატიული ბალეტი
30 gires
ცეკვა 30 gires: კლასიკური, სპორტული აკრობატიული, ექსცენტრიული
ცეკვა 30 gires: „ისპანიური", „ველი", „სპორტი", „მეზღვაურები", „რუსის დედაკაცები"
საგანგებო ტანსაცმელები მოსკოვის საუკ. მხატვრების. დადგმები: კასიან გოლეიზოვსკის, ასაკ მესერერის კონფერანსიე: კ. კარეევი. დასაწყისი 9 საათზე.
კინო-თეატრებში: ნამდვილი ჯენტლმენი სეზონ-ს შეუდარებელი ფილმი. დასაწყისი 8 ნახ. ს. 2979

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო — მსოფლიო არტისტი ბერნარდ გეტცკე სურათში **დამნაშავეა**
საზაფხულო პალასი — უცხოეთის მხატვრული ფილმი **მთის ბალადა**
საზ. ფხულო ეთერი — სეზონის ახალი სურათი **სემირამიდას მარგალიტი**
მინიონი — **გაზწირულნი** უკანასკნელი მე-5 და 6 სერია
მალე—ბედნიერი ბეჭდები.

კინო-ეთერი
დღეიდან
მხატვრული ფილმი
სემირამიდას მარგალიტი
2980

ცნობები და რჩევა
ყველა იურიდიული საკითხის შესახებ შემნახველი სალაროს მეანაბარეს შეუძლიან მიიღოს სრულიად
უსასყიდლოთ
ა.-კ. მთავარ შრომის შემნახველ სალაროსთან დაარსებულ იურიდიულ კონსულტაციაში.
წერილობითი შეკითხვები გამოგზავნეთ თქვენი შემნახველი სალაროს საშუალებით, შემდეგი მისამართით: **თბილისი ა.-კ. მთავარი შრომის შემნახველი სალარო.**
მომართვას დაურთეთ თქვენი შემწიგნაკის №-ი.
მუდმივად ან დროებით თბილისში მობინადრე მეანაბარეს შეუძლიან უშუალოდ მიმართოს ყოველდღიურად 11 საათიდან 1 საათამდე, შემდეგი მისამართით: **რუსთაველის გამზირი № 19** და სამშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 ნახ. საათამდე შემდეგი მისამართით: **პლეხანოვის გამზირი, მთავარი ფოსტის შენობა.** 6. 2977

თბილისის მე-2 უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ხაიმ გააზოვი
ამით აცხადებს, რომ ის 20 ივლისს 1929 წ. დღის 1 საათზე სახლში № 13 მილიციის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იაკობ ხახიაშვილის უძრავ ქონებას: ორ სართულიან სახლს 9 ოთახით, სამზარეულოთი და დერეფნით შეფასებულს 1000 მანეთად, ალ. კილატოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბ. სანოტარო კანტორის 12 V 1928 წ. თარიღით, № 840-844 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. (ნის)

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვისპროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
2533 25—1

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი („914" შეზხაპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.
მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
2578 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შეზხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალებისა 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ქუთაისში
ექიმი **ვ. დ. პუჭაიძე**
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს.
იღებს **სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმლების დაავადებანი).** პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01.
2468 13—1

დაკარგვა იოსებ კოსტას-ძე სარიშვილის მიერ ხელმოწერილი თამასუქი 190 მანეთის და სიმონ და ანა დავითაშვილების მიერ ხელმოწერილი 30 მან. ღირებული ფლორა ნიკოლოზის ასული არუთინოვის სახელზე, ჩ. გ. 2574

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. ბ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19
იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

დაკარგვა, პურის წიგნაკი გაცემული მოქ. გრიგორი კობიძის სახელზე, ჩ. გ. 2576

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

დაკარგვა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 12 და მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 25424 გიორგი ნიკოს-ძე სალაყაიას სახელზე, ჩ. გ. 2580

დაკარგვა: პურის წიგნაკი ა. 6 სულის რაჟდენი ალექსის-ძე გვბეკორის სახელზე, ჩ. გ. 2569

დაკარგვა: პურის წიგნაკი № 4 ივანე ანჯაფარიძეს სახელზე, ჩ. გ. 2568

დაკარგვა, პურის წიგნაკი ბაგრატ აბესაძეს სახელზე, ჩ. გ. 2570

დაკარგვა: კომკავშირის საწევრო ბილეთი № 48199 კოტე სოლომონის-ძე უნგიაძეს სახელზე, ჩ. გ. 2578

დაკარგვა სამხედრო წიგნაკი, გაცემული ბანძის რაიონის მიერ, № 107 პეტრე სართანიას სახელზე, ჩ. გ. 2577

დაკარგვა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 21 გაცემული ხობის რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ, პარმენ ნიკოს-ძე ლოლუას სახელზე, ჩ. გ. 257

ტირაჟი—40.400

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.